

## პოტტოს

### ნაშრომნი

= ვ. პოტტო =

I

საქართველო და მისი  
ისტორიული წარსული დრო

II

პოლკოვნიკ ი. ს. კვინტაძის  
სახსოვრად.

III

გენერალი ქრისტეფორე კონს-  
ტანტინეს-მე მამაცაშვილის  
60 წლის სამსახ. იუბილეს გამო.

IV

თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად.

## საქართველო და მისი ისტორიული

### წარსული დრო

ვ. პოტტოსი

(თარგ. ი. ბაქრაძისა)

ბევრი პოეზიაა სისხლით დაწერილს კავკასიის ისტორიაში; ქართველი მას თვალ-ცრემლიანი კითხულობს. იგი მას აუწერს საუკუნოების განმავლობაში მომხდარს ტანჯვა-ვაებას, სამეფოს სამეფოებად დაყოფას, ამბოხებას მეფეთა და თავადთა შორის, ტომთა და ნათესავთა შორის, ომებს, ფეოდალების ციხე-სიმაგრეთ, როგორც სავანეს მმარცველობისას, დიდებულთა დარბაზებს, როგორც ბუნაგს მტარვალობისას, რომელთა წინაშე მუხლს იდრეკავდა ერიც, სამღვდელოე-ბაც. მაგრამ ამ უბედურებათა შორის საქართველოს ისტორიაში რამდენიმე ბრწყინვალე ხანაც მოიპოვება...

პ. იოსელიანი.

კავკასიის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს უძველეს დრო-იდანვე ცხოვრებდნენ ქრისტიანე ერნი ქართველთა მოდგმი-სანი, რომელნიც შეადგენდნენ რამდენსამე დამოუკიდებელს სა-მეფოს: საქართველოსას (ქართლი და კახეთი), იმერეთისას, სა-მეგრელოსას და გურიისას; ეს სამეფონი ხან ერთდებოდნენ და ხან ცალ-ცალკევდებოდნენ. ყველაზედ უმთავრესი და ძლიერი ნაწილი საქართველოს ტომისა იყვნენ ქართველნი, რომელთაც ეჭირათ მტკვრისა და ალაზნის მიდამონი. ამისათვის საქართვე-ლოს ისტორია ერთსა და იმავე დროს არის ისტორია დანარ-

ჩენ ქართველთა ტომებისაც, რომელნიც ისტორიულ უბედურების დროს თავეთს ბედს უერთებდნენ საქართველოს ბედს და მშვიდობიანობის დროს თავეთის განცალკევებით ჰზა-

2

დავდნენ მეფეთა გვარეულობისა და ერთა შორის შფოთსა და ამბოხებას.

უმველესი თქმულებანი, ჩაწერილნი ისტორიაში საქართველოს მეფის ვახტანგ VI მიერ, გვაუწყებენ, რომ ქართველთა ტომი არის ჩამომავალი ქართლოსისა, ნოეს ძის იაფეტის თესლისაგან, რომელსაც წილად ერგო მტკვრის მიდამონი არაგვის შესართავამდინ.

მთლად საქართველოს დიდი ხნის ცხოვრებას უწოდებენ მარტიროლოგს ანუ მოთხრობას დაუსრულებელ ტანჯვათა. მნელად თუ ამაზედ უკეთესს სახელს მოუგონებდნენ. მას აქედ, რაც ისტორიამ აღნიშნა ეს ქვეყანა, იგი ანდამანტივით იზიდავდა სხვა-და-სხვა ერთა, რომელნიც მოისწრაფებოდნენ მისკენ ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და შორეულ დასავლეთით და, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, აქ აოხრების კვალს სტოვებდნენ. ქართლის მოტიტვლებულს გორებზედ და კახეთის და იმერეთის საუცხოვო მცენარეულობით შემკულ ადგილთა შორის დღევანდლამდინ მოჩანან ნანგრევნი მკვიდრად ნაშენ ძველის დარბაზების და ციხეებისა, რომელნიც მკირად უღირდა ერს მტრის შემოსევის დროს. მნელად თუ დედამიწის ზურგზედ იყოს სხვა ქვეყანა, სადაც მოიპოვებოდნენ ესოდენი მუნჯნი მოწამენი ერის ტანჯვისა. იმ დროს, როდესაც მივიწყებულს და ბუნებისაგან გამაგრებულს კავკასიის მთებში ქვეყნისათვის უცნობნი ხალხნი ველურ ცხოვრებას ატარებდნენ და ასეთი ცხოვრება ძვალ-რბილში უჯდებოდათ, სამხრეთით მთების კალთებზედ ძველი ივერია თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში მედგრად და მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას და დასაწყისს განათლებისას მაჰმადიანთა და წარმართთა შემუსვრისაგან.

საქართველოს ისტორია იწყება აღმოსავლეთის უმველესის დროიდან. მის პატრიარქალურს ცხოვრებას ბოლო მოულო მამასახლისობის დაარსებამ. როდესაც დაიწყო აზიაში ხალხის დიდი გადასვლ-გადმოსვლა, მაშინ დაჰკარგა საქართველომ თავის დამოუკიდებლობა, მას თან და თან იმორჩილებდნენ ასურელნი, ბაბილონელნი და სპარსნი. სპარს-

3

თა მეფეების წინამძღოლობით ქართველნი დაწნულის ფარებით და ხის მუზარადებით ებრძოდნენ ბერძენთა და სკიფთა და ითვისებდნენ უცხოელთა ცოდნას და ზნე-ჩვეულებას. ამავე დროს ახლოს მდებარე კავკასიის მთებს თავს აფარებდნენ მტერთაგან დამარცხებულნი და ლტოლვილნი უცხოელნი, ბერძნები მოდიოდნენ აქ ოქროს მატყლოსან ცხვრისათვის, და აი ამ ერთა შორის მისვლა-მოსვლამ მოამზადა საქართველოში ნიადაგი განათლების აღმოსაგენად.

ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ამბობენ ცდილობდა მოესპო საქართველოს თვითარსებობის გარეგანი ნიშანიც კი, რისათვისაც მამასახლისების მაგივრად ამ ქვეყანაში დააყენა

თავის სარდალი რამდენიმე ჯარით. მაგრამ ამ უკიდურესმა გარემოებამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა, ხალხმა თავი გამოიღო თავის დამოუკიდებლობის დასაცველად. ფარნაოზის წინამძღოლობით, რომელიც იყო უკანასკნელი მამასახლისის ჩამომავალი, ქართველებმა განდევნეს ალექსანდრე მაკედონელისაგან დაყენებული მთავარმართებელი და ამ დროიდან დაიწყო მეფობა საქართველოში. პირველი მეფე იყო ფარნაოზი, 300 წ. უფრო ადრე, ვიდრე ქრისტე დაიბადებოდა.

მემატიანენი ფარნაოზს აწერენ საქართველოში მოქალაქურ წეს-წყობილების დამყარებას, ანბანის შემოღებას და ზოროასტრის სარწმუნოების დამკვიდრებას. გარდმოცემა გვაუწყებს, რომ ქართველების მამა-მთავრის ქართლოსის საფლავზედ ფარნაოზმა აღმართა დიდი კერპი არმაზისა, მორთული ოქროს აბჯრით და ძვირფასის თვლებით მოჭედილ გვირგვინით.

ბუნდით მოცულს შემდეგს საუკუნოებში, რომელთაც განვლეს სომხებთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ურიცხვ ბრძოლაში, ბჟუტავენ რამდენიმე დიდებულნი პირნი და მათ შორის ყველაზედ შესანიშნავია მეფე ადრეკი იმით, რომ იმის მეფობის დროს დაიბადა მხსნელი ქვეყნისა. ამავე მეფის დროს ეკუთვნის გულის საკლავი გარდმოცემა მაცხოვრის კვართის შესახებ. ეს გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ საქართველოს

4

სატახტო ქალაქ მცხეთაში ცხოვრობდნენ იმ ურიათა ჩამომავალნი, რომელნიც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ განიფანტნენ დედამიწის ზურგზედ; ეს მცხეთელი ურიები ყოველ წელიწადს, პასექის დროს, იერუსალიმში ჰგზავნიდნენ თავეთ წარმომადგენელთ, რომელთა წყალობითაც, როცა უკან ბრუნდებოდნენ, მთელს საქართველოში ვრცელდებოდა ამბავი მაცხოვრის სასწაულთა შესახებ. იმ წელიწადს როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს, იერუსალიმში გაიგზავნა, სხვათა შორის, ელიოზიც, შვილი კეთილმსახურ დედ-მამისა. იგი დაესწრო გოლგოთის ამბებს, გაცდა ყოველივე ნანახით და შეიძინა კვართი უფლისა ერთი რომელიც ჯარის-კაცისაგან, რომელსაც წილის-ყრით ჰრგებოდა ეს ძვირფასი საუნჯე. როდესაც ელიოზი სამშობლოში დაბრუნდა, მისმა დამ (ზოგის თქმულებით ასულმა), მაცხოვრის ჯვარცმის ამბებით თავზარდაცემულმა, ხელი სტაცა კვართს, ჩაიკრა გულში და იქვე განუტევა სული. ვერა ღონის-ძიებით ვეღარ გამოაცალეს ხელიდან კვართი უფლისა, რისაგამოც კვართითურთ დამარხეს. მაღალი ლიბანის ხე ამოვიდა მის საფლავზედ და კაცის თვალს დიდხანს უმაღავდა ამ წმინდა ადგილს.

ცოტა ხნის შემდეგ ქრისტეს სარწმუნოება ჰქადაგა კავკასიაში ანდრია მოციქულმა და მისმა თანამოგზაურმა სვიმონ კანანელმა; გარდმოცემა დღესაც უჩვენებს ანაკოფიაში კანანელის საფლავს, რომელსაც თვით გაუნათლებელი კავკასიელი მთიულიც კი დიდის მოწიწებით სცემს თაყვანს. მაგრამ ქრისტიანობა მკვიდრად დამყარდა საქართველოში მხოლოდ მოციქულთა სწორის ნინოს მეოხებით.

წმინდა ნინო იყო ასული რომაელის სარდილისა და იერუსალიმის პატრიარქის დისა. იგი იყო ახლო ნათესავი დიდის მთავარ-მოწამის გიორგისა და მის მფარველობას მიაწოდო თავისი

ახალი სამშობლო. წმინდა გიორგიმაც თითქო შთაბერა სული ვაჟ-კაცობისა დ წამებულობისა მთლად ქართველს ერს, რომელიც ისტორიაში გიორგიანადაც იწოდება.

ნინოს ბავშვობიდანვე უყვარდა იმ ამბების გაგონება, რომელიც შეეხებოდნენ საქართველოს, სადაც წაღებულ იყო

5

კვართი უფლისა და სულ იმაზედ ფიქრობდა, რომ როგორმე გამხდარიყო განმანათლებელი ამ ქვეყნისა და ეპოვნა წმინდა ტანისამოსი. დღე და ღამ ევედრებოდა ღვთისმშობელს და შემწეობას შესთხოვდა. ღვთისმშობელი გამოეცხადა ძილში, ჩააბარა ჯვარი ვაზისა და უთხრა: „წადი ივერიის ქვეყანაში და ახარე სახარება, მე ვიქნები შენი მფარველიო“. როდესაც გამოელვოდა და თავის ხელში საკვირველი ჯვარი ნახა, ცრემლის ფრქვევით ემთხვია მას და თავის თმით შეკრა.

და აი მეოთხე საუკუნის დასაწყისში, სასანიდების გვარეულობის დამარსებლის, მირიან მეფის დროს, რომელიც იყო თანამედროვე კოსტანტინე დიდისა, წმინდა ნინო მოვიდა მისთვის უცნობ მდინარის ნაპირზედ (მტკვარი), შეჰყვა მას აღმაღმა და მივიდა მცხეთას სწორედ იმ დღეს, როდესაც არმაზის დღეობა იყო. მაღალს მთაზედ იდგა სრულიად ოქროში ჩამჯდარი უზარ-მაზარი კერპი და ცეცხლივით ლაპლაპებდა, აქეთიქით ორი სხვა კერპი უდგა, რომელნიც, როგორც გარდმოცემა ამბობს, სასტიკად სჯიდნენ ყველა იმას, ვინც კი ქურუმთა ნება-დაურთველად მათთან მისვლას გაბედავდა. იკვროდნენ საყვირნი, იკმეოდა საკმელი, იღვროდა მსხვერპლთა სისხლი; მეფე მირიანი მთელის თავის ხალხით დაემხო პირქვე კერპთა წინაშე, მხოლოდ ერთი უცხო, ყველასათვის უცნობი ქალწული არ იდრეკავდა მუხლს. თუმცა მოწმენდილი დღე იყო, მაგრამ უეცრად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და თან ჭექა-ქუხილი მოჰყვა; კერპთა საკურთხეველი დაინგრა და მის ნანგრევთა შორის მოჩანდნენ ნატეხნი დამსხვრეულის კერპებისა. შეძრწუნებული ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა და ნანგრევებზედ იდგა მხოლოდ ნინოს და გულ-დამშვიდებული უყურებდა თავის თვალ-წინ ამოვარდნილს და უკვე ჩავარდნილს ქარიშხალს. ეს მოხდა ექვს აგვისტოს და ეს დღე ფერისცვალებისა ივერიისათვის შეიქმნა იმ დღედ, როდესაც წარმართობის სიბნელე ქრისტიანობის სინათლეზედ შეიცვალა.

6

ამ დღიდან იწყება მრავალი მოღვაწეობა და სასწაულოთ-მოქმედება ნინოსი, რომელნიც იხსენებიან ადგილობრივს გარდმოცემებში, და მემატიანე მეფესაც ისტორიაში ჩაუწერია.

მეფის ბაღში იდგა საიდუმლოებით მოცული ლიბანის ხე, რომლის ძირშიაც დაფლული იყო კვართი უფლისა; წმინდა ნინო ხშირად ლოცულობდა ამ ხის ქვეშ და აქვე ხედავდა ხოლმე წინასწარმეტყველებით სავსე ჩვენებათ. ერთხელ შავი მფრინველების გუნდი მოფრინდა, იბანავეს არაგვი და როდესაც თოვლივით გათეთრდნენ, დასხდნენ ლიბანის ტოტებზედ და შეამკეს ბაღი სამოთხისებურის გალობითა, – ეს იყო სიმბოლო, ანუ ნიშანი ივერიელთა ნათლისღებისა. მეორედ იხილა საში-

ნელი დარღვევა არმაზისა და ზადენის მთებისა თავის კერპებით, მოესმა ხმა ბრძოლისა და ქვითინი ეშმაკებისა, რომელნიც სპარსთა ჯარის სახით შემოსეოდნენ საქართველოს და თავეთი მეფის ბრძანებით აკლებას და განადგურებას უპირებდნენ. ამ ჩვენებით თავზარ დაცემულმა ნინომ ამართა ჯვარი უფლისა და წყნარად წარმოსთქვა: „ბოლო მოელო მეფობასა თქვენსა, აი ეს არის მძლეველი“, და ყოველივე გაჰქრა. წმინდა ნინომ გაჰკურნა მირიან მეფის სულთ-მობრძავი მეუღლე და ერთიკ სპარსეთის მეფის ნათესავი, რომელიც მირიანის სახლში გამხდარიყო ავად; ყველაზედ უწინ ამ ორთა მიიღეს ნათლისღება. თვით მეფე კი ჯერ ისევ ყოყმანებდა. მაგრამ ერთხელ, როდესაც ახლო-მახლო მთებში იმყოფებოდა სანადიროდ, საშინელმა ქარიშხალმა მოასწრო და უეცრად დაბრმავდა. შეძრწუნებული მეფე დაეცა მუხლებზედ და ღაღად ჰყო: „შენ ხარ ღმერთი ღმერთთა ზედა და უფალი მეფეთა ზედა, შენ ხარ ღმერთი ნინოსიო“, და იმავე წამს აეხილა თვალები. გაიგეს თუ არა ამ სასწაულის ამბავი, მთლად მეფის ოჯახი და ხალხი, მეფეს წინ მიეგება. „ადიდეთ ღმერთი ნინოსი, ღმერთი საუკუნო“, ეუბნებოდა მეფე თავის ერს და პირდაპირ ნინოს ქოხისკენ წავიდა, დაეცა ცხოველ-მყოფელი ჯვარის წინაშე და ადიდა ქრისტე. ნინომ გადასწერა ჯვარი მტკვარსა და არაგვს და ამ ორს მდინარეში მოინათლა მეფეც და მისი ერიც. ელ-

7

იოზის ერთმა შთამომავალთაგანმა, რომელსაც ცხოვლად ახსოვდა გარდმოცემა უფლის კვართის შესახებ, უჩვენა ადგილი, სადაც შენახული იყო ეს ძვირფასი განძი ქრისტიანობისა. საიდუმლოებით მოცული ხე ლიბანისა მოსჭრეს და მის ადგილას ააგეს ტაძარი, რომელშიაც შეინახეს წმინდა ტანისამოსი.

როდესაც წმინდა ნინომ ქართლში ქრისტიანობა დაამკვიდრა, მაშინვე კახეთს წავიდა და იქ, ოც და თხუთმეტი წლის მოციქულებრივის მოღვაწეობის შემდეგ, გარდაიცვალა ეხლანდელი სიღნაღის მახლობლად. მეფეს და ეპისკოპოსს უნდოდათ მისი გვამი გადაეტანათ მცხეთის ეკლესიაში, სადაც იმას ასე ხშირიდ უყვარდა ხოლმე უფლის კვართზედ ღოცვა, მაგრამ აქ კიდევ ახალი სასწაული მოხდა: ვერას გზით ვერ დასძრეს გამხმარი გვამი ღვაწლით შემოსილის ქალწულისა იმ ადგილიდან, რომელიც თავის საუკუნო განსასვენებლად ამოერჩია. ქართლის წინაშე მას ბევრი ღვაწლი მიუძღვოდა, ახალი თითქო ის ეწადა, რომ კახეთში დამარხულიყო და ამით იქაც განემტკიცებინა ქრისტიანობა. პირველი ტაძარი აქ მეფე მირიანმა ააშენა წმინდა გიორგის სახელზედ და იქ დაასვენა ნაწილნი წმინდის მქადაგებლისა. ბოლოს ამ ეკლესიასთან დაარსდა ბოდბის სამიტროპოლიტო, ყველაზედ უპირველესი მთელს კახეზში მცხოვრებ ხალხს. წმინდა ნინოს ცხოვრება დასწერა პირველად მისმა თანამედროვე მეისტორიემ რუფინმა, რომელსაც მისი ცხოვრება გაგონილი ჰქონდა მირიან მეფის შვილის ბაკურ ბატონიშვილისაგან.

რასაკვირველია, ქრისტიანობა ერთბაშად არ დამკვიდრდა საქართველოში. იყვნენ უარის მყოფელნი მეფენიც; სპარსელები მედგრად ცდილობდნენ ქრისტეს სჯულის აღმოფხვრას და ცეცხლის თაყვანის-მცემლობის გავრცელებას. როცა მეფე მი-

რდატ IV (408) დროს მათ საქართველო დაიპყრეს, ხალხი იძულებული შეიქმნა ჯვარი დაემალა და სპარსელების თაყვან-საცემელი ცეცხლი აეგზნო ყველა ეკლესიებში, რომელიც კი მტერს შეუმუსრავი გადურჩა. სპარსთა მონების უღელი ძლიერ

8

მძიმე იყო ქართველებისათვის, ამისათვის მირდატის შვილის-შვილის არჩილ I დროს საქართველო აღსდგა და საშინლად დაამარცხა მტერი მდინარე ლიახვის ნაპირზედ.

მაგრამ საქართველოს გაძლიერების და დიდების დრო დადგა მაშინ, როდესაც გამეფდა მეფე ვახტანგ პირველი, რომელმაც 53 წელიწადი იმეფა, 446 წლიდან 499 წლამდინ. სპარსელები მას გორგ-ასლანს (მგელ-ლომს) ეძახდნენ, რადგანაც გულადი და მამაცი ვაჟკაცი იყო, ტყუილად არ იყო გამოხატული მის მუზარადზედ წინ მგელი და უკან ლომი. თავის ჯარს მუდამ წინ მიუძღოდა, ამისთვის მტერი პირად იცნობდა მას და, დაინახავდა თუ არა იმის მუზარადს, ყვირილს მორთავდა ხოლმე: „მოერიდეთ, გორგ-ასლანი მოდისო“. ეს მეფე თვით ისტორია-შიაც ამ სახელით იხსენიება.

ვახტანგი ბრძენი გამგებელიც იყო და გმირი სარდალიც, არა ერთი და ორი ნაშთი დაუტოვა სამშობლოს თავის მოღვაწეობისა. მუდამ ხალხის განათლებაზედ ზრუნავდა, აარსებდა სკოლებს, ასწორებინებდა და ათარგმნინებდა საღმრთო წერილის წიგნებს და გამოსცა კანონები. დაუცხრომელად ზრუნავდა სამშობლოს თავისუფლებაზედ, სრულიად შემუსრა სპარსთა მონების უღელი, დაიპყრო სამეგრელო, აფხაზეთი, დაამარცხა პაჭანეგები, დაიმორჩილა აზრუმი და დიდების სხივით შემოსილი მისი სახელი თვით ინდოეთშიაც კი გაითქვა. ერთ უძველეს ეკლესიის კედელზედ, რომლის ნანგრევები დღესაც სჩანან ალაგირის მთებში, არის ზედ-წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ოსებთან გორგასლანის ომის ამბავს. ოსეთის მზრდნებელმა ბალათარმა და მოსტაცა მეფე ვახტანგს და ეს შეიქნა მიზეზი მათ შორის საშინელის ომისა; დიდ ხანს ვერც ერთი იმარჯვებდა და ვერც მეორე, თუმცა ბალათარს თარხანიც მიეშველა თავის პაჭანეგებით. ერთს ბრძოლაში გორგასლანმა თავის ხელით მოჰკლა თარხანი, მაგრამ ბალათარი კი მაინც ისევ ეომებოდა. ამ ოსების გმირმა ბევრჯელ უკუ აქცია ქართველები და არა ერთხელ თვითონ დაესხა მათ თავს. გორგასლანმა ნახა, რომ, ვიდრე ბალათარი მოთავედ ჰყავდათ ოსებს, ვერაფერს

9

გახდებოდა. ამისათვის შემდეგი ხერხი იხმარა: ვახტანგმა მორიგება შეუთვალა იმ პირობით, რომ ოს-ბალათარს მისი და ცოლად შეერთო. ორივე მებრძოლნი არაგვის ნაპირებზედ იყვნენ დაბანაკებულნი, ერთი გაღმა და მეორე გამოღმა. ვახტანგმა ბალათარი თავის ბანაკში მიიწვია დაზავების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბალათარმა ვერ შეუტყო ვერაგობა და მის სანახავად წავიდა. როდესაც წყალში გადიოდა, ქართველებმა დაუშინეს ისრები, ოს-ბალათარი დაიჭრა, წყალში გადავარდა და დაიღუპა. მაშინ გორგ-ასლანი დაესხა ოსებს და დაიმორჩილა. ეს ზედ-წარწერა თავდება ოს-ბალათარის და იმის

ცხრა ძმის სიტყვებით: „ამის ამომკითხველნო, შენდობა გვიბრძანეთო“.

მაგრამ არა მარტო მუნჯნი ნანგრევნი – ეს სამწუხარო ნაშთნი ძველის დიდებისა – ღაღადებენ გორგასლანის მოღვაწეობას. დიდებულნი ტადარნი: მცხეთაში ათ-თორმეტა მოციქულთა, ტფილისში სიონისა და მეტეხისა – არიან ნაშთნი ვახტანგის ბრწყინვალე მეფობისა. მან დააარსა თვით ქალაქი ტფილისიც, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა გაიხადა სატახტო ქალაქად და ამით ბუნდი მოეფინა ცხეთის ძველს დიდებას. ტფილისის ახლო არის მარტყოფის უძველესი მონასტერი, რომლის უმთავრესი ეკლესიის მთლად შენობა და თვით გუმბათიც დამყარებულია ორს სვეტზედ, ამავე ორს სვეტზედ დახატულია საქართველოს ორი მეფე მთლად ტანიანად: ერთი მათგანი არის ვახტანგი და მეორე დიდებული დავით აღმაშენებელი.

გორგასლანი ჭრილობისაგან ღრმა სიბერეში გარდაიცვალა, ამის შემდეგ კვალად ჩაჰქრა საქართველოს დიდება და სპარსელებმაც კვალად დაიწყეს მისი დამორჩილება; მალე, მე-IV საუკუნის დამლევს, თვით სასანიდების დინასტიამ დაუთმო ადგილი ბაგრატიდების დინასტიას, რომლის პირველი წარმომადგენელი იყო გურამ I.

ბაგრატიდების დინასტიამ მთელი ათასი წელიწადი იმეფა და ამ დინასტიასთან ერთად მოისპო თვით საქართველოს მე-

10

ფობაც. ამ დინასტიის მეფეები თავის თავს დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლად რაცხავდნენ. მათ გვარეულობის გერბზედ გამოხატულია შურდული, რომლითაც მოიკლა გოლიათი, ქნარი დავითისა, სასწორი – ნიშანი მეფურის მართლ-მსაჯულებისა და სიბრძნისა და კვართი უფლისა; გერბს გარშემო აწერია 131 ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები: „ეფუცა უფალო დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“. ეს გერბი დღესაც დაცულია ამ გვარეულობის შთამომავალთა, თავადთა გრუზინსკების ოჯახში.

ამ დინასტიის დროს სპარსელებთან ჩვეულებრივს ისტორიულს ბრძოლას ზედ დაერთო ახალი მტრის – არაბების შემოსევა, რომელნიც ცეცხლითა და ხმლით ჰქადაგებდნენ ყორანს იქ, სადაც ჯერ კიდევ სრულიად არ ჩამქრალიყო საკურთხეველნი ცეცხლის თაყვანის-მცემლობისა. მე-VII საუკუნის ნახევარში ომარის სარდალი ხალიფი, რომელსაც მეტს სახელს „ღვთის რისხვას“ ეძახდნენ, გამოგზავნილ იქმნა ჩრდილოეთის დასაპყრობლად, დაიმორჩილა საქართველო, – და ტფილისი 400 წლის განმავლობაში არაბების მონების უღელს ატარებდა. ამ შავსა და ბნელს დროს ნაცვლად იმისა, რომ დინასტიურს კრტიმლასა და ხალხთა შორის უთანხმოებას ბოლო მოჰვლებოდა, – უფრო და უფრო გაძლიერდა და ფესვი გაიდგა. არც მეზობელი ველური ხალხები აძლევდნენ ამ უბედურს ქვეყანას მოსვენებას. ამავე დროს ისტორიულს ასპარეზზედ გამოვიდნენ ოსმალ-სელჯუკები. მე-XI საუკუნის ნახევარში იგინი შეიქმნენ მპყრობელნი მთელის დასავლეთის აზიისა, შემუსრეს დიდება და ძლიერება ბაღდადის ხალიფებისა და სა-

მუსულმანოს კვალად გაუღვიძეს მადა ქვეყნების დაპყრობისა. სელჯუკების სულტანი ალპ-არსლანი ასი ათასი ჯარით შეესია სომხეთს, და აქ ეს ჯარი ნაწილ-ნაწილ დაყო და აქეთ-იქით მხარეს გაუსია; საშინელი უბედურობა მიაყენა საქართველო-საც. სამი წლის შემდეგ ეს შემოსევა კვალად გამეორდა; ვერა ჯარი ვერ უმაგრდებოდა ოსმალთა წამლეკავს თავდასხმას. გაშმა-

11

გებული მდინარესავით მოედნენ აქეთ-იქით და ყველაფერს მუსრს ავლებდნენ; გადამწვარი ქალაქები და სოფლები დაღ-დებდნენ მათი შემოსევის ამბებს. ქართლი და კახეთი ააოხრეს, ტფილისი აიღეს და დააქციეს. ასეთი შემოსევა დრო გამო-შვებით ხდებოდა და ათი წლის შემდეგ, 1078 წელს, ტფი-ლისმა კვალად გამოსცადა საშინელი ბარბაროსობა ოსმალები-სა: ამ დროს მტკვრისა და ალაზნის ნაპირებზედ დასახლდნენ თათრები, რომელნიც განუწყვეტლად სძარცვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს.

ოსმალებისაგან მიყენებულს უბედურებას ზედ დაერთო ბუნების საშინელნი მოვლენანიც, რომელთაც ხალხი ღვთისა-გან მიყენებულ სასჯელად სთვლიდა იმისთვის, რომ ამ დროს იგი უტევებდა ჭეშმარიტს სარწმუნოებას თათრების სარწმუნოებას ღებულობდა და ეძლეოდა ზნეობის გამხრწნელს გარყვნილე-ბას. ერთხელ, ზედ ქრისტეს აღდგენის დღეს, როგორც მემატთანე მოგვითხრობს, ისეთი საშინელი მიწის-ძვრა მოხდა, რომ მაღალი მთები და კლდეები დაირღვნენ, ქალაქები და სოფლები დაიქცნენ, სახლები შიგ მცხოვრებთათვის საფლავებად გადაიქცა და დიდ-ძალი ხალხი დაიღუპა. ქვეყნის ესოდენ უბედურებას ბოლო მოუღო დიდმა დავით მე-II აღმაშენებელმა, რომელმაც სა-ქართველოს კვალად დაუბრუნა უწინდელი დიდება და ძლიე-რება.

როდესაც თექვსმეტი წლის დავით აღმაშენებელი (1089-1125) ტახტზედ ავიდა, ქართლი სრულიად დანგრეუ-ლი და აოხრებული იყო, ტფილისი და მრავალი სხვა ადგი-ლები ოსმალებს ეჭირათ, იმერეთს თავის ნებით განაგებდნენ და ჰფლობდნენ საბერძნეთის მეფეები და იმით მართლულობდნენ თავს, რომ ჩვენ ერთად-ერთი მფარველნი ვართ ერთ-მორწმუნე სამეფოსიო; მხოლოდ აზნაურების მთები და ხეობები იყვნენ უშიშარნი ადგილნი მეფისა და ხალხის საცხოვრებლად, მეფე ტეაგულისთაში ცხოვრებდა ლიხის მთის ძირში. ამ დროს გა-თამამებული თათრების ბრბო, რომელთაც ეჭირათ, ტფილისის ნაყოფიერი მიდამონი საშინლად არბევდნენ კახეთსაცა და

12

ქართლსაც. სპარსელები არბევდნენ და სულს არ უდგამდნენ სა-მეფოს განაპირა ადგილებში მცხოვრებ ხალხს, ასე გასინჯეთ თვით სომხებიც კი ხშირად ესხმოდნენ ერთ-მორწმუნე ხალხის სამეფოს. ერთ დროს აყვავებული ადგილები გავერანდნენ, ნა-ყოფიერი მინდვრები გახრიოკებულ მინდვრებად გადაიქცნენ. მეფის უდიდესი მოვალეობა იყო გაემთელებინა სამეფოს წყლუ-ლი. მას ხელი მოუმართა ამ დროს დაწყებულმა ჯვაროსნების ომმა, რომელმაც დახაფრა ოსმალების მრავალი ჯარი და ამით

საქართველოს მიეცა დრო შემოეკრიბა თავის ძალ-ღონე.

მტრისგან გავერანებულ ადგილებზე დასასახლებლად მეფემ ოსები მოიწვია და იმათაც დიდის სიხარულით დასთმეს თავის უნაყოფო კლდეები და საქართველოს ნაყოფიერს მიწადვრებზე დასახლდნენ. მათის შემწეობით მეფემ შეასრულა უდიდესი საქმე საქართველოს განთავისუფლებისა. როგორც კი შეიტყო, რომ ფრანგებმა იერუსალიმი დაიპყრესო, მაშინვე უკუ აგდო ოსმალების მონების უღელი და ხარჯის ძლევაზედ უარი განაცხადა. და ეს იყო უდიდესი ღვაწლი, რომელიც ჩაიდინა დავითმა გამეფების უმაღლე. მაგრამ ოსმალებმა ერთბაშად და ადვილად არ დასთმეს თავის უფლება საქართველოზედ; საქართველოს განთავისუფლება ძვირად დაუჯდათ ორივე მხარეს და ამან დიდი სისხლი დააღვრევინა დავითსაც და ოსმალებსაც. თავის მცირე ჯარით დავითი უძლიერეს მტრებს ამარცხებდა; თავისი მოღვაწეობა დაიწყო აფხაზეთიდან და დაასრულა დერბენდში, სადაც შელენა რკინის კარი, შებმული ხალიფების დროს. მისი მეფობის დროს მტერი მტერზედ ესხმოდა საქართველოს, მაგრამ პირველსავე ბრძოლაში დავითისაგან თავ-ზარდაცემულნი აქამდინ უძლეველნი სელჯუკების და სპარსელების სარდლები პირს იბრუნებდნენ ხოლმე და უტყევდნენ მას ტყვეებს და აუარებელს საუნჯეს, რომლითაც თავის სამეფოს ამდიდრებდა. ერთხელ, როდესაც შემოდგომაზედ 1121 წ. არაბების ურიცხვი ბრბო თრიალეთს შემოესია, დავითმა ერთის ბრძოლით სრულიად გაჰფანტა და თავისი ბანაკი აავსო ოქროთი, ვერცხლითა, ძვირფასის ბადიებით, ხალებით, იარაღით და

13

არაბულის ცხენებით; სირიის სარდლები ტყვედ უვარდებოდათ ხელში უიარაღო სოფლელებსაც კი.

საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი მაინც დიდ ხანს ეჭირათ სარკინოზებს, რომელნიც მის ციხეებში იყვნენ გამაგრებულნი. მაგრამ დავითი ამაზედ აგრე რიგად არაფერს ზრუნავდა, რადგან იცოდა, რომ თუ დანარჩენს ადგილებში მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს, ტფილისის აღებაც აღარ გაუჭირდებოდა. მხოლოდ თავის მეფობის ბოლო დროს, 1122 წელს, ანაზდეულად დაესხა თავს მტერს და ტფილისიც დაიჭირა. და მაშინ შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდინ ყველა მის ძლიერებას ემორჩილებოდა. ამ დროს საქართველო იმდენად მოღონიერდა, რომ თავის ჯარი შორს პალესტინაშიაც კი გაგზავნა ქრისტეს საფლავის მტრებთან საბრძოლველად. აღელვებულმა მაგრამ ამ უბედურებამ მაინც ვერ დააბრკოლა ახალი მეომარი, იგინი მშვიდობით მივიდნენ წმინდა ადგილს და სხვა ჯვაროსნებთან ერთად იღვწოდნენ ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად ურწმუნოთა ხელიდან.

დავით აღმაშენებელი დიდი ვაჟკაცი იყო, ჯარს ყოველთვის თვით უძღოდა წინ და მტერს გრიგალივით მიეტყვებოდა ხოლმე. ამასთანავე იგი იყო ახოვანის ტანისა და გოლიათებრ ღონიერი. გელათის ტაძარში (ქუთაისის ახლოს) დღესაც დაცულია მეფის ბეჭედი, რომელშიაც ჩვეულებრივი კაცის ორი თითი ადვილად ჩაეტევა. როგორც მარტყოფის, ისე ამ მონასტრის კედელზედ დახატული მეფის სახე, დიდი, გრძელის წვერით, ამტკიცებს იმის ფიზიკურს ძალას და უპირატესობას სხვათა მე-

ფეთა წინაშე.

გელათის ტაძარი და ღვთისმშობლის მონასტერი დავით-მა აღაშენა სადიდებლად ღვთისა, რომლის მოწყალებითაც შეაერთა მთლად ძველი სამეფო ბაგრატიდებისა. სიდიდით, სიმშვენიერით და მარმარილოს სიუხვით ეს ტაძარი აღმატებოდა ყოველსავე, რაც კი ამისთანა რამ აშენებულიყო აქამომდე ივერიაში. ამ ტაძარში ბოლოს დროს დასდგა უძველესნი ტახ-

14

ტნი თავის მიერ დამარცხებულ სპარსეთის მეფეებისა, მათი ოქროს ლამპრები, გვირგვინები, მანიაკები და აგრედვე თვისგანვე დატყვევებულ არაბთა მეფეების ბადიები.

დარიალის ხეობაში, მაღალს ფრიალო კლდეზედ, რომელიც მოქურუმებული გადმოჰყურებს საქართველოს სამხედრო გზას, დღევანდლამდინ მოჩანს ნანგრევი ძველის კარისა, საქართველოში შემოსვლის მსურველთა გზის შემკვრელი. იგი იყო შებმული ქრისტეს წინად მეფე მურვანისაგან, მაგრამ შემდეგ დაექციათ და დავითმა განაახლა.

დავითმა მთელი თავის სიცოცხლე სულ ბრძოლაში გაატარა, ერთი ხელით მტრებსა მუსრავდა და მეორე ხელით აღდგენდა იმას, რაც მტრებისაგან იყო შემუსვრილი. დავითმა მართო ხმლის ხმარება არ იცოდა; იგი უდიდესი ღვთის-მეტყველი იყო თავის დროისა. ისე არა უყვარდა-რა ძლევა მოსილს მეფეს, როგორც საღმრთო წერილის კითხვა. იმის მეფობის დროს ორი კრება მოხდა სამღთო წიგნების შესასწორებლად, მტრებისაგან წართმეული სიმდიდრით აშენებდა ეკლესიებს და აარსებდა მათთან სკოლებს ყმაწვილების აღსაზრდელად.

დავითი მიიცვალა 53 წლისა, ჯერ კიდევ სავსე ღონითა და ძლიერებითა. მან დასტოვა გაძლიერებული და ყოვლის მხრით დამშვიდებული სამეფო. ქართველმა ერმა მას აღმაშენებელი უწოდა და ეკლესიამაც წმინდათა შორს შერაცხა. სიკვდილის დროს დავითმა ამოირჩია საუკუნო განსასვენებლად თვის მიერ აშენებული გელათის ტაძრის კარის ბჭე, რომ ყველას, ვინც კი იმის საფლავზედ გადაივლიდა, იმის სულისთვის ელოცა. მან უბრძანა დაედგათ იმის საფლავზედ დერბენდიდან წამოღებული რკინის კარი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეკლესიის კარიც იქნებოდა და მეფის ძეგლიც. ეკლესიის შესავალში დღესაც ძვეს დიდი გათლილი ქვა, რომელზედაც სხვილი ქართული ასოებით სწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რომელსა დავემკვიდრე“.

ერთი ნახევარი ამ რკინის კარისა აღარა სჩანს; როგორც ამბობენ, იგი ლურსმებად ჩამოუსხავთ და ეკლესიისთვის მოუხმარებიათ. მეორე ნახევარი კი დღესაც არის. მისი არაბული

15

ზედ-წარწერა მოგვითხრობს, რომ კარი გაუკეთებინებია სადიდებლად ყოვლად მოწყალე და სახიერისა ღვთისა დიდებულს ემირს შავირს, ელ-ფაზალის შვილს, 455 წ. ჰიჯირისას და 1077 წ. ქრისტიანობის ერისას.

წმინდა მეფის ძვალნი დიდ ხანს არ დარჩენილან მისგანვე ამორჩეულს საფლავში: სოლომონ დიდმა გადაიტანა იგინი სამ-

კვეთლოში და დაკრძალა საიდუმლო ადგილას, რომ ამით ლეკების მტაცებლებისაგან დაეფარა.

საქართველოს ძლიერებამ გასტანა 120 წელიწადი, დაწყებული დავითიდან, ვიდრე თამარის სიკვდილამდინ. ქართული მატიაწიანი არავის არ უდრიან ამ დედოფალს, გარდა ვახტანგ გორგასლანისა და დავით აღმაშენებლისა და იხსენიებენ მეფედ და არა დედოფალად. შვიდი საუკუნის განმავლობაში ხალხის გულიდან არ ამოფხვრილა ხსენება ამ დიდებულის ქალისა, რომელმაც საქართველოს ერთს დროს ძლიერება და დიდება მოუპოვა. ხალხი დღესაც ამპარტვნობს ამ მეფე-ქალის სახელით, იხსენიებს არა ერთ პოეტურს და გულ-გონების მომხიბლავს ლეგენდებში და მის მოღვაწეობას აწერს ყოველ დიდებულს საქმეს და საქართველოს დიადს ნაშტებს. საქართველოს ყოველს კუთხეში ნახევარ-მიფური სახე თამარისა ხალხს სხვადასხვა ნაირად აქვს წარმოდგენილი და სთვლიან რაღაც უმაღლესს და მიუწოდებელ არსებად. მაგალითებრ, სვანეთში, სადაც ისტორიულ პირთაგან მხოლოდ თამარი-და დარჩენილა ხალხის ხსოვნაში, იგი შეიქნა რელიგიურ თაყვანის-საცემელ პირად და მომხიბლელ და გრძნულ სილამაზის იდეალად. სვანურ სიმღერებში იგი იხსენიება ოქროს დიადემით, ბრწყინვალე ტანისამოსით და ძვირფასის თვლებით მორთული, – და ეს არის უმაღლესი წარმოდგენა, სადამდინაც კი შემელო მიეღწია ხალხის უემშაკო ფანტაზიას. გარდმოცემანი მოგვითხრობენ, რომ თამარი დიდსულოვანი და გულუხვი ყოფილა, და ერთი ამ გარდმოცემათაგანი გვაუწყებს შემდეგს: ერთ დღესასწაულ დღეს, როდესაც თამარი გელათის ტაძარში მიდიოდა და თავის თავის მორთულობას ძვირფას ლალებს უკეთებდა, მოახსენეს – გლახა დედა-

16

კაცი მოწყალეხას თხოულობსო. დედოფალმა უბრძანა მოიცადოსო, მაგრამ როდესაც გარეთ გავიდა გლახა აღარ დახვდა. ძალიან შესწუხდა და ჰკიცხავდა თავის თავს, რომ გლახაკი არ გაიკითხა, ამის გამო მოიხადა თავიდან მიზეზი თავის დაგვიანებისა და იმით შეამკო გვირგვინი ღვთის-მშობლის ხატისა.

ნამდვილი ისტორია შეხამებული ლეგენდებით, შემდეგის სიტყვებით გვიხატავს თამარ-დედოფლის ბედსა და მოღვაწეობას (1184-1212). როგორც რუსეთის მეისტორიე მოგვითხრობს, თამარი გათხოვდა ანდრია ბოლოლიუბსკის შვილ გიორგიზედ, რომელმაც პირველ ხანებში დიდის გამარჯვებებით ისახელა თავი. დღემდის გამოურკვეველის მიზეზის გამო ცოლქმარნი მალე განქორწინდნენ და გიორგი კონსტანტინოპოლში წავიდა. როდესაც ხალხის სურვილისამებრ თამარს მეორე ქმარი უნდა ამოერჩია, მრავალ საქრმოთა შორის, რომელთა რიცხვში ერივნენ საბერძნეთის იმპერატორის შვილები და ისპაღანის სულტანი, მან ამოირჩია ოსეთის თავადი დავით სოსლანი (ე. ი. მშვენიერი), ზაგრატიდების შთამომავლობისა. მაგრამ გიორგიმ ვერ დასთმო ტახტის დაკარგვა და ბერძნების ჯარით მალე შემოესია საქართველოს. მან აქ მომხრეები ვერავინ იშოვნა, რისაგამოც დამარცხდა და თამარს ტყვედ ჩაუვარდა. დიდსულოვანმა თამარმა გაანთავისუფლა იგი იმ პირობით, რომ საქართველო სამუდამოდ დაეტოვნა.

საქართველოს ამ დროს ბრძოლა მოელოდა სპარსელებ-

თან, სარკინოზებთან და ოსმალებთან, რომელნიც არ ასვენებდნენ მას თვით სიძლიერის დროსაც კი და ხშირად შემოესოდნენ ხოლმე. სოსლანმა გაილაშქრა სპარსეთზედ, მრავალჯერ გაიმარჯვა და, როდესაც განჯა აიღოს, დიდი დავლა ჩაიგდო ხელში: მრავალი ცხენები, აქლემები და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი შეადგენდა გამარჯვებულთა ჯილდოს. ამას შემდეგ თამარმა გაგზავნა ჯარი ოსმალთა გასადევნად ყარსიდან; დაინახეს თუ არა ქართველები, ოსმალნი მაშინვე გაიქცნენ და ციხე უომრად დაუთმეს. მაშინ გამოჩენილმა სულტანმა ალექო ნურედინმა, გაკვირვებულმა ივერიელთა გამარჯვებით, გამოგზავნა

17

მათ წინაღმდეგ რვა ასი ათასი ჯარი, რომელშიაც მარტო ცხენოსანი ასი ათასი კაცი იყო. ალექო ნურედინმა შეატყობინა თამარს, რომ საომრად მოვდივარო და თუ შენ ჩემს ცოლობაზედ დასთანხმდები და შენი ქვეშედომნიც ისლამის სარწმუნოებას მიიღებენ, მაშინ შენს ქვეყანას აღარ ავაოხრებო. როდესაც მოციქულმა გამოუცხადა ეს სურვილი სულტანისა, მაშინ, როგორც ამბობენ, ზაქარია მხარგმელმა პასუხის მაგივრად ისეთი სილა შემოჰკრა, რომ მოციქული იქვე უსულოდ დაეცა. დაიწყო ომი. ქართველები, შეხვდნენ თუ არა ბასიონში სულტანის ურიცხვ ჯარს, პირველად თვითონ ეკვეთნენ და საშინელის ბრძოლის შემდეგ სრულიად დაამარცხეს. როგორც გარდმოცემა ამბობს, ქართველებს იმდენი ტყვე ჩაუვარდათ ხელში, რომ თითო მემარზედა ოცი ტყვე მოდიოდა; ურიცხვი ალაფით აივსო გამარჯვებულთა ბანაკი და მას შემდეგ მეფის სუფრაზედ თუ არა ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი – სხვა არა იხმარებოდა-რა; ძვირფასი თვალ-მარგალიტები ხომ საწყაოთი გაიყვეს.

თამარის მიერ ომებში შეძენილი უთვალავი სიმდიდრე შეიქმნა ომის მიზეზად საქართველოსა და ვიზანტიას შორის. როდესაც ანგარების მოყვარე იმპერატორმა ალექსი ანგელმა გაიგო, რომ თამარი მონასტრებს დიდ საჩუქრებს სწირავსო, ბრძანება გასცა გაემარცვათ ყველა ის ბერები, რომელნიც საქართველოდან წასულნი კოსტანტინოპოლზედ გაივლიდნენ. გაჯავრებულმა თამარმა ომი გამოუცხადა იმპერატორს და დაიჭირა ტრაპიზონი და სხვა ადგილები, მდებარენი ჩრდილოეთით შავი ზღვის ნაპირზედ. თამარმა შემდეგში ამ ადგილებისგან შეადგინა ტრაპიზონის იმპერია იმ აზრით, რომ შეეფერებინა მაჰმადიანობის გავრცელება მცირე აზიაში და კავკასიის განაპირა ადგილებში.

ოც და ოთხის წლის მეფობის შემდეგ თამარი დაქვრივდა; მაგრამ პირადმა მწუხარებამ მაინც ვერ დააბრკოლა ეზრუნა საქართველოს წარმატებისა და დიდებისათვის, სიკვდილამდინ არც სამხედრო საქმეებისთვის დაუნებებია თავი. მის პოლიტიკურს

18

თავდაჭერილობას და გამბედაობას ცხადად გვიხატავს შემდეგი გარემოება, 1208 წელს, დიდ შაბათ დღეს, როდესაც ყველანი ეკლესიაში იყვნენ, არდებილის სულტანი შეესია ქალაქ ანს და დიდი სისხლის ღვრა მოახდინა, თორმეტი ათასი

მცხოვრები ამოხოცა და ქალაქი სულ ერთიან აიკლო. თამარმა განიზრახა სწორედ ამ ნაირადვე გადაეხადნა სულტანისათვის სამაგიერო. მან მოიცადა იქამდინ, ვიდრე მუსულმანთა მარხვა დადგებოდა და სწორედ იმ ღამეს, როდესაც მთვარე ბადრი გახდა და მინარეთიდან მოლას ძახილმა მართლმორწმუნენი გამოაღვიძა, თამარის ჯარი შეესია არდებილს და სასწრაფოდ დაიპყრო. როგორც ანში თათრებმა, ქართველებმაც თორმეტი ათასი მცხოვრები დახოცეს, ქალაქი აიკლეს და დააქციეს, თვით სულტანიც თავის ცოლებით და შვილებით ტყვედ წამოიყვანეს. ამას შემდეგ თამარის ჯარმა გაილაშქრა ირანზედ, აიღო თავრიზი და აიკლო ხორასანში გურგანი, სადაც იმოდენა ნადავლი იშოვნა, რომ ომის განგრძობა ვეღარ შეიძლო და შინ დაბრუნდა. ქალაქები და სოფლები გზა-და-გზა წინ ეგებებოდნენ საჩუქრებით გამარჯვებულთ, რომელნიც დიდის ყოფითა და ამბით შემოვიდნენ ტფილისში.

თამარს შორს ოსეთშიაც ჰქონდა გავლენა, კავკასიონის მთის იქით; დაუცხრომელნი მთიელნი ემორჩილებოდნენ თამარის ძლიერებას და ქრისტეს სარწმუნოებას ებულობდნენ. ქართველს ჯარს ფეხ-და-ფეხ უკან მისდევდა ქართველი მღვდელი და ვაჭარი სომეხი, მტკვრისა, ალაზნისა, ლიახვის და თერგის მიდამოებში ქრისტიანობრივი მოქალაქობა და სიცოხლე სდუღდა.

თამარის მეფობა მარტო სამხედრო ძლიერების მეფობა არ იყო, იგი ითვლება მწერლობისა და განათლების ოქროს საუკუნედ. ამ დროს ცხოვრობდა გამოჩენილი შოთა რუსთაველი, ეს საქართველოს გამოჩენილი ჰომეროსი, რომელმაც შექმნა უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“, ეს უმაღლესი განძი ქართულის პოეზიისა.

19

ლეგენდარული ისტორია, რომელიც საქართველოს ყველა დიდებულ ნაშთებს თამარს აწერს, – სინამდვილეს მოკლებული არ არის, ამისთვის რომ უმეტესი ნაწილი ამ ნაშთებისა სწორედ მისგან არის დატოვებული. თამარმა ყველგან დასტოვა თავის მოღვაწეობის წაუბღალავი კვალი და როგორც ამბობს ერთი მეისტორიე: „ქვებით აღბეჭდა თავის სახელი საქართველოს მთებსა და მდელოებზედ“. მიუდგომელს მთებში და ხეობებში, შავისა და კასპიის ზღვის ნაპირებზედ აღგებულნი არიან ტაძარნი და ნიშნი, მდუმარე მოწამენი თამარის დიდებისა და ძლიერებისა.

ქართლის ხეობაში დღესაც კიდევა სჩანს ნანგრევი თამარისაგან აშენებულის ტაძრისა, რომელიც უფრო იმით არის შესანიშნავი, რომ ერთს დროს იქ ინახებოდა სასწაულთ მომქმედი ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, და თამარმა აჩუქა ოსებს, როგორც თავის ქმრიდან მონათესავე ხალხს. ეს ტაძარი ორჯელ შემუსრა ცეცხლმა, მაგრამ ღვთის-მშობლის ხატი ორჯელვე უვნებელი იპოვნეს ნანგრევებში. ექვსასი წელიწადი იმყოფებოდა ეს ხატი ქართლის ხეობაში. მაგრამ როდესაც მაჰმადიანობა შეესია კავკასიის მთებს და რუსის მთავრობამ გაქრისტიანებული ოსები მოზდოკში მიიწვია, თერგის იქით, – ივერიის წმინდა ხატი რუსეთის წმინდანად შეიქმნა. გარდმოცემა გვიამბობს, რომ როდესაც, 1793 წელს, ოსები მოზდო-

კში მივიდნენ ამ წმინდა ხატით, მოზდოკის მაშინდელი ეპისკოპოსი მიეგება წინ ჯვრითა და დროშებით და შეასვენა ეკლესიაში; ღვთის-მშობელმა სასწაულ-მოქმედებით აუწყა ეპისკოპოსს, რომ ხატი ქალაქს გარედ უნდა დარჩეს, იმ ადგილს, სადაც წინად იყოს და ღამე ჩერქეზის ურემზედ გაატარაო. ამ ადგილზედ მაშინ ნიში ააშენეს, შემდეგში კი ხის ტაძარი დადგეს ღვთის-მშობლის მიძინებისა. დღესაც მოდიან აქ სალოცავად რუსები მთელი კავკასიიდან და რუსეთის შორეულ ადგილებიდან.

ყველაზედ მშვენიერი და პოეტური ძეგლი თამარისა არის ვარძია, „ვარდების-ციხე-დარბაზი“. ზემო ქართლი თამარს

20

მიაჩნდა თავის გვირგვინის ერთ უძვირფასეს მარგალიტად, ამისათვის ახალციხის ახლოს ერთ ფრიალო კლდეში გამოაკვეთინა ეს უმშვენიერესი სასახლე, რომელშიაც 360 ოთახი იყო. მოგზაურს დღესაც შეუძლიან ნახოს ნაშთნი ამ დიდებულის ციხე-დარბაზის, რომლის სავანეთა და ტალანთა შორის მიწაში შენახულა საკმაოდ დიდი ტაძარი; კედლები შემკული აქვს სხვა-და-სხვა მხატვრობითა, აქვე მთელის ტანით დახატულია მიფიური თამარ-დედოფალი და რაღაც გამოურკვეველს და გულის საკლავ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ. ტაძრის ერთ გვერდზედ არის ქვის ბალდახინი, რომლის ქვეშაც დამარხული უნდა ყოფილიყოს თამარ-დედოფალი, გარდაცვალებული თავის საყვარელ „ვარდთა ციხე-დარბაზში“ 1212 წელს. ნამდვილი იმის საფლავი კი დღესაც არავინ იცის. ზოგის აზრით თამარი დამარხულია გელათის ტაძარში; ზოგნი კი იმის საფლავს სვანეთში უჩვენებენ. საქართველოს სხვა-და-სხვა თემის ხალხს ადვილად არ ეთმობოდათ თავეთი საყვარელი დედოფალი და ყველა მათგანი მის საუკუნო განსასვენებელ ადგილს თავის სათემოში უჩვენებდა. საქართველოს ეკლესია თამარის სახსენებელს დღესასწაულობს მენელსაცხებელთა კვირიაკეში.

უნებლიედ იპყრობს კაცის გონებას ის ფაქტი, რომ საქართველოში, ამ ნახევრად აზიურს ქვეყანაში, სადაც საზოგადო ცხოვრებაში ქალს მცირე უფლება აქვს მინიჭებული, კაცის უმაღლესი იდეალი ქალის არსებაში განხორციელდა. წმინდა ნინო იდეალია მაღალის ზნეობისა, მეფე თამარი – იდეალია გმირობისა და ბრძნულის მმართველობისა. ეს ორი სახელი მეტად საყვარელი სახელია ქართველი კაცისათვის.

ჩაესვენა თამარი სამარეში და მასთან ერთად ჩაესვენა საქართველოს დიდებაც, ბედნიერნი დღენი თავის ქვეყნისა თითქოს ამ საოცარმა დედაკაცმა წარიღო თანა. შემდეგი ორი მეფობა – თამარის შვილისა და ქალისა, – სავსე შინაურის არეულობით და შფოთით, თითქო მომასწავებელნი იყვნენ იმ დიდის უბედურებისა, რომელიც საქართველოს მალე თავს დაატყდა. თამარის შვილის გიორგი IV უკუღმართ მეფობის

21

დროსვე გამოჩნდა მოწინავე რაზმი მონგოლებისა. ერთი ბრბო ჩინგის-ხანის ჯარისა შემოვიდა საქართველოში და მდინარე ბერჯუჯის ნაპირებზედ საშინლად დაამარცხა ქართველებს

ჯარი, რომელიც თამარის დროს დამარცხებას ჩვეული არ იყო. მაგრამ რადგანაც თათრებს ნაბრძანები არა ჰქონდათ საქართველო დაეპყროთ, ამისათვის ეს ქვეყანა გრიგალივით განვლეს და დროებით აზიის შუაგულ უდაბნოებში დაიბანაკეს. ათმა წელიწადმა აღარ გაიარა, რომ ჩინგის-ხანის მოადგილემ, გიუქ-ხანმა მთელი აზია თავის ჯარით მოჰფინა; თათრები ხელახლად გამოჩნდნენ უბედურ საქართველოშიაც, რომელიც ის-იყო თათრების წინადა არაბებმა ააოხრეს ჯელალედინის წინამძღოლობით. მონგოლებმა ღვთის რისხვასავით განვლეს მთელი საქართველო და მთლად კავკასიის ხალხს თავისი ბარბაროსული უღელი დაადეს. გიუქ-ხანს თან მოჰყვა საზარელი ბატია, ამან ხომ სრულიად დაიმონავა საქართველო; მოახდინა ხალხთ აღრიცხვა და დატვირთა მძიმე ხარჯით. მონგოლებისგან მიყენებულს უბედურებას ზედ დაერთო სხვა უფრო დიდი უბედურება, ნაყოფი თათრების ცბიერის პოლიტიკისა: ამ დროს, 1259 წელს, საქართველო ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაიყო – ქართლისა და იმერეთის სამეფოდ.

მონებამ მალე გამოიღო თავის ჩვეულებრივი ნაყოფი: როგორც ერთს დროს რუსეთში, აქაც უღირსნი მეფენი მხოლოდ თავეთი პირადი სარგებლობისათვის ზრუნავდნენ და სამშობლოს ბედნიერება აინუშიაც არ მოსდიოდათ, მამულის საუკეთესო შვილნი კი შაჰების თვითმნებელობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. თათრების ურდოში რუსეთის წამებულ თავადებივით ეწამა ქართველების მეფე დიმიტრიც, თავდადებულად წოდებული. არგუნის ხანს ენას უზიდავდნენ დიმიტრის ორგულობაზედ, ხანი საქართველოს სამზღვრებზედ იდგა იმ განზრახვით, რომ ქართველების ჯავრი ამოეყარა. მეფე თავისთან დაიბარა. დიმიტრიმ კარგად იცოდა ხანის მრისხანების და უსაფუძვლო ცილის-წამების მიზეზი, ამისათვის განიზრახა თავის თავი გაეწირა და თავის ქვეყანა კი აოხრებისგან გადა-

22

ერჩინა. ხანის იჭვნეულობის გასაფანტავად მეფემ თავის მცირეწლოვანი შვილი დავითიც თან წაიყვანა. მაგრამ ვერაფერმა ვერ მოუღბო გული ეჭვით შეპყრობილს მტარვალს, დიმიტრი ციხეში დააპატიმრა და თავი მოაკვეთინა 1289 წელს. მასთან-მყოფ ქართველთ ოქრო-ვერცხლით გამოისყიდეს ყარაულები-საგან გვამი წამებულის მეფისა და საიდუმლოდ მოასვენეს მცხეთაში.

ეს ის უბედურება იყო, რომელიც რუსეთმაც გამოსცადა. ამისათვისაც „ვერც ერთ ხალხის გულში, ვერც ერთი რუსი ვერ იპოვის ისეთს გულწრფელს ძმურს სიყვარულს და მეგობრობას, როგორსაც ქართველის გულშიო“, ამბობს ერთი მწერალი \*). რუსეთიცა და საქართველოც იმ საერთო უბედურების დროს დამეგობრდნენ, როდესაც ორივენი ძვირფას საჩუქრებს ეზიდებოდნენ ურდოში და აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ და უბედურობის დროს დამყარებული მეგობრობა ხომ უფრო მტკიცეა და შეურყეველი.

მონგოლოებისაგან მიყენებული უბედურობა გაგრძელდა გიორგი ბრწყინვალემდინ. (1318-1346), ეს მეფე საქართველოს საუკეთესო გვირგვინოსანთ აგონებდა. გიორგი წინა-პირველად შეუდგა ოსების დასჯას, რომელნიც სარგებლობდნენ ქვეყნის უბე-

დურებით და წამ-და-უწუმ არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს; ოსები თავის მოხარკედ გახადა. მეფე კარგად ხედავდა, რომ მონგოლოების სამეფო ნაწილ-ნაწილად დაყოფის გამო თან და თან უძლურდებოდა, ამით ისარგებლა გიორგიმ და თათრები განდევნა საქართველოდან. იმერეთის ტახტის მაძიებელთა შორის შფოთმა და წეწა-გლეჯამ კიდევ მისცა მას მიზეზი სხვა უფრო უდიდესი საქმე შეესრულებინა. კარგად იცოდა, რომ სამეფოს ძლიერებას ერთობა შეადგენდა, ამისათვის ისარგებლა ხელის შემწყობი გარემოებით, იმერეთი თავის სამეფოს შემოუერთა და კვალად შეიქმნა მეფე მთლად ივერიის მიწა-წყალისა.

---

\*) ი. დ. პოპკა.

23

გიორგი ბრწყინვალის და მისი მემკვიდრეების დროს დაიწყო კურნება საქართველოს წყლულისა, დანგრეული ქალაქების კვალად აშენება, ტაძრების აგება, ციხეების განახლება, ეტყობოდა, ბევრი უბედურების შემდეგ მრავალ-ტანჯულ საქართველოს უნდა დაესვენა. დიად, უნდა დაესვენა, მაგრამ იმისთვის კი, რომ ძალა მოეკრიბა ახალ უბედურობათა ასატანად. მონგოლთა შემოსევაზედ უფრო საშინელი შემოსევა მოელოდა საქართველოს: შემრწუნებულს აზიის ჰორიზონტზედ გამოჩნდა თემურ-ლენგი. გიორგი ბრწყინვალის შვილის-შვილმა ბაგრატ დიდმა 25 წელიწადი მეტად ბედნიერად იმეფა, მხოლოდ ამ დროს ახლო და შორს მდებარე სამეფოთა შემმუსვრელმა ქართველიმა საქართველომდინაც მოაღწია. მაგრამ მრისხანე თემურ-ლენგს აქ ისე ღონივრად შეებრძოლნენ ქართველები, რომ ასეთი ძლიერი წინააღმდეგობა, როგორც ჰმოწმობენ თვით მონგოლთა თქმულებანი, მაშინაც არავის გაუწევია თემურისთვის, როდესაც პირქვე ამხოზდა ისეთ ძლიერ სამეფოებს, როგორც იყვნენ ჩინეთი, ქაბული, ბუხარა და სპარსეთი. თემურ-ლენგი შემოვიდა ქართლში 1387 წელს ყარსის მხრიდან და ყველაფერი შემუსრა და ააოხრა, არც ერთი ციხე, არც ერთი კოშკი დაუნგრეველი აღარ გაუშვა; სადაც კი მას გამოეცლო, ყველაფერი გადაბუფული და მიწასთან გასწორებული იყო, მინდორველი მოფენილი იყო დახოცილებითა, აქა-იქ კაცის თავების კოშკები იდგა. მეფე ბაგრატმა დაატყო, რომ საზარელ მტერთან პირისპირ ბრძოლით ვერაფერს გახდებოდა, ამისათვის ტფილისის ციხეში გამაგრდა. მტერი ნახევარ წელიწადს ედგა ციხეს და ამ ხნის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა; მაგრამ ვაჟკაცობა სიმრავლემ დასძლია; თემურს მეფე ტყვედ ჩაუვარდა. თემურმა ტფილისში ჯარი დააყენა და თვითონ ყარაბაღში წავიდა, თან ტყვეები წაიყვანა და საქართველოს მრავალი სიმდიდრე წაიღო. ყარაბაღიდან მან კვალად გაგზავნა ქართლში თავის ჯარი და უბრძანა: „ყოველისფერი ძირიანფესვიანად დაენგრიათ“. ვიდრე თათრები თავიანთ მბრძანებლის სურვილს შეასრულებდნენ, თემურმა ცეცხლით და ხმლით გან-

24

ვლო დაღისტანი და კავკასიის მთის კალთებზედ დაასახლა მაჰმა-

დიანები, რომ მათის შემწეობით მთელი ეს მხარე ხელში სჭეროდა. ამას შემდეგ იქ ნელ-ნელა ჩაქრა ქრისტიანობა, გავრცელებული დავითისა და თამარის მეოხებით.

ტყვეობიდან რომ განთავისუფლებულიყო, ბაგრატმა გარეგნად მაჰმადიანობა მიიღო და აუთქვა თემურს, რომ მთლად ჩემს ქვეშევრდომებსაც გავამაჰმადიანებო და სთხოვა ამ განზრახვის შესასრულებლად ჯარი მიეცა. გახარებულმა თემურლენგმა დაასაჩუქრა მეფე და თორმეტი ათასი ჯარით გამოისტურმა. ყოველივე ეს ბაგრატმა საიდუმლოდ შეატყობინა თავის შვილს და ორივემ ერთად სულ ერთიან ამოჟლიტეს სპარსეთის ჯარი ბერჯუჯის ნაპირებზედ. გაიგო თუ არა ეს ამბავი, გაბრაზებულმა თემურმა თვითონ გაილაშქრა საქართველოზედ აუარებელის ჯარით. ტფილისის მიდამოში მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, ხუთი ნაწილი თემურის ჯარისა ამ ბრძოლაში გაწყდა, მაგრამ ქართველებს მაინც ვეღარ შეეძლოთ პირდაპირ ომის გაგრძელება და მთებში დაიმაღლნენ. ბაგრატი მალე გადაიცვალა, მაგრამ მისი შვილი და მემკვიდრე გიორგი VII მედგრად ებრძოდა მტერს. თემური რამდენჯელმე კიდევ შემოესია საქართველოს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დაიმორჩილა, – ქართველები მიდიოდნენ მთებში და იქიდან დრო და დრო ესხმოდნენ თავს თემურის ჯარს და ართმევდნენ ნადავლს. ბოლოს, თემურის ერთი საყვარელი კაცის შუამავლობით გიორგი შეურიგდა თავის ქვეყნის მტერს და მცირე ხარჯს ხდილობდა.

თემურ-ლენგის შემოსევამ საშინლად გააოხრა საქართველო. მაშინ დააქციეს მცხეთის ტაძარი და კიდევ ბევრი სხვა ეკლესიებიც, რომელნიც მას შემდეგ აღარ განახლებულან. თუ რა იყო თემური თავის მიერ დამონავებულ ხალხისათვის, ამას ცხადად ჰმოწმობენ დაჩნეული კვალი იმის შემოსევისა და ხალხში დარჩენილი გარდმოცემა. ზაქათალიდან ორი ვერსის მანძილზედ, გზაზედ ცოტა მოშორებით, ერთ ადგილს დაგროვილია ქვები კოშკის მსგავსად და დაჩრდილულია რამდენიმე თუთის ხით.

25

ეს არის კვალი იმათი ხოცვა-ჟლეტისა, რომელთაც მაშინ მთებში დამალვა ვერ მოასწრეს. თემურ-ლენგს ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც რომელიმე ქვეყნის მცხოვრებთ ამოჟლეტავდა, დახოცილების თავებს ერთად აგროვებდა და მათის რაოდენობით ზომავდა თავის ძლიერებას და მეფურს დიდებას. იმ დროს მოკლულთა თავებიც ერთად შეაგროვებინა კოშკის მსგავსად სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა ქვები აგროვია. ამ ადგილს დღევანდლამდინ ბაშ-ყალას ეძახიან, ესე იგი კაცის თავების კოშკს.

თემური თუ დიდებს ხოცავდა, არც პატარებს იბრალებდა. ერთხელ უბრძანა პატარა ბავშვები შეეკრათ და დაეწყოთ კალოზე ისე, როგორც თათრები აწყობენ ხოლმე ძნას გასალეწად. ძნის გასალეწად თათრები ხმარობენ კევრს, რომელიც ქვევიდან პირიანი წვრილი კოხის ქვით არის მოჭედილი; ამ კევრს ატარებენ ძნაზედ და მარცვალს აყრევენებენ. ასეთი ბარბაროსული სალეწავით გააწყვეტინა ბავშვები. მეორედ კიდევ, როგორც მოგვითხრობს იმ დროის ერთი დამსწრეთაგანი, თემური საშინლად იყო გაბრაზებული ერთს ქალაქზედ,

მცხოვრებთ თავიანთი შვილები გაგზავნეს პატიობის სათხოვნელად. ბავშვები გზა-და-გზა ყორანის ლოცვებს გალობდნენ. დაინახა თუ არა ისინი, თემურს საშინელმა ამოწყვეტის ჟინმა მოუარა. შეერია მათში ცხენით და თავის ცხენოსან ჯარსაც უბრძანა უკან გაჰყოლოდნენ. საბრალო მშობელნი ქალაქის კედლებიდან უყურებდნენ თავიანთი შვილების გამუსვრას.

თემურლენგს ტყუილად არა ჰქონდა დავარდნილი საშინელი დიდების ხმა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ტყუილად არ უკავშირებენ იმის დაბადებას საზარელს ლეგენდას. ეს ლეგენდა მოგვითხრობს, რომ როდესაც თემური დაიბადა ხელში გამხმარი სისხლი ეჭირა და დაბერებულ კაცსავით თმებიც გათეთრებული ჰქონდაო.

თემურ-ლენგის შემდეგ ჯერ გიორგი და მერე მისი ძმა კოსტანტინე ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის მოლონიერებას, უკანასკნელი ტყვედაც ჩაუვარდათ ოსმალებს და საშინლად

26

აწამეს. მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ იგი ვარძიის ტამარშია დამარხული და იმის საფლავი ბევრს დიდებული თამარის საფლავი ჰგონია.

კოსტანტინეს შვილი ალექსანდრე I (1414-1442) ვაჟკაცობითა და მოღვაწეობით ქართველთა უწინდელ მეფეებსა ჰგავდა. მტრებზედ ძლევა-მოსილმა ალექსანდრემ ბევრი იშრომა თავის ქვეყნის წყლულის გასაკურნებლად და ხალხის განათლებისათვის; ამის მეოხებითვე განახლდა ცხეთის დანგრეული ტამარი, მაგრამ თავის სიცოცხლის უკანასკნელ დროს მეფურის მოღვაწეობით დაღლილმა ალექსანდრემ ბერობა შეიმოსა და მონასტერში შევიდა, სამეფო ტახტი კი თავის შვილს ვახტანგ IV გადასცა. რომელმა მონასტერმა შეიფარა იგი თავის მყუდრო საფარველს ქვეშე – ამაზედ ისტორია არაფერს მოგვითხრობს. გარეჯის მონასტერში უჩვენებენ ამ მეფე-ბერის საფლავს; მაგრამ მცხეთის სიგელებშიაც სწერია, რომ „მეფე ალექსანდრემ თვით აიშენა საუკუნო განსასვენებელი ადგილი, რადგან ვერ გაბედა თავის მიერ განახლებულს ტამარში დასაფლავებაო“.

ალექსანდრე სამი წლის შემდეგ მიიცვალა და დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მისი შვილი ვახტანგიც გამოესალმა ამ სოფელს. საქართველო დაობლდა. კვლად დაიწყო ამ ქვეყნის უბედურობა, მაგრამ არა ისეთი უბედურობა, რომელიც აღვიძებს ხალხის გულში ერთობისა და სამშობლოს მტკიცე სიყვარულს, არა. და თვით ხალხშიაც შულლი და უთანხმოება ჩამოვარდა. ათმა წელიწადმა არ გაიარა, რომ ალექსანდრეს მეორე შვილის გიორგი VIII წინააღმდეგ აღრევა მოხდა და საქართველო ოთხ სამეფოდ გაიყო, ამან ხომ უფრო ბოლო მოუღო უბედურს ქვეყანას და ხალხი ძალ-დონიდან დაცარა. ამ აღრეულობის დროს კინაღამ თვით გიორგი არ შეიქმნა მსხვერპლი შეთქმულობისა. იგი გადაარჩინა იოთამ ზედგინიძის თავ-განწირულებამ; მან შეიტყო მემბოხეთა განზრახვა, რომელთაც უნდოდათ მეფე ერთ ღამეს ლოგინში მოეკლათ. ზედგინიძე თვით ჩაწვა მეფის ლოგინში და იმავე ღამეს ნაჭერ-ნაჭერად აკუწეს, მეფე კი გადარჩა.

აი დაარსდა ოთხი ერთიერთმანეთზედ დამოუკიდებელი სამეფო: ბაგრატიმა დააარსა იმერეთის სამეფო, დავითმა კახეთისა, ყვარყვარე ერისთავმა სამცხე-საათაბაგო და გიორგი კი მართო ქართლის მეფედ დარჩა. ამავე დროს ოთხი სამთავროც ცალ-ცალკე გავიდნენ, იმათგან სვანეთს და აფხაზეთს შარვაშიძეს გვარეულობა განაგებდა, სამეგრელოს და გურიას დადიანები და გურიელები. ამ დროიდან ერთ დროს შეერთებული საქართველო თავის თავისუფლების დასაცველი ასპარეზი კი აღარ იყო, არა, იგი შეიქმნა საცილობელ ასპარეზად ოსმალთა და სპარსთა შორის. ამ პატარა ქვეყანაში სამეფო სამეფოზედ იბადებოდა და ამბოხება ამბოხებას მოსდევდა; ამით სარგებლობდა მტერი და ხან სპარსეთი შემოესევოდა ხოლმე, ხან ოსმალეთი, დაქსაქსული ქართველები მათ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ; საქართველომ თან-და-თან ჩრდილოეთისკენ დაიწყო ცქერა, მფარველობას რუსეთისაგან მოელოდა. საქართველოს გმირობით სავსე ისტორია მხოლოდ შემოსევისა და აკლების ისტორიად გადაიქცა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო საცილობელ საგნად ხდებოდა საქართველო ოსმალთა და სპარსთა შორის. ოსმალნი ესეოდნენ იმერეთის მხრიდან და შავი ზღვის ნაპირებიდან, სპარსელები კი კახეთიდან და ქართლიდან, – და ამ ორ სამეფოს შორის ბრძოლამ ისეთი ზედგავლენა იქონია საქართველოზედ, რომ ერთისაგან განთავისუფლება მეორის შემოსევას მოასწავებდა. მაგალითად, 1518 წელს ტფილისი სპარსელებმა აიღეს და ეკლესიები მეჩითებად გადააქციეს; 1578 წელს ამასვე სჩადიან ოსმალნი, რომელთაც სპარსელები საქართველოდან განდევნეს. ყველა ამ უბედურობას ზედ დაერთო ის უბედურობაც, რომ ძველმა მტერმა ლეკებმა ისარგებლეს საქართველოს უღონობით და ხშირ-ხშირად შემოესევოდნენ ხოლმე. ათი ათასობით ლეკი ჩამოდიოდა მთიდან ბარში და სძარცვავდნენ საქართველოს ორი მხრიდან: ან ალაზნის გაღმა გადიოდნენ სიღნაღისკენ და იკლებდნენ კახეთს, ან განჯისა და

28

ერევნისკენ მთა-მთა გადადიოდნენ ახალციხეში და სომხეთსა და ქართლს აოხრებდნენ.

მრავალ მეფეთა შორის თუ რომ თითო ოროლა ღირსეული მეფე გამოერეოდა ხოლმე, როგორც მაგალითად ლევან I კახეთისა (1520-1574), რომელმაც რამდენსამე წელს თავის სამეფოს კეთილ-დღეობა მოუპოვა, ისინიც ვეღარას აწყობდნენ და ვეღარა სცვლიდნენ საზოგადო საქმის მიმდინარეობას და არც იმდენი ძალა მოსდევდათ, რომ დაეხსნათ ქვეყანა მტერთა შემოსევისა და შინაურ განხეთქილებისაგან.

ამ შავსა და ბნელს დროს ერთი უცნაური საქმე მოხდა: საქართველომ დაიწყო ომი იმ აზრით, რომ ქრისტეს საფლავი თათრის ერთი სექტისათვის წაერთმია და მეორისათვის მიეცა. ეს ჯვაროსანთა ომი მოხდა 1524 წ. ოსმალეთის სულტანის სულიეიმანის თხოვნით, რომელიც იწვევდა ქართველ მეფეებს იერუსალიმში „ურწმუნოთა ხელიდან“ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად; იგი ურწმუნოთ ალბად შიიტის სექტის თათრებს ეძახოდა. საქართველოს მატთანეს თქმულებით კახეთის ჯარის უმთავრესი სარდალი მეფე ლეონი იყო, რომელსაც იმერეთისა და

ქართლის მეფენიც შემწეობას აძლევდნენ. ეს ჯვაროსანთა ლაშქრობა რომ ნამდვილად მოხდა, ამას დამტკიცება აღარ უნდა, ამისათვის რომ დიდი ლეონის სახელი გოლგოთის მარმარილოს ქვაზედ სწერია. მატიანე დასძენს მოკლედ, რომ წმინდა საფლავი გაანთავისუფლეს, მეფეებმა დიდ-ძალი საუნჯე შესწირეს ამ წმიდა ადგილებს და დიდებით დაბრუნდნენ თავთავიანთ სამშობლოშიო.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველო რამდენსამე სამეფოდ დაიყო და ამას ზედ დაერთო ის უბედურობაც, რომელმაც ივერიის მეფენი იძულებულ ჰყო მიემართათ რუსეთისათვის; ჯერ ისევ კახეთის მესამე მეფე ალექსანდრე I (1492-1511) რუსეთის მეფე იოანე სთხოვდა შემწეობას და ჰხადიდა „ქრისტიანობის იმედად და საბრალთა ნუგეშად“. გაიარა ასმა წელიწადმა, კახეთში ალექსანდრე მეორე გამეფდა (1574--1605), ოსმალებს მიუდგა და ამით სპარსეთი გაარისხა; მეფემ კარ-

29

გად იცოდა, რომ სპარსეთი სამაგიეროს გადაუხდიდა, ამისათვის საიდუმლოდ გაგზავნა მოსკოვში სასულიერო და საერო პირნი და ცრემლის ფრქვევით ეხვეწებოდა მეფე თეოდორე იოანოვიჩს კახეთი თავის მფარველობის ქვეშ მიეღო და ამით გამოეტაცნა იგი ურწმუნოთა ხელიდან. „საშინელი დრო დაუდგა ქრისტიანობას, – სწერდა იგი: – ჩვენ ერთგულნი მოძმენი ქრისტიანობისა ურწმუნოთაგან ვიტანჯებით; მხოლოდ შენ, მართლმადიდებელთა გვირგვინოსანო, შეგიძლიან დაიხსნა ჩვენი სიცოცხლე და სული; უმდაბლესად თავს ვიდრეკავ წინაშე შენსა და შენი ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე“.

ალექსანდრე II დროს სპარსეთის ტახტზედ დაჯდა შაჰი აბას დიდი, რომელმაც ბატიასი და თემურ-ლენგის დრო მოაგონა საქართველოს.

## ეპოქა სპარსეთის მფლობელობისა საქართველოში

(შაჰ-აბასი)

სპარსეთის უდიდესი შაჰი შაჰ-აბასი იმ დროს იჯდა სპარსეთის ტახტზედ, როდესაც XVI საუკუნე ილეოდა და XVII იწყებოდა. ისტორია და ხალხი ამ შაჰს „ირანის ლომს“ უწოდებს. იგი ერთი იმ ისტორიულ პირთაგანი იყო, რომელსაც ბედი წილად არგუნებს ხოლმე მოახდინოს დედა-მიწის ზურგზედ ცვლილებანი, დაანგრიოს და დააფუძნოს სამეფონი. მისი მნიშვნელობა საკუთრივ საქართველოსათვის ისე დიდი იყო, რომ ქართველმა ხალხმა მისი სახელი არა ერთსა და ორს დიადს ლეგენდაში მოიხსენა. ხალხის წარმოდგენით თვით ამის დაბადებაც კი მომასწავებელი იყო მომავალის უბედურობისა.

სწორედ იმ ღამეს და იმ წამს, როდესაც შაჰ-აბასი დაიბადა, დიდმა მიწის ძვრამ, ნიშნად ღვთის განრისხებისა, დაანგრია საქართველოს წმინდა გიორგის უძველესი მონასტერი, რომელიც თელავის ახლო იმყოფებოდა ოცი ვერსის მანძილზედ.

ამ მიწის ძვრას იხსენიებენ მატეანენი XVI საუკუნისა და იმდენად ადგილობრივი ყოფილა, რომ თვით თელავშიაც კი ვერ გაუგიათ. მეფე ამ დროს სანადიროდ იყო. მყუდრო და მოწმენდილ საღამოს თავის ამალით მონასტრის ახლო გაიარა; ტყესა და მთებს ზურნის ხმა ამხიარულებდა; აზარფემა ხელიდან ხელში გადადიოდა და არავინ აღარ უყურებდა მოხუც ბერებს, რომელნიც მონასტრიდან გამოსულიყვნენ მეფის მისაგებებლად. უეცრად დედა-მიწის გულიდან გრგვინვა მოისმა, დედა-მიწა შეინძრა და საუკუნეებში გამოვლილი შენობა ივერიის მფარველის წმ. გიორგისა გვერდ-გვერდზე წავიდა, საზარლად დაიგრიალა და დაინგრა. ძნელია ასაწერად, თუ რა მოხდა მაშინ მეფის ამალაში. ბევრი მათგანი ცხენიდან გადმოვარდა; ზოგნი კიდეც თავის ცხენებით ძირს დაეცნენ; მეფეც ამათ რიცხვში ერია და ძლიერ დაშავდა. ბინდმა დაჰკრა, მთებიდან საშინელი ქარიშხალი წამოვიდა, თელავი ჯანდმა დაჰფარა, მეფის დასახვედრად გამოსული ხალხი შეძრწუნდა და დაიშალა. მაშინ ხალხიდან მოისმა ვინმე ბერის შემადრწუნებელი ხმა. მან ამხილა ხალხს:

– „თავადნო, ნაცვალნო და ხალხო“! – დაიძახა მან: – „თქვენ თვალწინ მიწასთან გასწორდა უდიდესი ტაძარი ჩვენის ქვეყნისა. მას საუკუნეების ქარიშხალმა ვერა დააკლო-რა და ეხლა კი ამ მოწმენდილს და მყუდრო საღამოს, როდესაც დამავალი მზე ჯერ კიდეც ისროდა მკრთალ სხივებს, იგი შეიმუსრა და მიწასთან გასწორდა. ჭემმარიტად ეს ჩვენი უბედურების მომასწავებელია, ჩვენი ტაძრების სიმაღლეს ჩვენი ცოდვანი აღემატნენ. სწორედ ამ დროს ირანში დაიბადა ქურუმი, რომელიც მოვა და ჩვენს თავისუფლებას შემუსრავს, მისგან გამოვლილი გზა ჩვენი სისხლით იქნება შეღებილი. სტიროდეთ ქართველნო! შაჰ-აბასი დაიბადა!“

გაიარა რამდენიმე ათმა წელიწადმა და შაჰ-აბასი ირანის მბრძანებელი შეიქმნა (1585-1628). გენიოსმა პოლიტიკოსმა და უდიდესმა სარდალმა კარგად იცოდა, რა მნიშვნელობაც ექნებოდა საქართველოს სპარსეთისათვის ოსმალებთან ომის დროს.

ამისათვის ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ სპარსეთის გავლენა საქართველოზედ არამცთუ შემსუბუქებულყო, არამედ უფრო გამძირილებულყო; იგი სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ საქართველო სრულიადაც შეეერთებინა სპარსეთისათვის და მის ხალხში გაეგრცელებინა სპარსეთის მაჰმადიანთა სარწმუნოება, ენა, ზნე და ჩვეულებანი. მაგრამ ქართველი ხალხი დიდს წინაღმდეგობას უწევდა, ამისათვის კავკასიის მთის კალთებზედ მაჰმადიანნი კი არ დაასახლა, როგორც თემურ-ლენგმა, პირიქით, ააოხრებდა თუ არა ქალაქებს, იქ მცხოვრებ ქრისტიანებს შუაგულ სპარსეთში გადაასახლებდა ხოლმე. ისპაღანის ახლო დღესაც არის რამდენიმე სოფელი ქართველებისა და სომხებისა, იქ მცხოვრებთ თუმცა სარწმუნოება დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ მამა-პაპათა ენა კი შეუნახავთ. შაჰი ცდილობდა საქართველოს მეფეები თავის სასახლესთან დაეახლოვებინა, ტახტის მემკვიდრენი ხშირად შაჰის სატახტო ქალაქში იზრდებოდნენ, რომელნიც სპარსთა ზნესა, ჩვეულებას და ზოგჯერ სარწმუნოებასაც ღებულობდნენ.

კახეთის მეფე ალექსანდრე II უფრო ოსმალეთისკენ ეჭირა თვალი და რუსეთის მეფე ბორის გოდუნოვთანაც ჰქონდა მიწერ-მოწერა, ეტყობოდა შაჰ-აბასის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. შაჰ-აბასი მტკიცედ მისდევდა ამ აზრს: „გააცალ-ცალკევე და მერე უბრძანეო“. თავის მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ყოველთვის ამ საშუალებას ხმარობდა. ოსმალეთთან ომის დროს დარწმუნდა, რომ ალექსანდრე სანდობი კაცი არ იყო, ამისათვის ისე მოახერხა, რომ მეფეს მისივე შვილები გადაჰკიდა.

ამ მაგალითიდან ცხადად სჩანს, თუ რა ნაირად გახრწნიდა შაჰ-აბასი საქართველოს ერის ზნეობას და რა უეჭველად შეისრულებდა თავის პოლიტიკურს სურვილს, თუ რომ წრეს გადასულის მოქმედებდით ქართველთა გულში წრეს გადასული წინააღმდეგობა არ გამოეწვია. ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რომ შაჰ-აბასის დროს საქართველოს გამოუჩნდნენ დიდსულოვანნი შვილნი, რომელთა გულშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო სიქველე, ვაჟკაცობა და მამულისათვის თავის დადება; ამ მხნე მამულის

32

შვილთ დაიხსნეს საქართველო შაჰ-აბაზის ყოვლად გამხრწნელის პოლიტიკისგან.

შაჰისგან ალექსანდრეს ოჯახში ჩამოგდებულმა მტრობამ და მოღალატობამ ნაყოფი გამოიღო: მისმა უფროსმა შვილმა, ბატონიშვილმა დავითმა, შაჰის ნება-დართვით, თავის მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი ციხეში დააპატიმრა და თვით დაიპყრო საქართველოს ტახტი (1605). როდესაც იგი იმავე წელს გარდაიცვალა, ალექსანდრეს მეორე შვილი – კოსტანტინე, რომელიც შაჰ-აბასის დროსვე გაათათრდა, სპარსეთის ჯარით შემოვიდა კახეთში, თავის მამა და ძმა მოჰკლა და თვითონ გამეფდა. არა მარტო ამ საზიზღარის საქციელით დაიპყრო კოსტანტინემ საქართველოს ტახტი, არა, იგი დაჰპირდა შაჰს, რუსეთთან ყოველსავე კავშირს მოვსპობ და კახეთს შენს მოხარჯედ გავხდიო. ამ ჟამად საქართველო დაიხსნა ქეთევან დედოფალმა, დავით II ქვრივმა; მან დაამარცხა კოსტანტინეს მომხრენი, თვით იგი მოჰკლა და ქვეყანას თავის შვილის თეიმურაზის სახელით განაგებდა. ცბიერმა შაჰმა თითქოს დასთმო თავის ყურ-მოჭრილ მეფის მოკვლა და, როგორც ამბობენ, ეთქვა კიდევ, რომ „მამის მკვლელი ღირსია სიკვდილისაო“; კახეთის მეფედ შაჰმა თეიმურაზი დაამტკიცა, რომელიც ამ დროს სპარსეთის სასახლეში იმყოფებოდა. „წადი კახეთში და ეცადე ამ ქვეყანაში ამბოხება აღარა მოხდეს-რაო“, – უთხრა თეიმურაზს.

ამავე დროს ქართლის მეფე გიორგი X შხამით მოწამლეს, რადგანაც მაჰმადიანობა არ მიიღო, მისი ტახტი შაჰ-აბასმა იმის შვილს ლუარსაბ II მისცა (1605). მაგრამ ლუარსაბის მეფობის პირველ წლებშივე მოხდა შემთხვევა, რომელმაც ფაქტობრივი მნიშვნელობა მიიღო. ჯერ ისე გიორგი X მამის, სვიმონ I მეფობის დროს, როდესაც ქართლი დღე-დღეზედ ომს მოელოდა და შინაურის განხეთქილებით ქვეყანა ქუცმაცდებოდა და უძღურდებოდა, გამოჩნდა ერთი ღარიბი აზნაურშვილი ვინმე გიორგი სააკაძე, რომელსაც საქართველოს ერისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგი მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი იყო, დიდი მჭევრ-მეტყველი, ახოვანი,

მხნე და გამბედავი; მან ბრძოლის ასპარეზზედ გამოსვლის უმაღლვე მიიქცია ყურადღება. სვიმონ მეფემ მას თარხნობა უბოძა; მისმა მემკვიდრემ გიორგი X კიდევ თავადობა და მოურავობა მისცა, ასე რომ ახალგაზდა სააკაძე ჯერ ოც და შვიდი წლისა არ იყო, რომ მეფე ლუარსაბის დაახლოვებული პირი შეიქმნა. საქართველოს ამაცმა დიდ-კაცობამ ვერ მოინელა უბრალო აზნაურშვილის ასე უეცრად ამაღლება და იდუმალად დევნა დაუწყო, თვით მეფე ლუარსაბსაც კი მოსთხოვეს მოურავი მოკალიო; სააკაძე უსათუოდ მსხვერპლი შეიქნებოდა ამ დიდკაცობის სურვილისა, თუ რომ ერთ გარემოებას არ გადაერჩინა: სპარსეთიდან დაბრუნებული ოსმალოს ურიცხვი ჯარი თრიალეთის მთებიდან აპირობდა საქართველოში შემოსევას. მტერთან საბრძოლველად გაგზავნილი მოწინავე ჯარი სულ ერთიან გასწყდა ვიწრო ხეობებში ომის დროს და ამ ჯართან ერთად დაიღუპა ქართველების ორი საუკეთესო სარდალი – ზაქარია და იარალი. მტერმა მანგლისი და ქველთა დაიჭირა. ქველთაში ოსმალებმა შეიპყრეს მღვდელი თევდორე, განთქმული მწერლობითა და სიკვდილს უქადიდდნენ, თუ რომ მათ იქ არ მიიყვანდა, სადაც ლუარსაბი იმყოფებოდა; მათ მეფის შეპყრობა უნდოდათ. „საუკუნო ცხოვრებას დროებით ცხოვრებაზედ არ გავცვლი, არ შევიქნები მეფის მოღალატე“, სთქვა თავის გულში ქართველთა სუსანიძე, ოსმალების ჯარი შეიყვანა გაუვალს ღრე-კლდეში და მეფე ამით გადარჩინა, თითონ ის კი მტერმა საშინელის ტანჯვით მოჰკლა ერთაწმინდის ტაძრის პირ-და-პირ. მაგრამ ქვეყანას ამით განსაცდელი არ ასცდა და მეფე ცხირეთის ციხიდან განწირულებით გასცქეროდა მტრის ურიცხვ ჯარს; აი ამ გაჭირვების დროს, როდესაც ამჟამად დიდ-კაცობას ჰკუთვნებდა და ებნა და აღარ იცოდა რა ექნა, სააკაძემ თავს იდგა სამშობლოს დახსნა, მხოლოდ თხოულობდა, რომ მარტო იგი ყოფილიყო სრული გამგებელი ბრძოლისა.

მეორე დღეს, ხერთვისის ხეობაში, მტკვრის ნაპირზედ, დაიწყო ომი. თუმცა ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისე

34

გაბრაზებულნი იყვნენ მტერზედ და ისეთი ვაჟკაცობის სული შთაბერა მათ სააკაძემ, რომ მისვლის უმაღლვე ხმალ-და-ხმალ ეკვეთნენ მტრის რაზმებს, თვითონ მოურავიც ლომივით იბრძოდა ჯარის წინა რაზმებში. ოსმალებიც არ შედრკნენ. მაგრამ ამ დროს მამაცმა ზაალ ციციშვილმა გააპო მტრის ჯარი და მათ სარდალს დელი-მამედხანს პირისპირ შეხვდა, ცხენიდან გადმოაგდო და ვიდრე ოსმალოს ცხენოსანნი მიეშველებოდნენ, გადმოხტა ცხენიდან და თავი მოსჭრა. ციციშვილმა ფაშის თავი წვერებიდან კბილებით დაიჭირა, კვალად გამოაპო მტრის ჯარი და მოჭრილი თავი თავის მეფეს წინ გაუგორა, თვით ციციშვილიც მთლად სისხლით იყო შეღებილი. ამ გმირის ვაჟკაცობამ გადასწყვიტა ბრძოლა. სიხარულის ყიჟინი გაისმა მთლად ქართლის ჯარში. ამის მნახველი ოსმალნი შეძრწუნდნენ და გაიქცნენ, ერთმა მუჰა ქართველებმა იგინი სრულიად

ამოწყვიტეს.

მეფე და მთელი მისი სასახლე მესამე დღეს სააკაძეს ეწვივნენ. ამ წვეულების დროს ლუარსაბმა ნახა მეტის-მეტად მშვენიერი და სააკაძისა და ისე მოეწონა, რომ მისი ცოლად შერთვა გადასწიტა. მოურავმა კარგად იცოდა, რომ ეს შეუფერებელი ქორწინება კარგს არაფერს მოასწავებდა და ურჩია მეფეს ამ განზრახვისათვის თავი დაენებებინა, ამასვე ურჩევდა თავის დედაც და ხალხიც, მაგრამ სულ ამაოდ, – მეფემ თავის განზრახვაზედ უარი არა სთქვა და ქორწინება მოხდა. თავადებს ძლიერ ეწყინათ მეფის ასეთი საქციელი, აუჯანყდნენ და ავრცელებდნენ ხმებს, რომ მას აქედ, რაც მეფემ უბრალო აზნაურშილის დაზედ ჯვარი დაიწერა და საქართველოს დედოფლად გახადა, სამეფო ტახტს ხალხში პატივი დაეკარგაო; ამისათვის მათ არამც თუ განქორწინება მოითხოვეს მეფისაგან, არამედ მთლად სააკაძის გვარეულობის ამოწყვეტაც. საიდუმლო შეთქმულობა მოხდა.

ერთხელ სააკაძე მეფემ სანადიროდ მიიწვია; მაგრამ მივიდა თუ არა ქალაქ გარედ აშენებულ მეფის სასახლესთან, ერთმა თავის ერთგულმა კაცმა შეატყობინა მზაკვრული განზრახვა შეთქმულთა. საა-

35

კაძემ დრო აღარ დაჰკარგა, მაშინვე მოახტა უბელო ცხენს და თავის ციხე-დარბაზისკენ გაქუსლა, რომ თავისთან ერთად თავის ცოლშილიც გადაერჩინა განსაცდელისაგან. მაშინვე მდევარი დაადევნეს უკან, მაგრამ სააკაძე შინ აღარ დახვდათ. ერთი ღამის განმავლობაში მას კარგა დიდი მანძილი გაეველო და თავის სიმამრს არაგვის ერისთავს შეხიზნებოდა. მოურავის ციხე-დარბაზი ჯერ გამარცხეს და მერე დასწვეს და დაანგრეს.

საქართველომ დიდის ხნობით დაჰკარგა ერთი თავის საუკეთესო შვილთაგანი, რომელსაც შეეძლო გაჭირვების დროს დიდად გამოსდგომოდა. შეურაცხყოფილმა გმირმა ვეღარ ჰპოვა თავშესაფარი ადგილი თავის სამშობლოში და ამისათვის უღალატა მას: იგი წავიდა სპარსეთში და შაჰს ქართლის დაპყრობა ურჩია, – და ან კი სხვას რას დაჰპირდებოდა, თუ არ ქართლის მოღალატობას? ამბობენ, ერთხელ, სიბრაზის დროს, მოურავმა თურმე წამოიძახა: „ვაი ქართლს! მას არ ექნება მოსვენება, ვიდრე მეფე ლუარსაბი ცოცხალი იქნებაო“. შაჰი მალე მიხვდა, რა სასარგებლო იქნებოდა სპარსეთისათვის, თუ რომ ქართლს მოაშორებდა ერთად-ერთ იმედს და სანუგეშო კაცს, ამისათვის სააკაძე დიდის პატივით მიიღო. მაგრამ შაჰი ჯერ საჭიროდ არა ხედავდა მოურავი ქართლის წინააღმდეგ ემოქმედებინა, რადგან ემინოდა ვაი თუ თავის სამშობლოს შეურიგდეს და იქვე დაბრუნდესო. შაჰმა გაგზავნა მოურავი ინდოელებთან-და ოსმალებთან საბრძოლველად, ორივენი საშინლად დაამარცხა. მოურავის ძლევა შემოსილი სახელი მთელს ირანში გაითქვა, მის დიდებას დამღეროდნენ მგოსანნი, ამ სიმღერებმა ტფილისამდინაც მოაღწიეს და აქ მცხოვრები სპარსელები მღეროდნენ ქართლის მთა და ბარში მეფის და მცხოვრებთა შესამძრწუნებლად.

ესრედ, ქართლიცა და კახეთიც, რომელნიც უფრო ძლიერნი იყვნენ საქართველოს სამეფოთა შორის, სპარსეთმა ფეხ ქვეშ ამოიღო, ამის მიზეზი ის იყო, რომ თვით მეფეები სუსტნი იყვნენ და ვინც მამულის საუკეთესო შვილნი იყვნენ – ისინი კიდევ

ღალატობითა და ვერაგობით იდევნებოდნენ სამშობლოდან. შაჰ-აბასმა იცოდა, რომ დაუძღვრებულს სამეფოებში წინააღმდე-

36

გობას ველარავინ გაუწევდა; მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხი მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზედ, ამისათვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეფეთა და თავადთა გამაჰმადიანებითაც კმაყოფილდებოდა, ხალხი კი ხმლითა და სპარსეთში გადასახლებით უნდოდა დაემორჩილებინა და ომის მიზეზებს ეძებდა. 1615 წელს შაჰი განჯაში მოვიდა, აქედან კახეთის მეფეს თეიმურაზს სააკაძის რჩევით შეუთვალა, რომ განზრახვა მაქვს ოსმალებს ომი გამოუცხადო და შენი შვილი მძევლად გამომიგზავნეო იმის დასამტკიცებლად, რომ ომის დროს ოსმალთ არ მიემხრობიო. მეფემ კარგად იცოდა მზაკვრული პოლიტიკა შაჰისა და ისიც იცოდა, რომ არავითარ ომს არ აპირობდა, ამისათვის მძევლის მიცემაზედ ჯერ უარი განაცხადა; მაგრამ შეშინებული კახელების ძალდატანებით მძევლად უმცროსი შვილი გაუგზავნა და თავის დედა ქეთევანიც თან გააყოლა.

– „მე ხომ ძიძა არა ვარ, რომ ბავშვები გავზარდო“, შემოუთვალა მეფეს შაჰმა და ისევ უფროსი შვილი მოსთხოვა. თეიმურაზი დათანხმდა. მაშინ შაჰმა თვითონ მეფეც დაიბარა. რადგან ქართლის მეფე ლუარსაბის დახმარების იმედი ჰქონდა, ამისათვის თეიმურაზმა შაჰთან წასვლაზე უარი განაცხადა; მაგრამ შაჰს ყოველი ღონისძიება უკვე მიღებული ჰქონდა. თეიმურაზს რომ ქვეშევრდომნი ასჯანყებოდნენ, სპარსელებს უბრძანა მცხოვრებლებს ტკბილად მოექცეით და არავითარი საჩუქრები და პატივისცემა მათთვის არ დაიშუროთო. შაჰს მალე შეუსრულდა განზრახვა. თეიმურაზს და ლუარსაბს მართლა გადუდგნენ თავიანთი ქვეშევრდომნი და შაჰ-აბასს მიემხრენ, მეფენი იძულებულნი შეიქმნენ იმერეთში გაქცეულიყვნენ. შაჰმა თეიმურაზის დედა და შვილები შირაზში გაგზავნა, თვითონ კი კახეთი და ქართლი გაიარა და გორიდან მოლაპარაკება დაუწყო იმერეთში გაქცეულ მეფეებს. ლუარსაბის ყურამდინ მისაღწევად შაჰმა გაავრცელა ხმა, რომ იგი მას ძალიან უყვარს და თუ მასთან მივიდოდა, უხვად დაასაჩუქრებდა. ხოლო თეიმურაზი კი ჩემი დაუძინებელი მტერიაო. იმერლებსაც დაუყვავა, რა-

37

დგანაც მათის პირით ჰქონდა მეფეებთან მოლაპარაკება და იმერეთის დიდებულთ აჩუქა თავის ძვირფასი ოქროთი შეჭედილი ხმალი და სთხოვა, რომ ეს ხმალი, როგორც საჩუქარი, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის კედელზედ დაეკიდათ. რასაკვირველია შაჰ-აბასს ეს ქრისტიანობის სიყვარულით არ მოსდიოდა. როგორც ამბობს ერთი მოგზაურთაგანი, ის ხმალი 1745 წელსაც ხსენებული ეკლესიის კედელზედ ეკიდა, მაგრამ შემდეგში რა იქნა – არავინ იცის.

ლუარსაბი მოსტყუვდა და თეიმურაზის ჩუმად იმერეთიდან წამოვიდა. შაჰმა ალერსიანად მიიღო და ტფილისში დასტოვა, თვითონ კი წავიდა. ამბობენ, როდესაც შაჰი ქართლის დედაქალაქს სტოვებდა, ხიდთან შესდგა, გადახედა ქა-

ლაქის მშვენიერს ადგილებს, მის აბანოებს და უთხრა მეფეს: „რომ შეიძლებოდეს ამ მშვენიერს ადგილებს აქედან წავიღებდიო; ყველაზედ ძვირფასი სიმდიდრე შენი სამეფოსი და ქალაქისა ეს აბანოებიაო“. ლუარსაბმა მიუგო: „დიდებულო შაჰო, მეცა, ჩემი სამეფოც და ეს მშვენიერი ადგილებიც შენ გეკუთვნითო“. მაგრამ მეფე დიდ ხანს არ იყო თავისუფალი. შაჰმა იგი სანადიროდ მიიწვია ყარაბაღში, აქედან ნადირობის სახელითვე წაიყვანა მაზანდარანში და როდესაც აქ ვერც მუქართითა და ვერც დაყვავებით თათრის სჯული ვერ მიაღებინა, შირაზში გაგზავნა და იქ, დიდი ხნის პატიმრობის შემდეგ, შვილდის ლარით დაარჩობინა (1622). ლუარსაბის სიკვდილით მოისპო პირდაპირი ჩამომავლობა ქართლის მეფეებისა. ქართლის მეფედ შაჰმა გამაჰმადიანებული ბაგრატ V დანიშნა (1616-1619).

იმ დროს, როდესაც მეფე ლუარსაბი მსხვერპლი შეიქნა შაჰის პოლიტიკისა და თეიმურაზიც ფაქტიურად გადაყენებული იყო ტახტიდან, კახეთში სპარსეთის ჯარი იდგა და უფროსად ჰყავდათ სჯულის მოღალატე ბატონიშვილი იესე, მაჰმადიანობაში ისა-ხანად წოდებული, იგი თეიმურაზის ბიძაშვილი იყო. როცა შაჰი საქართველოდან გავიდა, ისა-ხანი სამი თვის შემდეგ შეთქმულებმა მოჰკლეს და თეიმურაზიც თავის

38

სამეფოში დაბრუნდა. შაჰმა გადასწყვიტა თავის ურჩთა სასტიკად დასჯა, და ამ დროიდან დაიწყო სპარსელებისაგან საქართველოს დარბევა და აკლება.

შაჰმა თავის ჯარის ნაწილი წინ გაგზავნა, რომ თეიმურაზისათვის იმერეთისკენ გასაქცევი გზა შეეკრა; მაგრამ თეიმურაზი პირველად თვითონ დაესხა მტერს თავს და უკუაქცია. შაჰ-აბასის უმთავრესი ჯარის მოახლოვებამ კი სულ სხვა-ნაირად დაატრიალა ომის საქმე; სპარსეთის მოწინავე ჯარის სარდლად სააკაძე იყო და ხალხმა გაიგო თუ არა ამ გმირის ყოფნა სპარსეთის ჯარის სარდლად, სულითა და ხორციტ დაეცა, სასოწარკვეთილებას მიეცა: ყველამ იარალი დაჰყარეს და მთებში გაიქცნენ. თეიმურაზიც კვალად იმერეთში წავიდა.

1617 წელს შაჰ-აბასის ჯარი კახეთში შემოვიდა, გზა-და-გზა ყველაფერი გაანადგურა, ყველაფერი ხალხის სისხლით მორწყო, ქალაქები მიწასთან გაასწორა, მონასტრები დაანგრია, ხატები და ჯვრები მიღლეწ-მოღლეწა და მათი სამკაული თავის ჰარამ-ხანის შესამკობად შეინახა. იმის მაგივრად, რომ მტრისთვის წინაღმდეგობა გაეწიათ, ქრისტიანები ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ და სასიკვდილოდ ემზადებოდნენ, სპარსელებიც ანგრევდნენ ეკლესიებს და მათ ქვეშ ქრისტიანებს ათასობით აყოლებდნენ. შაჰისავე ბრძანებით ლეკებიც ხოცავდნენ და ატყვევებდნენ ყველა იმათ, რომელნიც იმათ მთებში გარბოდნენ დასამალავად. გარდმოცემას წმინდად შეუნახავს ის სისხლის წყურვილით გამოწვეული მტარვალობა შაჰისა, რომელიც მან ჩაიდინა გარეჯის უდაბნოში. ამ მონასტრის ნანგრევ ქვეშ, შიგ საკურთხეველში, დღესაც ისევე სდგას ტრაპეზი და მაზედ საეკლესიო ავეჯეულობის მაგივრად ჯვარის მსგავსად შეკრული კაცის ძვლები აწყვია. აი ამ ძვლებისაგან წარმოსდგება სახელი მთელის ლავრისა, რომელსაც მოწამეთი

ჰქვიან, ე. ი. ლავრა წამებულთა. შაჰის ბრძანებით ზედ აღდგომა ღამეს აქ ექვსი ათასი ბერი ამოსწყვიტეს. ჩვეულებისამებრ, გარეჯის უდაბნოს თორმეტი სავანის ბერები აღდგომა ღამეს ამ ლავრაში იკრიბებოდნენ ხოლმე, რადგანაც ის ყველაზედ უფრო დი-

დი იყო; ამასთანავე ამ ლავრის ტაძრის დღეობაც აღდგომა დღეს მოდიოდა. აი ექვსი ათასი ბერი ანთებულის სანთლებით უფლის გარშემო მთის წვერზედ აშენებულს ეკლესიას და მხიარულად გალობენ „ქრისტე აღსდგას“, ის კი არ იცოდნენ, რომ იმ ღამეს უკანასკნელად ესწრობოდნენ ამ დიდებულს დღესასწაულს. შორს, მტკვრის იქით, ყარაიის დიდი მინდვრის განაპირას, ერთ ღამეს შაჰ-აბაზმა დაინახა არა ჩვეულებრივი შუქი – მთის წვერზედ რაღაც ცეცხლნი მოძრაობდნენ და ბჟუტავდნენ, მაშინ როდესაც ამ ადგილას მას ცარიელი მინდვრის მეტი არა ეგონა-რა. „ეს რა ჩირადდანია?“ იკითხა გაკვირვებულმა შაჰმა. „გარეჯის ბერები თავთ პასექს დღესასწაულობენო“, მოახსენეს. – „გაწყვიტეთ სუყველანი!“ – ამოდ ცდილობდნენ მახლობელნი პირნი დაეჯერებინათ შაჰი, რომ მეუდაბნოენი უიარაღონი არიან, არავის ბოროტებას არ უშვრებიან, პირიქით, მტერთათვისაც კი ლოცულობენო, რომ თვით ჩვენი მაჰმადი გვიწერს მლოცველთა შეწყალებასაო. შაჰი ყურს არავის უგდებდა. განთიადისას მტრის ცხენოსანი ჯარი მონასტერს მიადგა. წირვა იდგა და ის-იყო ბერები საიდუმლოს მისაღებად ემზადებოდნენ, რომ ამ დროს სპარსელები შეცვივდნენ ტაძარში და რამდენიმე წამის შემდეგ ექვსი ათასი ბერი დახოცილი ეყარა ეკლესიის სისხლით მორწყულს ფილაქანზედ. მას აქედ ამ მონასტრის მრავალი სავანე დაცარიელდა. ეკლესიამ დახოცილი ბერები წამებულთა შორის შერაცხა და ყოველ წელიწადს აღდგომის მეორე დღეს იხსენიებს მათ. მეფე არჩილმა ამ წამებულთა ძვლები ერთს ადგილას შეაგროვა და ზედ პატარა ეკლესია ააშენა.

ამავე დროს შაჰმა მცხეთაც დაიპყრო და ხელში ჩაიგდო უდიდესი ამპარტავნება ქრისტიანობისა, წმინდა კვართი უფლისა, რომელიც შემდეგ მოსკოვის მეფეს გაუგზავნა. ნაწილ-ნაწილად დაყოფილი კვართი უფლისა დღევანდლამდინ დაცულია მოსკოვის მიძინების ეკლესიაში და პეტერბურგის ალექსანდრე-ნეველის ლავრაში.

40

შაჰ-აბაზმა საქართველო იმით დაიმორჩილა, რომ ხალხს სრულიად ამოწყვეტას ემუქრებოდა. კახეთის მმართველად თავის სარდალი დააყენა და სპარსეთის ჯარი მისცა, ამავე დროს თვით სპარსეთში მრავალი ქართველი გადაასახლა. „ირანის ლომმა“ საქართველოს მეფეებთან ზავი შეჰკრა და პირობა მისცა, რომ საქართველოს ხარჯით აღარ შეაწუხებდა, არც ეკლესიებს და არც სარწმუნოებას შეეხებოდა და არც მეჩითებს ააშენებდა აქა, თუ რომ ქართველთა მეფენი მაჰმადიანები იქნებოდნენ, თუნდაც რომ იგინი ქართველთა ჩამომავლობისანი ყოფილიყვნენ. ამ ზავის შეკვრით შაჰმა საქართველოს სამეფოებს მხოლოდ გარეგანი დამოუკიდებლობა შეანარჩუნა. მეფეები გა-

მაჰმადიანებულები იყვნენ და დიდ-კაცობაც უარს არ იყო მაჰ-  
მადიანობის მიღებაზედ, მხოლოდ ერი იდგა უარზედ, რომელ-  
მაც თავის მტკიცე სარწმუნოებით და სამშობლოს სიყვარულით  
დაიცვა სულიერი დამოუკიდებლობა საქართველოსი და არ გა-  
დიწყვიტა იმედი მისი ხელ-ახლად აღდგენისა. ხალხიდან კვა-  
ლად გამოვიდა ძლიერი სასულიერო წოდება, რომელმაც დი-  
დი გავლენა იქონია მეფეებსა და გამაჰმადიანებულს დიდ-კაცო-  
ბაზედ; ამ წოდების მოთავე კათალიკოსი შემდეგში არა ერთ-  
ხელ ყოფილა სული და გული ხალხის მოძრაობისა საქართვე-  
ლოს გასანთავისუფლებლად. მაღლიერი ერი ხშირად იხსენიებს  
თავის ლეგენდებში სასულიერო წოდების მოღვაწეობას.

ამ მარად მომქმედმა ერის სულიერმა ძალამ თავი იჩინა  
შაჰ-აბასის დროს და ამ ერის მოღვაწეობაში ნათლად გამოს-  
ჭვირს უძლეველი და განუსაზღვრელი სიყვარული სარწმუნოე-  
ბისა და მამულისადმი. არის ხალხისაგან შექმნილი ლეგენდა-  
რული ისტორია (ამას გვიამბობს ი. დ. პოპკა), რომელიც გვა-  
უწყებს, რომ ერი შაჰს გამარჯვებულად კი არა, დამარცხებუ-  
ლად სთვლიდა, თითქო ჰგრძნობდა, რომ შაჰი ვერ დასძლე-  
და მის ძალას, გამსჭვალულს სამშობლოს სიყვარულით:

აი ეს ლეგენდა:

როდესაც შაჰ-აბასმა დაიპყრო მთლად კახეთი და მომე-  
ტებული ნაწილი ქართლისა, იგი ერთხელ თავის კარვის წინ

41

იჯდა, რომ ამ დროს კარის კაცმა მოახსენა, საქართველოს მეფეს  
საჩუქრები გამოუგზავნიაო. მის წინაშე წარსდგა მაღალი და ჩი-  
ნარით მოყვანილი ქართლის თავადი. შაჰის წინ ახალი ხი-  
ლით სავსე კალათა დასდგა, შაჰს ხილი ძალიან მოეწონა. –  
„ჩოხ-ლიუხელ!“ (ძალიან კარგი) იძახოდა იგი, მერე ამოარჩია  
ყველაზედ დიდი ვაშლი, შეჭამა, მისი კურკები ხელის გულზედ  
დაიყარა და უბრძანა ლახვარი მოეტანათ. ლახვრით ამოჩი-  
ჩქნა მიწა, შიგ კურკები ჩაყარა და უთხრა თავადს. „მაღლობა  
მოახსენე მეფეს და უთხარ ჩემს მაგიერად, რომ ვიდრე ამ კურ-  
კებიდან დიდი ხეები არ ამოვა და იმათ ხილს არა ვჭამ – შე-  
ნი ქვეყნიდან არ გავალ-თქო, რადგან მე აქ უფრო კარგად  
მძინავს, სინამ ჩემს ქვეყანაში-თქო“. – „ბალი!“ (კარგი), მიუგო  
თავადმა. როდესაც უკან გამობრუნდა, საშინლად აღელდა თა-  
ვის მეფის და სამშობლოს დამცირების გამო და ჩაფიქრდა: „გავ-  
წირავ ჩემს საყვარელს, ჩემს გულის სწორს ხორეშანს – სამ-  
შობლო ცოლზედ ძვირფასია!“. ამ თავადს სახელად შიო ერ-  
ქვა; მისი სახლი კახეთისა და ქართლის საზღვარზედ იდგა. თვი-  
თონ იგი ქართლელი იყო, ცოლი კი კახელი; ცოლ-ქმრობის  
პირველი ნეტარების დრო ჯერ კიდევ არ გასულიყო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ შაჰ-აბასმა საშინელი ბრძანება  
გასცა: მუდამ მთვარის გამოცვლის დროს ქალაქებსა და სოფ-  
ლებში ორმოც და ათი ლამაზი ქალი უნდა მოეკრიბათ და  
სპარსეთის ბანაკში მიეყვანათ. შაჰი თვითონ ურიგებდა მათ თა-  
ვის სარდლებს. მაგრამ იყო ერთი ხანი, სახელად ალავერდი,  
რომელიც არა კმაყოფილდებოდა „მთვარის ძმის“ საჩუქრებით  
და თავის-თავადაც იღებდა ხალხისგან ამისთანა ხარჯს. იგი ყველა-  
ზედ ძლიერი ხანი იყო და უფროსი თათრის ცხენოსანი ჯარი-  
სა, რომელიც სპარსეთის ლაშქრის საუკეთესო ჯარი იყო (თვი-

თონ სპარსელები ყოველთვის ლაჩარნი იყვნენ). ალავერდ-ხანი ცალკე იყო დაბანაკებული თელავის ახლო და რადგანაც ასაკლები აღარავინ იყო, ყოველ დღე სანადიროდ დადიოდა მიმინოებით, ღამ-ღამობით კი ვინმე ლამაზი ქართველი ქალი მიერთმეოდა ხოლმე.

42

საქართველოს მეფე თავადებითა და დამარცხებულის ჯარის ნაშთით მცხეთის ახლო იდგა, გამაგრებული ადგილი ეჭირა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. როცა საქართველოს სამხედრო ძალა დამარცხდა და განადგურდა, მაშინ გამოჩნდა სხვა ძალა, რომელსაც იარაღი ვერაფერს აკლებდა. სასულიერო წოდება გამოვიდა ასპარეზზე და თვითონ მოჰკიდა ხელი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. მან მტრად გადაკიდებულნი თავადნი ერთმანეთთან შეარიგა, ყველანი მეფის დროშის ქვეშ დააყენა, სულით მაშვრალნი გაამხნევა და შექმნა ძალა იქ, სადაც იგი აღარ მოიპოვებოდა; ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ და უფლის კვართზე ფიცულობდნენ ერთმანეთისათვის თავი გაეწირათ. იმერეთსა და მოსკოვსაც სთხოვეს შემწეობა. მეფის ჯარი დღითი-დღე მატულობდა, ყველა მოუთმენლად ელოდა მტერზედ თავ-დასხმას. მხოლოდ რუსეთის შემწეობას ელოდნენ თერგისა და დნეპრის მხრიდან.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც თავადი შიო ცხენით მოიჭრა თავის ხორეშანთან და უთხრა: – სამშობლო დაიხსენო!

– რას ამბობ! მე სუსტმა ქალმა როგორ დავიხსნა სამშობლო, როდესაც თვით გამოჩენილ გმირ თავადიშვილებს არაგვისა და მტკვრის შესართავთან უშიშარი ალაგი დაუჭერიათ და ვერაფერს კი არიგებენ.

– იქ, სადაც ორი და ერთმანეთს გადახვევიან, სადაც მტკვარი და არაგვი ერთმანეთს ერთვიან და ურთიერთ შორის საუკუნო კავშირი შეუკრავთ, ისე, როგორც მე და შენ, იქ შეერთდა დანაწილებული ძალა ივერიისა. ეს უკანასკნელი ძალაა – მეტი აღარ არის! მაგრამ ქართველობა ერთი მუჭაა, ყიზილბაშები კი ურიცხვი. რა შეგვიძლიან ჩვენ პატიოსნად სიკვდილის მეტი? მაგრამ ეს სამშობლოს ვერ დაიხსნის, უკანანასკელ თავადთან ერთად სამშობლოც დაილუპება. სადაც გმირნი ვაჟკაცი ვერაფერს გახდებიან, იქ ქალს ყველაფერი შეუძლიან... ღონით კი არა, სიყვარულის უსაზღვრო სიდიადით... გაიწირე თავი!.. მიეცი შენი სიყვარული, მიეცი

43

იგი მცირე ხანს ხან-ალავერდის, ვარსკვლავების ამოსვლიდან განთიადამდინ.

ხორეშანი გაფითრდა.

– შაჰის ურიცვი ყიზილბაშებისა კი არ ეშინიანთ ქართველებს, – განაგრძო აღტაცებით შიომ: – არა, მათი გმირობა ცოტა არ არის ადერბეიჯანის ლომის ალავერდის წინაშე დრკება. თუ იგი გადაუდგება შაჰს, საქართველო დახსნილი იქნება; უნდა კი დავიხსნათ იგი, რაც უნდა იყვეს, უნდა დავიხსნათ, და ეს მხოლოდ შენ შეგიძლიან არა ძალით, არამედ თავის

განწირვით. დადგა დრო უზომოდ თავის განწირვისა, იმგვარად თავის განწირვისა, როგორც არცა თქმულიყოს და არც გაგონილიყოს, ამგვარად თავის განწირვა მხოლოდ სამშობლოს შეუძლიან მოითხოვოს...

დიდ ხანს ლაპარაკობდა კეთილშობილი ქართველი და საოცარი იყო მისი სიტყვები, – ასეთი სიტყვები ჯერ არა სმენია ქვეყანას. ხორეშანი მიხვდა თავის განწირვის სიდიადეს და თავის განუსაზღვრელ მოსიყვარულე გულში ჰპოვა იმდენი ძალა, რომ გაბედა თავის განწირვა.

ხორეშანი მალე მივიდა სპარსთა ბანაკში და შიშისაგან ფოთოლივით თრთოდა. ამ შიშმა უფრო გააღამაზა იგი, ხანი ალავერდი ფიცულობდა წინასწარმეტყველის წვერს, რომ ამისთანა ლამაზი არას დროს არ მინახავსო. საშინელი ბნელი დამე იყო. მთებში ჭექა-ქუხილი ასტყდა, წვიმამ დაასხა, ქარიშხალი თათრების კარვებსა ჰგლეჯავდა. ხანის აბრეშუმის კარავში კი გაცხარებული ხმაურობა ისმოდა. ალავერდი არა თანხმდებოდა იმ ფასზედ, რა ფასსაც ქართველი ქალი თხოულობდა. იგი ყველა თავის საუნჯეს აძლევდა ამ ქალს და შაჰის ღალატზედ კი არა თანხმდებოდა. ხორეშანმა ყოველისფერი უარი ჰყო და მხოლოდ შაჰის ღალატს თხოულობდა. არა ერთხელ გაბრაზდა და გაცეცხლდა ძლიერი ხანი, არა ერთხელ მოუღერა ხანჯალი, მაგრამ ხორეშანი არ შედრკა და არ დაუკლო ფასი.

მეორე დღეს ხანი ჩაფიქრებული და გაბრაზებული იჯდა კარავში. მთელს ბანაკში სიჩუმე ჩამოვარდა და ხმა-მაღლა ლა-

44

პარაკს ვერავინ ჰბედავდა. შუადამისას ხანი დასთანხმდა ხორეშანს. ქალმა ფიცი მოსთხოვა და იმანაც თავის წინასწარმეტყველის წვერი დაიფიცა.

დილით მთელი ბანაკი ხმაურობდა და მხიარულობდა, ხანის დაახლოვებულ პირთ დიდი საჩუქრები მიიღეს. მაგრამ აი მოვიდა შაჰის შიკრიკი და მოახსენა ალავერდის, რომ ქართველებს თერგისა და დნეპრის ჯარი მოეშველა და უნდათ თავს დაგვესხნენო. შაჰი უბრძანებდა, რომ ალავერდი სამი დღის განმავლობაში მის ჯარს შეერთებოდა. – „ბალი“, უთხრა ალავერდიმ შიკრიკს და ჯარსაც უბრძანა ცხენები დაეჭედათ და საომრად მომზადებულიყვნენ. ხანმა ფიცი დაივიწყა და ხორეშანმა გადასწყვიტა თავის გულში იმავე დამეს თავი მოეჭრა იმისთვის ფიცის გატეხისათვის. ამ დროს ხორეშანს ჩაეძინა და საკვირველი ჩვენება იხილა: მას გამოეცხადა მოხუცი, რომელსაც თოვლივით თეთრი თმა-წვერი ჰქონდა და ბერის ძველი ტანისამოსი ემოსა, სახე წყნარი და გაბრწყინებული ჰქონდა. მოხუცმა გააპყრო ხელი და დაუწყო ხორეშანს დალოცვა.

– „ღირსი არა ვარ, მამაო, – უთხრა მან, – ღირსი არ არის დალოცვისა ის, ვინც თავი შეიმწიკვლა ურწმუნოს სარეცელზედ და ვინც მზად არის ღალატით კაცი მოჰკლას!“ მოხუცმა ამცნო: „დაუტევე განზრახვა შენი, ჰოი საკვირველო ქალო ივერისა! ხელს ნუ ახლებ ალავერდის, იგი მოწოდებულია დიდი საქმის შესასრულებლად: მისი სიცოცხლე სამშობლოს დაიხსნის, მისი სიკვდილი აღადგენს სავანეს, რომლის ნანგრევებსაც მრავალი წელიწადია დავსტირი. შენს ცოდვას კი განაქარვებს ლოცვა-კურთხევა ეკლესიისა და დიდი ხნის ღვაწლი

მონოზნობისა. ხვალ აუწყე ხანს, რომ შენ იმის ჯამში გინდა პურის ჭამა“... მოხუცმა ერთხელ კიდეც დალოცა მუხლ-მოდრეკილი ხორეშანი და გაქრა.

დილით ხორეშანმა უთხრა ხანს, რომ ჯეირნის ქაბაბი მინდა და ის ჯეირანი შენის ხელით უნდა იყოს მოკლულიო. ხანმა მაშინვე გასცა ბრძანება და მონადირენი ზურნითა და დაირით წავიდნენ ტყეში იმ გზით, საითაც წმ. გიორგის დანგრე-

45

ული ტაძარი იყო. ნადირი ბლომად დახოცეს. ბოლოს, მიმინოებიც გაუშვეს. „დედა-მიწა ავაოხრეთ, ახლა ჰაერიც ავაოხროთო!“ ყვიროდა გახარებული ხანი. აი მისი საყვარელი მიმინო დურაჯებს მიეტია, მაგრამ ისე ზარმაცად და უხალისოდ, რომ დურაჯებმა თავს უშველეს. ალავერდი გაბრაზდა. მიაჭენებდა ცხენს და მიმინოს ყვირილით აქეზებდა. ამ დროს შორს, ალაზანის ნაპირზე წამოხრილ კლდეზედ დაჩოქილი იყო ერთი განდეგილი ბერი და მხურვალედ ლოცულობდა მტერთაგან საშობლოს დახსნისათვის.

მიმინო გამხნევდა და ეწეოდა დურაჯს. აი გაამზადა კლანჭები და ნისკარტი დურაჯის დასაჭერად, მაგრამ ფრინველი ძირს დაეშვა და მლოცველი ბერის კალთას ქვეშ ამოეფარა. მიმინო თავს დასტრიალებდა მოხუცს. ხანმა დაინახა, სადაც დაიმალა დურაჯი, მიიჭრა განდეგილთან და დაუყვირა:

– გამოაფრინე დურაჯი შენის კალთიდან!

განდეგილი ლოცულობდა.

– შენ გეუბნები, გამოაფრინე-მეთქი!

განდეგილი მაინც გულმხურვალედ ლოცულობდა წამებული საშობლოს დახსნისათვის, გული მისი ცად იყო მიმართული და ქვეყნიერება თავის მშვენიერებითა და ბოროტებით მისთვის თითქო აღარა სუფევდა.

– მაშ შენ არ გესმის ჩემი სიტყვა, თავხედო გიაურო!

დაუყვირა ხანმა. სატევარმა გაიელვა განდეგილის თავზედ, მაგრამ, შეეხო თუ არა მოხუცის ჭადარას, სულ ნაჭერ-ნაჭერად იქცა. ხანი ცხენიდან გადმოვარდა და ხელი გაუშეშდა.

განდეგილი კი ლოცულობდა „მომულებთა და მაწყენართათვის“.

სასწაულმა და ქრისტიანულმა ყოვლის შემწყნარებელმა ლოცვამ ამპარტავანი ხანი დაამშვიდა.

– მომიტევე შეცოდებანი ჩემნი, – ეუბნებოდა იგი მოხუცს: – მომირჩინე მკლავი, ამ მკლავით ქრისტიან ერს სამსახურს გავუწევ.

46

მოხუცის ლოცვამ გაუკურნა ხელი ალავერდის და პირველი სხივი სარწმუნოებისა ჩავარდა იმის ბნელსა და ვნებათაგან შეპყრობილს გულში.

შემდეგ ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მეფე და შაჰი შეხვდნენ ერთმანეთს საბრძოლველად და ერთი-და-მეორეც ალავერდისაგან მოელოდნენ დახმარებას. და აი, როდესაც გამარჯვება არც ერთისკენ იყო და არც მეორესკენ, ახლო მთის წვერზედ გამოჩნდა თათრის ცხენოსანი ჯარი. ომის დანახვა-

ზედ ალავერდი უეცრივ მარცხნივ გატრიალდა და ყიზილბაშებს მიეტია. მაშინ მთლად სპარსეთის ჯარი შეძრწუნდა და გაიქცა.

შიო ამ ომში მოკლულთა შორის იპოვეს. მას თავზედ ადგა და დასტიროდა თათრულად შეიარაღებული ახალგაზდა თავადი, – ეს იყო ხორეშანი. ხორეშანი შუბით მიუძღოდა და ამხნევებდა ხანს, როდესაც იგი დაყოყმდებოდა ხოლმე იმაზედ, თუ ვის მიშველებოდა. თვით ალავერდი სასიკვდილოდ დაიჭრა ამ ომში, მაგრამ რამდენსამე დღეს კიდევ იცოცხლა, ნათელ ილო და მოკვდა როგორც ქრისტიანი და როგორც ხორეშანის მეორე ქმარი. სიკვდილის წინად თავის უთვალავი საუნჯე შესწირა წმინდა გიორგის მონასტრის აღსადგენად და მალეც აღადგინეს მთელი თავის უწინდებურის დიდებითა. ხორეშანმა დაუტევა ქვეყნიერება და დიდის ხნის მონოზნურის მოღვაწეობით შეინანია თავისი დიდად მაღალი, მაგრამ ცოდვილი ღვაწლი.

საქართველოს მემატიაზე გვიამბობს ამ ლეგენდას და თან დასძენს: „არა ყოფილა და არც იქნება სამშობლოს ისეთი მოსიყვარულე შვილი, როგორიც იყო ქართლელი შიო; არა ყოფილა და არც იქნება სამშობლოს ისეთი მოსიყვარულე ქალი, როგორიც იყო კახელი ხორეშანი“.

ასეთია ეს ლეგენდა, საიდანაც სჩანს, რომ ხალხის ფანტაზიამ ქართველებს გამარჯვება მიანიჭა და სპარსელებს დამარცხება. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვანაირად იყო საქმე. აკლებულს ქვეყანაში მთებიდან ჩამოვიდნენ ლეკები და თითქმის უომრად დაიჭირეს მდიდარი და ნაყოფიერი ნაწილი კახეთისა

47

კავკასიონის მთის და ალაზნის შუა, სადაც შემდეგ ააშენეს ციხეები ჭარისა და ბელაქნისა, რომელთა აღებაც რუსებს ძალიან ძვირად დაუჯდათ; ქართლში გამაჰმადიანებული მეფეები იყვნენ; კახეთი კი სულ უმეფოდ იყო – და გაქცეული თეიმურაზი იმერეთში ცხოვრობდა. მაგრამ ვერც ხალხი ურიგდებოდა თათრების გაბატონებას და ვერც თეიმურაზი. გადაყენებული მეფე კახეთისა სულთანისაგან შველას მოელოდა და რუსეთისაგან მფარველობას. 1619 წელს მან ელჩები გაგზავნა მეფე მიხეილ თეოდორეს ძესთან და ასე უწერდა თავის უბედურს მდგომარეობას: „თქვენ, დიდს მეფეს, გატყობინებთ ჩვენს ცრემლებს და სიგლახაკეს, ბრწყინვალეობა ჩვენი სიწყვდიადედ გადაიქცა, მზე ჩვენ უკვე აღარ გვათბობს და მთვარე აღარ გვინათებს, ნათელთ დღე ჩვენი ღამეს დაემსგავსა, და მე ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ უმჯობეს იყო არ დავბადებულიყავ და ჩემის თვალით არ მენახა ქრისტეს სარწმუნოების და ივერიის აოხრება; ეკლესიებში სახელი ღვთისა აღარ იდიდება და ცარიელნი დგანან...“ თეიმურაზი სთხოვდა მიხეილ თეოდორის ძეს ეშუამდგომლა შაჰის წინაშე, რომ მისი დედა და შვილები დაებრუნებინა. მიხეილ თეოდორის ძემ მართლა სთხოვა შაჰს საქართველო არ შეეწუხებინა. შაჰმა დაამშვიდა რუსეთის მეფე მეგობრულის გრამოტის და უფლის კვართის გაგზავნით, მაგრამ მაშინ თეიმურაზის სახლობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო (1625). ამით გათავდა რუსეთის მფარველობა. ამ დროს ქართლში არეულ-დარეულობა დაიწყოთ. როდესაც ბაგრატ V მოკვდა, იმის ქვრივმა სვიმონ-ხანი II გამო-

აცხადა მეფედ, მაგრამ თავადებმა და ხალხმა გამაჰმადიანებულ-  
ლი მეფის შვილის დამორჩილება არ ისურვეს... გაბრაზებულმა  
შაჰ-აბასმა სვიმონ-ხანს შემწედ სარდალი ყორჩი-ხანი მისცა  
ძლიერის ჯარით და მათ თან გაატანა გიორგი სააკაძე იმ სა-  
იდუმლო მინდობილობით, რომ კახელები ამოეწყვატა და ქა-  
რთლები სპარსეთში გადაესახლებინა. სააკაძემ სვიმონი მე-  
ფედ დასვა და თვითონ კახეთში წავიდა, მაგრამ აქ სააკაძეში  
ზნეობრივი ცვლილება მოხდა, მისმა გულმა სულ სხვანაირად  
დაიწყო ძვერა.

48

საკაძე ჯერ ისევ სპარსეთში იყო, რომ სვინდისით იტანჯებო-  
და, როდესაც ხედავდა შაჰისაგან თავის ქვეყნის დამცირებას და აო-  
ხრებას. აი ეხლაც კახეთში შეიტყო, რომ დატყვევებული მეფე  
ლუარსაბიც ღალატით მოეკლათ (1622). ეს იყო უკანასკნელი  
წვეთი, რომელმაც ადავსო სააკაძის აღშფოთებული სვინდისის  
ფიალა. იქნება კიდევ მოაგონდა ყოველივე ის ბოროტება, რაც  
ლუარსაბს უყო; მან დაივიწყა სამშობლოსაგან მიყენებული  
შეურაცხყოფა და შეუდგა მთლად საქართველოს განთავისუფ-  
ლების საქმეს სპარსთა მონებისაგან. მოხდა ისე, რომ სააკაძე-  
საგან დაბარებული ზოგიერთა კახელი თავადები ღალატით  
ყორჩი-ხანის კარავში დაეხოცათ. ამით ისარგებლა სააკაძემ, ხალ-  
ხი ააღელვა და ააჯანყა, მან თვითონ შესძახა პირველად: „კახე-  
ლებო, იარადი აისხითო!“ სპარსეთის ჯარი დაუყოვნებლივ ამო-  
ჟლიტეს და მოურავმა თავის ხელით მოსჭრა თავი ყორჩი-ხანს.  
ამის შემდეგ არაგვის ერისთავის დახმარებით განდევნა კახეთი-  
დან სპარსეთის მთავარმართებელი და ტფილისიც აიღო, გარ-  
და ციხისა, რომელშიაც მეფე სვიმონ-ხანი ჩაიკეტა და პატი-  
მარივით იჯდა შიგა. ქართლი და კახეთი განთავისუფლდნენ,  
ქართლს განაგებდა მოურავისაგან დაყენებული ახალგაზდა ქაი-  
ხოსრო, მუხრან-ბატონთა ჩამომავლობის გვარისა. მაგრამ მოუ-  
რავი მმართველებზედ არა ფიქრობდა, მას მოუვიდა ფიქრად  
დიდად გონივრული აზრი საქართველოს სამეფოების ერთ სამე-  
ფოდ შეერთებისა, ამის გამო უწინარეს ყოვლისა მოიხმო  
კანონიერი მეფე კახეთისა თეიმურაზი, რომელიც გაქცეული  
იყო და შავი ზღვის პირას ცხოვრობდა (1623).

მოღვაწეობა გიორგი სააკაძისა ჯერ ეს იყო დაიწყო; მა-  
გრამ ეს მოღვაწეობა ისეთი ბრწყინვალე იყო, საქართველოს  
ისე დიდ ხანს აღარ ენახა მტერზედ ასეთი გამარჯვება, რომ სააკა-  
ძე, წინად მისი მოღალატე და თავზარ დამცემი, ეხლა ხალხის  
საყვარელ გმირად გადაიქცა და მთელს თავის ქვეყანას რო-  
გორც უნდოდა ისე განაგებდა. მას ეძახდნენ ხალხის მხსნელს,  
სამშობლოს მამას და ეკლესიის შვილს; ეკლესიებში მის დღე-  
გრძელობისათვის ლოცულობდნენ; დიდკაცობამ თავი მოიხარა

49

მოურავის დიდებული ღვაწლის წინაშე და დადგა მის დრო-  
შის ქვეშ, რომელიც ყველგან ამაყად და ძლევა-მოსილებით  
ფრიალებდა, პოეტნი და მგოსანნი ადიდებდნენ მტრის თავზარ  
დამ-  
ცემს სახელს მოურავისას. სამშობლომ მას ყველაფერი აპატივა,

ყველაფერი შეუძლო. თითქმის მისი თანამედროვე არჩილ მეფე ამბობს, სააკაძის უფლება ისეთი დიდი და ძლიერი იყო საქართველოში, რომ სადაც ის იყო, იმის ნება დაურთველად ვერც ერთი დიდებული თავადი და ვერც მთავარი ვერ დაჯდებოდაო. მაგრამ მოურავი, როგორც ჰმოწმობს ისტორია, არ ადევდა ვნებათა ღელვას და არ ამპარტავნობდა თავის დიდის ღვაწლით. მისმა ზღვა გულმა არ იცოდა შუა გზაზედ შეჩერება რა იყო. ერთ დროში მძულვარებით გამსჭვალულს მის გულში ეხლა სიყვარული ღვიოდა და სხვა იმედით სძგერდა; მას უნდოდა გაენთავისუფლებინა თავის სამშობლო მტერთა მონებისაგან.

სააკაძეს დროც არა ჰქონდა თავის მოღვაწეობით ეამპარტავნა, – მან კარგად იცოდა, რომ შაჰი არ შეარჩენდა მოღალატობას და სამაგიეროს გადაუხდიდა, სპარსეთიდან შაჰის მუქარის ამბები კიდევ მოდიოდა. გაიგო თუ არა სააკაძის ღალატობა და კახეთში თეიმურაზის კვალად გამეფება, შაჰმა მოაკვლევინა სპარსეთში მყოფი სააკაძის შვილი და ზურაბ ერისთავის ცოლი; თეიმურაზის დედა დიდსულოვანი ქეთევანი კი საშინლად აწამებინა. ქეთევანს უთხრეს – ორში ერთი ამოირჩიეო: ან გამაჰმადიანება და ან სიკვდილიო. ქეთევანმა ჯალათის ხელით სიკვდილი არჩია (1624). ხალხით გაჭედებულს მოედანზედ გააშიშვლეს დედოფალი და გახურებული მარწუხებით დაუწყეს ხორცის გლეჯა; მაგრამ იგი დიდსულოვნებით იტანდა ტანჯვას და ამაოდ ურჩევდნენ ქრისტეს უარის ყოფას. მამინ დაწყულეებულს ტანზედ დააყარეს ნაკვერჩხალი, მაგრამ მაინც ვერ დასძლიეს. ბოლოს დახურეს თავზედ გავარვარებული თუჯის ქვაბი და მამინ კი მიიცივალა ამ საშინელის გვირგვინით დაგვირგვინებული ქეთევანი. ამ ამბის გაგონებაზედ მეფე ძალიან შეწუხდა, სპარსეთში მყოფი მისი ორი შვილი ხომ ადრევე შეიქმნენ მსხვერპლნი შაჰის მტარვალობისა: ჯერ ისევ 1620 წელს

50

შაჰმა ბრძანა მეფის შვილების გასაჭურისება, ერთი მათგანი ამ უღვთო ოპერაციის დროს გადაიცვალა, მეორე კი ჭკუაზედ შესცდა, რომ სამს წელიწადს კიდევ ეცოცხლა ქვეყანაზედ უბედურად. რა გასაკვირველია, რომ ყოველივე ამის შემდეგ თეიმურაზის გულში გაელვიდა ძველს მძულვარებას სააკაძესადმი, რომელიც იყო მიზეზი მისი ოჯახის დაღუპვისა. ქეთევანის სიკვდილმა ხალხზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მასაც მოაგონდა, რომ სააკაძე იყო მიზეზი ამ სიკვდილისა და იმ აღრულოლობისა, რომელიც შეიქმნა მიზეზი შაჰ-აბასის შემოსევისა საქართველოში; ეს მოგონება მოურავის წარსული ცხოვრებისა წინ გადაეღობა მის ძლევა-მოსილებას და ხალხმა დაჰკარგა ნდობა თავის გმირისა. ეკლესიამ ქეთევანი წამებულთა შორის შერაცხა; მისი ნაწილი ზოგი ალავერდის ეკლესიაშია და ზოგი ბელგიაში, ქალაქ ნემურის ტაძარში; – კათოლიკეთა მისიონერები დაესწრნენ ქეთევანის წამებას, გაჰკვირდნენ მისი დიდსულოვნებით და ნაწილი იმის სხეულისა ევროპაში წაიღეს.

ქეთევანისა და ახალგაზდა სააკაძის სისხლმა ვერ ჩააქრო მრისხანების ცეცხლი შაჰ-აბასისა და სპარსეთის ჯარი ისა-ხანის სარდლობით წამოვიდა საქართველოზედ. მოურავმა მოუყარა თავი თავის დროშის ქვეშ მეფე თეიმურაზს, არაგვის ერისთავის და სხვა თავადების ჯარებს და 12 ივნისს 1624 წელს მდინა-

რე ალგეთის ნაპირზედ სრულიად გაჰვანტა ისა-ხანის ჯარი. ამავე დროს მცირედის რაზმით დაამარცხა ერევნის ზეგი, რომელიც ისა-ხანის მოსაშველებლად მოდიოდა. მაგრამ ხალხის უნდობლობამ და ურთიერთ შორის უთანხმოებამ მოურავს მოულოდნელად გამოსტაცეს ხელიდან გამარჯვება. ომში მოკლულთა რიცხვში ერია ვინმე თეიმურაზი, თავადი მუხრანისა; ხმა დააგდეს, რომ მეფე თეიმურაზი ღალატობით მოჰკლესო, ამის გამო ჯარი აჯანყდა და არეულ-დარეული ტფილისისკენ წამოვიდა. სპარსელებმა კარგად ისარგებლეს ამ შემთხვევით: უკან დაედევნენ არეულ ქართველებს, გზა და გზა ხოცავდნენ და ამგვარად მოადგნენ ტფილისს, სადაც სვიმონ-ხანი ისევ ციხეში იყო გამაგრებული.

51

ქართველების ჯარი აღარ იყო და ქვეყანა ღვთის ანაბრად დარჩა. მაგრამ მოურავი იმედსა და მხნეობას არა ჰკარგავდა. მან დაიწყო პარტიზანული ომი, რომელშიაც უფრო დიდი ნიჭი გამოიჩინა. ერთხელ სამოცი ცხენოსანით თავს დაესხა მთიდან ჩამომავალს სპარსეთის ჯარს და შვიდასი კაცი მოუკლა. მოურავმა არა ერთხელ გაიმარჯვა ამნაირად და მისი სახელი შეიქმნა იმდენადვე საშიშარი სპარსელებისათვის, რამდენადაც თვით სპარსელნი იყვნენ სიმრავლით საშიშარი ქართველებისათვის. ისა-ხანს ეშინოდა პატარ-პატარა რაზმების აქედ-იქიდ გაგზავნისა, რადგან მოურავი მათ ხშირად მუსრს ავლებდა ხოლმე. ამისათვის განიზრახა მთელი თავისი ჯარით ქართლზედ გალაშქრება. ეს გაიგო თუ არა სააკაძემ, მაშინვე შეუდგა მზადებას მტრის დასახვედრად, ღართის-კარში გააკეთა მაგარი სანგლები და უსათუოდ შეაჩერებდა კიდევ მტერს, მაგრამ ყოველმა მომზადებამ ამაოდ ჩაუარა, არავის ერისთავმა უღალატა და ხოსრო-მირზა თავისი ჯარით თავისი საერისთაოზედ გაატარა.

საკაძის წარსული ცხოვრება იყო მიზეზი, რომ მისი პირადი ვაჟკაცობა და სამხედრო ნიჭი უსარგებლო იყო ქვეყნისათვის. ხალხს კარგად ახსოვდა ის ბოროტება, რომელიც მან საქართველოს მეფეებს უყო, ამისათვის წააგებდა სადმე თუ არა ბრძოლას, ხალხი აღარ ენდობოდა ხოლმე; ხოსრო-მირზა, რომელსაც ეხლა ბრძოლას უპირებდა, თვით მოურავისაგანვე იყო გაწრთვნილი. იყო დრო, როდესაც გამაჰმადიანებულ მეფის ნაბიჯვარს ხოსრო-მირზას, ყველასაგან უცნობს და ღატაკს, სპარსეთის სასახლეში ძლიერი მოურავის მფარველობა ენატრებოდა. მოურავმა განიზრახა მოძულეებულ ლუარსაბის მეტოქედ და მემკვიდრედ ხოსრო მოემზადებინა, რადგანაც თვითონ ლუარსაბი შაჰს დაპატიმრებული ჰყავდა. აი რა მოხდა მაშინ: ერთხელ მოურავს მეჯლისი ჰქონდა და გარშემო სპარსელები უსხდნენ. მოურავმა რომ ხოსრო-მირზა დაინახა შემოსული, მაშინვე ფეხზედ წამოუდგა, პატივის-ცემით წინ მიეგება და სთხოვა საპატიო ადგილი იმას დაეჭირა, თვითონ კი მოკრძალებით შორს

52

დაჯდა. სპარსელები გაჰკვირდნენ და მაშინ გაიგეს, რომ ხოსრო-

მირზა საქართველოს ბატონიშვილი და ტახტის მემკვიდრე იყო. ამას შემდეგ შაჰ-აბასმაც მიიხმო უცნობი ბატონიშვილი და ისპაღანის გუბერნატორობა მისცა. აი ეს ხოსრო-მირზა შეიქმნა ეხლა მოურავის მეტოქედ და მტრად.

ხოსრო-მირზა ძლიერის ჯარით შეებრძოლა სააკაძეს და დაამარცხა ჯარის სიმრავლით. მოურავი დაემორჩილა ძალას და კვალად დაიწყო პარტიზანული ომი თავის მცირე ჯარით. მოურავმა მრავალჯერ დაამარცხა სპარსელები, მაგრამ ამით ომის მიმდინარეობა მაინც აღარ შეიცვალა. ქსნის ხეობაში სააკაძემ ისეთი ღვთის რისხვა მოუვლინა სპარსელებს, რომ მდინარე ქსანი მოკლულეებით შეგუბდა და წყალი სისხლით შეიღებდა; მაგრამ ურიცხვმა მტერმა მაინც განვლო ხეობანი და ხოსრო-მირზა ტფილისში შემოვიდა. ქართლი დამორჩილდა.

საკაძე თავის საქმეს მაინც წაგებულად არა სთვლიდა. ახლა არა როგორც სარდალი, არამედ როგორც „რანიდი“, მოსიარულე თავის საყვარელ სამშობლოს ნანგრევებზედ, მედგრად ებრძოდა სპარსელებს რამდენიმე თავ-გამოდებული ვაჟკაცით. დღეს ამარცხებდა მტრის რაზმს, ხვალ იღებდა ციხეს და მეციხოვნეთ ჟლეტავდა. ამავე დროს ოსმალებს შემწეობას სთხოვდა, არაგვის ერისთავს შეურიგდა და ცდილობდა მიემხრო იმერეთი, სამეგრელო და სხვა სამთავროები სამშობლოს განთავისუფლების ომში მონაწილეობის მისაღებად.

ერთხელ კიდევ გაიკაშკაშა სააკაძის ბედის ვარსკვლავმა ოსებთან ომის დროს; ოსებმა ისარგებლეს საქართველოს გაჭირვებულის მდგომარეობით და გადუდგნენ მას. სააკაძემ სასწრაფოდ გადალახა მაღალი მთები, რამდენიმე ციხე აიღო, მთელ ოსეთს თავზარი დასცა და დაიმორჩილა. ამ ომის მეისტორიე გვიამბობს ერთს ამბავს, რომელიც მოურავის დიდსულოვნებას ამტკიცებს. ერთს ომში ოსებმა სასიკვდილოდ დასჭრეს სააკაძის მეგობარი თავადი მაჩაბელი და უნდოდათ თავი მოეჭრათ; მოურავი შევარდა შუაგულ მტრებში და სისხლში მოსვრილი მეგობარი მხარზედ შეიღო და გამოიყვანა.

53

მაგრამ მოურავის პირადმა ვაჟკაცობამ და ღვაწლმა საქართველო ვერ დაამშვიდა. ხალხი ყოყმობდა და არ იცოდა მიმხრობოდა თავის გამირს მოურავს, თუ სპარსელებს დამორჩილებოდა; საუბედუროდ, რამდენიც დრო გადიოდა, ხალხი იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ სააკაძე სპარსეთს ვერ მოერეოდა. გასაჭირი დრო დაუდგა სააკაძეს. მრავალმა დიდკაცობამ შესწყვიტა მასთან კავშირი და დღითი-დღე მოურავს ძალა აკლდებოდა. განუწყვეტელის ომებით დაღლილს ხალხს მშვიდობიანობა სწყუროდა. არაგვის ერისთავმა ზურაბმაც კვალად უღალატა. როდესაც გაბრაზებული სააკაძე მასთან წავიდა საომრად, ზურაბი თეიმურაზს შეუერთდა და ბაზალეთის მინდორზედ მომხდარ ომში მოურავი სრულიად დამარცხდა. მაშინ დამაშვრალმა და იმედ-მიხდილმა სააკაძემ ხელ-მეორედ დაუტევა სამშობლო და კოსტანტინოპოლში წავიდა. იქ ამ გამირის სახელმა და დიდებამ ერთხელ კიდევ გაიხმაურა მთელს აღმოსავლეთში. მაგრამ ესევე დიდება შეიქმნა მის დამღუპველ მიზეზად. ოსმალეთის ჯარების მთავარ სარდლის ცოლმა თავის ქმარს კოსტან-

ტინოპოლის ამბები აცნობა და სხვათა შორის მისწერა: „ეგ ვინ მოურავია აგრეთი გამოჩენილთ, რომ შენი სახელი დასწრ-დილა? რა არის სიცოცხლე, თუ დიდების შარავანდედით არ არის შემოსილი?“ გაჯავრებულმა ვეზირმა მიიხმო თავისთან სააკაძე და თავი მოაკვეთინა (1629). ამგვარად დაილუპა ის სარდალი და გმირი, რომელიც თავის სამშობლოში სამართლიანად იწოდება ქართველ ალკივიადად \*).

შაჰ-აბასი სააკაძეზე ერთი წლით ადრე გადაიცვალა...

---

შაჰ-აბასი მოკვდა (1628 წ.), მაგრამ საქართველოში სპარსეთის მფლობელობას მაინც ბოლო არ მოეღო. ამ მფლობელობამ საქართველოში ისეთი სისხლით შესერილი კვალი დასტოვა, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ვეღარ წაიშალა.

---

\*) გიორგი სააკაძე შეიქმნა მამა-მთავრად ეხლანდელის თავადების თარხან-მოურავებისა.

54

დადგა დრო გამაჰმადიანებულ მეფეებისა, – ე. ი. სპარსეთის ერთგული მეფეებისა; ესენი სპარსეთში იზრდებოდნენ და როცა კვდებოდნენ, იქვე მიჰქონდათ დასამარხავად.

ამ მეფეების დროს საქართველო სრულიად დასუსტდა და მოუძღურდა ღონითაც და ზნეობითაც. ქართლი და კახეთი გაოხრებული იყო; ვერც პატარ-პატარა სამეფოები და სამთავროები ასცდნენ აოხრებას, თუმცა იგინი იმათ მიუდგებოდნენ ხოლმე, საითაც გამარჯვებას ხედავდნენ. ამ დროს სამცხე-საათაბაგოც ოსმალებმა დაიჭირეს, მაჰმადიანობა დიდის სისწრაფით გაავრცელეს და ციხეები ააშენეს. შინაურობაში კვალად ასტყდა ძველი დინასტიური შფოთი და ამბოხება, მხოლოდ ბუნაგი ამ ინტრიგებისა თვითონ თეირანი იყო. რადგანაც საქართველოს ბედ-იღბალი შაჰის ხელთ იყო, ამისათვის იგი სასარგებლოდ ხედავდა საქართველო დაენაწილებინა და მოახერხაკიდეც: ყოველი თავადი და ფეოდალი იმის ცდაში იყო, რომ დამოუკიდებლობა მოეპოვა. ასეთი უკანონობა და თავგადასავლობა შედეგი იყო სუსტი და უღონო მთავრობისა.

თუ რანაირ აბუჩად იყო მეფის უფლება აგდებული, ამას ცხადად გვიმტკიცებს თვით მეფე ვახტანგ VI კანონმდებლობა, გამოცემული მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, სადაც სხვათა შორის სწერია: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს – ქნას, თუ არა და სახელი და საუკუნო სუფევა უნდოდეს. შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ხელის აღება, თუ ბედნიერის ხელმწიფის ყანით იყოს ერთი რამე საქმე – უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ ქნას ის იწუნდეს იმისი საქმე სხვა არის“. ნამდვილად კი უფრო ბევრნი ტახტის დაჭერას ცდილობდნენ, ვიდრე უარის ყოფას; სამეფოს მიღებაცა და დაკარგვაც შაჰის სასახლეში გაიმჯერობის წყალობით ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მაგალითებრ, კახეთის მეფე თეიმურაზმა შაჰ-აბასის სამეფოდ, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისევ მალე გამოაცალეს ხელიდან; ამას შემდეგაც კიდევ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ კიდევ განდევნეს გამაჰმადიანებულმა მეფეებმა, რომელნიც შაჰის

შემწეობით კახეთში გამეფდებოდნენ ხოლმე. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თეიმურაზმა ამ გაჭირვების დროს არა ერთხელ სთხოვა რუსეთს შემწეობა, მოსკოვშიაც კი წავიდა, მაგრამ თვით რუსეთს ამდროს ომი ჰქონდა შვეციასთან და პოლმასთან და შორს მყოფ ივერიას შემწეობას ვერ მისცემდა.

რუსეთისაგან შემწეობის თხოვნამ ახლა სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. თუ წინად მტრის მოსაგერებლად სთხოვდნენ შემწეობას, ახლა ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგოდ სთხოვდნენ. ისტორია მოგვითხრობს ერთს საშინელს ამბავს, რომელიც რუსეთის იმედით მომხდარა. იმერეთის მეფე ალექსანდრე III იმდენი ძალა არა ჰქონდა, რომ სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი მოეგერებინა; ამისათვის რუსეთის მეფეს სთხოვა შემწეობა და იმანაც აღუთქვა. მაშინ ალექსანდრეს უმცროსმა ძმამ მამუკამ, რაკი რუსეთის იმედი ჰქონდა, თვითონ გაილაშქრა სამეგრელოზედ, მაგრამ ლევანს ტყვედ ჩაუვარდა და თვალები დასთხარა, რისაგანაც იგი გადაიცვალა. თუ რა ნაირი სასტიკი და თავდაუჭერელი კაცი იყო ლევანი, ეს ცხადად სჩანს შემდეგი გარემოებიდან: მან თავის ცოლს ცილი დასწამა ერთს ვეზირზედ, ორივე ზარბაზნით მოაკვლევინა და თავის ორი შვილი მოაწამლინა.

შავი და ბნელი იყო ეს ეპოქა უძლურებისა, საქართველო გარეშე მტერს ვედარ იგერებდა, იგი ოსმალებმა და სპარსელებმა ბრძოლის ასპარეზად გაიხადეს. გონებრივი და ზნეობრივი მიმართულება სრულიად შეიცვალა. ლიტერატურა სპარსულის გემოვნებისა იყო, მთელს საქართველოში სპარსული ენა გაბატონდა, მშვიდობიანობის დროს ქართველები სპარსულს ლიტერატურას სწავლობდნენ; შეძლებულთა და ცნობის მოყვარულ პირთ სპარსული წიგნების ბიბლიოთეკები ჰქონდათ. ქართული მწერლობის ნაშთი კი მხოლოდ მონასტრებში იყო დაცული და მართო იქ ასწავლიდნენ სამღრთო წიგნების კითხვას და წერას, – ამ დროინდელი განათლებაც მხოლოდ ეს იყო. მუსულმანთა შიშით სკოლები აღარ იმართებოდა. არა ერთი და ორი ქართველი ჰგრძნობდა, რომ საქართველოს სარწმუნოება

56

და გონებითი ძალა იღუპებოდა, რისა გამოც ბევრი მათგანი რუსეთში გადასახლდა.

ამ დროის მეფეთა შორის ყურადღების ღირსია ვახტანგ VI, როგორც შესანიშნავი მემატიანე და კანონმდებელი. იგი სულით და გულით ქრისტიანი იყო, მაგრამ გარემოებამ აიძულა გარეგნად მუსულმანობა მიეღო. მთელი თავის მეფობის განმავლობაში კი (1711-1724) სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ ქრისტიანობა მკვიდრად დაემყარებინა და ამ მხრივ ბევრიც გააკეთა. იმის სახელთან დაკავშირებულია დასაწყისი იმ საქმისა, რომელმაც სულ სხვა მიმართულება მისცა საქართველოს ისტორიას და დაჰბადა მისი აღსადგენი გარემოებანი. ეს გარემოება იყო ოსმალთა მიერ მთელი საქართველოს დაპყრობა. მათგან დამარცხებული ვახტანგი იძულებული შეიქმნა სამშობლოს განშორებოდა და 1724 წელს პეტერბურგში წავიდა, ოსმალებმა კი საქართველო დაიპყრეს და ოსმალეთის ნაწილად ჩარიცხეს.

თუმცა ძალიან მძიმე იყო საქართველოსათვის ოსმალთა შემოსევა, მაგრამ ამას თავისი კარგი შედეგიც ჰქონდა. სპარსეთი საქართველოზედ ვედარა ბატონობდა და მის ზნეობაზედაც აღარა ჰქონდა გავლენა; 1729 წ. საქართველო ოსმალეთის ნაწილად იქმნა აღიარებული და ამით გამაჰმადიანებულ მეფეებსაც ბოლო მოეღო. ამის შემდეგ განვლო რამდენიმე ათმა წელიწადმა და დადგა დრო საქართველოს მეცნიერებისა და ლიტერატურის აღორძინებისა. სპარსეთი უნდა მიხვედრილიყო, რომ საქართველოსგან გადაჭარბებული არაფერი უნდა მოეთხოვა, თუ უნდოდა, რომ მაზედ მისი გავლენა არ შემცირებულიყო; როდესაც შაჰ-ნადირმა ოსმალეთზედ ზედი-ზედ გაიმარჯვა და უკან დაიბრუნა წართმეული ადგილები, საქართველოში 1744 წელს ქრისტიანი მეფეები დანიშნა: ქართლში თეიმურაზ II და კახეთში მისი შვილი ირაკლი II. თეიმურაზს სატახტო ქალაქად ტფილისი ჰქონდა და პირველად ამან აღადგინა ძველი წესი მირონის და გვირგვინის კურთხევისა მცხეთაში.

წარსული საუკუნის ნახევარში, შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში დაიწყო ურთიერთშორის ომები ტახტის

57

მემკვიდრეობის გამო, ამან სპარსეთი ძლიერ დააუძლურა და საქართველომ კი თავისუფლად ამოისუნთქა. რაკი საქართველოს ორი ძლიერი სამეფო მამისა და შვილის ხელში იმყოფებოდა, ამისათვის იგი ადვილად იგერებდა თავის დაუძინებელ მტერს ლეკებს და შინაურობაშიაც აღრეულობა აღარა ხდებოდა.

მაგრამ თეიმურაზის და ირაკლის შორისაც დაიწყო უთანხმოება, რისგამოც პირველი მათგანი პეტერბურგში წავიდა და იქ გადაიცვალა 1762 წელს სამოც და ათის წლისა. მისი გვამი ასტრახანში გადაიტანეს და ქალაქის ეკლესიაში დაასაფლავეს. მის საფლავის ქვაზედ დღემდის დაცულია შემდეგი ზედ-წარწერა ქართულად: „თეიმურაზ ნიკოლოზის ძე, მეფე საქართველოსი, ქართლისა და კახეთისა, მოვიდა პეტერბურგს 1761 წელს პატივის-ს-საცემლად მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის სრულად რუსეთის დედოფლისა“. საკვირველია, რომ 90 წლის შემდეგ, 1853 წელს, საიმპერატორო აკადემიის წიგნის მალაზიაში შენახულ თითბრის ფიცართა შორის, იპოვეს საქართველოს მეფის თეიმურაზის სურათი, რომელიც მშვენივრად არის გადახატული ანტროპოვისაგან ნამდვილიდან, სურათზედ იგივე ზედ-წარწერაა, რაც საფლავის ქვაზედ.

მამის სიკვდილის შემდეგ ირაკლი შეიქნა მეფედ ქართლისა და კახეთისა (1762). ამ დროს მას გამოუჩნდა რუსეთიდან ტახტის მოცილე ბაქარი, ვახტანგ VI შვილი და ბევრი მომხრეებიც იმოვნა ტფილისში, სადაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ქართლის მეფის ჩამომავლობა; მაგრამ იგი იძულებული შეიქნა ისევ რუსეთში გაქცეულიყო. მის მომხრეებს სასტიკი სასჯელი მოელოდათ, დღესაც უჩვენებენ ავლაბრის მიდამოში ადგილს, სადაც ეგზონო კოცონი ბაქარის მომხრეთა დასასჯელად.

(შემდეგი იქნება)

# ღვინის დაყენება

## II \*)

### ტკბილი

\*\*)

ყველამ კარგად იცის, რომ ღვინო საზოგადოდ ორნაირია: თეთრი და წითელი. ეს ორგვარი ანუ ორფერი ღვინო ერთმანეთისაგან განირჩევიან როგორც თავიანთი შედგენილობით (განსაკუთრებით საფერავის და ტანინის რაოდენობით), ისე თავიანთი ხასიათითაც ანუ ფიზიოლოგიური მოქმედებით მსმელის ორგანიზმზე. მათი ხასიათი და თვისება სრულიად დამოკიდებულია, როგორც თვითონ ყურძნის ბუნებაზე, ისე მისი წვენი და დუღების გარემოებაზე. თუ ყურძენი შავია და მისი ტკბილი ჭაჭით დადულდა, მაშინ ღვინოს რასაკვირველია წითელი ფერი ექნება და თუ ყურძენი თეთრია და ან შავი ყურძნის წვენი უჭაჭოდ არის დადულებული, მაშინ უეჭველად თეთრი ღვინო დადგება. მაშ ამ ღვინოების განსხვავება უფრო გამოწვეულია მათი დუღილის რიგით და გარემოებით. დუღილის შემდეგ კი ორივე ღვინოს ერთგვარი მოვლა უნდა, მხოლოდ ცოტაოდენი განსხვავებით. ამის გამო ამ ორგვარი ღვინოების

\*) «მოამბე» № 4.

\*\*) მე-4 №-ში, „ღვინის დაყენებაში“, მე-68 გვერდზე გამოტოვებულ უნდა იქმნას შემდეგი სიტყვები:... „3) ლიქორიანი ღვინისას და 4) შამპანური ღვინისას“; უნდა იკითხებოდეს ასე:... „ჩვენ ახლა ცალ-ცალკე გავსინჯავთ: 1) წითელი ღვინის დადუღებას და 2) თეთრი ღვინისას. ამათ ცალკე გავარჩევთ“... და სხვ.

## საქართველო და მისი ისტორიული

### წარსული დრო \*)

ვ. პოტტოსი

#### რუსებისაგან ტფილისის დაჭერა 1783 წელს

ქართლის და კახეთის ერთ სამეფოდ შემაერთებულ ირაკლი II მეფობიდან საქართველოს ახალი ეპოქა დაუდგა, ბოლოს და ბოლოს სრულიად დამშვიდებული ცხოვრება ეღირსა. ეხლაც მოდიოდნენ სპარსნი და ოსმალნი, უწინდებურად ეხლაც ესეოდნენ ლეკები, მაგრამ საქართველოს თან და თან რუსეთი უწევდა მფარველობას და ბოლოს ხომ სრულიადაც მოჰკიდა ძლიერი ხელი და ეს უძლიერესი საქრისტიანო ქვეყანა მაჰმადიანთ ხელიდან გამოსტაცა. ეს დრო იყო – დრო ხალხის აღდგენისა, სარწმუნოების და ზნეობის მხრით აღორძინებისა, იმედთა აღფრთოვანებისა, და ირაკლი თავის სიქველითა და მოღვაწეობით ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო ამ დროისა.

ჯერ ისევ მაშინ, როდესაც სპარსეთის სასახლეში იმყოფ-

ფებოდა და შაჰ-ნადირთან ერთად ინდოეთში იბრძოდა, იგი ისე გულგრილად უყურებდა ამ ზღაპრული ქვეყნის სიმდიდრეს, რომ აღმოსავლეთის მბრძანებელი გასაკვირველობიდან გამოდიოდა. ეს კაცი – იდეის კაცი იყო; შაჰმა კარგად იცოდა კაცების ამორჩევა და დაფასება, ამისთვის სამხედრო საქმეების შესახებ

---

\*) «მოამბე» № 5.

2

ირაკლის რჩევას დიდს პატივს სცემდა და ასრულებდა კიდევ. ამბობენ, ირაკლის აზრს ინდოელი ქურუმები, ბრამინები და ფაკირებიც დიდს პატივს სცემდნენ და ზოგიერთი მისი სიტყვები ანდაზებად გავრცელდა.

როგორც მეომარი, ირაკლი ნამდვილი მეფე-რაინდი იყო, ხალხისთვის იდეალი მეფისა და სარდლისა. აი როგორ გვიხატავს, მას გარდმოცემა: როდესაც იგი ჯერ მარტო კახეთის მეფე იყო, 1752 წელს საქართველოში სპარსეთის ბლომა ჯარი შემოვიდა ჯავრის ამოსაყრელად, რადგანაც ქართველებს სპარსელები ძლიერ დაემარცხებინათ. ერევანთან ქართველები სულ სამი ათასი კაცი იყო და ირაკლის ბევრი უკან გამობრუნებას ურჩევდა, მაგრამ მეფე არ დათანხმდა: „ეხლა უკან გაბრუნება გვიანდა არის, – უთხრა მან თავის მხლებლებს, – როგორც კი ერთს ფეხს გადავდგამთ უკან, მტერს ვერც ერთი უსიკვდილოდ ვერ გადვურჩებით“. ჯარს კი შემდეგი გრძნობიანი და გულის გასაგმირი სიტყვით მიმართა: „არ იფიქროთ, – უთხრა მან, – ვითომ მე თქვენ იმისთვის გაღვრევიანებდეთ სისხლს, რომ ჩემი სამფლობელო გავიდიდო და უფრო დიდი ძლიერება შევიძინო; – მივდივარ სამშობლოს და ჩემ ქვეშევრდომთა დასაცველად“. ჯარს უბრძანა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ომი კი იქამდინ არ დაეწყო, ვიდრე თვითონ არ ანიშნებდა თოფის გასროლით; თოფის გასროლის შემდეგ კი ყველას ერთად უნდა ესროლათ მტრისათვის თოფები და მერე ხმაღ და ხმაღ დარეოდნენ. ირაკლი შეჯდა ცხენზედ და წინ გაუძღვა ჯარს, ერთ ხელში ალვირი ეჭირა და მეორეში თოფი; ამ დროს მის ჯარში მყოფმა თათრებმა ცალკე გასვლა დაიწყეს იმ აზრით, რომ ვინც გაიმარჯვებდა იმას მისდგომოდნენ. ამის მნახველი ირაკლი ძლიერ შეწუხდა, გადმოხტა ცხენიდან, დედამიწაზედ პარქვე დაემხო და ჯვარზედ გულმხურვალედ ილოცა, მაშინ თათრის ჯარის ერთი ბელადი მივიდა მასთან და სთქვა: „ჯვარო! თუ ძლიერება გაქვს, დღეს სასწაულს მაჩვენებ“. სპარსელები კი ამ დროს გარშემო შემოერთყნენ ქართველებს და ერთი მათი ხანი წამოდგა წინ და ხმა-მალლა დაიძახა: „სად

3

არის მეფე ირაკლი?“ – „თუ მეფეს ეძებ, – მიუგო ირაკლიმ, – შემომხედე, აი აქა ვარ, შენ წინა“. ხანი შუბით მიესია მეფეს, მაგრამ მან თოფი ესროლა და ძირს დასცა. ქართველებმა ეს მტერზედ თავ-დასხმის ნიშნად მიიღეს; თვითონაც დაცალეს თოფები და მერე ისე ანაზდეულად ეკვეთნენ მტერს, რომ სრულიად გააქციეს. გამარჯვებულთ ჩაუვარდათ ხელში თორმეტი ზარბაზანი, მთლად დროშები, ათასი აქლემი და მთელი ბანაკი.

სასწაულის მნახველი თათრის ბელადი საშინლად გაჰკვირდა სპარსელების დამარცხებით და ქრისტიანობა მიიღო. ასეთი იყო მეფე-რაინდი ირაკლი. მისი სახელი მალე შეიქმნა იმდენად დიდებული და შესაზრი, რომ არა ერთი მეზობელი ხანი ეძებდა მის მფარველობას ქვეშ ყოფნას.

როდესაც მეფე ირაკლი კახეთისა და ქართლის მეფე შეიქმნა, პირველ ხანებში ძლიერ კარგ გარემოებაში იყო. სპარსეთის ტახტზედ იჯდა ირაკლის მეგობარი ქერიმ-ხანი, მეფემაც ისარგებლა ამ გარემოებით, ლეკები დაამშვიდა, მამფოთარს განჯის ხანს ხარჯი დაადო, ციხე-სიმაგრენი მრავალი ააშენა და ბევრს ზრუნავდა თავის ქვეყნის შინაური ცხოვრების წარმატებისთვის. ასე გაიარა რვა წელიწადმა. იმერეთის მეფემ სოლომონ I ოსმალებს დაუწყო ომი, რომელიც იყო მიზეზი ტოტლებენის გამოლაშქრებისა კავკასიაში; ამ დროს ოსმალები კინაღამ კიდევ არ შემოესივნენ საქართველოს; მაგრამ რუს-ოსმალთა შორის შერიგება მალე მოხდა, 1774 წელს; ამ მორიგების ძალით ქართლი და კახეთი დამოუკიდებელ სამეფოებად იქმნენ აღიარებული და სულთანმაც ველარაფერი გაბედა მათ შესახებ. მაშინ სულთანმა სხვა საშუალებას მიმართა – ლეკები ააჯანყა საქართველოს წინააღმდეგ, რომელნიც დრო-გამოშვებით ქართლს იკლებდნენ ხოლმე, ასე რომ ხანდახან ტფილისამდინაც მოდიოდნენ. ამ დროს სპარსეთში ირაკლის მეგობარი შაჰი ქერიმ-ხანი გადაიცვალა და ირანის ახალმა მბრძანებელმა მეფეს დამორჩილება მოსთხოვა. ომებით დამაშვრალმა ირაკლიმ გადასწყვიტა თავის სამეფო რუსეთისათვის გადაეცა და შორს-გამჭვრეტელი უგანათლებულესი თავადი პოტემკინის წყალობით ამის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.

4

რუსეთის დედოფალმა ეკატერინემ გადასწყვიტა საქართველო თავის სამეფოსთვის შეერთებინა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ამით თავის უამისოდაც დიდი სამეფო გაედიდებინა; არა, მისი ერთად-ერთი სურვილი ის იყო, რომ დაეხსნა გაჭირვებისაგან უბედური ერთ-მორწმუნე ქვეყანა, რომელიც ასე დიდ ხანს იტანჯებოდა მაჰმადიანთაგან და შინაურის არეულობით. მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ დედოფალს განზრახვა ჰქონდა კავკასიის მთების იქით დაეარსებინა ძლიერი საქრისტიანო სამეფო, რომ ოსმალეთი ყოველთვის შიშ ქვეშა ჰყოლოდა და შეესრულებინა თავის უდიდესი პოლიტიკური პროგრამა – ოსმალნი ევროპიდან გაედევნა და ოტომანის იმპერიის ნანგრევზედ დაეარსებინა ბიზანტიის იმპერია.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირობის ქაღალდზედ ორივე სამეფოს წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი 24 ივლისს 1783 წელს ქართლის უძველეს სატახტო ქალაქ გორში; ამას შემდეგ კავკასიის ჯარების უფროსმა გრაფმა ივანე სერგეისძე პოტემკინმა გაგზავნა საქართველოში ორი ბატალიონი კავკასიის ეგერებისა და ოთხი ზარბაზანი, ამ ჯარის უფროსად პოლკოვნიკი ბურნაშევი დანიშნა. ჯარი 3-ს ნოემბერს შემოვიდა ტფილისში და ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. ავღრიანი დღე იყო, ცივი ქარი ჰქროდა და თოვლი მოჰქონდა, ქალაქის მცხოვრებნი იმახდნენ: „რუსებმა თავიანთი ზამთარი ჩვენ მოგვიტანესო...“

რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლამ მთელი ანატოლია და მცირე აზია ფეხზედ დააყენა: ცრუ-მორწმუნე მუსულმანები ამას თავის ძლიერების შემუსვრის ნიშნად სთვლიდნენ. თუ რა ნაირი თავ-ზარი დაეცემოდათ ხოლმე ყველას, როდესაც კი გაიგებდნენ რუსების მიახლოვებას, ამას შემდეგი შემთხვევა გვიმტკიცებს: ზღვის ნაპირების მცხოვრებნი ტრაპიზონისა სულ ერთიან გაიქცნენ მარტო იმის გამო, რომ ხმა გავარდა – რუსის ფლოტი შავი ზღვის ნაპირებთან გამოჩნდაო. თუმცა შემდეგში აღმოჩნდა, რომ რუსის ფლოტად ზღვაში მოცურავი ფრინველების გუნდი მოლანდებოდათ, მაგრამ მცხოვრებნი

5

მაინც ძნელად და უგულოდ ბრუნდებოდნენ დაძინებულს სოფლებში.

რუსების ძლევამოსილმა მოქმედებამ ყირიმში, ბალკანთან და კავკასიაში, და ეხლა კიდევ რუსის ჯარის შემოსვლამ საქართველოში მოაგონა ისლამის ფიცხი გონების შვილებს გოგი და მაგოგი, რომელთაც უნდა შეემუსრათ მუსულმანთა კურთხეული სამეფონი, იგინი იძულებული შეიქმნენ მიემართათ თვალი თოვლით შემოსილ კავკასის მთების იქით, საიდანაც სამხრელი კაცისთვის აჩრდილთა ქვეყანა იწყობოდა... „მაშალლახი!“ იძახდნენ მუსულმანები: „აღბად ჩრდილოეთი მართლა საკვირველი ქვეყანაა!“

იმ დროს, როდესაც მთელი აზია ღელავდა საყურადღებო ამბების მოლოდინით, ტფილისში მხოლოდ პოლკოვნიკი ტამარას მოსვლას მოელოდნენ, რომელიც დანიშნული იყო ირაკლის წინაშე რწმუნებულ ვეზირად; ამას უნდა გამოეცხადებინა სახელმწიფო აქტი, რომლის ძალითაც საქართველო საუკუნოდ რუსეთის მფარველობას ქვეშ უნდა ყოფილიყო. ეს ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა 24 იანვარს 1784 წელს.

წინააღმდეგ, მთლად სამეფო რეგალია, ეკატერინეს მიერ გამოგზავნილი და შემკული რუსეთისა და საქართველოს ღერბით, დიდის ამბით გადაიტანეს სასახლეში, სადაც ირაკლი შესაფერის პატივისცემით მიეგება მათ. მეფე თავის სამეფო ტახტთან იდგა, გარშემო უდგნენ ბატონიშვილები, კარის-კაცნი და უმაღლესი სასულიერო წოდება. მეფემ მოისმინა რუსეთის ელჩის მოკლე სიტყვა და თავის ხელით მიიღო მისგან სამეფო ინვესტიტურის ნიშნები. მეფემ სახელმწიფო დროშა და ხმალი გადასცა ორს თავადს, რომელნიც იყვნენ უძველესი გვარეულობის წარმომადგენელნი; ამ ორს გვარეულობას ძველადგანვე ჰქონდა მინიჭებული უფლება დროშაც და ხმალიც მეფესთან ეტარებინათ; მერე დაიდგა გვირგვინი, დაიჭირა სკიპიტრა და წამოისხა სამეფო მანტია. ყოველივე ამის შემდეგ ტამარამ გადასცა ირაკლის საიმპერატორო გრამოტა. ამის მიღების დროს ზარბაზანი ას ერთხელ გაისროლეს.

6

მეორე დღეს მეფეს და მთლად ქართველ ხალხს ფიცი უნდა მიეღოთ, რომ რუსეთის ერთგულნი ქვეშერდომნი იქნებოდნენ. მზის ამოსვლის უმაღლე დაიგრიალა რუსის ჯარის ზარბაზანმა და ამით აუწყა ხალხს დასაწყისი ცერემონიისა,

მთლად ტფილისის ქუჩები ხალხით აივსო. დილის ათ საათზედ რეგალიები სიონისკენ წაიღეს და ირაკლი მეფეც უკან მი-სდევდა. ტაძარში შესვლის უმაღლვე მეფე მომზადებულ სამეფო ტახტზედ ავიდა და მანტია წამოისხა. კარის დიდებულნი, რომელთაც დანარჩენი რეგალიები ეჭირათ, ტახტს აქეთ-იქით მოუდგნენ, ტახტის კიბეზედ კი მეფის შვილები და შვილის შვილები იდგნენ. აღსავლის კარის პირდაპირ ორი ძვირფასი სტოლი იდგა, სპილოს ძვლით მოჭედილი, ერთზედ რუსეთის დედოფლის გრამოტა იდო და მეორეზედ ირაკლისა. მწირველი თვით საქართველოს კათოლიკოსი იყო. როგორც კი მოიხსენიეს რუსეთის იმპერატრიცა, მაშინვე მთელს ქალაქში ზარების რეკვა ატყდა, მეტეხის ციხიდანაც ზარბაზნებმა დაიგრი-ლეს და დიდებული ტაძარის კედლები შეანძრიეს. პარაკლისის შემდეგ გრამოტების შეცვლა მოხდა, შემდეგ ირაკლი მე-ფემ დაიფიცა ჯვარსა და სახარებაზედ, ამ დროს სამეფო დრო-შა იმის თავზედ ეჭირათ და რუსის ორი პოლკოვნიკი ტამარა და ბურნაშევი აქეთ-იქით უდგნენ. ამ დიდებულ დღეს სასახ-ლეში სადილი იყო გამართული და ტფილისში მყოფი რუსის აფიცრები სულ ერთიან მიწვეულნი იყვნენ. სადილის დროს უკრავდნენ მუსიკას და ზარბაზნებს ისროდნენ \*). ხალხი ქუჩე-ბში და მეიდნებზედ მხიარულობდა, მთელ დღეს ზარის რეკვა და ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა, კახური ღვინო წყალი-ვით ისმოდა, საღამოზედ კი მთლად ქალაქი და გარემემო მთები მშვენნივრად იყო გაჩირადდებული.

---

\*) რუსეთის დედოფლის სადღეგრძელოზედ ზარბაზანი ას ერთხელ გაის-როლეს, მეფე ირაკლისა და რუსეთის სამეფო სახლის წევრებისაზედ – ორმოც და თერთმეტჯერ, საქართველოს სასახლის დანარჩენ წევრებისა და პოტემკინის სადღეგრძელოზედ კი – ოც და თერთმეტჯერ.

რასაკვირველია, ვერც ოსმალეთი და ვერც სპარსეთი ამ ამბავს გულ-გრილად ვერ დაუწყებდნენ ცქერას. რაკი პირდა-პირ ომის გამოცხადების მიზეზი არა ჰქონდათ, სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ საქართველოს შინაურს ცხოვრებაში არე-ულობა მოეხდინათ და ლეკების შემოსევის ასპარეზად გაეხადნათ. უკანასკნელი განზრახვა ძნელი ასასრულებელი არ იყო. მოუსვენ-ნარმა და ომის მოყვარულმა ლეკებმა იარაღი აიღეს და პირვე-ლად ყაზანის სოფელ ჩერანს დაესხნენ.

ჩერანი მდებარეობდა ალაზნის მაღალ ნაპირზედ, საიდანაც გარშემო არე-მარე ხელის გულივით სჩანდა; თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ უზრუნველი ქართველები სრულიად მოუმზადე-ბელნი დაუხვდნენ მტერს. იქვე ახლო მდგომი ქართველი ჯარი არ მიეშველა, ორი საათის განმავლობაში მტერმა სოფელი სრულიად აიკლო, მცხოვრებლები დახოცა და სამოც და ათამდინ კაცი ტყვედ წაიყვანა.

რასაკვირველია, რუსის ორი ბატალიონი ქვეყანას ვერ დაიცვავდა, თვით მკვიდრნი კი შიშისაგან თავზარ დაცემულნი იყვნენ, ადგილობრივი ჯარის მომატება კი აუცილებლად სა-ჭირო იყო. პოტემკინი თვითონ ჩამოვიდა ტფილისში და დაე-მუქრა ირაკლის, რომ რუსის ჯარს გავიყვან საქართველოდან, თუ არაფერს იღონებ და ადგილობრივ ჯარს არ მიუმატებო,

მაშინ ირაკლიმ გადასწყვიტა მილიციის შეკრება, რომ სამზღვარზედ ახლო მდებარე ლეკების სოფლები მაინც დაესაჯა. პოტემკინმა მოიწონა ეს განზრახვა და როდესაც ტფილისიდან გიორგიევსკში წავიდა, რუსის ჯარში ითვლებოდნენ, ქართველებს გარდა, ეგერის ორი ბატალიონი ოთხის ზარბაზნით, ასტრახანის დრაგუნების ესკადრონი და ასი კაცი დონისა და ურალის ყაზახები. სამოილოვმა ქართველების შეკრებას აღარ მოუცადა და მარტო რუსის ჯარით გაილაშქრა. 4 ოქტომბერს უკვე ყაზახში იყო, სადაც სამი დღის შემდეგ ირაკლი მეფეც მივიდა. განსაკუთრებით სურსათის უქონლობა უშლიდა ომის დაწყებას; ლეკები კი თვალ-წინ აოხრებდნენ სოფლებს და მცხოვრებნი ამაოდ თხოულობდნენ შემწეობას. რუსეთის ჯარის სახელი

8

დიდ ხანს ვეღარ აიტანდა საქმის ამ ნაირ მდგომარეობას და სამოილოვმა გადაწყვეტით გამოაცხადა, რომ ომი უნდა დავიწყოთ. ირაკლი კი არა ჩქარობდა და რუსის ღენერალი მოთმინებიდან გამოდიოდა. „დიდი უბედურებაა, – სწერდა სამოილოვი ამის შესახებ, – რომ ირაკლიმ თვით იკისრა თავის ჯარის წინამძღოლობა და თავის სარდლები არ გამოგზავნა. იმათ მე ძალას დავატანდი და მეფეს კი მორიდებით ვექცევი. იგი რჩევას ისმენს და აჩქარებით კი არა ჩქარობს...“

ირაკლის შესახებ სამოილოვის საყვედური, რასაკვირველია, მართალი იყო; მაგრამ მეფის აუჩქარებლობა და სიფრთხილე შედეგი იყო დიდი ხნის მტრებთან ომებისა: ირაკლიმ მტრის ძალა იცოდა და რუსებისა კი არა. ამასთანავე მისი ღრმა მოხუცებულებაც იყო მიზეზი, რომ უწინდებური მხნეობა და გამჭირახობა აღარ მოსდევდა.

დრო გადიოდა და სამოილოვი შიშობდა, რომ ომი აღარ მოხდებოდა, რადგანაც ამისათვის საუკეთესო დრო უკვე ხელიდან გაუშვეს. დაიწყო შუაგული შემოდგომა, მშვენიერი ამინდი ავდარზედ შეიცვალა, ოთხი დღე და ღამის განმავლობაში გადაუღებლად სწვიმდა და ეს ისე გააფუჭებდა გზებს, რომ მათზედ ზარბაზნების გატარება შეუძლებელი გახდებოდა. მდინარე ალაზანმაც მოიმატა, ასე რომ მალე გასავლელი ფონიც აღარ იქნებოდა.

ამ დროს ამბავი მოვიდა, რომ ლეკების ძლიერი ბრბო განჯიდან უკან ბრუნდება და მდინარის აქეთა ნაპირზედ გამოივლისო. სამოილოვი შიშობდა ეს დროც არ გაფუჭვა ხელიდანაო, ამისთვის ირაკლის აღარ მოუცადა და მარტო რუსის ჯარით გავიდა ბანაკიდან, 11 ოქტომბერს 1784 წელს და სოფელ მულანლოს ახლო (ალაზანზედ) დაეწია ლეკების ბრბოს. რუსებს განზრახვა ჰქონდათ ლეკებისათვის წყალში გასასვლელი გზა შეეკრათ, ამისთვის გზა გადაუჭრეს და უნდოდათ წინ ეყენათ, მაგრამ ლეკებმა დროზედ დაინახეს რუსები, აჩქარებით წავიდნენ და მდინარის პირს მდებარე ტყე სამოილოვზე ადრე დაიჭირეს.

9

გადასწყვიტეს ტყე იერიშით აეღოთ. ეგერების ორი კოლონა, ოც-ოცი კაცისაგან შემდგარი საჩქაროდ შემოერტყა

ტყეს ორი მხრიდან და ომი დაიწყო. ამ ჯარის უფროსი პოდ-პოლკოვნიკი გესსენ-რეინსფელდსკი იყო. არტილერია მარცხნივ მხარეს დადგა და ტყეს საშინლად დაუწყო სროლა. მარტო ცხენოსანმა ჯარმა ვერ მიიღო ომში მონაწილეობა, რადგანაც ადგილის მდებარეობა ნებას არ აძლევდა და მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებდა მეომართ. გავარდა თუ არა ზარბაზანი, ქართველების ჯარიც მოვიდა, მაგრამ ირაკლიმ იგი საზოგადო რეზერვში დააყენა.

ლეკები ხეებზედ ავიდნენ და იერიშით მისულს ჯარს ტყვია წვიმასავით დაუშინეს, მაგრამ ხუთი საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ იძულებულნი შეიქმნენ ტყიდან გასულიყვნენ. მაშინ იგინი მტკვარში შეცურდნენ გაღმა გასასვლელად და თავის დასაღწევად, მაგრამ რუსის ოთხმა ზარბაზანმა მუსრი გაავლო მათ შიგ წყალში. ალაზნის ზვირთები სისხლით შეიღება და მდინარე თითქმის შეგუბდა დახოცილი კაცებითა და ცხენებით. ლეკები ისე საშინლად დამარცხდნენ, რომ მარტო ტყეში ორასი მკვდარი დასტოვეს და ჩვეულებისამებრ წაღება ვეღარ მოასწრეს. რუსების მხრივ შედარებით ცოტა დაიხოცა; სამწუხაროდ, პრინცი რეინსფელდსკი, რომელიც იყო მიზეზი ამ გამარჯვებისა, სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გადაიცვალა. მისი გვამი დამარხულია ტფილისის ერთ-ერთს ეკლესიაში. ეს იყო რუსეთის პირველი მსხვერპლი და პირველი სისხლი, დაღვრილი საქართველოს განთავისუფლებისათვის. სამოილოვმა ღამე ბრძოლის ველზედ გაატარა და 20 ოქტომბერს ტფილისში დაბრუნდა.

ამ გამარჯვებამ ყველანი დაარწმუნა, რომ ლეკების დამშვიდებაც შეიძლებოდა და მათი უგუნური ვაჟკაცობის შემძუსვრაც. გახარებულმა მეფემ რუსის ჯარი დიდის ამბით მიიღო ტფილისში და სამოილოვი პირდაპირ სიონში მიიწვია, სადაც ელოდა მას პატრიარქი პარაკლისის გადასახდელად.

10

დიდმა თოვლებმა ხეობები შეჰკრეს და ომის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მაგრამ დადგა თუ არა გაზაფხული, აპრილის თვეში 1785 წელს, ახალი ძლიერი ბრბო ლეკებისა და ოსმალებისა ახლა ქართლს შემოესია. მტერმა გაიარა ბორჯომის ხეობა, რამდენიმე სოფელი ააოხრა და ექვსასამდინ ქართველი კაცი ტყვედ წაიყვანა. სურამში იმ დროს მაიორი სენნენბერგი იდგა ბელორუსის ბატალიონის ერთი ნაწილი ჯარით. იგი ორასი ეგერთ და ერთი ზარბაზნით დაეწია ლეკებს ხაშურის ახლო მტკვრის ნაპირზედ და გაუვალ ადგილას შეიმწყვდია. ლეკები და ოსმალნი ამაოდ ცდილობდნენ იარაღით გზის გაკვლევას, ეგერები მათ უწყალოდ ხოცავდნენ. ეს ბრძოლა ოთხი საათი მეტი გაგრძელდა და გათავდა მტრის საშინელის დამარცხებით. ათას-სამასი მკვდარი დასტოვეს ბრძოლის ველზედ, დანარჩენები გადაცვივდნენ მტკვარში, რომ თავი როგორმე დაეღწიათ, მაგრამ იქ უფრო ბევრნი დაირჩნენ და მათი გვამები წყალს ტფილისამდინაც კი მოჰქონდა. ოსმალნი უფრო-ძალიან დაზარალდნენ, მარტო ტყვედ ორასი კაცი ჩაუვარდა რუსებს ხელში.

ლეკებს ვაჟკაცობის სახელი გაუტყდათ. მაგრამ იმათ ერთხელ კიდევ სცადეს თავის ძალა, რომ თავიანთი ჩამქრალი

დიდება კვალად აღედგინათ და ამის გამო ხელახლად შეესივნენ ქართლს. იგივე მაიორი სენნენბერგი დაუხვდა მტკვრის ნაპირს და ფიცხელი ომი აუტეხა. ომი ქართველმა ცხენოსანმა ჯარმა დაიწყო, მაგრამ ლეკებმა მათ მალე დაატოვებინეს ბრძოლის ველი და ამით წაქეზებული მტერი ახლა რუსის ჯარს მიესია. მათი უგუნური გულადობა აღემატებოდა ყოველსავე, რაც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი სულის კვეთება მათის მხეცურის ენერგიისა, უკანასკნელი შუქი მათის დიდებისა, რომელიც ერთს დროს ლეკების დროშას აბრწყინვალებდა. მაგრამ რაკი ლეკები ამითაც ვერაფერს გახდნენ და რუსის ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, მაშინ კი შედრკნენ, აირივ-დაირივნენ და გაიქცნენ, სამასი მკვდარი დასტოვეს ბრძოლის ველზედ.

11

„ჩვენი ჯარის გულადობამ, სწერდა ამის შესახებ პოტემკინს ბურნაშევი, – უნდა დაარწმუნოს მეფე და ყველა ქართველი თუ რა ბედნიერებაა მათთვის რუსეთის მფარველობას ქვეშ ყოფნა“.

რუსეთის გამარჯვებამ ქართლსა და კახეთში კავკასია ვერ დაამშვიდა, საქართველოს თავზედ კვალად გროვდებოდა შავი ღრუბლები. აგვისტოში ყოველის მხრიდან მოდიოდა ხმები, რომ სამზღვრებზედ დიდძალი მტრის ჯარი გროვდებოდა. ახალციხეში ლეკები და ოსმალნი შეიკრიბნენ, დაღისტნიდან ავარიელი ომარხანი მოდიოდა; შინაური ლეკებიც ღელავდნენ და უნდოდათ საქართველოს გასდგომოდნენ. ჯამშუმებს მოჰქონდათ ეს ამბები და ურჩევდნენ ქართველებს თავიანთ თავი და ცოლშვილი გადაერჩინათ. ყველაზედ ძალიან უფრო ავარიის ხანისა ეშინოდათ, რადგანაც, როგორც ამბობდნენ, ხუთმეტი ათასი კაცით აპირებდა შემოსევას საქართველოში. ირაკლი განწირულებას მიეცა. იგი სამზღვრების დაცვაზედ აღარა ფიქრობდა, მცხოვრებლებს უბრძანა ოთხს ადგილას მოეყარათ თავი და მხოლოდ ამ ოთხი ადგილის დაცვაზედ ზრუნავდა. ეს ადგილები იყო: ტფილისი, გორი, თელავი და სიღნაღი. ბურნაშევემა ორივე ბატალიონს ტფილისში მოუყარა თავი და აქედან უნდოდა იქით გაელაშქრა, საითაც გაჭირვება იქნებოდა.

რუსეთისა და კავკასიის სამზღვარზედ ისე ცოტა ჯარი იდგა რუსისა, რომ იქიდან ჯარის მოშველება ყოველად შეუძლიან აწუხებდა. ჩეჩენების და ყაზარდოელების აჯანყების გამო საქართველოსკენ მომავალი გზები შეიკრა და აქ მყოფი ჯარი თავის ანაბარად იყო დარჩენილი.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, 16 სექტემბერს 1784 წელს ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ავარიის ხანი ალაზნის ნაპირზედ მოვიდაო. ბურნაშევი თავის ჯარით მაშინვე სიღნაღში წავიდა და ურჩევდა ირაკლის – წყალში გამოსვლის დროს ლეკებს თავს დასხმოდნენ. მაგრამ ირაკლიმ ვერ გაბედა გამაგრებული სიღნაღის დატოვება. მაშინ ომარხანი არხეინად გამო-

12

ვიდა ალაზანში და პირდაპირ ტფილისისკენ გამოსწია, სიღნაღის ციხეში გამაგრებულს ქართველების ჯარს ყურადღებაც

არ მიაქცია. ომარხანის ასეთმა უშიშარმა საქციელმა ირაკლის სულ გაუცრუა დაწყობილობა და იძულებული შეიქმნა საჩქაროდ ტფილისს მოშველებოდა. მაგრამ როგორც კი ბურნაშევი მოუახლოვდა ავლაბრის ხიდს, ომარხანი სხვა გზით გატრიალდა და ქართლისკენ გაემურა, გზა-და-გზა ყველას ხოცავდა, იკლებდა და აოხრებდა. ამ ამბავმა ისე საშინლად შეაშინა ქართველების ჯარი, რომ დასაზვერავადაც ვეღარ გაბედეს მტრის უკან დადევნება, დიდის სასყიდლით დაიქირავეს კაცები საჭირო ცნობების შესაკრებად, ეს დაქირავებული კაცები მთებზედ ადიოდნენ და იქიდან ზვერავდნენ მტერს, დადამებისას მეფესთან მიდიოდნენ ამბავის მისატანად, – რასაკვირველია ეს კაცები ნამდვილს ცნობებს არ მოიტანდნენ და, თუ მოიტანდნენ, იმასაც დაგვიანებულს, რადგანაც სინამ ისინი მეფესთან დაბრუნდებოდნენ, ლეკები მთელს საქართველოს გარდი-გარდმო გადასთელავდნენ.

ბოლოს მტრის კვალი იპოვნეს. ავარიის ხანი იმერეთის სამზღვრამდინ მივიდა და აბაშიძეების ციხეს ვახანს შემოერთცა, ეს ამბავი ირაკლის შეატყობინეს. რუსის ჯარი მაშინვე იქით გაემურა, მეფის ჯარიც აქეთ-იქიდან მოგროვდა. როდესაც ბურნაშევი სურამში მივიდა, ომარხანი ისევ ციხესთან იდგა. რაკი ციხის აღების ღონე არა ჰქონოდა, ომარს ორჯელ სდომოდა მისი აფეთქება, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. მაშინ თავად აბაშიძეს შერიგებაზედ დაუწყო მოლაპარაკება; მაგრამ მივიდა თუ არა აბაშიძე ხანის ბანაკში მოსალაპარაკებლად, მაშინვე ტყვედ დაიჭირეს. ომარმა ასეთის მუხთალის საქციელით მაინც ვერ დაიმორჩილა ციხეში გამაგრებულნი, იმათ უფრო მეტად დაუწყეს ბრძოლა. რუსის ჯარს დიდი მანძილი აღარ ჰქონდა ციხემდინ გასავლელი, რომ ირაკლის ამბავი მოუვიდა ციხე მტერს დამორჩილდაო. როგორც აღმოჩნდა, დამორჩილების მიზეზი ისა ყოფილიყო, რომ ლეკები მოხუც აბაშიძეს ყოველ დღე თურმე სტანჯავდნენ და მეციხოვნეთ შორიდან

13

აცქერინებდნენ. მათ აღარ უნდოდათ მისი ტანჯვისათვის ეცქირნათ და მტერს ციხის კარები გაუღეს, ლეკებმა ისინი სულ ერთიან ამოწყვიტეს და ციხე ძირიანად დაანგრეს. ვახანის ციხის აღებამ ირაკლი ისე საშინლად შეაწუხა, რომ მტერს თავი დაანება და უბრძანა ჯარს უკან დაბრუნებულიყო. ლეკებმაც დაუტევეს ქართლი და თავის ნებით წავიდნენ.

მთელი საქართველო ისე იყო აოხრებული და დანგრეული, რომ შაჰ-აბასის შემდეგ იგი ასეთს მდგომარეობაში არასდროს აღარა ყოფილა. მეფის მწუხარებას კიდევ ის უფრო აორკვეცებდა, რომ დედოფალი დარია საქართველოს ახალს უბედურებას სულ რუსების აქ შემოსვლას აბრალებდა. ბევრი სხვა თავადებიც დედოფლის აზრისანი იყვნენ, – და ეს უდიდესი დანაშაული მართო ირაკლის ატყდებოდა თავს.

ამ დროს რუსეთს მეორედ მოუხდა ოსმალოსთან ომი და მთელი თავის ყურადღება დუნაის მიაპყრო. თუ, ვინიცობაა, მტერი ხელ-ახლად შემოესევოდა საქართველოს, ორი ბატალიონი რუსის ჯარისა ვერაფერს გახდებოდა და მხოლოდ მსხვერპლი შეიქმნებოდა ამ შემოსევისა. და რადგანაც ჯარის მომატება რუსეთს აღარ შეეძლო, ამისათვის ბურნაშევს ბრძანება მოუ-

ვიდა ტფილისი დაეტოვებინა და რუსეთის სამზღვარზედ დამდგარიყო. ამავე დროს პოტემკინის მიერ საქართველოსკენ მომავალ გზაზედ აშენებული სიმაგრენი სრულიად დაანგრის.

თუმცა რუსეთს გაუცრუვდა პირველი გულის წადილი, რომ საქართველოში მკვიდრად და საბოლოოდ მოეკიდებინა ფეხი, მაგრამ ეს წადილი იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთი მალე დაიმორჩილებდა მთელს კავკასიას და ასეც მოხდა იმპერატორი პავლეს მეფობაში. „მხოლოდ ესლა დაგვრჩენია სათქმელად, – ამბობს ფადეევი თავის თხზულებაში „წერილები კავკასიიდან“, – მადლობა დმერთს, რომ კავკასიის დაპყრობა მოხდა სწორედ პავლეს მეფობის დროს. თუ რომ სამი-ოთხი წელიწადი კიდევ დაგვეგვიანა, – სამართლიანად დასძენს იგი: – მაშინ ალექსანდრეს მეფობის პირველს ხანებში, როდესაც ევროპაში განუწყვეტელი ომები იყო და ბევრი სამეფოს ბედ-ილ-

14

ბალი სწყდებოდა, ჩვენ კავკასიისათვის აღარ გვეცლებოდა. 1815 წლიდან კი ამ ქვეყნის ყოველი ჩვენი ხელის წატანება ევროპაში ერთს ალიაქოთს ასტეხავდა და კავკასიის საქმედ გადაიქცევოდა.

## საქართველოს უკანასკნელი უბედურება

(აღა-მაჰმად-ხანი)

საქართველომ თავის ათასი წლის ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში ბევრი უბედურება გამოსცადა და უკანასკნელი უბედურება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა იყო, 1795 წელს. როდესაც ამ შემოსევამდინ ათი წლის წინად საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა, თვითონ სპარსეთიც, რომელიც აქამდინ საქართველოს ბედს განაგებდა, დიდ გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდა: მოკვდა თუ არა შაჰ-ნადირი, მაშინვე დაიწყო შინაურობაში შფოთი და ამბოხება და საქართველოს მეგობარი ქერიმ-ხანის შემდეგ ხომ უფრო გაძლიერდა ეს ამბოხება. სპარსეთის ტახტის მოცილეთა შორის ყველაზედ უძლიერესი იყო აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც 90 წლებში შეიქმნა ერთად ერთი მბრძანებელი ირანისა. დაჯდა თუ არა სპარსეთის ტახტზედ, მაშინვე ის მოაგონდა, რომ საქართველო სპარსეთის გავლენის ქვეშ აღარ იმყოფებოდა. რუსეთიც კარგად იცნობს ამ ხანს იმ ვერაგულის საქციელით, როგორც იგი მოექცა ვოინოვიჩს.

ექვი არ არის, რომ აღა-მაჰმად-ხანი აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეთა შორის ერთი შესანიშნავი მეფეთაგანი იყო; მაგრამ არც ის არის საექვო, რომ იგი საშინელი კაცი იყო და თითქო ბედს იმისთვის მოემზადებინა, რომ კაცობრიობა სძულებოდა. ერთს დროს იმის პაპა, გილანის ხანი, შაჰ-ნადირს მოეკლა, თვითონ აღა-მაჰმად-ხანი გაესაჭურისებინა და სპარსეთის სასახლეში საბრალო ცხოვრებას ატარებდა. აქ მის გულში თანდა-

თან ღვივდებოდა და ძლიერდებოდა მძულვარება და სხვა-და-სხვა ოცნება. რაკი ღონე არა ჰქონდა თავის მტრობა პირდაპირ გამოეცხადებინა, იგი ჯერ ისევ ბავშვობაში ჯიბეში დანას ატარებდა და როგორც კი დროს იპოვიდა სასახლის ძვირფასი ხალიჩებს სჭრიდა და ყველაფერს აფუჭებდა, რომ ამით მაინც ევნო საზიზღარი შაჰისათვის. როდესაც შემდეგ ეს ძვირფასი განძეულობა იმის ხელში გადავიდა, დააცქერდებოდა ხოლმე მათ და იტყოდა: „ვნანობ, რომ მაშინ ასე ვიქცეოდი, – სულელი ვიყავ, ვერ მივხვდი მომავალში რა იქნებოდაო“.

საქართველოს მემატიათეთა თქმულობით, მას სახეზედვე ეტყობოდა თურმე, რომ პირ-მქუში და ბოროტი ხასიათის კაცი იყო, დაბალი ტანისა და ხმელ-ხმელი, უწვერო სახე მოღმეჭილი ჰქონდა, მტარვალობა და სისხლის-მსმელობა ემჩნეოდა. მისი ღრმად ჩაცვივნილი და სისხლ-მორეული თვალები ამტკიცებდნენ, რომ მისი დამჭკნარი გული ბუნების წინააღმდეგ ვნებათაგან იყო შეპყრობილი. იგი თავის მტარვალობით სპარსეთის ყველა შაჰებს აღმატებოდა და სიტყვა შებრალება, პატიობა ანუ კაცთ-მოყვარულობა თავის დღეში არ ამოსულა ამ გასაჭურისებულ შაჰის პირიდან. ამასთანავე იგი იყო არა ჩვეულებრივის ჭკუისა, რკინის ხასიათისა და ყოვლის შთანმთქმელი ზვავის გულის მექონი კაცი.

როდესაც ყველა თავის მეტოქენი დაამარცხა, აღა მაჰმადხანი იმაზედ კი არა ფიქრობდა, რომ ტახტზედ ფეხი მოემარებინა, არამედ იმაზედ, რომ სპარსეთისათვის დაებრუნებინა ყოველივე ის, რაც შინაობაში არეულობის დროს დაეკარგა, მან ფიცი დასდო არ მიელო შაჰის ტიტული იქამდინ, ვიდრე მთელი ირანი მის მბრძანებლობას არ აღიარებდა. იგი საქართველოსაც თავის სახელმწიფოს გამდგარ ნაწილად სთვლიდა და დასჯას უპირობდა, განსაკუთრებით უფრო რუსეთთან შეკვრის შეკვრის გამო. ამ უბედურობის მოლოდინს უფრო ის გარემოება აძლიერებდა, რომ ირაკლიმ გაბედა და დაამარცხა აღა-მაჰმად-ხანის ჯარი, ერევნის ასაღებად გამოგზავნილი. საქართველო კი ისე მოუშხადებელი არას დროს არა ყოფილა

16

ომისათვის, როგორც ეხლა. როდესაც 1783 წელს საქართველო რუსეთის მფარველობას ქვეშ შევიდა, რუსის ჯარი დიდ ხანს აღარ დარჩენილა აქა, თვითონ რუსეთს ომი აუტყდა ოსმალებთან და აქ მყოფი თავის ჯარი გაიყვანა. შინაურობაში ისევ არეულობა და ამბოხება ჩამოვარდა. ირაკლიმ სამჯერ შეირთო ცოლი და უკანასკნელ ცოლებთან ნაყოლმა შვილებმა, დარია დედოფლის ჩაგონებით, არივ-დარიეს ქვეყანა და ტახტის მემკვიდრეობაზედ ჩხუბი დაიწყეს; რასაკვირველია, ასე არეულ-დარეული ქვეყანა შაჰს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა. შაჰი შემოვიდა საქართველოს მომიჯნავე სახანოებში, ბევრმა მათგანმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ირანის მრისხანე მბრძანებელს და დამორჩილდა. მხოლოდ ყარაბაღის ბატონმა იბრაჰიმ-ხანმა არ მიიღო შაჰის ელჩები, შუშის ციხეში გამაგრდა და საბრძოლველად მოემზადა.

შუშის ციხე ძლიერ მაღალი და მაგარი იყო, ფრიალო კლდეებს შორის აშენებული, მარტო ერთი ვიწრო გზა ჰქონდა მისასვლელი, პირდაპირ ომით იმის აღება თითქმის არ შეიძლე-

ბოდა. მაღლა მთის წვერზედ აშენებული ხანის სასახლე მშვენიერს არე-მარეს გადმოჰყურებდა: სამხრეთით დაჰყურებდა ტყით შემოსილ მთებ შუა მდებარე მინდორს და ცხელს მდელოებს მდინარე არაქსამდინ, რომელიც გველივით მიიკლავნებოდა; ჩრდილოეთით ბრწყინავდნენ თოვლით მოსილი მთები, ეს ბუნებითი მიჯნები კურთხეულის ივერიისა. ხანიც და ყარაბაღელებიც სამართლიანად ამპარტავნობდნენ თავიანთი მაგარის ციხით და დასცინოდნენ ალა-მაჰმად-ხანის ტრაზახობას, რომელსაც ერთხელ ეთქვა, რომ ჩემი ცხენოსანი ჯარის მათრახებით მთლად ავაგეს შუშის ხეობასაო.

ყარაბაღის ხანის ამბავმა დიდ ხანს არ შეაჩერა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა. რაკი ნახა, რომ შუშის მაგარი ციხის აღება არ შეიძლებოდა, შაჰმა მას თავი დაანება და პირდაპირ საქართველოსკენ გამოსწია. განჯა და ერევანი, რომელნიც წინად საქართველოს მეფეს ეკუთვნოდნენ, ეხლა შაჰის დროშას ქვეშ დადგნენ, რაც კი გზაზედ ხვდებოდა შაჰის ძლევამო-

17

სილს ჯარს, ყველას იმორჩილებდა, ვინც არ ემორჩილებოდა ხოცავდა და ცეცხლს უკიდებდა. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ირაკლიმ ყოველივე მოთხოვნილება შაჰისა უარჰყო და საომრად ემზადებოდა.

10 სექტემბერს 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისზედ შვიდი ვერსის მანძილზედ დაიბანაკა.

შაჰის მოწინავე ჯარს ქართველები კრწანისის მინდორზედ შეხვდნენ და ძალიან დაამარცხეს. ტფილისიდან აქეთ-იქით გაგზავნეს მახარობლები, რომ გავიმარჯვეთო. ხალხი მხიარულობდა; მაგრამ სიხარული ჯერ ადრე იყო, რადგანაც ამ დამარცხებამ ვერ დააბრკოლა მტერი და მეორე დღესვე წინ წამოვიდა ქალაქის ასაღებად.

ტფილისის კედლებზედ ოც და თხუთმეტამდინ ზარბაზანი ეწყო და ისე იყო გამაგრებული, რომ შეეძლო მტრისთვის დიდი წინააღმდეგობა გაეწია და დიდ ხანს მაინც არ დამორჩილებოდა. შინაური განხეთქილება ხელს უცარავდა ერთობას, რომელიც ასე საჭიროა ამისთანა გაჭირვებულს დროს: ბატონიშვილები ეჯიბრებოდნენ მამას და არ იძვრებოდნენ საუფლისწულო ადგილებიდან სატახტო ქალაქის მოსაშველებლად, თუმცა მამა მათ მოშველებას სთხოვდა. ქალაქის მცხოვრებლებს კი შიშის ზარი დასცა დედოფლის მოუფიქრებელმა საქციელმა. როდესაც ხმა გავარდა, რომ მტერი შემოსევას აპირობსო, ხალხი შეიკრიბა სასახლის წინ და ევედრებოდა მეფეს არ დაეტოვებინა ქალაქი და მტრისთვის არ მიეცა ასაკლებად, ამასთანავე პირობას აძლევდა, რომ უკანასკნელ სულის ამოსვლამდინ ვიბრძოლებთო; მეფეც დაჰპირდა თქვენთან ერთად მოვკვდებიო და ყარაულები დააყენა, რომ ქალაქიდან არავინ გასულიყო. მაგრამ დედოფალს დაახლოვებულმა პირებმა ურჩიეს ქალაქიდან გასვლა და იმანაც აიღო მეფისგან ნება და თავისთან ერთად ათიოდე სხვა დიდ-კაცის სახლობაც გაიყვანა. ხალხმა რომ გაიგო ესა, იფიქრა – ალბად მეფეს აღარ შეუძლიან ქალაქის დაცვა, რომ თავის სახლობა გახიზნაო და

თვითონაც აქედ-იქიდ გაიქცა. ირაკლის სულ მცირე ჯარი-ღა შერჩა ქალაქის დასაცველად.

შაჰი კი ფიქრობდა ტფილისი ადვილად არ დამნებდებო. სპარსეთის ჯარს რომ უსათუოდ გაემარჯვნა, შემდეგი საშუალება იხმარა. მას ყოველთვის თავისთან ჰყავდა ხოლმე ექვსი ათასი ცხენოსანი თურქმენი, ამათა და სპარსელებს საშინლად სძულდათ ერთმანეთი, თუმცა კი სჯული ერთი ჰქონდათ. აღა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა ამ გარემოებით, თურქმენები უკან დაუყენა თავის ჯარს და უბრძანა ეცემათ და მოეკლათ ყველა სპარსელი, რომელიც კი გაქცევას გაბედავდა. ამ ბრძანებამ ძალიან ასიამოვნა თურქმენები და დიდის გულმოდგინებით ასრულებდნენ შაჰის ბრძანებას. რასაკვირველია, სპარსელები უკან დაწევას ვეღარა ჰბედავდნენ, რაკი იცოდნენ, რომ იქაც სიკვდილი მოელოდათ.

ბატონიშვილი იოანე თავის მოწინავე ჯარით რამდენსამე საათს მაგრად იდგა ამორჩეულს ადგილზედ და ბევრი ჯარიც დაეხოცა, რისა გამოც უკან დაწევა დაიწყო, მაგრამ ამ დროს ბატონიშვილი ვახტანგი მიეშველა ფშაველებისა და ხევსურების რჩეული ჯარით, მოწინავე ჯარმა ხელ-ახლად დაიწყო ბრძოლა; როდესაც ამ ჯარს მეფის ბრძანებით მაჩაბელიც მიეშველა თავის ჯარით, მაშინ თვითონ ეს ჯარი მიეტია სპარსელებს. ეს მაჩაბელი თავის დროს შესანიშნავი პოეტი-საზანდარი იყო. მან დაუკრა ჩონგური, ზედ გულის ასამგერი ლექსი დამღერა და ისეთის სისწრაფით მიესია სპარსელებს თავის ჯარით, რომ მტრის დროშებამდინ მივიდა და რამდენიმე კიდეც წამოიღეს. ყოველივე ეს თავის თვალით ნახა აღა-მაჰმად-ხანმა და სთქვა: „მე არ მახსოვს, რომ რომელიმე ჩემი მტერი ასეთის გამირობით შემბრძოლებოდესო“. მან წინ წამოაყენა აქამდინ რეზერვში მდგომი მაზანდარანის ქვევითა ჯარი და უბრძანა იერიშით მისვლა. ირაკლიმაც შეიყვანა ომში თავის რეზერვის მცირე ჯარი და მომეტებული მათგანი ამ ურიცხვ მტერთან საშინელს ბრძოლაში დაიხოცა.

19

ბრძოლამ დილიდან ხშირ-ბინდამდინ გასტანა. სამჯერ გადაყარეს სპარსელები ტფილისის კედლებიდან და სამჯერვე ხელახლად იერიში მიიტანეს, ვიდრე ქართველებმა უკან დაწევა არ დაიწყეს. მწუხარებისგან ირაკლის აღარ უნდოდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა.

– ყველა შენმა ქვეშევრდომმა იცის შენი გულადობა და ისიც იცის, რომ შენ მზადა ხარ მამულისათვის თავი დასდო, – უთხრეს მხლებლებმა: – მაგრამ თუ რომ მუხთალმა ბედმა გვიღალატა, შენის დალუპვით მაინც უფრო ნულარ გაახარებ მტერსა.

მეფე ყურს არავის უგდებდა; სპარსელებმა კი ირაკლის უკანიდანაც მოუარეს და მთებისკენ მიმავალ გზებს იჭერდნენ, რომ ჯარს გაქცევა აღარ შესძლებოდა. მაშინ ირაკლი ხმა-ამოუღებლივ ეკვითა მტერს განწირულებით და უსათუოდ დაიღუპებოდა, თუ რომ შვილის-შვილს არ დაეხსნა თავის სახელოვანი პაპა. სამასი ცხენოსანი ქართველით ბატონიშვილი იოანე შევარდა მტრის გუნდში და მეფე ირაკლი თითქმის ხელიდან

გამოსტაცა მას. მეფის წასვლით ბრძოლა არ შეწყვეტილა. ბატონიშვილი დავითი დიდ ხანს ებრძოდა და აჩერებდა სპარსელებს ვიწრო ადგილებსა და ქუჩებში, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მეფისგან დატოვებულს ქალაქს სპარსელები იჭერდნენ, მაშინ იმანაც ქართველების უკანასკნელ ჯართან ერთად დაუტევა ბრძოლის ველი და ჩრდილოეთისკენ დაიწია, რომ მთა-მთა წასულიყო იმ გზით, რა გზითაც თვითონ ირაკლიც წავიდა.

აღა-მაჰმად-ხანმა დაიჭირა ტფილისი და მისმა ჯარმა ლტოლვილ ქართველებს მცხეთამდინ სდია, სადაც სპარსელებმა ქვა-ქვაზედ აღარ დააყენეს; მხოლოდ შესანიშნავი ტაძარი – ეს უძველესი ნაშთი საქართველოს წარსულის დიდებისა, გადარჩა დანგრევას ნახჩევნის ხანის წყალობით. – „არ უნდა შევძრიკვლოთ წმინდა ადგილნი და საფლავნი მეფეთა“, უთხრა მან თავის ჯარს და ტაძარი დანგრევას გადარჩა.

20

ტფილისი კი, თავის სასახლეებით და დიდებულის ტაძრებით, მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენდა. ამბობენ, რომ აღა-მაჰმად-ხანმა პირველად ხელი არ ახლო ტფილისის შესანიშნავ აბანოებს, რომელნიც ასე ძალიან მოსწონდა შაჰ-აბასს, შაჰმა იბანავა კიდევ და იმედი ჰქონდა, რომ სწეულებისაგან გაიკურნებოდა; მაგრამ რაკი ვერ გაიკურნა, გაბრაზდა და უბრძანა ეს აბანოებიც ძირიანად დაენგრიათ.

ტფილისის მცხოვრებლები საშინლად დასტანჯეს და აწამეს. ტფილისის მიტროპოლიტი სასულიეროს წოდებით სიონის ტაძარში ჩაიკეტა, მაგრამ სპარსელებმა კარები შეამტვრიეს, ხატები დასწვეს და გაძარცვეს, მღვდლები დახოცეს და მიტროპოლიტი თავის სახლის აივნიდან მტკვარში გადააგდეს. ექვსი დღის განმავლობაში, თერთმეტიდან ჩვიდმეტ სექტემბრამდინ, სპარსელებს აღარა გადაურჩათ-რა ქალაქში შეუმუსრავი და შეუშრიკვლელი: ქალებზედ ძალას ხმარობდნენ, ტყვეებს ხოცავდნენ, ბავშვებს შუაზედ სხვეპავდნენ და ამით ამოწმებდნენ თავიანთ ხმლების სიბასრეს. ივერიის მღვთის-მშობლის ხატიც არ გადაურჩათ შეუგინებელი: იგი დაასვენეს ავლაბრის ხიდზედ და ქართველებს ძალას ატანდნენ სასაცილოდ აევდოთ იგი, თავიანთ ბრძანების ურჩებს მტკვარში ჰყრიდნენ, ასე რომ მტკვარი დამრჩვალი კაცებით შეგუბდა. ოც და სამი ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანეს სპარსეთში.

აღა-მაჰმად-ხანის მეისტორიე ამბობს, რომ ტფილისის აოხრების დროს სპარსეთის გულადმა ჯარმა უჩვენა ურწმუნო ქართველებს ნიძუში ტანჯვისა, როგორსაც უნდა მოელოდნენ განკითხვის დღესაო.

გარდმოცემა ამბობს, რომ ტფილისის აკლების დროს ორმოც და ათი ქართველი, რომელთაც ქალაქიდან გაქცევა ვერ მოასწრეს, შეეფარა წმინდა მამა დავითს და ამ წმინდა მთაზედ – ვინ იცის, იქნება იქაც, სადაც ეხლა გრიბოედოვის საფლავია – გადარჩნენ მტრის ხელით სიკვდილს და ტყვეობას. სპარსელებმა მთელი ქალაქი აიკლეს და რაღაც განგებით არც ერთხელ არ ავიდნენ მთაზედ, სადაც ძველი მონასტერია აშენებული;

მაშინ როდესაც მძარცველების ხარბი თვალი სწორედ ამ მონასტერს უნდა მიეპყრო. ვინ იცის, იქნება სპარსელებს ეგონათ, რომ იქ ქართველების ჯარი იქნებოდა ჩასაფრებული; როგორც უნდა იყოს და ამ წმინდა ადგილმა შეიფარა და გადაარჩინა სიკვდილს ყველა ისინი, რომელნიც მას ჰხადიდნენ თავიანთ მფარველად.

ამბოზენ იმასაც, რომ ალა-მაჰმად-ხანისაგან ტფილისის აღების დროს დაილუპა საქართველოს გამოჩენილი საზანდარი-მგოსანი საათნავა. ამ ასის წლის წინად, ძველს ტფილისში, საათნავას სახელი ყველგან ქებით იხსენებოდა, სასახლეშიაც და ღარიბი კაცის სახლშიაც. იგი იყო ერთი ღარიბი სომეხი, ხელობით ფეიქარი და გულით კი საზანდარი; ყმაწვილობაში მოქეიფე მგოსანი იყო, მოხუცებაში – განდევილი და სიკვდილის დროს ნამდვილი ქრისტიანი, მას ჯვარი ეჭირა ხელში, როდესაც სჯულის მტრებმა შიგ ეკლესიის კარებში მოჰკლეს. თათრის მეიდნის თავზედ სდგას სომხის ეკლესია, რომელსაც ციხის ეკლესიას ეძახდნენ, ამისთვის რომ ტფილისის ციხის შიგნით იმყოფებოდა. ამ ეკლესიის გალავანში, სადაც ეხლა ამჟამრი იკრიბება სავაჭრო პირობათა დასადებად, 1795 წელს დამარხეს ოთხმოცი წლის საათნავა. „ამაოდ დავუწყებთ ძებნას მის საფლავის ქვას, ამბობს გარდმომცემი ამ ლეგენდისა, – მაგრამ იცოდეთ კი, რომ მისი სახე და იქნება იმის ხმაც თვალწინ უდგიათ იმ ძველ კაცებს, რომლებისთვისაც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა ჯერ კიდევ გარდმოცემა ანუ ძველი ამბავი არ არის“. როდესაც ტფილისი აიღეს საათნავა ეკლესიაში ღოცულობდა, გაიგო თუ არა მტრის მოახლოება, აიღო ჯვარი და წავიდა მტრის მისაგებებლად, რომ კარებში შეეჩერებინა. მის გულიდან აღმოხდა ორი სტრიქონი ლექსი თათრულს ენაზედ:

არ ვუღალატებ ჩემსა იესოს  
არ დავუტოვებ ტამარსა წმინდას.

ესენი იყვნენ საათნავას უკანასკნელი სიტყვები.  
გუდოვიჩისგან გამოგზავნილი რუსის ორი ბატალიონი

22

სირახნევის უფროსობით საჩქაროდ მოდიოდნენ საქართველოსკენ, ირაკლის მოსაშველებლად. ხმა დავარდა, რომ, როცა ეს ჯარი მთებზედ გადმოვიდა, შაჰმა საქართველო დაუტევა და მულანლოს მინდვრებში დაბანაკდაო. რუსები დუშეთს აღარ გამოსცილდნენ და, როდესაც ზუზოვის ლაშქრობა გათავდა, ისინიც გიორგიევსკში დაბრუნდნენ.

საქართველოს სამეფოს აოხრების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი სპარნეთში დაბრუნდა. კარის-კაცნი ურჩევდნენ ირანის გვირგვინი დაედგა თავზედ. შაჰმა ჯარის უფროსნი შეჰკრიბა, გვირგვინი აიღო, მათ წინაშე გამოვიდა და ჰკითხა: გსურთ თუ არა, რომ ეს გვირგვინი თავს მიშვენებდესო. „ნუ დაივიწყებთ, – უთხრა მან: – რომ ამ გვირგვინის დადგმის შემდეგ უფრო დიდი შრომა მოგელით. მე არასოდეს არ დავთანხმდები ამ გვირგვინის დადგმაზედ, თუ რომ ისეთი ძლიერი არ ვიქნები, როგორც არც ერთი შაჰი სპარსეთისა არა ყოფილიყოს“. ყველამ შეჰფიცეს – მთელს ჩვენს

სიცოცხლეს მხოლოდ თქვენს გამლიერებას შეეწირავთო. აღამაჰმად ხანმა მხოლოდ მაშინ იკურთხა გვირგვინი, მაგრამ შაჰ-ნადირის ძვირფას გვირგვინის დადგმაზედ მაინც უარი განაცხადა, რადგანაც ამ გვირგვინს ოთხი ალმასის თვალი უჯდა და ეს ნიშნავდა ამ შაჰისაგან ოთხი სამეფოს დაპყრობას: ავგანისას, ინდოსტანისას, თათრისას და სპარსეთისას. მან დაიდგა მხოლოდ პატარა დიადემა და წელზედ სამეფო ხმალი შემოიკრა; ეს ხმალი ინახებოდა არდებილში და იღო მუსულმანთა წმინდანის საფლავზედ, რომელიც სოფიების გვარეულობის მამამთავარი იყო. სპარსეთის ყოველი შაჰი ვალდებული იყო იქ წასულიყო წმინდა იარაღის მისაღებად; ხმალს აკლდამაში სდებდნენ და მთელს ღამეს ევედრებოდნენ წმინდანს, რომ შემწე ყოფილიყო იმ შაჰისა, რომელიც ხმალს შემოიკრავდა. დილით შაჰი ხმალს იკრავდა და შიიტების სჯულის დასაცველად აღიჭურვებოდა.

ამის შემდეგ აღამაჰმად-ხანმა მალე გაილაშქრა ხორასანზედ, სადაც იმ დროს ხანად იყო ნადირ-მირზა, შვილის-შვილი შაჰ-ნადირისა, რომელიც საშინლად სძულდა აღამაჰმად-

23

ხანს. უნდა ვთქვათ, რომ შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ ბევრი ძვირფასი საუნჯე გადავიდა იმის ნათესავების ხელში და სხვათა შორის ხორასანის ხანის უსინათლო მამის ხელშიაც. აღამაჰმად-ხანმა გასცა ბრძანება ეს ძვირფასი საუნჯენი დაებრუნებინათ, რადგანაც იგინი, მისი აზრით, სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა და ვინც არ დააბრუნებდა, იგი სამეფოს მოღალატე იქნებოდა; ეხლაც იმისთვის მიდიოდა ხორასანში საომრად, რომ დაესაჯა თავის ბრძანების ურჩი კაცი და მისგან წაღებული საუნჯე ხაზინისთვის დაებრუნებინა. ნადირ-მირზა გაიქცა და დასტოვა თავის უსინათლო მამა შაჰ-როქი, რომ ქალაქი სპარსეთის მბრძანებლისათვის ჩაებარებინა. აღამაჰმად-ხანმა შაჰ-როქს დიდი ტანჯვა მიაყენა, რომ ეთქმევინებინა სადაც ჰქონდა ძვირფასი საუნჯე დამალული. რამდენსაც უფრო დიდს სატანჯელს აყენებდნენ, ისიც თანდათან უჩვენებდა კედლებსა და ჭებს, სადაც ძვირფასი საუნჯე ჰქონდა დამალული. როდესაც თავზედ ცომის გვირგვინი დახურეს და გამდნარი ტყვია შიგ ჩაასხეს, მაშინ გამოაჩინა ის არა-ჩვეულებრივი სიდიდის ლალიც, რომლის პოვნაც უფრო უნდოდა შაჰსა და რომელიც ერთს დროს სპარსეთის გვირგვინს უჯდა შიგა. შაჰ-როქი ამ ტანჯვის დროს გადაიცვალა. შემდეგ აღამაჰმად-ხანმა უბრძანა დაენგრიათ ლუსკუმა შაჰ-ნადირისა, რომელიც მას საშინლად ეჯავრებოდა და სძულდა, ამ ლუსკუმას შიგნიდან ოქრო ჰქონდა შემოკრული. რაც კი იქ სიმდიდრე იპოვა, სულ ხაზინას დაუბრუნა, თვით შაჰ-ნადირის ძვლები კი თეირანში წააღებინა და თავის სასახლის აივან ქვეშ ჩააფვლევიანა „როდესაც მე ფეხით ვთელამ ამ მტვერს, იტყოდა ხოლმე იგი: ჩემი გულის წყლული ბევრად შემსუბუქდება ხოლმე“.

აღამაჰმად-ხანმა ხორასანში გაიგო, რომ რუსის ჯარი სპარსეთის სამზღვრებს შესეოდა. საქართველოს უბედურებით შეწყუბუღებულმა და შაჰის მტარვალობით აღშფოთებულმა ეკატერინე დედოფალმა ზუბოვის სარდლობით გაგზავნა ჯარი, რომელმაც აიღო დარუბანდი, შამახია, ბაქო, სალიანი და განჯა. ასე

ბრწყინვალედ დაწყობილი საქმე, სანწყუხაროდ, მალე ჩაიშალა დედოფლის სიკვდილის გამო.

24

შაჰმა კარგად იცოდა, როგორი მტერიც იყო მისთვის რუსეთის იმპერია, ამისათვის რუსეთთან მოსალოდნელ ომის გამო ისეთ აზრს დაადგა, რომელიც მას დიდს გამარჯვებას უქადდა. როგორც ამბობენ, მან შეკრიბა ჯარის უფროსნი და გამოუცხადა, რომ რუსებმა ჩემს საბრძანებელში შემოსევა გაბედესო და შემდეგ უთხრა: „ჩემი გულადი ჯარი მათ წინ დაუხვდება; ჩვენ დავესხმით ზარბაზნით აგებულს კედლებს და მათ სახელოვანს ჯარს და ჩვენი ძლევა-მოსილის ხმლით შუა-შუა გავაპობთ“. ჯარის-კაცებმა მოუწონეს შაჰს გმირული გამბედაობა და ფიცი მისცეს, არც ერთს მათგანს სიცოცხლე არ დაეზოვნა, მაგრამ როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, შაჰმა მიიხმო პირველი ვეზირი და ჰკითხა: „გაიგონე თუ არა ისა, რაც ჯარის უფროსებს ვუთხარიო“. ვეზირმა მიუგო გავიგონეო.

– „შენა გგონია მართლა ისე მოვიქცევი, როგორცა ვთქვი?“

– უსათუოდ, თუ რომ თქვენი სურვილი იქნება.

– ხაჯი, უთხრა შაჰმა გაჯავრებით: – ნუთუ მე შეეცდი? ნუთუ შენც ისე სულელი ხარ, როგორც სხვანი? ისეთმა ჭკვიანმა კაცმა, როგორიც შენა ხარ, როგორ იფიქრე, რომ ჩემს თავს იმათ რკინის კედლებს მივუშვერ და ჩემს განუწყობელს ჯარს იმათს ზარბაზნებსა და განწყობილს ჯარს ამოვანწყვეტინებ? ჩემი საქმე მე უფრო კარგად ვაცი. რუსების ტყვია არასოდეს ჩემამდინ არ მოაწევს და რუსებს ეჭირებათ მხოლოდ ის, რასაც იმათი ზარბაზნის ცეცხლი მისწვდება. იგინი დროს არ დაჰკარგავენ და საითაც უნდათ, იქით წავლენ, მაგრამ მე იმათ მხოლოდ გაოხრებულს უდაბნოს დავუტოვებ ყველგან.

შაჰს თავის განზრახვის ასრულება აღარ მოუხდა; რუსების ჯარი უკან დაბრუნდა. იმათმა ანაზდეულად უკან დაბრუნებამ ძალიან გაახარა ალა-მაჰმად-ხანი და მაშინვე გამოგზავნა საქართველოში ფირმანი, „რომელსაც მთელი ქვეყანა უნდა დამორჩილებოდა“.

– „რუსები, სწერდა იგი: – ყოველთვის ვაჭრები ყოფილან, მაუდისა და ყირმიზის გამყიდველები, მაგრამ არასდროს

25

და არავის კი არ უნახავს, რომ იმათ შუბისა და ხმლის ხმარება სცოდნოდათ, აი რადგანაც იმათ გაბედეს ჩვენს საბრძანებელში შემოსევა, ამისათვის ჩვენი უმაღლესი ფიქრი ის იყო და უბედნიერესი ჩვენი დროშა მხოლოდ იმისთვის გაფრიალდებოდა, რომ იგინი დაგვესაჯა, ამოგვეწყვიტნა. იმათ გაიგეს ჩვენი ასეთი განზრახვა და გაიქცნენ თავიანთ საზიზღარს ქვეყანაში“.

შურის მამიებელს ხანს რუსების ჯავრის ამოყრა უნდოდა, ამისათვის 1797 წელს მთლად საქართველოში გავარდა შესამრწუნებელი ხმა, რომ ალა-მაჰმად-ხანი ხელ-ახლად აპირობს შემოსევასაო. საბედნიეროდ, შაჰის მრისხანება მხოლოდ ყარაბაღს დაატყდა თავზედ. სპარსეთის მრისხანე მბრძანებელს ვერ მოენელებინა ის შეურაცხყოფა, რომელიც მას უღონო ხანმა მი-

აყენა და არ დამორჩილდა; სპარსეთის ჯარი მოედო არაქსის ნაპირებს და ყარაბაღის არემარეს დაუწყო აოხრება. იბრაჰიმ-ხანმა დაუტევა თავის სამფლობელო და ცოლშვილით და რამდენიმე ბეგით გაიქცა. ორი ათასი ცხენოსანი კაცი თავიანთის საუკეთესო სარდლებით დაედევნა უკან იბრაჰიმ-ხანს; ჯარი მდინარე ტერტერში გასვლის დროს მოეწია, მაგრამ იბრაჰიმი ფიცხელად შეებრძოლა, დაამარცხა და თავს უშველა მთებში.

მაშინ აღა-მაჰმად-ხანმა უომროდ დაიჭირა ყარაბაღის სატახტო ქალაქი შუშა და ჩამოხდა ხანის მშვენიერს ერთს ოთახში, რომელსაც უცხო კაცის თვალი ვერ დაინახავდა. გულ-ჩათხრობილი და მოუწყობელი იყო ეს ოთახი; მხოლოდ ძირს იატაკზედ ეშალა ძვირფასი ხალიჩა, რომ დაგებულს თლილს ქვას შაჰის ფეხი არ დაჰკარებოდა, კედელთან შესანიშნავი საწოლი იდგა, რომელიც შაჰისთვის ლოგინიც იყო და სამეფო ტახტიც. ხშირის მარგალიტით და ძვირფასის თვლებით მოქარგული ფარდა საწოლის წინ ძირამდინ იყო ჩამოფარებული. ჩვეულებისამებრ შაჰი ამ ტახტზედ იჯდა ხოლმე მუხლ-მოკეცილი და ტანზედ ძვირფასი წითელი ფერის შალით გადაკრული ქურქი ესხა.

სასახლის წინ სპარსელები ირეოდნენ, მეიდანზედ კი შაჰის ცხენოსანი ჯარი იდგა. ყველგან მყუდროება იყო, ყველას ემი-

26

ნოდა ირანის მბრძანებელისათვის მოსვენება არ დაეფთხო და მისი მახვილი ყური ხმაურობით არ გაეჭედნა. შუშა შეიქმნა იმის დამლუპველ ადგილად. აი ამაზედ ადგილობრივი გარდმოცემა რას მოგვითხრობს.

რვა დღე იყო, რაც შუშა დაეჭირათ. ერთს ღამეს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ლოცულობდა, მის ოთახში შევიდა მთლად სპარსეთის ცხენოსანი ჯარის უფროსი სადიხ-ხანი და კარებში ჩუმად დადგა. შაჰმა ლოცვა გაწყვიტა, სახეზედ საშინელი სიბრაზე და ბოროტება ეტყობოდა.

– „როგორ გაბედე, მონავ, ჩემთან შემოსვლა, როდესაც მე შენთვის არ დამიძახნია!“ ჰკითხა სადიხს.

– შენმა უღირსმა მონამ აღასრულა სურვილი თავის მბრძანებელისა, საფარ-ალიმ მითხრა შაჰი გიბრძანებსო, მიუგო მან და მიძიმედ თავი დაუკრა.

შაჰმა საფარას დაუმახა.

– „მე შენ როდის გითხარი სადიხ-ხანს დაუმახე-მეთქი?“

– ამ ნახევარ საათის წინად.

– „სტყუი, ძაღლო!“ დაუყვირა აღა-მაჰმად-ხანმა და დამბაჩა პირდაპირ გულში დაუმიზნა, მაგრამ მალე ისევ ძირს ჩამოიღო...

– ვერ გაბედავს უბრალო მატლი იცრუოს ღვთისა და ქვეყნიური მზის წინაშე! იქნება ბოროტმა სულმა მოატყუა ჩემი ყური და მე ვერ გავიგე ბრძანება ჩემის მბრძანებელისა.

– „თუ შენს ყურებს სმენა დაჰკარგვიათ, მაშ ისინი ჩემთვის საჭირონი აღარ არიან... წადი! დაე მოგჭრან ისინი!“

საფარ-ალის მაშინვე მოსჭრეს ყურები.

ღამეა. შაჰის ოთახს ვერცხლის ლამპარი ოდნავ აშუქებს. შაჰი საწოლზედ წევს და არ სძინავს კი. უეცრად ჩურჩული

და ჩუმი ტირილის ხმა მოესმა. შემკრთალმა თავის მოსამსახურეებს დაუძახა. საფარ-ალის თავი გასისხლიანებული ხელსახოციტ ჰქონდა შეხვეული და აბას-ბეგს ნაცრისფერ ედო, ორივეს საშინლად ეშინოდათ.

27

– „განა ტირილსაც კბედავ დედაკაცივით, უთხრა შაჰმა საფარას: – მაშინ, როდესაც კიდეც უნდა გიხაროდეს, რომ წყალობა მოვიღე და სიცოცხლე მოგანიჭე! შენ, აბას-ბეგ, შენ როგორღა გაბედე ჩემი საწოლის ახლო ჩურჩული და ამით ჩემი ძილის გაფრთხობა! თქვენ ორივე მეტნი ხართ ქვეყანაზედ და მზის ამოსვლის უმაღლე არც ერთს თავი აღარ გებმით. თქვენსავით უვარგისნი რამდენიმე კიდეც არიან, ხვალ მე ყველას გავასამართლებ და მათის თავებით შამქორის მინარეთზედ უფრო მაღალს მინარეთს ავაშენებ. გაიგონეთ? წადით!“

პარასკევი დღე თენდება, იმ ღამეს მაჰმადიანები ჩვეულებისამებრ ლოცვაში ატარებენ და შაჰი იძულებული შეიქმნა თავის განაჩენის აღსრულება გადაედო. შაჰმა დაიძინა, მოსამსახურეებს კი არ ეძინათ, რადგანაც იცოდნენ, რომ შაჰის განაჩენი უეჭველად ასრულდებოდა. მხოლოდ გაუგებარი ის არის, როგორ მოხდა, რომ სიკვდილით დასასჯელი მოსამსახურეები იმ ღამეს ისევ შაჰთან დარჩნენ, მაგრამ იქნება ამის მიზეზი შაჰის ჭკუაზედ არევა იყო, როგორც უკვე ხალხში ხმა დადიოდა. მოსამსახურეებს ორში ერთი უნდა ამოერჩიათ: ან უნდა თავიანთ სიკვდილს მოლოდებოდნენ და ან შაჰი უნდა მოეკლათ. შაჰის მოკვლა არჩიეს. ხანჯლებით შეიარაღებული ორი მოსამსახურე ტალანში ჩუმად შევიდნენ და ფარჩის ფარდასთან დადგნენ, რომელიც შაჰის საწოლის წინ იყო ჩამოფარებული. ეტყობოდა სპარსეთის მბრძანებელს ღრმად ეძინა. ორივე მკვლელი სიფრთხილით შევიდნენ და საწოლის წინ შედგნენ. ხანჯალმა გაიელვა და ღრმად ჩაერჭო მძინარე შაჰის გულში.

შაჰმა წამოიწია, მიმქრალეული თვალები მიაჩერა მკვლელს და წარმოსთქვა: „უბედურო! შენ მოჰკალ ირანი!“ და თავი მისი უნუგემოდ დაეშვა ბალიშზედ.

მკვლელებმა შაჰის გვირგვინიდან ამოიღეს ძვირფასი თვლები, ნუხაში გაიქცნენ და შეკინის ხანს შეეფარნენ; აქედან დავარდა ხმა, რომ ორივე მკვლელი ამ ხანისგან იყვნენ მოყიდულნიო. როდესაც ბანაკში შაჰის სიკვდილი გაიგეს, კარის

28

კაცებმაც ხელთ იგდეს შაჰის საუნჯე, ჯარმაც ისარგებლა რითაც შეეძლო, დაუტოვეს ყარაბალი და სპარსეთში წავიდნენ.

მოკლულს აღა-მაჰმად-ხანს თავი მოსჭრეს და იბრაჰიმ-ხანს გაუგზავნეს, რომელმაც ღირსეულის პატივით დამარხა სოფ. ჯარში, უთაო სხეული კი თეირანში გაგზავნა და იქ სპარსეთის შაჰთა შორის დამარხეს.

აი ასეთი ბედი ეწია აღა-მაჰმად-ხანს.

აღა-მაჰმად-ხანს სიკვდილთან ერთად არ იქნება არ მოვიხსენოთ სიკვდილი გამოჩენილის პოეტისა ვაკაფასი, რომელიც შაჰის შესევის დროს შუშაში ცხოვრობდა. მან ვერ მოასწრო იბრაჰიმ-ხანთან ერთად გაქცევა და ტყვედ ჩაუვარდა თავის

მოსისხლე მტერს ალა-მაჰმად-ხანს.

ამბობენ, რომ შუშაში პირველად შესევის დროს ალა-მაჰმად-ხანმა უბრძანა ისე გაესროლათ ისარი, რომ მტრის ბანაკში ჩავარდნილიყო, ისარს ზედ ება ქალაღდი, რომელზედაც შემდეგი სიტყვები ეწერა ლექსად: „ზეციური ქვათა მსროლელი მანქანა საშინელს ქვებს ისვრის და შენ კი სისულელით შუშის ციხეში ჩამჯდარხარ და გინდა ამით თავი გადაირჩინო...“ იბრაჰიმ-ხანის ისარმა ასეთი პასუხი მოუტანა: „თუ ის, ვინც მე მრწამს, ჩემი მფარველი იქნება, შუშასაც დაიფარავს და ქვებს არ გაატეხინებს“. ალა-მაჰმად-ხანმა იკითხო, – ამ სიტყვების დამწერი ვინ არისო, მოახსენეს ვაკაფიო; მაშინ მან დაიფიცა, რომ ვაკაფის უსათუოდ მოვკლავ, როგორც კი შუშას ავიღებო.

პოეტი და ერთი ყარაბაღელი სატანჯავად მიჰყავდათ. პოეტი გულ-დამშვიდებული იყო. მას თითქო გულმა უგრძნო, რაც მოელოდა, თავის უბედურების ამხანაგს მიუბრუნდა და უთხრა: „ჩემო მეგობარო, ეხლავე ვიწინასწარმეტყველებ, რომ მე ვერას დროს ვერა ვნახავ ალა-მაჰმად-ხანს და იმისგან ცუდს არაფერს მოველი; შენ შესახებ კი რა მოგახსენო“.

სალამოზედ ორივე ტყვე შუშაში მოიყვანეს, შაჰმა ყარაბაღელი მაშინვე მოაკვლევინა, ვაკაფი კი ციხეში დააპატიმრებინა, რომ მეორე დილით საშინლად ეწამებინა და ისე მოეკლა. მაგრამ იმ ღამეს საფარ-ბეიმ თვით შაჰი მოკლა და ვაკაფი განთავისუფლდა.

29

მაგრამ პოეტს იქ დაემართა უბედურება, სადაც მას სრულიად არ მოელოდა. იბრაჰიმ ხანის ძმისწულმა, მუხამედ-ბეგმა ისარგებლა კანონიერი ხანის იქ არ ყოფნით და ყარაბაღის დაჭერა განიზრახა. ვაკაფიც იმათ რიცხვში ერია, რომელთაც კანონიერს ხანს არ უღალატეს, ამისათვის იგი თავის შვილით ერთად მოჰკლეს. შუშის ციხის გარედ, ერთ მალღობ მდელიოზედ, სადაც ხალხი ღროს ატარებს ხოღმე, დღესაც უჩვენებენ მამა-შვილის საერთო საფლავს.

---

ალა-მაჰმად-ხანი დაიღუპა. მეორე წელიწადს, 1798 წელს იანვრის 11-ს, გარდაიცვალა ირაკლი მეფეც, რომელსაც ღრმა სიბერეში, როდესაც მისი სიცოცხლის დღენი დათვლილი იყო, საშინელი უბედურება მიაღდა.

დღემდინ დარჩენილია ერთი გულის საკლავი ამბავი, რომელიც შეეხება იმ დროს, როდესაც ირაკლი ნახევრად დანგრეულს ანანურის მონასტერში იმყოფებოდა, როდესაც დამარცხებული და ყველასგან დატოვებული მეფე იძულებული იყო ამ მონასტერს შეჰფარებოდა. „ერთს ძველს სენაკში, რომელიც მონასტრის გაღავნის კუთხეში იყო აშენებული, – მოგვითხრობს ეს ამბავი: – ნახავდით კედლისკენ პირ-მიბრუნებულს და ცხვრის უბრალო ქურქ წამოსხმულს მოხუცს. ეს იყო საქართველოს მეფე ირაკლი მეორე, – ერთს დროს თავზარ დამცემი მთელის კავკასიისა. მას გვერდით ჰყავდა ძველი მოსამსახურე, ჩამომავლობით სომეხი.

– „ვინა სდგას იმ კუთხეში“? კითხულობდნენ გამვლელნი.

– „ის, ვისაც ეხლა შენა ხედავ, – ოხვრით ეუბნებოდა სომეხი, – ერთს დროს დიდებული კაცი იყო და მის სახელს მთელი აზია დიდის პატივით იხსენიებდა, იგი იყო საუკეთესო მმართველი თავის ქვეყნისა, მაგრამ სიბერემ დაამაზუნა და ყველაფერს ბოლო მოეღო. მას ემინოდა – ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ოჯახში არეულობა არ ჩამოვარდესო, ამისათვის უნ-

30

დოდა უკანასკნელად ერთი სიკეთე კიდევ ექმნა თავის ხალხისათვის და თავის სამეფო თავის შვილებს გაუყო. საწყალი ირაკლი მოტყუვდა. აღა-მაჰმად-ხანი საჭურისი იყო თამაზ-ყული-ხანისა (შაჰ-ნადირისა) მაშინ, როდესაც ირაკლი სპარსეთის ჯარის უფროსი იყო; ეს გასაჭურისებული კაცი ეხლა იმისთვის შემოესია საქართველოს, რომ მოხუცებისაგან დაუძღვრებული ირაკლი დაამარცხოს. თავის საკუთარი შვილები არ მიეშველნენ სამშობლოს დასახსნელად, ამისთვის რომ იგინი ბევრნი იყვნენ და ყველა მათგანი ფიქრობდა სხვისთვის მე თავი რად შევიწუხოვო. საქართველოს მეფე იძულებული იყო იმერეთის მეფისთვის ეთხოვა შემწეობა, მაგრამ თუ შენ ტფილისში იყავ, დაინახავდი, რა სამარცხვინოდ მოიქცა იმერეთის ჯვარი. ირაკლი ერთი მუჭა ჯარით შეებრძოლა ასი ათასს კაცს და დაჰკარგა ტახტი იმისთვის, რომ შვილები არ მიეშველნენ და მსხვერპლად მისცეს ხელში იგი ვისა? – გასაჭურისებულს კაცს, რომელიც წინად მონასავით ფეხქვეშ ეგებოდა ირაკლის. გაჰქრა მისი დიდი ხნის დიდება, სატახტო ქალაქი დაუნგრის და ხალხის კეთილ-დღეობა შეიმუხრა. აი ამ სენაკის ჭერ-ქვეშ შენ ხედავ საქართველოს დიდებულს მეფეს, რომელიც ყველასგან უნუგეშოდ არის დატოვებული და ხალხს თვალს არიდებს. იმ კარის კაცთაც დაანებეს თავი, რომელთაც იგი ყოვლის სიკეთით ავსებდა; არც ერთი მათგანი თან არ გამოჰყვა თავის ბატონს, მხოლოდ მე, ერთმა უბრალო მისმა სომეხმა, არ დავანებე თავი და თან გამოვყე“.

გულ-მოსაკლავი ამბავი ირაკლისა უნებლიედ გაგონებთ იმ შავ-ბნელს ეპოქას, რომელშიაც შექსპირის დიადმა გენიამ ჰჰოვა დიდებული სახე სხვა ტანჯულის მეფისა, – უბედურის ლირისა, ამანაც ირაკლისავით თავის სამეფო თავის შვილებს გაუყო და იმისავით ბევრი უბედურობა გამოსცადა იმათგან, ვინც უფრო დავალებულნი იყვნენ. მაგრამ შექსპირი – დიდი მემბტიანეა სამუდამოდ წარსულის საშუალო საუკუნეებისა, – კავკასიაში კი ამ საუკუნეებმა თითქმის ჩვენ თვალ-წინ განვლეს.

31

აღა-მაჰმად-ხანი რომ საქართველოდან გავიდა, ირაკლი თელავში დაბრუნდა, ტფილისის შემდეგ ეს ადგილი ყველაზედ ძალიან უყვარდა. თელავთან იყო დაკავშირებული მისი ცხოვრების საუკეთესო დრონი. ჯერ ისევ სულ ყმაწვილი იყო, რომ ლეკების დამარცხებით და განჯისა და ერევნის დამორჩილებით გულადობის სახელი დაიმსახურა; ამის შემდეგ მთელმა კავკასიამ იცოდა, რომ ეს პატარა თელავი სატახტო ქალაქი იყო კახეთის მრისხანე მეფისა, რომელსაც ბედმა წილად არგუნა მთელი საქართველოს შეერთება. აი განვლო მისი მეფობის

ორმოც და თორმეტმა წელიწადმა და კვალად იგი ბრუნდება იმავე თელავში, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ აქ დალიოს თავის უკანასკნელნი დღენი მაშინ, როდესაც მისი ბედის ვარსკვლავი ჩაქრა და ხნოვანობით და მწუხარებით დატვირთულს ველარ შეეძლო დანგრეული ტფილისის ნახვა.

ნაღვლიანად განვლეს მოხუცებულის გვირგვინოსანის დღეებმა. მართალია, იგი გარეგან დიდებას მოკლებული იყო, როცა გადაიცივალა, მაგრამ მთელმა საქართველომ კი დაიტირა თავის ტანჯული მეფე, იმ საქართველომ, რომელსაც ჯერ კიდევ სული არ მოედგა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ.

უძველეს, ერთს დროს სატახტო ქალაქ მცხეთის ათ თორმეტთა მოციქულთა ტაძარში, სწორედ აღსავლის კარის წინ, დღემდის დაცულია მარმარილოს უბრალო ქვა, რომელიც აჩვენებს ადგილს, სადაც განისვენებენ ძვალნი ტანჯულის მეფისა, ქვის ზედ-წარწერა გვაუწყებს: „აქ განისვენებს მეფე ირაკლი, დაიბადა 1716 წელს, კახეთის ტახტზედ ავიდა 1744 წელს, ქართლის ტახტზედ 1762 წელს და მიიცივალა 1798 წელს. რომ დაუვიწყარ იყოს სახსენებელი ამ მეფისა, რომელმაც ორმოც და თოთხმეტი წელიწადი სახელოვნად იმეფა, მათი იმპერატორებითი უდიდებულებობის ალექსანდრე I ბრძანებით, საქართველოს მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა ალაგო ეს ძეგლი 1812 წელსა.“

ქართველ ხალხს კარგად ახსოვს თავის ტანჯული გვირგვინოსანი, მას თვალ-წინ უდგას იგი, როგორც გმირი, რომე-

32

ლიც ისტორიულმა გარემოებამ ომისაგან მომხდარ უბედურებას და დამარცხებას პირისპირ დაუყენა. აქ მოვიყვანთ ერთს ხალხურს ლექსს, რომელშიაც ცხადად იხატება ხალხის სიყვარული ირაკლისადმი:

აღსდევ გმირთ გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია,  
გრძლ აღ მილსა ჩვეულ როდის ხარ, მიგვიხმე უნჯნი ყმანია;  
არ განახოს მტერმან ძაბუნად, ვჰსდევნოთ, ვაკვეცნოთ თმანია,  
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი, ზოგ-თაგან ოთხნი ძმანია.

გაშალე დროშა მძლეველი, წვერ-მახვი მტერთა ხარია:  
მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია;  
ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცით მეხის გვარია,  
განფვანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.

განიფრთხე ძილი, აღსდეგი, შთაიცივ წვრილ-თვალა რკინისა,  
აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა განმზნევი ტვინისა;  
წინ მივალთ შენნი მეჭვრენი, ვითა მეგონნი ლხინისა,  
შევჰსვამთ სისხლსაცა მტერთასა, უმკბეს კახეთის ღვინისა.

მტერს წინ წარვიქცევთ დიაცებრ, უკან იხედნენ ველარა,  
ყოვლთვის ყოფილა ეს ესრედ, ვინ შენზედ დაიკვეხარა,  
წარუღებთ სრულად საუნჯეთ, მთად ვჰგზავნით, დიაცთ ეხარა,  
არ განიღვიძებ, ბატონო, მოყმეთა რამც გაეხარა.

აღვილოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაჩქანთ ჩხერანი,  
დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი,  
ცხენი მზად უდგას გმირთ გმირსა, კაზმული ტურფად მერანი.

არ განიღვიძებს, მოსრულ-არს ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე ერეკლე ჰსცოცხლებდინ აწცა და უკუნისამდე,  
მტერთა თავ-მტეხი მეხისა, მოყმეთა მცველი აქამდე;  
აწ სძინავს ბრძოლით მაშვრალსა და განიღვიძებს დილამდე,  
თუ სადმე წარვალს, წაგვიყვანს, არლა გაგვიშვებს შინამდე.

გათენდა დილაჲ ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა,  
აღკაზმა ცხენთა და ჯორთა და მათი აღვირ-ასხმისა;  
კვეთა თავ-მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა.  
უბრძანე ბუკთა ტკრციალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.

მზეცა აღმოხდა ქვეყანად, მაგრა ჩვენთვის კი ბნელია,  
თუ შენ არ განახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წასვლა მნელია;

33

არ ჩვენ ვჰსცრემლეობთ მარტონი, სტირს შენთვის მთა და ველია,  
დავლენეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რადლა გვეყრების ხელია.

ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით  
მირულებია ნეტარსა, წარსულ-არს ღვთისა წოდებით,  
შევბღავლოთ ცრემლთა ფრქვევითა, თუმცა ისმინოს გოდებით,  
აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.

რადამდე გვკიდავენ ფარ-ხმალნი, უმისოდ ცუდი ბარგია,  
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწათ შესჭამნეს კარგია;  
იგი არა გვყავს საჭვრეტლად, სხვა ვილა ვსძებნეთ ვარგია,  
ჰე წარხდი, ჩვენო ნუგეშო, დიდებავ, დაგვეკარგია.

წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი,  
ვაგლოვნეთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩაღმა წოვანი;  
ჩვენთანა ფშავნი, ხევსურწი, ყრმანი ჭაბუკნი, მხვოვანნი,  
ნუ შეგვშრინ ცრემლნი თვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი.

დაშთნენ მას ძენი, მის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა,  
გმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა;  
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანა-ხმობასა,  
აწ-ლა გამოვსცნათ, მოძმენო, ვინმცა იქმს ერეკლობასა.

## ზუზოვის გალაშქრება სპარსეთზედ

1796 წელს ყიზლიარში აგროვებდნენ რუსის ძლიერს ჯარს, რომლისგანაც უნდა შემდგარიყო ორი ქვევითი და ორი ცხენოსანი ბრიგადა. ამ ჯარის უფროსებად, თვით დედოფლის განკარგულებით, ისეთი კაცები იყვნენ, რომელთაც უკვე გმირობის სახელი ჰქონდათ მოპოვებული, ესენი იყვნენ გენერალ-მაიორები: თავადი ციციანოვი, ბულაკოვი, რიმსკი-კორსაკოვი, ბარონ ბენილსენი, გრაფი აპრაქსინი და მათე ივანეს ძე პლატოვი. მთავარსარდლად კი ღენერალ-პორუჩიკი გრაფი ვალერიან ალექსანდრეს ძე ზუზოვი იყო. ყოველივე ეს იმისთვის მზადდებოდა, რომ გაელაშქრათ სპარსეთზედ – ამ „ლომთა ტყეზეც“, როგორც უწოდებენ მას სპარსეთის მეისტორიენი. სპარსეთიც დიდი ხანია ელოდა ამას, რადგანაც იცოდა, რომ რუსეთი ვე-

რაგულს საქციელს არ შეარჩენდა და სამაგიეროს გადაუხდიდა. 1795 წელს საქართველო რუსეთის მფარველობას ქვეშ იმყოფებოდა და აღა-მაჰმად-ხანმა თავის შემოსევით რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა და იძულებული ჰყო ომი დაეწყო.

მაგრამ ამბობენ, რომ ამ ომს მტკიცე კავშირი ჰქონდა შესანიშნავს პროექტთან, რომელიც საბერძნეთს შეეხებოდა და გრაფი პლატონ ზუბოვის რედაქციით იქმნა განახლებული. ეს პროექტი იმაში მდგომარეობდა, რომ გრაფს ვალერიან ზუბოვს სპარსეთი უნდა დაემარცხებინა და, რაკი ზურგს უკან მტერი აღარ ეყოლებოდა, ანატოლიაც უნდა დაეჭირა და მცირე აზიის ნაპირებიდან კოსტანტინოპოლი შიშ ქვეშ უნდა ჰყოლოდა, ამავე დროს სუვოროვიც წავიდოდა ბალკანეთზე და ადრიანოპოლზედ, თვითონ ეკატერინეც ფლოტზედ იქნებოდა პლატონ ზუბოვთან ერთად და ზღვიდან ოსმალეთის სატახტო ქალაქს გარს შემოადგებოდა.

მთავარსარდალი გრაფი ზუბოვი ამ დროს ოც და ოთხის წლისა იყო. იმის ასე სწრაფად ამალლების მიზეზი, რასაკვირველია, მისი ძმა თავადი პლატონ ზუბოვი იყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ეკატერინეს მეფობის დროს; მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მან დედოფლის ნდობა დაიმსახურა პირადის ვაჟკაცობით და სახელმწიფოსათვის სასარგებლო მოღვაწეობით, რაცა ცხადად დამტკიცდა სპარსეთზედ გამარჯვებით. როგორც ყველა ყმაწვილს კაცს, ამასაცა ჰქონდა ნაკლებეანება, მაგრამ ამასთანავე ისეთი ღირსებაც ჰქონდა, რომლითაც იგი რუსის ჯარს თავს აყვარებდა – სალდათები აღმერთებდნენ თავის ახალგაზდა უფროსს და ცეცხლსა და წყალშიაც რომ წასულიყო უკან გაჰყვებოდნენ.

ახალგაზდა ზუბოვის სამსახურში დაწინაურება მეტად შესანიშნავი იყო. 1785 წელს ოფიცრობა მიიღო, არ გაიარა ოთხმა წელიწადმა, რომ პოდპოლკოვნიკობა მისცეს და ამ ჩინით მონაწილეობას იღებდა ოსმალებთან ომში, როდესაც რუსის ჯარის მთავარ-სარდალად პოტემკინი იყო; ბენდერის აღების გამო დედოფალმა პოლკოვნიკობა

და ფლიგელ-ადიუტანტობა უბოძა; იზმაილის სიმაგრის აღების გამო წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი მისცეს, ამის შემდეგ მალე ღენერლობაც მიიღო და სუვოროვთან ერთად პოლშაში გაიგზავნა. აქ ამ გამოჩენილი სარდალის ყოველს გამარჯვებაში მონაწილეობას იღებდა და ოც და სამი წლისა იყო, როდესაც დედოფალმა უბოძა სიასამურის ძვირფასი ქურქი, გენერალ-პორუჩიკობა, წმ. გიორგის და წმ. ანდრია პირველწოდებულის ყელის-ჯავარი. ერთს ბრძოლაში, სახელდობრ ბუღში გასვლის დროს, ვარშავაზე ოც ვერსზე მოშორებით, მტრის ზარბაზნის ტყვიამ ზუბოვს ფეხი მოსწყვიტა. ამის შემდეგ იგი სამზვარ გარედ წავიდა მოსარჩენად და იქ ხელოვნური ფეხი გააკეთებინა და ისეთი კარგი ფეხიც, რომ ცხენზედ ჯდებოდა და ზოგჯერ მთელი დღე-და-ღამის განმავლობაში არ ჩამოხდებოდა ხოლმე. შემდეგში სპარსელები და მთიელები „ყოზილ აიაღს“ ეძახდნენ, ე. ი. ოქროს ფეხიან ღენე-

რალს. ყიზლიარში ზუბოვი აპრილის დამდეგს მოვიდა და რაკი ჯარი საომრად მომზადებული ნახა, მაშინვე გაილაშქრა დალისტინსკენ, სადაც საველიევიც იყო თავის ჯარით. საველიევი, რომელსაც კავკასიაში გმირობის სახელი ჰქონდა დავარდნილი, შეიხ-ალი-ხანის საბრძანებელს დარუბანდს შეესია და შეუთვალა სპარსეთის წინააღმდეგ საგერებელ და თავ-დასასხმელ ომის შესახებ პირობის შეკვრა. მაგრამ თვრამეტის წლის ახალგაზდა ყმაწვილმა პასუხი არ შემოუთვალა და რუსის ჯარი მიუახლოვდა თუ არა ქალაქს, მაშინვე ზარბაზნები დაუშინა.

საველიევიმ დარუბანდის კედლებთან ახლო დაიჭირა ადგილი, მაგრამ იერიშით მისვლა კი ვერ გაბედა, რადგან იცოდა, რომ ქალაქში ათი ათასამდინ მეომარი იყო, რადგანაც რუსის ჯარის დიდ ხანს უსაქმოდ ყოფნა მტერს გაამხნევებდა, ამისათვის ზუბოვიმ მისწერა საველიევს ქალაქს მოშორებოდა, მაგარი ადგილი სადმე დაეჭირა და უმთავრესი ჯარს მისვლისათვის მოეცადა. მაისის ორს მთავარ-სარდალი მთელის თავის ჯარით დარუბანდთან მივიდა. ქალაქზე ოთხი ვერსის მოშორებით ყაზახებს მთებში და ლელეებში ჩასაფრებული მტრის

36

ცხენოსანი და ქვეითი ჯარი დაუხვდა და სროლა აუტეხა. უკან დაიხია და ციხეში გამაგრდა, რუსის ჯარი კი ქალაქს შემოერტყა და სროლა დაუწყო.

მაშინდელი ზარბაზნები ბევრს ვერას აკლებდნენ ციხეების კედლებს, ამისათვის მთავარ-სარდალმა, დროს მოსაგებად, უბრძანა ვორონეჟის პოლკის ბატალიონს და გრენადერის ორს როტას ციხის წინა კოშკი იერიშით აეღოთ, თუმც დიდის თავგამომეტებით იბრძოდა რუსის ჯარი, მტერმა მაინც უკუაქცია. ბატალიონის უფროსი კრივცოვი და თითქმის ყველა ოფიცრები დაიჭრნენ; სალდათებს ას კაცზედ მეტი დააკლდათ, გენერალი რიმსკი-კორსაკოვი იძულებული იყო უკან გამობრუნებულაყო და ისევ ძველს ადგილზედ გამაგრებულიყო.

სამს მაისს ქალაქს ძლიერ დაუშინეს ზარბაზნები. ხუთს დღეს რუსის ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა, ჯარი მეორედ აპირობდა იერიშით მისვლას გენერალი ბულგაკოვის წინამძღოლობით.

ამ ხანად იერიშით მისასვლელ ჯარს მიემატა იგივე ორი როტა ვორონეჟის პოლკისა და მესამე ბატალიონი კავკასიის ეგერების ჯარისა. 7 მაისს გრაფმა ზუბოვიმ თვითონ დაათვალიერა ჯარი და გამოუცხადა, რომ „კოშკი უსათუოდ უნდა ავიღოთო, იერიშით მისვლას მთელი დარუბანდი დაინახავს და ჩვენი გაუმარჯვებლობა გაამხნევებს სპარსელებს, რომელნიც ჩვენგან ძველადვე არიან დაშინებულნიო“. შემდეგ იგი დადგა ერთს ამაღლებულს ადგილზედ, საიდანაც შეიძლებოდა ომისათვის თვალ-ყური ედევნებია და ჯარს კოშკზედ მისვლა უბრძანა.

საყვარელი მთავარსარდლის ომში დასწრებით ჯარი გამხნედა, ვორონეჟის რაზმი თოფის გაუსროლელად საჩქაროდ მიუახლოვდა კოშკს და არ გასულა რამდენიმე წამი, რომ პორუჩიკი ჩეკრიშევი კოშკის კედლებზედ იდგა და გაცხარებული იბრძოდა. კოშკის ზემო სართულის გუმბანი სულ დახოცეს; მაშინ რუსის ჯარმა ზემო სართულს ჭერი ახადა და ფიცრებთან

ერთად ქვევით სართულში მყოფ მტრის ჯარს თავზე დაეცა და ხიმტებით დახოცა.

ვიდრე გრენადერები ციხეში იბრძოდნენ, ეგერების ერთმა ბატალიონმა იერიში მიიტანა კოშკის ეზოზე და სპარსელები გამორეკა, ასე რომ შუადღისას წინა სიმაგრენი რუსის ჯარის ხელში იყო. ამის შემდეგ რუსები კლდე-კლდე ჩავიდნენ ძირს და ქალაქის სიახლოვეს სანგლები გააკეთეს. ორის დღის განმავლობაში რუსებმა კიდევ დაუწყეს ქალაქს ზარბაზნების სროლა და ამან შეარყია დამცველთა ვაჟკაცობა; 10 მაისს ციხის კედელზე თეთრი ბაირალი გაშალეს და ცოტახნის შემდეგ თვით შეიხ-ალი-ხანიც მოვიდა რუსის ბანაკში, ყელზედ ხმალ-ჩამოკიდებული, რაიცა დამორჩილებას ნიშნავდა. ქალაქის მცხოვრებთ პატოიბა ითხოვეს, იარაღი დაჰყარეს და რუსის ჯარს წინ მიეგებნენ. მთავარ-სარდლის დანახვაზედ მთელმა ხალხმა მის წინ დაიჩოქა. 120 წლის მოხუცმა ზუბოვს გამარჯვება მიულოცა და ვერცხლის ლანგრით ქალაქის გასაღები მიართვა. ეს ის მოხუცი იყო, რომელმაც ამ 74 წლის წინად იგივე გასაღები ამავე ადგილას იმპერატორ პეტრე დიდისათვის მიერთმია.

დარუბანდის აღების დროს რუსებს მოუკვდათ თერთმეტი აფიცერი და ას შვიდი სალდათი, თვითონ ჩაუვარდათ ხელში ოც და რვა ზარბაზანი, ხუთი ბაირალი და თერთმეტი ათასი თოფი. იმავე დღეს დარუბანდის ციხის უფროსად საველიევი დაინიშნა, ოთხი ბატალიონი რუსის ჯარი შევიდა ციხეში მუხიკითა და გაშლილის ბაირალებით. ზუბოვის დიდის ამბით შესვლა კი რამდენიმე დღით გადაიდო, რომ ქალაქი წესიერად მოეწყოთ. 13 მაისს მთავარ-სარდალი მთელის თავის ამალით ბანაკიდან ქალაქისკენ გაემართა და პატივსაცემლად ციხიდან ზარბაზნებს სროლა დაუწყეს. ბეგები და ქალაქის უფროსი კაცები პურ-მარილით წინ მოეგებნენ. აქვე იდგა სომხების სასულიერო წოდება და მოლები, რომ ხალხი რუსეთის ერთგულებაზედ დაეფიცებინათ. ზუბოვმა თავის ამალით მოიარა ქალაქი, რომელიც მორთული იყო ძვირფასის ხალიჩებით და ბაირაღე-

38

ბით და პირდაპირ საველიევის ბინისკენ წავიდა, აქ სამხედრო ტამარი დადგეს და ზუბოვმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, დარუბანდი რუსეთის იმპერიის ნაწილად იქმნა აღიარებული.

სამთავროს მოკლებული შეიხ-ალი-ხანი რუსის ბანაკში ტყვედ დარჩა. მაგრამ მას დიდი თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული და მის მისვლა-მოსვლას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ყურადღებას არავინ აქცევდა. ამით სარგებლობდა შეიხ-ალი-ხანი და გასაქცევად ემზადებოდა. ერთხელ ჯირითობით ყველას თვალი მიიპყრო და სწორედ ამ დროს გაიქცა მთისკენ, სადაც ვიღაც ცხენოსანი კაცები მოჩანდნენ, და უკან აღარ დაბრუნდა. მორიგმა აფიცერმა ამაოდ დაადევნა უკან ყაზახები, მის კვალს ვერ მიაგნეს და ხანი დაიმალა თითქმის მთელი ჯარის თვალ-წინ. ხანის გაქცევას ჯერ დიდს მნიშვნელობას

არ აძლევდნენ, მაგრამ იგი მალე დაღესტანში მივიდა და ბევრი ავნო არამცთუ ზუბოვს, არამედ მის მოადგილეებსაც.

დარუბანდის აღებისათვის იმპერატრიცამ უბოძა ზუბოვს წმ. გიორგის ორდენი მეორე ხარისხისა, ბრილიანტის კალამი ქუდზედ გასაკეთებლად და ალმასის ორდენები წმ. ანდრია პირველ წოდებულისა; დანარჩენმა ღენერლებმაც ანსს ლენტები მიიღეს, პორუჩიკს ჩეკრიშევს კი, კომპოზედ პირველად ასვლისათვის, ებოძა წმ. გიორგის ორდენი მეოთხე ხარისხისა.

დარუბანდის აღების ხმა მთელს დაღესტანში გავარდა და მთის მთავრები ერთიერთმანეთზედ მოდიოდნენ რუსის ბანაკში და დამორჩილების სურვილს აცხადებდნენ.

თითქმის დარუბანდის აღებისათანავე აღებულ იქმნა ბაქო და ყუბის სახანოებიც, პირველი გენერალ-მაიორმა რახმანოვმა. აიღო, მეორე კი ბულღაკოვმა. რუსის უმთარესი ჯარი დარუბანდთან ორი კვირა იდგა, შემდეგ კი წინ გაილაშქრა და დამორჩილა შამახია, რომლის მთავარმაც მუსტაფა-ხანმა შირვანისან სპარსელებს შეაფარა თავი. ეს ხანი შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და რუსებს ბევრი კარგი სამსახური გაუწია.

39

ზუბოვმა ქალაქში მშვიდობიანობა ჩამოაგდო და სახანოს მართვა მიანდო ხანის ღვიძლ ბიძას კასიმს, რომელმაც მორჩილება გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ როგორც კი დრო იპოვა, მაშინვე ისევ გადუდგა.

უნდა ვთქვათ, რომ თვით რუსების ბანაკში დიდი ხანია ღალატობას დაებუდნა. შაჰის ძმას, ნურ-ალი-ხანს, ერთი მდიდარი მაზრის მფლობელს, ალა-მაჰმად-ხანის შურის-ძიებისა ეშინოდა იმის გამო, რომ ოთხი ათას ბაჯალლოდ ნაყიდი კვიცი არ დაუთმო და პეტერბურგში გაიქცა შემწეობის სათხოვნელად. როდესაც გრაფი ზუბოვი, როგორც მთავარსარდალი, ყიზლიარში მოვიდა, ნურ-ალი-ხანიც თან მოჰყვა და სპარსეთის ტახტის დაჭერის იმედი ჰქონდა, თუ, ვინცობაა, რუსები გაიმარჯვებდნენ. რუსების ბანაკში მას დიდს პატივსა სცემდნენ; ამაღლად ასამდინ სპარსელი ჰყავდა და რუსეთის მთავრობისაგან დიდს ჯამაგირს იღებდა; ამასთანავე, რაც კი დარუბანდის ხანს სიმდიდრე დარჩა ბანაკში, ზუბოვმა სულ ერთიან იმას აჩუქა. პატივის-ცემამ და სიმდიდრემ ნური მაინც ვერ გააკეთილშობილა. როგორც ნამდვილს სპარსელს, მას ზნეობრივის კეთილშობილებისა არა გაეგებოდა-რა და ყოველთვის მზად იყო რუსებისათვის ეღალატნა.

შექინისა და ყარაბაღის ხანებს ეშინოდათ ჩვენც შირვანის სახანოს დღე არ დაგვადგესო, ამისათვის იდუმალად შეკრეს პირობა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ემოქმედნათ, კასიმ-ხანიც მალე მიემხრო იმათ. ყარაბაღის ხანის ქალის სილამაზით შესყიდულმა ნურმა მონაწილეობა მიიღო შეთქმულობაში და ზუბოვის მოკვლა თვითონ იკისრა. დანიშნეს დღე, როდესაც ნური მთავარსარდალის კარავში უნდა შეპარულიყო და ზუბოვი თავის ხელით მოეკლა; ამ განზრახვის ასრულება მით უფრო ადვილი იყო, რომ ზუბოვს თავის კარავთან არას დროს ყარაულები არ ეყენა ხოლმე. ახალ-გაზდა მთავარ-სარდალის სიკვდილის შემდეგ ხანები რუსის ბანაკს უნდა დასცემოდნენ და აეკლოთ, ნურ-ალი- ხანს კი მთელი ყარაბაღის უმშვენიერესი ქალი უნდა

ეს საშინელი შეთქმულობა ერთმა უბრალო შემთხვევამ გამოაქვეყნა. იმ დღეს დილით, როდესაც ზუბოვი შეთქმულობის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, ნური ჯირითობდა თავის საყვარელი ცხენით, ქუდი გადმოუვარდა და იქიდან ბარათი გამოვარდა. ის ბარათი ერთმა ყაზახმა იპოვა და მთავარ-სარდალს წარუდგინა. ერთს შეთქმულის წერილი იყო. ნური მაშინვე დაატუსაღეს და ასტრახანში გაგზავნეს, შეკინისა და ყარაბაღის სახანოები რუსებმა დაიჭირეს. ზუბოვს ხანების გასამტყუნებლად ნამდვილი საბუთები არა ჰქონდა ხელში, ამისათვის თავ-თავიანთი სახანოები ისევ მათ ჩააბარა, მხოლოდ ამანათები გამოართვა და რუსეთის ერთგულებაზედ ფიცი მიადებინა.

რუსის ჯარი ასცდა ამ განსაცდელს, მაგრამ ახლა სხვა განსაცდელი მოელოდა დალისტნიდან. იქ გაქცეულმა შეიხ-ალიხანმა ააღელვა ლეკები და ყაზიყუბუხის სურახი-ხანთან შეჰკრა პირობა, რომ ქალაქ ყუბას დასცემოდა და გენერალი ბულღაკოვის ჯარი ამოეწყვიტა.

29 სექტემბერს ღამე საკმაოდ დიდი გუნდი ლეკების სამურიდან სოფელ ალპანში შემოვიდა ჩუმად და ვიწრო ხეობის შესავალი კარი დაიჭირა, მხოლოდ აქედან შეიძლებოდა ყუბანის სახანო მინდორზედ მთებიდან ჩამოსვლა. ბულღაკოვმა დროზედ შეიტყო ეს ამბავი. მტრის დასაზვერად გაგზავნილი ეგერთა რაზმი ალპანის ხეობაში შეხვდა მტერს და შესდგა, ვიდრე ჯარი მიემგებებოდა. ბაკულინმა მალე მიაშველა სამი რაზმი ჯარი, ასი ყაზახი და ორი ზარბაზანი. ის ხეობა, რომლის წინაც ეხლა რუსის ჯარი იდგა, მთლად ჩინარის ტყით იყო დაბურული. მიუხედავად ამისა, ბაკულინმა გადასწყვიტა წინ წასვლა, რომ განთიადისას მტერს თავზე დასხმოდა. აფიცრებმა მოიწონეს ეს განზრახვა და ბნელს ღამეში მთელი ჯარი შევიდა ტყეში, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ მათ საფლავად უნდა გამხდარიყო. საშინელი ოღრო-ჩოღრო და დახრამული გზები იყო, ცხენები ძლივსა ზიდავდნენ ზარბაზნებს და ზოგჯერ თვითონ ჯარს გადაჰქონდა ზურგით.

ბოლოს, გათენდა და სოფელი ალპანი გამოჩნდა, რომელიც მდებარეობდა მთის კალთაზედ და წინ ღრმა ხევი ედო. გზა ეხლა უფრო კარგი იყო. მაგრამ როგორც კი რუსის ჯარი გავიდა, თხუთმეტი ათასი ლეკი დაესხა თავს. ეს თავ-დასხმა ისეთი მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ რუსებმა ზარბაზნების გასროლა ვერ მოასწრეს, მტერი შემოერთყა გარშემო და დაუწყო ჟლეტა. ბაკულინი და მომეტებული ნაწილი აფიცრებისა დაიხოცა; ვინც გადარჩნენ, ისინი ხეებს ამოფარნენ და მტერს იგერიებდნენ იქამდინ, ვიდრე მთლად უღლიცის პოლკი ოთხის ზარბაზნით არ მიემგებლა. ამ ჯარის უფროსად სტოიანოვი იყო. ბრძოლით გახურებულმა ლეკებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს რუსის ახალი ჯარი, როდესაც ამ უკანასკნელთ ტყვია წვიმასავით დაუშინეს და საშინლად დაა-

მარცხეს. ბულღაკოვი ამას არ დასჯერდა და ჯარს უბრძანა ყაზიკუმუხის ხანის სამფლობელო აეკლო; როგორც კი ჯარი ყოველი მხრიდან მთას შეუდგა, სურახი-ხანი მივიდა რუსების ბანაკში, ყოველგვარ პირობაზედ დათანხმდა და ამით თავის სახანო აკლებას გადაარჩინა; მან შეიხ-ალი-ხანი გასდევნა თავის სამფლობელოდან, ამანათები მისცა და რუსეთის ერთგულობაზედ დაიფიცა.

ბაკულინის ჯარის ამოწყვეტა გამარჯვებად ჩასთვალეს და თეირანმა, ალა-მაჰმად-ხანის ბრძანებით, დიდის ამბით იდღესასწაულა.

ამ ამბავმა მთელი რუსის ჯარი თითქმის ექვსი კვირა შამახიაში დააბანდა. მხოლოდ, როცა დაღისტანი დამშვიდდა, ზუბოვმა შესაძლოდ სცნო სამი ათასი ჯარი, ლენერალი კორსაკოვის სარდლობით, საქართველოს მეფე ირაკლისათვის მიეშველებინა და ამ ჯარს დაავალა გზაზედ განჯის სახანოც აეღო.

კორსაკოვი განჯაში 13 დეკემბერს მივიდა, ხანი წინ მიეგება და უომრად დამორჩილდა. ეს იყო ჯავათ-ხანი, რომელსაც ტფილისის აკლებაშიაც მიეღო მონაწილეობა და ბოლოს ხომ თავად ციციანოვს დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

42

როდესაც კორსაკოვი განჯისკენ მიდიოდა, რუსის უმთავრესი ჯარიც ჯევათში გადავიდა, რომელიც მდებარეობდა მტკვრისა და არაქსის შესართავთან. აქ ზუბოვს უნდოდა გამაგრებული ქალაქი აეშენებინა და ეკატერინესრდი დაერქმია. ამის მოლოდინში რუსის ჯარმა დაიბანაკა მტკვრის ნაპირს მდებარე დიდს ველზედ, რომლის იქითაც მულანლოს მინდორი იწყებოდა. მთლად ცხენოსანი ჯარი მდინარის გაღმა გავიდა და მტრის დასაზვერად გილანამდინ მიდიოდა, მაგრამ მტერი არსადა სჩანდა. შაჰი სალაშქროდ იყო წასული და რუსის ჯარს შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე ეუფლა სპარსეთის ახლო მდებარე სახანოებში. ასე მცირე ხნის განმავლობაში რუსეთს დამორჩილდა ყაზიკუმუხისა, დარუბანდისა, ბაქოსი, ყუბნისა, შირვანისა, ყარაბაღისა, შექინისა და განჯის სახანოები; მთელი კასპიის ზღვის ნაპირები თერგის შესართავიდან მტკვრის შესართავამდინ და აგრედვე მულანლოს მინდორიც სულ რუსის ჯარს ეჭირა; მთლად გაუმაგრებელი ადერბეიჯანიც მათ წინ ედოთ; თეირანისკენ მიმავალი გზა თავისუფალი იყო და რუსის მოწინავე ჯარი გილანამდა მიდიოდა.

ბრძოლა მოგებული იყო. მხოლოდ საჭირო იყო იმის შედეგით ესარგებლათ, მიეთვისებინათ სახანოები, რომელნიც თითქმის სისხლის დაუღვრელად დამორჩილდნენ. რუსეთის დედოფალს ალბად ესა ჰქონდა სახეში, რომ ზუბოვს ლენერალან შეფობა უბოძა და გუდოვიჩის მაგივრად კავკასიის მთავართებლად დანიშნა; მაგრამ ნოემბრის ექვსს დედოფალი უეცრად გადაიკვალა და საქმეებმა სრულიად სხვა მიმართულება მიიღეს.

როგორც ვიცით, იმპერატორი პავლე პეტრეს ძე არ თანაუგრძნობდა თავის დიდებული დედის პოლიტიკურს აზრებს და მის სიკვდილთან ერთად რუსეთის პოლიტიკური პროგრამაც სრულიად შეიცვალა. სპარსეთთან დაწყებულს ომს არ

თანაუგრძნობდა ახალი იმპერატორი, ამისათვის დეკემბრის დამდეგს 1796 წელს ყველა პოლკის უფროსებს მოუვიდათ ბრძანება რუსეთში დაბრუნებისა თავიანთის ჯარებით. დეკე-

43

მბრის ექვსს კავკასიის მთავარმართველმა გრაფმა ზუბოვმა მიიწვია თავისთან ყველა ჯარის უფროსები, ხელმწიფის სურვილი გამოუცხადა და მთავარმართველის თანამდებობა აიყარა. რუსეთის მხრივ კავკასიის საზღვრები ჩააბარა ისევ გუდოვიჩს, რომელიც ახალი ხელმწიფის საყვარელი კაცი იყო; თვითონ კი სამსახურს თავი დაანება. ერმოლოვი, რომელიც ამ ექსპედიციის ბატარეის უფროსი იყო, ძლიერ უნუგეშო სურათს აგვიწერს ჯარის უკან დაბრუნებისას. პოლკები თურმე ცალ-ცალკე მიდიოდნენ და თერგზედ გადადიოდნენ, სადაც ელოდა მათ თავისებური ხასიათის გუდოვიჩი, რომელიც იმაზედ იყო გაბრაზებული, რომ ამ ექსპედიციის უფროსად თვითონ არ იყო დანიშნული. არც ერმოლოვსა და არც სხვებს გუდოვიჩთან შეხვედრა არ უნდოდათ, ამისათვის გზა აუქციეს და პირდაპირ ასტრახანზედ წავიდნენ. საქართველოში მხოლოდ რიმსკი-კორსაკოვის რაზმი დარჩა, რომელიც განჯაში იყო დაბანაკებული, მაგრამ ისიც მალე დაბრუნდა რუსეთში 1797 წელს. სპარსეთზედ ასეთის ძლევა-მოსილებით დაწყობილი გალაშქრება იმით დასრულდა, რომ შაჰს წართმეული ადგილები ისევ უკან დაუბრუნდა.

სპარსეთის მეთვრამეტე ასე აგვიწერს ამ ლაშქრობას: „ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი ჯარის მთავარსარდლად, – ამბობს იგი, – რუსეთის დედოფალმა დანიშნა კაცი, რომლისთვისაც ერთი ფეხი ზარბაზნის ტყვიას მოეგლიჯა და მის მაგივრად ოქროს ფეხი ჰქონდა გაკეთებული, ამისათვის იმას ოქროსფეხიანს ეძახოდნენ. მის ხელქვეით იყო 40,000 ქვევითი ჯარი და 20,000 ცხენოსანი, ზარბაზნებიც უთვალავი ჰქონდა. იგი მოვიდა დარუბანდის დასაჭერად და ზარბაზნები დაუშინა. მაგრამ რადგანაც ციხის კედლები განიერი და მაგარი იყო, ზარბაზნების ტყვიამ ვერაფერი დააკლო. ამასთანავე დარუბანდის შახ-ალი-ხანმა ბევრი ჯარი დაუხოცა, მაგრამ ვიღაც ხაზარ-ბეგმა უღალატა და რუსებმა ქალაქი აიღეს. ოქროსფეხიანი ღენერალი მუდანლოს მინდორში მოვიდა. შაჰმა გაიგო თუ არა ესა, იმოდენი ჯარი მიაშველა ადერბილს, რომ მთა და ბარი სულ ერთიან აივსო და ოქროს-

44

ფეხიან ღენერალს თავის დახწევის იმედი დაეკარგა. რაკი თავის თავი ისეთს მდგომარეობაში დაინახა, რა მდგომარეობაშიაც არის ხოლმე ჩიტი ქორის კლანჭებში და ბატკანი მგლის პირში, იგი სულ ერთიან აირია და აღარ იცოდარა ექნა. ამ დროს უეცრად მოვიდა ამბავი დედოფალი გადაიცვალაო, ოქროსფეხიანმა ისარგებლა ამ შემთხვევით და რუსეთისკენ გაემურა, მთელი თავის ბარგი-ბარხანა კი შაჰის ჯარს დაუტოვა, – ასეთი იყო მოწყალება დიდის და ძლიერის ალაჰისა!“

უბედური საქართველო ისევ თავის თავის ანაბარად დარჩა და მხოლოდ იმით გადარჩა ხელმეორედ აოხრებას, რომ ალა-მაჰმად-ხანი მოკვდა.

სპარსეთზედ გამარჯვების მიზეზი გრაფი ზუზოვი კი, რომელიც სამსახურიდან იქმნა დათხოვნილი, რამდენსამე ხანს კურლიანდიაში ცხოვრობდა თავის მამულში პოლიციის მხედველობის ქვეშ. ბოლოს 1800 წელს იგი კვალად მიიღეს სამსახურში და დანიშნეს ჯერ მეორე კადეტის კორპუსის დირექტორად, მერე სახელმწიფო რჩევის წევრად. გრაფი გარდაიცვალა 24 ივნისს 1804 წელს ოც და თოთხმეტის წლისა. გრაფი დაიმარხა სერგეის უდაბნოში, პეტერგოფის ახლო. შემდეგში იმის საფლავზედ ეკლესია ააშენეს წმ. მოწამის ვალერიანის სახელობაზედ და მასთან დაარსეს თავშესაფარი ადგილი ოც და ათი დაჭრილი სალდათისათვის.

## საქართველოს შეერთება

(კნორინგი და ლაზარევი)

ირაკლი II სიკვდილის შემდეგ, ალა-მაჰმად-ხანისაგან აოხრებული საქართველო უბედურს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ოსმალები, სპარსელები და ლეკები ხელ-ახლად შემოსევას ემუქრებოდნენ, შინაურობაში კი შფოთი და არეულობა არა სცხრებოდა სამეფო ტახტის გამო. ირაკლის კანონიერი

45

მემკვიდრე მისი უფროსი შვილი გიორგი XIII იყო, რომელიც მეორე ცოლისაგან ჰყავდა და იმ თავითვე ქართლის მეფედ ითვლებოდა. როდესაც მისი პაპა, თეიმურაზი პეტერბურგში მიდიოდა, ბატონიშვილს გიორგის გადასცა ქართლის სამეფოს სკიპტრა, სამეფო ხმალი შემოაკრა და გულზედ ჩამოჰკიდა ჯვარი ცხოველ-მყოფელი ხის ნაწილებით და ძვირფასის თვალმარგალიტით შემკული. ეს სამეფოს გადაცემა მოხდა საქვეყნოდ, მცხეთის ტაძარში, ქართლის სასულიერო წოდების და თავადაზნაურთა თანადასწრებით. მაგრამ, როგორც ვიცით, ირაკლიმ მაშინ ქართლიცა და კახეთიც ერთ სამეფოდ შეაერთა.

გიორგის გამოჰყვა მამის საუკეთესო თვისებანი და დიდს კეთილდღეობასაც მიანიჭებდა ქვეყანას, რომელიც საქართველოსავით დიდს გაჭირვებაში არ იქნებოდა ჩავარდნილი. გიორგი ჯერ ისევ ბატონიშვილი იყო, რომ ხალხი დიდს პატივსა-სცემდა; ეს პატივის-ცემა მისმა მეუღლემ უფრო განამტკიცა. ოც და ერთი წლის გიორგიმ შეირთო ცამეტი წლის ქეთევანი, ასული ყაზახის მოურავის ანდრონიკაშვილისა.

ამბობენ, რომ როდესაც გიორგი კახეთში მისულა და სტუმრად მოურავის სახლში ჩამომხდარა, ამბავი მოუტანიათ – ლეკები ალაზნის ველზედ გამოჩნდნენო; თუმცა ახალგაზდა ანდრონიკაშვილი ლეკებთან ბრძოლის დროს დაიჭრა მუხლში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ სთქვა, როდესაც შინ დაბრუნდა. გიორგი აღტაცებაში მოიყვანა თავადის ლეგენდარულმა ვაჟ-კაცობამ და კეთილ-შობილურმა ხასიათმა და იქვე გამოუცხადა, რომ შენი და ქეთევანი ცოლად მინდა შევირთოვო, ქალის მამა კი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო. ეს გიორგის დანიშნული იყო ის უშიშარი გმირი ქალლი, რომელსაც საქართველოს მატყანენი იხსენიებენ; ერთხელ ეს ქალი ქართლში

მიდიოდა სამასი კახელის ცხენოსანით და ღართის კარში კარგა ბლომა ლეკები დაუხვდნენ, უშიშარმა ქალმა თვით იკისრა ჯარის წინამძღოლობა და საშინლად დაამარცხა გამაგრებულს ადგილებში ჩასაფრებული ლეკები. როდესაც ამის შემდეგ ტფილისში დაბრუნდა, ირაკლიმ თავისი რძალი დიდის ამბითა და

46

ზარბაზნის სროლით მიიღო. ეს მოხდა 1778 წელს. გიორგის ქორწინებამ მთელი საქართველო გაახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით გიორგი დიდ ხანს არ დასტკბა ამ ოჯახურის ბედნიერებით. ქეთევანი ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დიდის ამბით დასაფლავეს უდროვოდ გარდაცვალებული დედოფალი, რომელიც სამეფო სახლის შვენება და საქართველოს ხალხის ამპარტავნება იყო. გიორგიმ მისი დამარხვა გარეჯის მონასტერში მოისურვა. ივნისის თვე იყო, სამწუხარო ამბავი მთელს ქვეყანას მოედო და ხალხმა აქეთ-იქიდან დაიწყო დენა საყვარელი დედოფლის დამარხვაზე დასასწრობად. სამი შემოსილი მიტროპოლიტი დროშებით მიეგება მიცვალებულს გარეჯის სამზღვარზე, ტირილი და ქვითინი და სამგლოვიარო გალობის ხმა გაისმოდა მიყრუებულს-ყარაიაზის მინდორში, სადაც მხოლოდ ჯეირნები ბუდობენ. ბერები, რომელთაც ყმაწვილობიდანვე დაეტოვებინათ ქვეყანა და მისი ამაოება, გაკვირვებული უყურებდნენ ამ ამბავს. მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელდა ამ ამბის ცქერა, – ნელ-ნელა მიახლოვებული გვამი მიცვალებულისა ხმამაღლა დადადებდა ამ სოფლის ამაოებას, კაცის ძლიერებისა და დიდების დასასრულს.

როგორც ამბობენ, ირაკლიმ მეტის-მეტის მწუხარებისაგან მიცვალებულის წინ წარმოსთქვა თურმე: „აი როდის დაიღუპა ჩემი ოჯახი!“

გიორგი დიდ ხანს არ იყო ქვრივად და იმავე – წელიწადს შეირთო ცოლად თავადი ციციშვილის ასული მარიაში, რომელიც დიდად მშვენიერი იყო, მაგრამ ისეთი კეთილი გავლენა არა ჰქონდა ხალხზე, როგორც ჰქონდა ასე უდროვოდ გადაცვალებულს საქართველოს საყვარელს ქეთევანს.

ტახტზედ რომ ავიდა, გიორგის იმდენი ღონე და ხასიათი არა ჰქონდა, რომ შინაურულ არეულობისათვის ბოლო მოეღო. მისი დედინაცვალი დარია, რომლის რჩევითაც ირაკლიმ სამეფო შვილებს გაუყო, ეხლა ინტრიგობის ბუნაგად შეიქმნა და სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ გიორგის შთამომავლობისათვის სრულიად ჩამოერთმია სამეფო ტახტი. იგი თავის

47

შვილებით არ ემორჩილებოდა მეფის უმაღლეს უფლებას და სპარსეთს სთხოვდა მფარველობას.

გიორგის უნდოდა თავის სამშობლო ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოეყვანა, რადგან აუარებელ მტრებთან ბრძოლით მოღლილ-მოქანცული იყო და მშვიდობა სწყუროდა, ამასთანავე იგი იმასაც ხედავდა, რომ იმის ჩამომავლობას სამეფო ტახტი ვერ შერჩებოდა, ამისათვის რუსეთის ხელმწიფეს პავლე პირველს სთხოვდა, რომ საქართველო თავის საუკუნო ქვეშევრდომად მიეღო და ჯარი გამოეგზავნა მის დასაცველად

გარეული და შინაური მტრებისაგან.

იმპერატორმა კავკასიის სამზღვარზედ მდგომ ჯარის უფროსს ლენერალ ლეიტენანტს კნორრინგს უბრძანა, რომ ტფილისში ეგერის (ეხლანდელი ლეიბ-ერევნის) მეჩვიდმეტე პოლკი გაეგზავნა და სარდლად ლენერალ-მაიორი ლაზარევი გაუტანებინა. 1799 წელს, შემოდგომაზედ, ამ ჯარს თან გამოჰყვა სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი, რომელიც საქართველოში უნდა დარჩენილიყო რუსეთის წარმომადგენელ მინისტრად; ამან თან წამოიღო მეფე გიორგისათვის გვირგვინი და სხვა სამეფო ნიშნები, რადგანაც მთლად ძვირფასი სამეფო ნიშნები საქართველოსი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს წაეღო.

თუმცა შემოდგომა იყო და დარიალის გზაზედ ქარიშხალი და თოვლი ირეოდა, ჯარმა მაინც მშვიდობით გადმოიარა ეს მთა და 26 ნოემბერს მოუახლოვდა ტფილისს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მეფე გიორგის დღეობა იყო. ჯარი დიდის ამბით მიიღეს. თვით მეფე თავის მემკვიდრით, ბატონიშვილებით და დიდძალის ამალით პურ-მარილით მიეგება მას ქალაქ გარეთ. ჯარმა პატივი მისცა მეფეს და მერე ტფილისში შემოვიდა, ამ დღეს ზარბაზნების სროლა და ზარების რეკა არ შეწყვეტილა. გზა-გზა და ქუჩებში ჯარს აუარებელი ხალხი ეგებებოდა და გულწრფელად მხიარულობდა.

სიმართლე მოითხოვს ისიცა ვთქვათ, რომ თუმცა რუსის ჯარი ასეთის აღტაცებით მიიღეს, მაგრამ მისი მდგომარეობა ტფილისში სწორედ რომ სამწუხარო იყო, განსაკუთრებით პირ-

48

ველ ხანებში მაინც. საქართველოს ადმინისტრაციაში ისეთი უწესოება და ბოროტმოქმედება სუფევდა, რომ სალდათებს ისიც კი აკლდათ, რაც კაცისათვის უპირველეს საჭიროებას შეადგენს; არამც თუ სადგომი სახლები არა ჰქონდათ, ბევრჯელ რამდენიმე დღით უშემოდ და უსაჭმლოდ იყვნენ ხოლმე. ლაზარევი ყოველსავე ამას ეუბნებოდა მეფეს, მაგრამ ამ უკანასკნელის ბრძანებას არავინ ასრულებდა. „აქ ისევეა, როგორც ჩვენს სამმართველოებში – სწერდა ამის შესახებ ლაზარევი კნორრინგს: – მანდ სულ ხვალას იმახიან და აქ კი იქნებასაო“.

რუსის ჯარის მოსვლის უმაღვე ტფილისმა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII გვირგვინის კურთხევისათვის დაიწყო მომზადება.

რამდენიმე დღის წინად მთლად სამეფო ნიშნები კავალენსკის სახლიდან მეფის სასახლეში გადაიტანეს, ამ ამბავს დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდის გაკვირვებით უყურებდა ამ დიადს მზადებას, რომელიც მას არას დროს არ ენახა. რუსის მოხელეებს და ოფიცრებს, ცხენოსან საპატიო ყარაულებით გარშემორტყმული, მიჰქონდათ: მაყვლის-ფერი ხავერდის სამეფო ტახტი, მორთული მძიმე ოქროს ფუნჯებით, მეფის სავარძელი, სახელმწიფო მხედართა ალაში, რომელზედაც რუსეთის ორ-თავიანი არწივი იყო გამოხატული, თეთრი ყარყუმის ძვირფასი წამოსასხამი და ბრილიანტის კონა მარიამ დედოფლისათვის, სახელმწიფო ხმალი, სამეფო პორფირი, საქართველოს და რუსეთის გერბით, ძვირფასი თვლებით მოჭედული გვირგვინი, სკიპტრა და სფერა და ბოლოს ბრილიანტის სამი ორდენი, რომელთაგან ანდრიასი ეკუთვნოდა თვითონ

გიორგის, ეკატერინესი – მარიამ დედოფალს და ანნასი ტახტის მემკვიდრეს ბატონიშვილს დავითს. ყოველივე ამის შემდეგ ვერცხლის ლანგრით მიჰქონდათ გრამოტა, რომლითაც სამეფო ტახტი მეფე გიორგის უმკვიდრდებოდა.

როგორც კი გათავდა მზადება, მეტეხის ციხიდან ცხრა-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი და ამით აუწყეს ხალხს ლიტანიის დასაწყისი.

49

ლიტანიის გამგებელნი წინ მიდიოდნენ, მათ შემდეგ საელჩოს სეკრეტარს იმპერატორი პავლე პირველის მიერ დამტკიცებული გრამოტა მიჰქონდა და თან მისდევდნენ ტვილისის მოხელენი და მემუსიკენი; მათ შემდეგ მიდიოდა კოვალენსკი, რომელიც მდიდრულად მორთულს ცხენზედ იჯდა და აქეთ-იქით ქართველი მოხელენი უდგნენ. ყველა ამათ შემდეგ მიდიოდნენ მშვენივრად მორთული მეფის ცხენოსანი ქეშიკნი. მეფის სასახლის კარებთან კოვალენსკის დაუხვდნენ საქართველოს სამეფოს დიდებულნი და მათთან ერთად შევიდა დარბაზში, სადაც ელოდა მას გიორგი მეფე თავის მინისტრებით და კარის კაცებით.

კოვალენსკი ჯერ მცირე სიტყვით მიესალმა მეფეს და შემდეგ საჯაროდ გამოაცხადა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორი პავლე I იღებს საქართველოს თავის მფარველობას ქვეშ და მის კანონიერ მეფედ ამტკიცებს გიორგის და მის შვილს უგანათლებულესს დავით გიორგის ძეს ტახტის მემკვიდრედ. ამას თან მოჰყვა გადაცემა სამეფო ნიშნებისა.

– მოკრძალებულის გრძნობით აღვსილს ჩემის მბრძანებლის ხელმწიფისადმი, – სთქვა გიორგიმ, – შესაძლოდ მიმაჩნია მივიღო ეს მეფის ღირსების ნიშნები, მაგრამ ისე კი არა, რომ წინდაწინვე არ მივიღო ფიცი იმპერატორის ერთგულებაზედ და არ აღვიარო უმაღლესი მისი უფლება კახეთისა და ქართლის სამეფოებზედ“. – „მხოლოდ მე მსურს, დაუმატა გიორგიმ, რომ ეს ამბავი მოხდეს ღვთის ტაძარში შესაფერის დიდებითა და ბრწყინვალებითა“.

– ჩემი მოვალეობაა, – მიუგო კოვალენსკიმ, – დავესწრო თქვენი უმაღლესობის გვირგვინის კურთხევას, რომ, როგორც მეფეს, პატივი გცეთ რუსის ჯარმა, რომელიც მოვიდა თქვენს სატახტო ქალაქში სამუდამოდ დასარჩენად.

მისალმების შემდეგ კოვალენსკიმ გადასცა გიორგის უმაღლესი გრამოტა და მიაართვა ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა, რომელიც მეფემ მაშინვე გაიკეთა. ამის შემდეგ მეფის ნების დართვით საქართველოს მემკვიდრეს ბატონიშვილს

50

დავითს გადასცა ორდენი ანნასი, ხოლო სხვა საჩუქრები სამეფო გვარეულობის დანარჩენ პირებს დაურთა.

დედოფალი მარიამი არ დაესწრო გვირგვინის კურთხევას, მან კოვალენსკი თავის ოთახში მიიღო და ამით დაარღვია აზიური ჩვეულება, რომელიც უშლის ქალს უჩადროდ კაცებთან გამოსვლას. დედოფალი დაუხვდა კოვალენსკის მდიდრულად დართულ სეფე ქალებით. მისალმების შემდეგ მინისტრმა მია-

თვა ბრილიანტის ორდენი წმინდა ეკატერინესი და გიორგის თხოვნით თვითონვე გაუკეთა ეს ორდენი დედოფალს.

12 დეკემბერს, ზედ მეფის დაგვირგვინების დღეს, კვალად შეიკრიბნენ სასახლეში ქართველებისა და რუსების წარჩინებულნი პირნი. მეფე და დედოფალი ეკლესიისკენ გაემართნენ, მათ წინ მიუძღოდნენ სასახლის წარჩინებულნი პირნი და თან მიჰქონდათ გვირგვინი და სკიპტრა. მეფე-დედოფლის ცოტა მოშორებით კოვალენსკი და ტახტის მემკვიდრე მისდევდნენ, მათ შემდეგ მიდიოდნენ სამეფო გვარეულობის დანარჩენი პირნი, თავადნი, მინისტრები და დიდებულნი.

წირვის შემდეგ გიორგიმ უბრძანა წაკითხვა უმაღლესის გრამოტისა, რომლითაც იგი მტკიცდებოდა საქართველოს მეფედ და რუსეთის ერთგულებაზედ ფიცი მიიღო. ყოველივე ამის შემდეგ გიორგიმ გაიკეთა მეფური ნიშნები და დაბრუნდა სასახლეში, სადაც დაჯდა ტახტზედ და იღებდა მილოცვას რუსის მინისტრის და საქართველოს ერის წარმომადგენელთაგან.

ამნაირად თავის ნებით შეუერთდა საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიას.

მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ რუსეთთან შეერთებული საქართველო შესდგებოდა ქართლ-კახეთის და სომხეთის ნაწილისაგან; ეს უკანასკნელი იყოფოდა თრიალეთის და ბორჩალოს მაზრად; საქართველოსვე ეკუთვნოდა ყაზახისა, ბამბაქისა და შამშადილის პროვინციები, დასახლებულნი თათრებითა და აგრედვე მთებიც, სადაც ცხოვრობდნენ ოსები, თუშები, ფშავლები და ხევსურები.

51

საქართველოს ტახტი გიორგის ჩამომავლობას დაუმტკიცდა და ეს არაფრად იამა ქვრივ-დედოფალს დარიას და მის შვილებს. იმ დროს, როდესაც გიორგი და დავითი ფიცს ღებულობდნენ იმპერატორი პავლეს ერთგულებაზედ და მთელი საქართველოს ხალხი ქუჩებში მხიარულობდა, ქვრივი დედოფალი სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ ხალხში უკმაყოფილება ჩამოეგდო და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო თანდათან მატულობდა უკმაყოფილოთა რიცხვი.

გიორგისთან რუსეთის ორი წარმომადგენელი იყო, ლაზარევი და კოვალენსკი, რომელნიც ხასიათითა და ზნეობით, სამწუხაროდ, ძლიერ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. ჯარის უფროსად იყო გენერალ-მაიორი ლაზარევი, კაცი პირდაპირი, გულ-გახსნილი და პატიოსანი. მან ამ დიდ ადგილამდინ მიაღწია თავის შრომით და მეცადინეობით, მფარველი და ქომაგი არავინა ჰყოლია. იგი შევიდა სამსახურში 1775 წელს გვარდიის კაპრალად და ცხრა წლის შემდეგ ოფიცრობა მიიღო. ამ დღიდან იწყობა სამსახურში მისი წინ წასვლა. მან ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა ფინლანდიასთან ომში, კავკასიაში ანაპისა და დარუბანდის ალების დროს, რომ მთავრობამ მიაქცია ყურადღება, იმპერატორმა პავლემ 1797 წელს გენერლობა უბოძა და საქართველოში გამოსაგზავნ ჯარის უფროსად დანიშნა. იგი ნამდვილი მეომარი იყო და მცირედით კმაყოფილდებოდა, რუსეთის დროშა უცხო ქვეყანაში ღირსეულად მაღლა ეჭირა და ამის გამო ქართველები პატივისცემით უყურებდნენ რუსეთს. მისი ამხანაგი კოვალენსკი კი, რომელიც წარმომადგენელი იყო

პოლიტიკისა და სამეფოს შინაურის მართვისა, წმინდა გულის კაცი არ იყო და წვრილმანი თავ-მოყვარულობაცა ჰქონდა. მან თავის ცბიერობით მოინადირა მეფის გული, ყოველს იმის განკარგულებაში ერეოდა და ყოველთვის თავის პირადი სარგებლობა ჰქონდა სახეში. მის ხასიათს ცხადად გვიხატავს შემდეგი ფაქტი: გაიგო თუ არა, რომ მეფეს ლაზარევისათვისაც იმოდენავე დღიური სახარჯო ფული დაუნიშნავს (დღეში ერთი თუმანი), რამდენიც იმისთვის, მაშინვე მოახსენა მეფეს, რომ

52

ეს შეუსაბამო განკარგულება არისო და თავისთვის, როგორც ხელმწიფის წარმომადგენლისათვის, ორჯელ მეტი სახარჯო მოითხოვა. ლაზარევი ძლიერ აღელვა კოვალენსკის ასეთმა თავხედურმა და ურცხვმა საქციელმა და თავის სახარჯოზედ უარი განაცხადა, კოვალენსკის საჩივრის მიზეზი აღარა ჰქონდა და იძულებული შეიქმნა ერთი თუმნით დაკმაყოფილებულიყო. მაშინ მან მოითხოვა, რომ მისთვის, როგორც რუსეთის წარმომადგენელისათვის, ჯარს სალამი მიეცა ხოლმე. ლაზარევმა მიუგო, რომ „კანონის ძალით ჯარმა სამოქალაქო მოხელეს სალამი არ უნდა აძლიოსო და იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ მე, როგორც ჯარის უფროსი საქართველოში, არას გზით არ უნდა ვემორჩილებოდე სამოქალაქო მოხელესაო“. მათ შორის უთანხმოება და კამათობა დაიწყო. ბატონიშვილები სარგებლობდნენ ამით და ხალხს აღელვებდნენ.

გიორგის ერთს ძმას, ალექსანდრე ირაკლის ძეს, საუფლისწულო მამული არა ჰქონდა, ამისათვის მან თავისთვის ყაზახის მაზრა მოითხოვა, რომელიც, საქართველოს ჩვეულებისამებრ, მხოლოდ თვითონ მეფეს ეკუთვნოდა და სხვას არავის; გიორგიმ ალექსანდრეს ამაზედ უარი უთხრა, რის გამოც იგი შულავრიდან ოსმალს სამზღვარზედ მივიდა და იქიდან ჩუმად გადავიდა სპარსეთის ბანაკში, სადაც დიდის სიხარულით მიიღეს. დაქვრივებულმა დედოფალმა და მისმა შვილებმა რომ გაიგეს ესა, თვითონაც მიმართეს სპარსეთს და მფარველობას სთხოვდნენ. სპარსელებსაც ეს უნდოდათ, რომ ხელ-ახლად გარეულიყვნენ საქართველოს სამეფოს საქმეებში. ყოველივე ეს სპარსეთისათვის ძლიერ საჭირო იყო, რადგანაც მის მმართველს ბაბა-ხანს ქვეშევრდომნი იქამდინ არ აღიარებდნენ შაჰად, ვიდრე დაგვირგვინების დროს სხვა მეხარკეთა შორის არ დაინახავდნენ საქართველოს მეფესაც, რომელიც შაჰის გვერდით უნდა მდგარიყო და ხელში მისი ხმალი უნდა სჭეროდა \*).

---

\*) სპარსეთს სულ ოთხი მოხარკე ანუ მთავარმართველი ჰყავდა და შაჰის გვირგვინის კურთხევის დროს უნდა სჭეროდა: საქართველოს მმართველს – შაჰის ხმალი, არაბისტანისას – ძვირფასი ფრთა, რომელიც გვირგვინის მაგიერი იყო, ლორისტანისას – პორფირი და ქურდისტანისას – აღმასებით მოჭედილი, განსაკუთრებული მორთულობა.

53

ტფილისში სპარსეთის ელჩიც მალე მოვიდა. გიორგიმ იგი რუსეთის მინისტრის სახლში მიიღო, თვითონ იმპერატორი პავლეს სურათის ქვეშ დადგა, რომლის წინაშეც იდგა საქართველოს ტახტი და მაზედ ეწყო გვირგვინი, სკიპტრა და სფერა;

მეფეს აქეთ-იქით უდგნენ საქართველოს დიდებულნი და ხელში პორფირი და მხედართ ალამი ეჭირათ.

სპარსეთის ელჩმა გამოაცხადა – მეფესთან საიდუმლოდ მინდა მოვილაპარაკო; ამაზედ გიორგიმ მიუგო, რომ მე რუსეთის მფარველობას ქვეშ ვიმყოფები და რუსეთის მინისტრის დაუსწრობლად საიდუმლოდ მოლაპარაკება არ შემძლიანო. მაშინ ელჩმა პირდაპირა სთქვა, რომ შაჰი საქართველოს თავის წინაპართა საკუთრებად სთვლის და მის დამორჩილებას თხოულობსო, თუ არ უნდა რომ უწინდელ უბედურებაზედ უფრო დიდი უბედურება მიადგესო.

– მე თქვენი სიტყვები საშინლად მაკვირვებენ, – მიუგო კოვალენსკიმ: – თქვენ თითქოს დაგვიწყებიათ ის მფარველობა, რა მფარველობასაც უწევს საქართველოს რუსეთის იმპერატორი.

– „ეგ მე მახსოვს, – მიუგო ელჩმა: – მაგრამ მაინც ერთგულად ვურჩევ მეფეს, ამისთვის რომ მტერი უკვე უახლოვდება მაგის სამფლობელოს სამზღვრებს“.

– რუსეთს, – უთხრა კოვალენსკიმ: – აქაურს ქვეყნებში მტერი არა ჰყავს, მაგრამ იმას კი, ვინც მის მფარველობას ქვეშ მყოფ ხალხს უსიამოვნებას მიაყენებს, ადვილად გასცემს პასუხსა. მოლაპარაკება ამით გათავდა.

ბატონიშვილის ღალატმა და შაჰის მადიებლობამ გიორგის მტრის შემოსევის შიში ჩაუდო გულში, მით უმეტეს, რომ მტერი ერევნის მაზრას უკვე შემოსეოდა და ჰყრიდა ხმებს, ტფილისზედ მივდივარ მხოლოდ იმისთვის, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ტახტზე ავიყვანოვო.

მცხოვრებლების დასამშვიდებლად გიორგიმ მიმართა იმპერატორს პავლეს და შემწეობა სთხოვა; ხელმწიფემ შეისმინა გიორგის თხოვნა და უბრძანა გამოეგზავნათ საქართველოში ყაზრადოს პოლკი გენერალ-მაიორი გულიაკოვის სარდლობით.

54

პოლკი სწორედ კარგ დროს მოვიდა, ამისთვის რომ ტფილისის მართლა განსაცდელი მოელოდა ავარული ომარ-ხანისაგან, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინად მთლად საქართველო ააოხრა და ეხლა კიდევ ოცი ათასი ლეკით აპირებდა კახეთში შემოსევას.

ომარ-ხანი გულადი, მამაცი და დაუცხრომელი კაცი იყო. მართალია, თვითონ დიდი სამფლობელო არა ჰქონდა, მაგრამ მთელს დაღისტანში ისეთი დიდი სახელი ჰქონდა, რომ საკმაო იყო ერთი მისი დამახება, რომ მთლად ლეკები ფეხზედ დამდგარიყვნენ და ბრმად გაჰყოლდნენ უკან თავის საყვარელ წინამძღოლს.

ომარ-ხანის მოახლოვებამ ერთი ალიაქოთი მოახდინა საქართველოში. მაგრამ იმ დროს, როდესაც ტფილისის მცხოვრებნი გასაქცევად ემზადებოდნენ, ლაზარევი და გულიაკოვი რუსის ორი პოლკით საჩქაროდ გაემართნენ მტრის დასახვედრად. სიღნაღში რუსის ჯარს ბაგრატიისა და იოანეს ქართველების სამი ათასი ჯარიც მიემატა და 5-ს ნოემბერს 1800 წელს ლაზარევი მტრის ბანაკზედ ექვსი ვერსის მოშორებით დადგა. მაგრამ ომარმა ღამე აუქცია გზა რუსის ბანაკს და პირდაპირ ტფილისისკენ წამოვიდა. ლაზარევიც მოკლე გზით საჩქაროდ დაედევნა მტერს და 7-ს ნოემბერს განთიადისას წამოეწია მდი-

ნარე იორის ნაპირზედ, სოფელ კაკაბეთის ახლო.

ომის აცდენა აღარ შეიძლებოდა და ლეკები, გავიდნენ თუ არა იორში, საშინელის სისწრაფით და ყიჟინით მიესივნენ რუსის ჯარს, მაგრამ ჯარმა ისე საშინლად დაუშინა თოფები, რომ „მრავალმა მათგანმა სამარე ბრძოლის ველზედ ჰპოვა და იქ ეძებდა საქართველოზედ ტყუილს უფლებას და ამ უფლების გულმხურვალე და ძლიერი მოსარჩლე ხომ ომარ-ხანი იყოვო“, სწერდა შემდეგ ლაზარევი კნორრინგს. ომი მთელს დღეს გაგრძელდა და ამ პირველ შეხვედრაზედვე ერთმა მუჭა რუსის ჯარმა საშინლად დაამარცხა ომარ-ხანის თხუთმეტი ათასი ჯარი. რადგანაც ბრძოლა ღამე გათავდა, ამისათვის გამარჯვებულთ მხოლოდ დილით დაინახეს ნამდვილი სურათი საში-

55

ნელის მუსვრა-ჟლეტისა. ჩალიანები, ბუჩქები და ღელეები სავსე იყო დახოცილებითა; სისხლით შეღებილს ბალახს მზის სხივები მისდგომოდნენ; წყალს გაღმა მტრის გაფრიალებული დროშები, კარვები და ბანაკი ისევ მოჩანდა, მაგრამ ეტყობოდა ეს ბანაკი დაცარიელებული იყო. მტერი გაქცეულიყო და თან ვერაფერი ვეღარ წაეღო. ორი ათასამდინ კაცი მოუკვდათ. თვითონ ომარ-ხანი მიმედ დაიჭრა და დარდისაგან მალე მოკვდა. ქართველებმა გამარჯვების ნიშნად რუსის ჯარის უფროსს წინ ორი ლეკის თავი დაუგორეს, რომელთაგან ერთი მეტის მეტად დიდი იყო.

იორზედ ბრძოლა მარადის ღირს-სახსოვარი იქნება კავკასიის ლაშქრობის ისტორიაში. იგი იმით კი არ არის სახსოვარი, ვითომც რუსებს ბევრი ჯარი დახოცოდეთ, არა, შედარებით ჯარი ცოტა დაეხოცათ, სახსოვარია იმით, რომ რუსის სარდლები ერთი მუჭა ჯარით შეებრძოლნენ აუარებელს ბრბოს ლეკებისას, რომელნიც განთქმულნი იყვნენ ვაჟკაცობითა და გულადობით.

დიდი ბედნიერება იყო, რომ იმ დროს საქართველოში მოსულ რუსის მცირე ჯარის უფროსებად ისეთი ღენერლები იყვნენ, როგორც ლაზარევი და გულიაკოვი, რომელთა სახელიც არასდროს არ ამოიშლება რუსეთის სამხედრო ისტორიიდან. ორივენი ღირსეულად ატარებდნენ რუსის სახელსა და თავიანთის სისხლით აღბეჭდეს ის ძმური დახმარება, რომელიც აღმოუჩინა რუსეთმა საქართველოს. ლაზარევი დაიღუპა ტფილისში 19 აპრილს 1803 წელს, გულიაკოვი კი მოკლეს ალაზნის გაღმა თავის მეგობრისა და უფროსის რამდენიმე თვის სიკვდილის შემდეგ.

„ლაზარევი და გულიაკოვი, ყაბარდოსი და ერევნის პოლკები – აი ის პირველნი ბურჯნი, – ამბობს ზისერმანი, – რომელზედაც დამყარებულია საუკუნო დიდება კავკასიის ჯარისა“.

რასაკვირველია, ამისთანა გარემოებათა შორის პირველმა გამარჯვებამ დიდი გავლენა იქონია ხალხზედ; ეს გავლენა უფრო იმისათვის იყო საჭირო, რომ უამისოდ რუსის მცირე ჯარი კავკასიაში თავს ვერ დაიჭერდა.

56

ამ გამარჯვებისათვის იმპერატორმა პავლემ უბოძა ორივე

ბატონიშვილს, ლაზარევსა და გულიაკოვს ჯვრები წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენისა, ხოლო ომში მონაწილეობის მიმღებ სალდათებს თითო მანეთი.

მეფე გიორგი თუმცა ავად იყო, მაინც წინ მიეგება ტფილისში დაბრუნებულს ჯარს, მდიდრულად შეკაზმულ ცხენიდან გადმოხტა და სთხოვა ლაზარევს მიეღო იგი საჩუქრად და იმით შესულიყო ქალაქში.

სამწუხაროდ ეს უკანასკნელი გამოსვლა იყო გიორგისა. ჯარის დახვედრის დროს გაცივდა და ლოგინად ჩავარდა, ექიმებს მისი მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მოკვდებოდა თუ არა გიორგი, საქართველოში შინაური ომი დაიწყებოდა მეფის შვილებსა და ძმებ შორის და უკანასკნელნი იმაზედ უფრო დასთანხმდებოდნენ, რომ საქართველო რუსეთს შეერთებოდა, ვიდრე დავითის გამეფებას.

თვითონ მეფემ უფრო ყველაზედ კარგად იცოდა ესა და ლოგინში მწოლარე სწერდა იმპერატორს პავლეს, „რომ საქართველომ ასე თუ ისე უნდა დაასრულოს თავისი საკუთარი პოლიტიკური არსებობა და საქართველოს ერი ეხლავე უნდა შეიქმნეს საუკუნო რუსეთის ქვეშევრდომად და მისი მეფე თავის კანონიერ მეფედ მიაჩნდესო“.

ამ აზრის თანხმად გამოიცა მანიფესტი პეტერბურგში 18 დეკემბერს 1800 წელს, ხოლო 28 დეკემბერს გიორგი ტფილისში გარდაიცვალა.

ამ ნაირად გაუქმდა საქართველოს სამეფო ტახტი და ბაგრატიდების დინასტიის ათასის წლის მეფობა საქართველოში ეხლა სამუდამოდ გაუქმდა. 16 თებერვალს მთლად ტფილისის მცხოვრებნი სიონში შეიკრიბნენ და იმპერატორი პავლეს ერთგულებაზედ ფიცი მიიღეს. ფიცი მიიღეს აგრედვე სომხებმაც, რომელთაც ეს ამბავი დიდის დიდებით გადაიხადეს.

შვიდს თებერვალს დილით ადრე, დაირეკა თუ არა ვანქის ზარი, მთლად სასულიერო წოდება, რვა არქიმანდრიტი და ასამდინ მღვდლით, გამოვიდა სომხების ყველა საყდრები-

57

დან და ერთად გამართნენ ქალაქ გარედ ვანქის მონასტრისკენ. ამ ამბის დროს ორს წარჩინებულს მოქალაქეს იმპერატორი პავლეს სურათი მიჰქონდათ, უკან შემოსილი მიტროპოლიტი მიდიოდა და თავზედ ედგა ვერცხლის ლანგარი, რომელზედაც მანიფესტი იდო. ხალხი ათასობით მისდევდა უკან ბატონიშვილს დავითს და მის ძმებს, გენერლებს ლაზარევს და გულიაკოვს. სომხეთის პატრიარქი იოსები შემოსილი მიეგება ხალხს ვანქის გალავანში. შან საცეცხლურით უკმია იმპერატორის სურათს, შემდეგ დაემხო მის წინაშე მიწაზედ და ემთხვია, მერე შეიღო თავზედ და ხმამაღლა წარმოსთქვა: „აღლეგრძელოს უდიდესი და უავგუსტესი ჩვენი მეფე და მთლად მისი სახლობა“. ხალხის ხმამ სიხარულით გრიალი მოიღო. ამის შემდეგ პროცესია ეკლესიაში შევიდა. იქ საკურთხევის წინ, საკუთარს ანალოიაზედ, დასდეს მანიფესტი და იმპერატორის სურათი. მწირველი თვითონ პატრიარქი იყო, რომელმაც წირვის შემდეგ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და მთელი ხალხი დააფიცა.

როგორც ამ დღეს, ისე მეორე დღესაც რუსის აფიცრები

დადიოდნენ ჯარით ტფილისის ქუჩებში და ხალხს ოთხს ენა-ზედ უკითხავდნენ მანიფესტს: რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად.

როდესაც ყველა ეს ამბები მორჩა, საქართველოს ბატონიშვილები იოანე, ბაგრატ და მიხეილ გიორგის ძენი, თავად ავალიშვილით და ფალავანდიშვილით გაემგზავრნენ პეტერ-ბურგისკენ, „რათა რუსეთის იმპერატორის წინაშე დაემტკიცებინათ მთელი ქვეყნის საყურადღებოდ, რომ საქართველოს ერმა თავის სურვილითა და ნებით მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა“. რუსეთის მეფე მიელოდა ამ ელჩებს და წინადვე მოამზადებინა თავისთვის ძველებური ტანისამოსი საქართველოს მეფეებისა საკოსითურთ. ელჩები ჯერ ისევ გზაზე იყვნენ და საქართველოს მდგომარეობაც ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, რომ იმპერატორი პავლე გარდაიცვალა. მისმა მოადგილემ, იმპერატორმა ალექსანდრე I 12 სექტემბერს 1801 წელს

58

გამოცემულის მანიფესტით დაამტკიცა რუსეთისაგან საქართველოს ქვეშევრდომად მიღება და აღიარა, რომ ამას სჩადიოდა „არა თავის ძლიერებისათვის, არა ანგარებითა და თავის ისედაც დიდი სამეფოს გასადიდებლად, არამედ კაცმოყვარებით, რომელიც ვალად სდებს მას შეისმინოს ტანჯულთა ვედრება და დაიხსნას გაჭირვებისაგან ისეთის მთავრობის დაყენებით, რომელსაც შეეძლოს მიანიჭოს მათ ქვეყანას ბედნიერება და მართლ-მსაჯულება“.

ამავე დროს იმპერატორმა დაუბრუნა საქართველოს მისი საერო წმინდანი, – ვაზის ჯვარი, რომელიც ჩააბარა ღვთისმშობელმა წმინდა ნინოს. წინად ეს ჯვარი საქართველოს მეფეების გვარეულობაში ინახებოდა და, როგორც ერთი სომხის მეთრონიე მოგვითხრობს, საომარ ნიშნად ხმარობდნენ ხოლმე ბერძნებთან ომის დროს. მტრის შემოსევის დროს ჯვარი ხან მცხეთაში ინახებოდა, ხან ანანურში; ამ ქალაქიდან მიტროპოლიტმა ტიმოთემ წაუღო იგი ვახტანგ VI შვილს ბაქარს, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა. ამ ბატონიშვილის შვილის-შვილმა გიორგიმ ეს წმინდა ჯვარი მიართვა საჩუქრად იმპერატორს ალექსანდრე პავლეს ძეს, რომელმაც ეხლა ისევ საქართველოში გამოგზავნა. 9 აპრილს 1802 წელს ჯვარი დიდის დიდებით მოასვენეს ტფილისში, და ხალხი დიდის სიხარულით მიეგება; იგი დაასვენეს სიონში, სადაც დღემდინ ინახება აღსავლის კარის მარცხნივ, საკუთარს კიოსკში, რომლის ვერცხლის ფიცარზედაც დახატულია წმ. მოციქულთა სწორი ნინო.

მაგრამ ისევ კავკასიის ამბებს დავუბრუნდეთ.

იმპერატორმა თავის ბრძნულის და მეტის-მეტად კაცთ-მოყვარულ სურვილის ასრულება მიანდო გენერალ-ლეიტენანტს. კნორრინგს, რომელიც დაინიშნა მაშინ საქართველოში სამხედრო გუბერნატორად და ჯარის უფროსად. სამწუხაროდ, კნორრინგი არ ეკუთვნოდა იმ პირთ, რომელთაც შეუძლიანთ ხალხის გულის მოგება, საქართველოს რუსეთთან შეერთებას სრულიად სხვა მნიშვნელობა მისცა და ძალ-მომრეობა დაიწყო. მოვიდა თუ არა ტფილისში, მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეკრიბა, გა-

რშემო ჯარი შემოარტყა და უბრძანა იმპერატორის ერთ-გულეზაზედ დაეფიცნათ. ასეთმა შეუსაბამო განკარგულებამ, რომელიც არ იყო გამოწვეული ხალხის არავითარი საქციელით, ქართველები მეტად გააბრაზა, მათ ძალ-დატანებით არ მიიღეს ფიცი და თავ-თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მაშინ თავადნი და აზნაურნი, ამან უფრო საშინლად გააბრაზა ქართველები. ამ დროს კნორრინგი რუსეთის სამზღვარზედ წავიდა და ქვეყნის მართვა ჩვენგან ცნობილს კოვალენსკის ჩააზარა. მისი წასვლით საქართველოში ამზოხება და არეულობა უფრო გაძლიერდა.

ლეკები სარგებლობდნენ საქართველოს შინაურულის არეულობით და ისე ხშირ-ხშირად არასდროს არ შემოესეოდნენ ხოლმე მის სოფლებს, როგორც ეხლა. ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, რუსის ორი პოლკი ვერაფერს გახდებოდა და ვერ მიეშველებოდა იქ, სადაც საჭირო იყო, ამის გამო აქ მყოფი ჯარი გააძლიერეს.

ჯერ ისევ იმპერატორი პავლე პეტრეს ძე გრძნობდა, რომ ჯარი ნაკლებად იყო საქართველოში და უბრძანა გამოეგზავნათ აქ კავკასიის გრენადერის პოლკი (ეხლა საქართველოსი) ღენერალ-მაიორის ტუჩკოვის სარდლობით. დიდი ზამთარი იყო და ჯარი ძლივს იკვლევდა გზას თოვლით ავსებულ ხეობებში. არა ერთი და ორი დღე გაატარა ჯარმა უჭმელად და არა ერთი ჯარის კაცი დაიღუპა გზაზედ, მაგრამ მაინც გამოიარა მრისხანე დარიალის ხეობა და ქისტების სოფელ გველეთთან დაიბანაკა. აქ მოულოდნელად დაეწია ამ ჯარს ფელდელერი მანიფესტით იმპერატორი პავლეს გარდაცვალების შესახებ და აქვე ცაში აღზიდულ ყაზიბეგის მთის კალთებზედ დაიფიცეს გრენადერებმა ახალგაზდა იმპერატორის ერთგულეზაზედ, მრისხანე თერგის ღრიალი ზანს აძლევდა მათს ფიცსა.

მოვიდა თუ არა ჯარი ტფილისში, ერთი ბატალიონი მაშინვე სურამში და გორში წავიდა, პოლკოვნიკი სიმანოვიჩის უფროსობით, ქართლის დასაცველად, ხოლო ყაზარ-

60

დოს ბატალიონის ერთი პოლკი, პოდპოლკოვნიკი სოლენიუსის უფროსობით, ქვემო კახეთში გაიგზავნა. „ეს უკანასკნელი განკარგულება, როგორც სამართლიანად ამზობს ზისერმანი, – დასაწყისი იყო იმ წესისა, რა წესითაც უნდოდათ რუსებს საქართველოს დაცვა მტერთა შემოსევისაგან“. ამ დროიდგან იწყება პატარ-პატარა ომები, რომელიც დასრულდა ორმოც და ცხრამეტი წლის შემდეგ შამილის დატყვევებით. საყურადღებო ის არის, რომ ლეკები თავდაპირველად რუსების ჯოგებს დაეცემოდნენ ხოლმე, ალაზნის გაღმა. მაგალითებრ, 6 ივნისს 1801 წელს ლეკებმა ყაზახების პოლკის ჯოგი წაასხეს, მაგრამ ყაზარდოს რაზმმა დააყრევინა; ერთი თვის შემდეგ კინალამ თვითონ ყაზარდოს პოლკის ჯოგი არ ჩაუვარდათ ლეკებს ხელში და მხოლოდ გუშაგად დაყენებულ რაზმის წყალობით გადარჩა. ლეკები ზამთარშიაც გამოდიოდნენ ალაზანში, მაგრამ ისევ ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ უკან; ამ დროს დაიჭრა ვაჟკაცობით გამოჩენილი ყაზარდოს პოლკის შტაბს-კაპიტანი გაზუაძე, როგორც ამ ბატალიონს, ისე ოსმალეთის სამზღვარზედ მდგარს

სიძანოვიჩის პოლკს ერთი წამი მოსვენება არა ჰქონდათ. განსაკუთრებით გაუჭირდა საქმე ჯარს 1802 წელს ზაფხულში, როდესაც ჯარი ველარ ასწრობდა ყველგან მისვლას, სადაც კი მტერი გამოჩნდებოდა ხოლმე. ამ დროს მომხდარ შემთხვევათა შორის, უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ ყაზარდოს პოლკის 20 კაცი ალაზნის ახლო ჩასაფრდა ერთს დანგრეულს კოშკში და რამდენიმე საათის განმავლობაში იგერებდა ძლიერს მტერს, ვიდრე ჯარი არ მიეშველა და არ გამოიხსნა. მისაშველებლად გაგზავნილი ჯარი ისე გატაცებული იყო, რომ ამას წინად დაჭრილმა გებუაძემ თოფის ხმის გაგონებაზედ ველარ მოითმინა, პირ-და-პირ მტრისკენ გააჭენა ცხენი და ჯარის თვალწინ აკუწეს ლეკვებმა.

თუ როგორ იხოცებოდნენ ლეკვებიც, ეს ცხადად სჩანს შემდეგი მაგალითიდან:

ერთხელ, აპრილში 1802 წელს, ყაზარდოს პოლკის ერთმა რაზმმა, მაიორი ალექსეევის უფროსობით, მოასწრო ხეობა-

61

ში ჩასაფრებულს ლეკვებს. რუსებმა შეუთვალეს დაგვმორჩილდითო. ამაზედ ლეკვებმა მიუგეს, ჩვენ აქ დასამორჩილებლად არ მოვსულვართ და საშინლად დაიწყეს ბრძოლა. როდესაც ტყვიაწამალი გამოელათ, ხანჯლებით გადმოცვივდნენ და სუყველანი ერთად დაიხოცნენ.

ამ ნაირივე შემთხვევა მოხდა ოსმალეთის სამზღვარზედ, იმავე წლის ივლისის თვეში, როდესაც სიძანოვიჩმა გაჟლიტა ბრბო გამოჩენილის ყაჩაღის ყაზი-მაჰმადისა, რომელიც თავზარს სცემდა მთელს საქართველოს.

ამ ნაირ მტრებთან ბრძოლის დროს საჭირო იყო შეურყვევლი მოქმედება და საკმაო ძალა, ზოგიერთა თავადები და აზნაურები კი თავის ვერაგულის საქციელით საქმეს უჭირვებდნენ რუსებს. მაგალითად, მოვიყვანთ ერთ საყურადღებო შემთხვევას. ერთხელ ლეკვებმა გაძარცვეს ქართველების სოფელი ხისტერი, რომელიც მებატონე მურვანიშვილს ეკუთვნოდა. შემდეგ გამოჩნდა, რომ ამ მურვანიშვილს კარგად სცოდნოდა თურმე ლეკვების მოძრაობა, მაგრამ იმას ჰგონებოდა, სურამში მიდიან რუსებთან საომრად, ამისათვის რუსის ჯარის უფროსისათვის არ შეეტყობინებინა და გლეხებიც დაეთრო, რომ რა არის იმათაც არ შეატყობინონო. ლეკვები შუაღამისას სწორედ ამ სოფელს დაესხნენ და ტყვედ დაიჭირეს ოთხმოც და თექვსმეტი კაცი, მათ შორის თვითონ მებატონეც. დალატობა და ვერაგობა თვით ტფილისშიაც იყო დაბუდებული და მხოლოდ ამით აიხსნება თავხედობა ლეკებისა, რომელნიც ტფილისის მიდამოშიაც კი თარეშობდნენ ხოლმე. ერთხელ, ლეკვების ასეთ თარეშობის დროს, ქალაქის მცხოვრებთ თავზარი დასცა თოფის სროლამა და ყვირილმა, რომ ავლაბრის ხიდი იწვისო. ყველანი ხიდისკენ გაემშურნენ და ნახეს, რომ ხიდისთვის მართლა ნავთი დაესხათ და ქვეშ ნაკვერჩხალი დაეყარათ. ცეცხლი დროზედ გააქრეს. ტფილისელები მაინც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხიდი იმისთვის უნდოდათ დაეწვათ, რომ გაღმა-გამოდმა გასავლელი გზა მოესპოთ და კუკია და ავლაბარი ლეკვებს აეკლოთ.

უწესოება თვით საქართველოს სამხედრო გზაზედაც ხდებოდა და ტფილისთან მისვლა-მოსვლა იმდენად საშიში იყო, რომ როდესაც კნორრინგი რუსეთის სამზღვარზედ წავიდა, წინ ერთი რაზმი ქვევითი ჯარი და 200 ყაზახი გაგზავნა მაიორი ბუტკოვის უფროსობით\*). ყველაზედ საშიში ადგილი ამ გზაზედ ლარსის ხეობა იყო; ეს ადგილი ეკუთვნოდა ახმედ დუდაროვს, რომელიც მალა მთაზედ კომპში ცხოვრობდა. აქედან თავის ერთგული მოსამსახურეებით დაეცემოდა ხოლმე გამვლელ-გამომვლელს და სძარცვავდა. ეხლა, როგორც კი დაინახა ბუტკოვის ჯარი, დუდაროვმა მაშინვე წითელი დროშა გაშალა საომრად ხალხის მოსაგროვებლად; მაგრამ, საბედნიეროდ, ბუტკოვი ენერგიული და გამბედავი კაცი იყო. მან მტერს მოგროვება აღარ დააცადა, თვითონ დაეცა სოფ. ჩიჩს, რომელიც დუდაროვს ეკუთვნოდა, და რაც კი ციხის გარედ იყო, ყველაფერს მუსრი გაავლო. ერთად-ერთი მშვენიერი იქაური მეჩითი, აშენებული შეიხ-მანსურის დროს, სულ ძირიანად დაანგრია, სოფელი დასწვა და ზოგიერთა მცხოვრებლები დახოცა. ამ დროს ვლადიკავკასის მხრიდან ზარბაზნები გამოჩნდნენ... დუდაროვმა შეიგნო, რომ წინააღმდეგობა უსარგებლო იქნებოდა.

მოუსვენარმა მდგომარეობამ და კოვალენსკის უშესაბამო და ანგარულმა მოქმედებამ ქართველები სრულიად მოთმინებიდან გამოიყვანა და გააზრაზა. ხალხი, რომელიც წინად სულ იმის ფიქრში იყო, რომ ბატონიშვილებთან კავშირი გაეწყვიტა, ეხლა კვალად იმათ მიუდგა. იმპერატორ ალექსანდრემდინაც მიდიოდა ხმები, რომ კავკასიის მთავრობა უწესოდ იქცევაო და 8 სექტემბერს 1802 წელს უმაღლესის ბრძანებით კნორრინგიცა და კოვალენსკიც რუსეთში დაიბარეს და საქართველოს მთავარ-სარდლად ღენერალ ლეიტენანტი თავადი ციციანოვი დაინიშნა.

---

\*) ავტორი კავკასიის შესახებ თხზულებათა.

## პოლკოვნიკის ი. ს. კვინიტაძის სახსოვრად

### პოტოსი

შთამომავლობისაგან პატივისცემის და მადლობის ღირსნი არიან არა მარტო ის დიდებულნი, რომელთაც ისტორია იხსენიებს, არამედ ისინიც კი, რომელთაც თუმცა მაღალ ხარისხამდე არ მიუხწევიათ, მაგრამ სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის არაფერი დაუზოგავთ და ბრძოლის ველზედ სამაგალითო გმირობა და თავგანწირულება გამოუჩენიათ. ასეთის კაცების უანგარო მოღვაწეობისაგან სდგება ის დიდებული სახალხო ეპოპეია, რომელიც ზრდის ახალ-თაობას და აიძულებს

მას მამა-პაპათა კვალზედ გავლას. თუ რომ წინასწარმეტყველმა ზეგარდმო ნიჭი თავისს მოწაფეს ტანისამოსის შემწეობით გადასცა, რატომ არ შეიძლება, რომ მათ ზნეობრივი ძალა და სულიერი სიდიადე გადასცენ მემკვიდრეებს თავიანთ შესახებ სამაგალითო ამბებისა და საგმირო საქმეების წყალობით.

აი ასეთს, მეორე ხარისხოვან, მაგრამ დიდად სათაყვანებელ და პატივსაცემ, მებრძოლთა გუნდს ეკუთვნოდა განსვენებული ივანე სიმონის-ძე კვინიტაძე. იგი დაიბადა 1825 წელს და შთამომავლობით ტფილისის გუბერნიის აზნაურთაგანი იყო. იმ ჩვენგან დაშორებულ დროს საქართველოს თავად-აზნაურობა ყველაფერზედ მაღლა სამხედრო სამსახურს აყენებდა. ამ საპატიო საქმეში იგი ჰხედავდა არამც თუ წარსულის გმირობის, სარწმუნოებისა და ეროვნებისათვის ათასის წლის ბრძოლის განხორციელებას, არამედ – უკეთეს მომავალს ძლიერის რუსეთის

60

ხელში. ეს იყო, თუ გნებავთ, პირდაპირი შედეგი ქართველ საზოგადოების წეს-წყობილებისა, იმისის აზრისა და შეხედულებისა. მაშინდელ ქართველთა წარმოდგენით თავად-აზნაური და მეომარი განუყოფელი იყო. და კვინიტაძეც დაემორჩილა ამ საზოგადო წესს. 1839 წელს, ჯერ სულ ახალგაზდა, 14 წლისა, იგი დაღესტნისაკენ გაემგზავრა და მილიციაში თავისუფალ ჯარის-კაცად ჩაეწერა. იმან იმავე წელს დაიწყო თავისი სამხედრო მოღვაწეობა გრაბზეს ცნობილ ახულგოს ექსპედიციაში. თუმცა კვინიტაძე სულ ბავშვი იყო, მაგრამ მაინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ყველა იმ ბრძოლასა და შეტაკებაში, რომელიც ახულგოს, შამილის ამ არწივისებურ ბუდის, ალების დროს რუსეთის ჯარს მოუხდა და რომლის აღწერაც არც ერთს კალამს არ ძალუძს. დღე და ღამ ხალხი უღმერთოდ და შეუბრალებლად იჟლიტებოდა და როდესაც ახულგო ალებულ იქნა, ამ უკანასკნელისაგან სისხლით შეღებულის და დახოცილთა ლეშებით სავსე ნანგრევების მეტი აღარაფერი დარჩა. დღეს ცოტადაა ცოცხალი ამ ბრძოლაში მონაწილეთაგანი და ვერცხლის მედალს „ახულგოსათვის“ ზედ წარწერით, რომელიც გულს უმშვენებდა კვინიტაძეს, ამ ჟამად თითქმის ვეღარსად შეჭვდებით.

ახულგოს გაცამტვერებულ ნანგრევებიდან ბედმა კვინიტაძეს შუაგულ მთებს – ავარიაში ამოაყოფინა თავი, სადაც იგი ხელახლა შევიდა ადგილობრივ მილიციაში. უნდა ვსთქვათ, რომ ეს მილიცია თავისებურ და მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა: იგი გამოიწვია და შეჰქმნა კავკასიის ომმა. მიურიდთა სასტიკმა სწავლა-მოდღვრებამ და შამილის უსაზღვრო ბატონობამ უკმაყოფილება დაჰბადა ზოგიერთ, თავისუფლებას მიჩვეულ, მთიულთა შორის. მათ ვერ შესძლეს ამ ორნაირი უღლის ტარება, ამიტომ თავი მიანებეს სამშობლოს და რუსეთის ჯარს მიეკედლნენ. ბევრმა იარაღის წამოღებალა მოასწრო, ცოლშვილი და სახლკარი კი ღვთის ანაბარა დასტოვა. გაბოროტებული და გამწარებული შამილი იმათის ცოლშვილის, აწიოკებითა და სახლ-კარის განადგურებით-ღა იოხებდა გულს.

ეხლა რაკი შურისძიება-და ასულდგმულებდათ ამ უსახლ-კაროთ და უბინადროთ, ისინი დაუზარებლად შედიოდნენ ავარიის მილიციაში და რუსეთის ჯარის მოწინავე მებრძოლებად ჰხდებოდნენ. აი სწორედ ამათ მიეკედლა კვინიტაძე. წარმოუდგენელის ღონის პატრონი, ყველაფრით მოხერხებული, ჭკვიანი და ადვილად შემთვისებელი მთიულთა ენებისა, კვინიტაძე დაუფასებელ სამსახურს უწევდა რუსეთის ჯარს, ხან როგორც თარჯიმანი და გზის მაჩვენებელი და ხან კიდევ როგორც მოწინავე მებრძოლი, რომელიც გზას უკავავდა და წინ მიუძღოდა სხვებს. მალე ყველამ ყურადღება მიაქცია იმის ვაჟკაცობას და არ გასულა ბევრი ხანი, რომ გიორგის ლენტით ვერცხლისა და ოქროს მედლებმა გული დაუშვინეს და ბოლოს 23 წლის კვინიტაძემ პრაპორშჩიკის ხარისხიც მიიღო.

აღწერა კვინიტაძის ყველა საგმირო საქმეებისა მთელს ტომებს მოინდომებდა, რადგანაც კვირა არ გავიდოდა ისე, რომ მონაწილეობა არ მიეღო და თავი არ ესახელებინა რომელიმე შეტაკებაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მოვიგონებთ რა რკინის კაცებისაგან შესდგებოდა ავარიის მილიცია და რა ადგილას იყო იგი დაბანაკებული. იმათ მოქმედების გასაცნობად საკმარისია აღწეროთ ორი ან სამი ამბავი.

გერგებელის მახლობლად გაშენებული იყო სოფელი კუკუნი, რომლის მცხოვრებელთაც ტაციობის და მარცვა-გლეჯის სახელი ჰქონდათ გავარდნილი. კლდეებში ჩაჭედილი და ყოველის მხრით გამაგრებული კუკუნი, მეტად ძნელად ასაღებ და მიუვალ ადგილს წარმოადგენდა. კუკუნელების ჭკუის სწავლება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ კაცი მათ როგორმე სოფლიდან გამოიტყუილებდა. ამ საქმის სისრულეში მოყვანა იკისრა გამბედავმა და შეუშინებელმა კვინიტაძემ. ერთ ბნელ ღამეს, მან ორი როტა ქვეითა ჯარი გერგებელში ჩააპარა და იქ დამალა, ხოლო ორას დაღესტნელ ცხენოსანს უბრძანა მალლობზედ გაჩერებულიყვნენ. დილით, როდესაც ყველაფერი კარგად გამოჩნდა, თერთმეტმა დაღესტანელმა ჯარისკაცმა, კვინიტაძემ და ჰაჯი-მურადის ოდესმე ცნო-

62

ბილმა თანამხლებელმა გაჰდერ-ბეგმა ჩაიცვეს მიურიდთა ტანისამოსი, დაიხურეს ჩალმები და გერგებელის მალლობებიდან კუკუნისაკენ დაემშენენ. თვალის ასახვევად კვინიტაძემ თან რამდენიმე დატვირთული ვირი და ორი-სამი ტყვე-ქალიც (აგრედვე ტანისამოს გამოცვლილი) წაიყვანა. სოფელთან მიახლოებისათნავე ამ ვითომდა მიურიდებმა საშინელი თოფის სროლა ასტეხეს; თოფებს ისროდნენ მალლობისაკენ, სადაც დანარჩენი ჯარი იდგა, რომელიც თავისის მხრით პასუხს აძლევდა. მთელი ეს ამბავი ისე მოხერხებულად ჩაატარეს კვინიტაძემ და იმისმა ამხანაგებმა, რომ კუკუნელები ეშმაკობას ვერ მიხვდნენ და გალომებულნი გადმოემშენენ სოფლიდან მიურიდთა საშველად. კვინიტაძესაც ეს უნდოდა. გამოსცილდნენ თუ არა კუკუნელები თავიანთ გამაგრებულ სოფელს, კვინიტაძემ და იმისმა ამხანაგებმა იძრეს ხმლები და დაუშინეს მათ. არ გასულა ბევრი ხანი, რომ მამაც მეომრებს დანარჩენი ჯარიც მიეშველა და გზა-კვალ დაბნეული კუკუნელები ისე იქმნენ დამარცხებულნი, რომ მოხუცებულნი ეხლაც იგონებენ ამ მათთვის შავ-ბნელს

დღეს.

მეორედ კვინტიმემ უფრო შესანიშნავს ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, სახელდობრ კუდუხის თავს-დასხმის საქმეში. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ კუდუხის მალლობები სოფლის მხარეს თავდება საშინელის კლდით, რომლის სიმადლეც სამოც საჟენს აღემატება. თუმცა ამ კლდეს სოფელში ჩასასვლელი გზა არსადა ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა ცხენოსნებმა მაინც გამოძებნეს რაღაც ხვრელი, მიანებეს იქვე ცხენებს თავი და ქვეითად დაეშვნენ ამ ხვრელით. გაიარეს თუ არა რაოდენიმე მანძილი, ხვრელი დასრულდა და წინა-კაცი კლდიდან უფსკრულისაკენ გაქანდა. „მშვიდობით ძმებო“ დაიძახა შეშინებულმა კაცმა, მაგრამ, საბედნიეროდ, უხიფათოდ გადარჩა. „ნუ გეშინიან, ჩვენც ამ საათში მანდ გავჩნდებითო“ ჩასძახეს დანარჩენთ ზევიდან და მართლაც რამდენისამე წუთის შემდეგ თოკის შემწეობით ყველანი იქ იყვნენ. არ გასულა კიდევ ბევრი ხანი, რომ ჩვენმა მამაცმა მეომრებმა კუდუხელების ათასი ცხვარი და-

63

ირეკეს და უკან გამოეშურნენ. მაგრამ ამ დროს კუდუხელებმა გაიგეს ყოველივე და ფეხ და ფეხ დაედევნენ მტერს. აქ კი გაუჭირდათ მილიციელთ: ამოსვლა ისე ადვილი არ იყო, როგორც ჩასვლა. მაინც გული არ გაიტეხეს და მაშინ, როდესაც ერთი ნაწილი მთიულებს იგერიებდა, მეორე ამოსასვლელ გზის კეთებას შეუდგა. ამ უკანასკნელთ საჩქაროდ მიადგეს კლდეს ძელები, გაჰფინეს ზედ ნაბდები და ცხვრების ამოზიდვას მიჰყვეს ხელი. მაგრამ აქაც უბედურება ეწიათ: როდესაც ორასი ცხვარი ამოათრიეს, უცბად ძელები დაწყდა და დაღესტნელები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. საბედნიეროდ ამ დროს გორაზედ აფშერონები გამოჩნდნენ. რადგან მათ ძირს ჩასვლა ვერ მოახერხეს, ხელად ქედზედ გამწვრივდნენ და ზევიდან საშინელი ტყვია დაუშინეს მტერს. ამავე დროს ჩაუშვეს თოკები, ქამრები და იმათ შემწეობით დაღესტნელები როგორც იყო ამოცოცდნენ, თანაც ყველას თითო ცხვარი მოჰქონდა, ხოლო კვინტიმესა და ერთს კიდევ სხვა დაღესტნელს ორ-ორი. ასე დასრულდა ეს შესანიშნავი ამბავი და დაღესტნელები ნადავლით შინ დაბრუნდნენ.

1852 წელს ავარიიდან გადმოხვეწილთაგან შესდგა მთელი ცხენოსანთა რაზმი, რომელშიაც ექვსასი კაცი ითვლებოდა. კვინტიმემ ახლა ამ რაზმში დაიწყო სამსახური. შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ რაზმში აფიცრებად, გარდა თვით რაზმის უფროსისა, უეჭველად მთიულები და განსაკუთრებით ავარელები უნდა ყოფილიყვნენ, იგი ასეულის უფროსად მაინც იქმნა დანიშნული. ასეთის გამოჯეკილის და ბრძოლაში გამოცდილის კაცებისაგან შემდგარმა რაზმმა პირველ დღესვე სახელი გაითქვა. იგი გამარჯვებას გამარჯვებაზედ იღებდა და ბოლოს თავისი ბრწყინვალე მოღვაწეობა გუნბის აღებით დააგვირგვინა. გუნბზედ პირველი კვინტიმე ავიდა. რაზმის უფროსის თ. ზაქარია ჭავჭავაძის ნება-დართვით, მან რამდენიმე დღით ადრე დაიწყო ადგილ-მდებარეობის დათვალიერება და ჩრდილოეთ მხარეს კლდეში ერთი ხვრელი იპოვნა, საიდანაც შეიძლებოდა ზემოდ აცოცება. აქედან ასვლა მით უფრო ადვილი

იყო, რომ მთიულებს იგი მიუდგომლად მიაჩნდათ და დარა-  
ჯებად სულ რამდენიმე კაცი ედგათ. და აი, 25 აგვისტოს, ღამე,  
ორმოცი თავისუფალი მეომარი, გულადის კვინიტაძის მეთაუ-  
რობით, ამ კლდეს მიადგა და წყნარად იმის მეორე საფეხურ-  
ზედ აცოცდა, მაგრამ ჯარის-კაცები აქ უცბად შეჩერდნენ,  
რადგანაც წინ უზარმაზარი, რამდენისამე საჭენის სიმაღლე ფიტა-  
ლო კლდე დაინახეს, რომელზედაც არას გზით არ შეიძლებო-  
და ასვლა. ყველანი კვინიტაძეს შეჰყურებდნენ და იმისაგან მოე-  
ლოდნენ ხსნას. „ფიქრი ნუ გაქვთ, – ბოლოს სთქვა იმან,  
ეხლავე ცოცხალი კიბე გავმართოთ და ისე ავიდეთ ზედაო“.  
და ამ სიტყვებთან ერთად კლდეს მიაბჯინა თავი, უბრძანა მეო-  
რეს ზედ ასულიყო და ასევე მოქცეულიყო, მეორეზედ მესამე  
ავიდა და ამ რიგად ცოცხალი კიბე გაიმართა. ამ კიბის შემ-  
წეობით ჯარის-კაცები სათითაოდ ზევით ავიდნენ. სამი შეთოფ-  
იარაღებული კაცის ზურგით დამაგრება ძალიან ძნელი საქმე  
იყო, მაგრამ კვინიტაძემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ბო-  
ლომდის გაუძლო ამოდენა სიმძიმეს. ბოლოს, როდესაც ყვე-  
ლანი ავიდნენ, კვინიტაძე და ორი დანარჩენიც მაგრად გა-  
დაბმულის თოფების შემწეობით აიყვანეს.

ეხლა კვინიტაძე ზურგიდან მოექცა მტერს, რომელიც  
გამაგრებულ თხრილებს შიგნით ბანაკში იდგა. შამილის მთელ  
ჯართან შებმა ორმოცის კაცით, რასაკვირველია, შეუძლებელი  
იყო, ამიტომ კვინიტაძემ იმის ჯარის ასარევად და ჩვენების  
ყურადღების მისაქცევად, რამდენისამე კაცის შემწეობით მოსჭრა  
შამილის კარავი, რომელიც ცალკე გორაკზედ იდგა და რომ-  
ლიდან შამილი ჩვენ ჯარს ათვალერებდა ხოლმე. შემდეგ, წაი-  
ლო რა იქიდან ერთი ყუმბარა, გავიდა პატარა წყალთან, რომე-  
ლიც გუნების მალლობებს ორ ნახევრად ჰყოფდა. კვინიტაძე  
არ მოტყუვდა და იმის ნიშანმა ყველაფერი გააგებინა ჩვენს  
ჯარს. რა წამს ზევიდან გადმოგდებული შამილის კარავი ძირს  
დაეცა და რა წამსაც უმთავრესს შტაბში ეს ამბავი შეიტყეს,  
იმ წამსვე ბარონმა ვრანგელმა უბრძანა შირვანელებს იერიშით  
მისულიყვნენ ციხე-სიმაგრეზედ. დანარჩენი ყველამ უწყის:

65

შამილი ფარ-ხმალი დაეყარა და იძულებული გახდა დაჰმორ-  
ჩილებოდა ჩვენს ჯარს. შემდეგ იგი თემირ-ხან-შურაში გაგზავ-  
ნეს. იმის უკანასკნელად გაცილება დაღესტანის რაზმს ჰხვდა  
წილად. მოიგონეს ამ დროს ამ რაზმის ერთი ჯარის კაცის მიერ  
ნათქვამი სიტყვები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს რაზმი ის  
იყო არსდებოდა. „ბატონო უფროსო, – მიჰმართა მან რაზმის  
უფროსს, – შენ იცი რა უფსკრული გვყოფს ჩვენა და შამილს.  
ჩვენ შორის სისხლია ჩამოვარდნილი. ჩვენ მხოლოდ მაშინ ჩა-  
ვაგებთ ხმალს, როდესაც შამილს იარაღს ავყრით და ტყვედ  
გავხდითო“.

და აი, აღსრულდა ის, რასაც დაღესტნის რაზმის მეომარ-  
ნი გულითა და სულით მოელოდნენ ცხრამეტის წლის განმავ-  
ლობაში. მთელი რუსეთი დღესასწაულობდა შამილის შეპყრო-  
ბის დღეს, მაგრამ ამ დღესასწაულს არსად არა ჰქონდა ისეთი  
დიადი მნიშვნელობა, როგორც დაღესტნის რაზმის მეომართა

შორის: იმამის დაცემით მათ დაუბრუნდათ დაკარგული სამშობლო, სახლ-კარი, ნათესავეები და დავიწყებული მეგობრები.

ამ ამბის შემდეგ არ გასულა ორი წელიწადი, რომ სხვადასხვა ფანატიკოსების წყალობით საჩივრითი და დაღესტანი ხელახლა შეხმადურდა; ხალხი აჯანყდა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. იმათ დაწყნარებასა და დამშვიდებას ბევრი წვალემა აღარ დასჭირებია. კვინიტაძემ აქაც ისახელა თავი და განუსაზღვრელის ვაჟკაცობისათვის ახალი ჯილდო – ვერცხლის ხმალი მიიღო.

გავიდა ცხრა წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ომის ხმა აღარავის გაუგონია. ძველ მეომრებს უკვე მოწყენა დაეტყვოთ, როდესაც 1870 წელს ამბავი მოვიდა, რომ კასპიის იქითა მხარეს კირგიზები აჯანყდნენ და ალექსანდრეს სიმაგრეს დაეცნენო. ხელად ლაშქარი გაგზავნეს იქ და იმათთან ერთად კვინიტაძე თავის ასის კაცით. ლაშქარი ზღვით მანგიშლაკს გავიდა და პირველსავე დღეს კირგიზებს თავ-ბედი აწყველინა. სამი წლის შემდეგ კვინიტაძე ორასი კაცით ხელახლა გაჩნდა იქ. იგი გენერალ ლამაკინის ჯართან ერთად მონაწილეობას იღებდა ხიველების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველი

66

ბრძოლა მოწინააღმდეგესთან 19 მაისს მოხდა, ხაჯეილის და ხივის შუა. ჩვენი ჯარის წინ გადაშლილიყო ღრმა და განიერი მდინარე ჯამან-ჩაგანახი. საპერები ხიდის კეთებას შეუდგნენ, მაგრამ კვინიტაძემ იმათ აღარ დაუცადა და თავისის ორასის ცხენოსანით პირდაპირ გადაეშვა აზვირთებულს მდინარეში. თუმცა მეორე მხრიდან მტერმა საშინელი ტყვია დაუშინა, მაგრამ კვინიტაძე მაინც არ შედრკა, ნაპირზედ გავიდა და მეხვივით დაატყდა მტერს. ხიველების აუარებელი ცხენოსანი ჯარი ველარ გაუმაგრდა მამაც მეომრებს და სამარცხვინოდ ზურგი უჩვენა, კვინიტაძე დაედევნა მათ და ჩვენი ჯარის თვალწინ უმოწყალოდ ჰხოცა და ჟლიტა ხიველები. ამ ამბავმა ხელად გაუთქვა სახელი რაზმს ახალს ქვეყანაში, ხოლო თვით კვინიტაძე ყველას საყვარელი და სათაყვანებელი კაცი შეიქმნა.

მეორედ, 27 მაისს, ღამე, ხიველები თვითონ დაეცნენ ჩვენს ჯარს და ყველა მისი აქლემები წაასხეს. ვისაც კი როდისმე უდაბნოებში გაუვლია, ის ადვილად მიხვდება, რა ძნელია ჯარისთვის უაქლემობა. იმას აღარც წასვლა შეუძლიან სადმე და აღარც ბარგის ან სურსათის გადატან-გადმოტანა. აი ასეთს გაჭირვებაში ჩავარდებოდა ჩვენი ჯარი, რომ კვინიტაძეს არ გამოედო თავი და საქმე არ გაესწორებინა. იგი ასი კაცით გამოუდგა მტერს, მოკლედ მოუჭრა გზა, წინ გადაეღობა და ისე მედგრად შეუტია, რომ ორასი კაცი იქვე დააწვინა, ხოლო დანარჩენნი უგზო-უკვლოდ გაჰფანტა. თვით კვინიტაძე ჰხოცავდა ყველას. შეშინებულმა მტერმა განზედ გაიწია და ხმალ-ამოწვდილ გალომებულ კვინიტაძეს გზა დაუთმო. ახლო მიკარებას ველარავინ ჰბედავდა. სწორედ დაუჯერებელია ყველა ის, რასაც კვინიტაძეს შესახებ ამბობენ, რომ ამდენი დამსწრე არ იყოს, რომელთაც თავიანთ თვალთ არ დაენახათ იმის ვაჟკაცობა და გულადობა. ერთხელ, მაგალითად, ქორივით დააფრინდა ხიველს, ერთი კი შეაპრიალა ხმალი და ორად გაპობილი ხიველი თავის ბოხოხა ქუდით მიწაზედ დაეშვა. მეო-

რედ, დაინახა, რომ ერთი დაღესტანელი გალომებული სჩეხავს რომელიღაც მხედარს და თან ხმა-მაღლა სთვლის „ეს ექვსიო“, „ყოჩაღ!“ შესძახა გაქანებულმა კვინიტაძემ, – აბა ახლა მე მიყურე, აი როგორ უნდა ხმლის ტრიალიო,“ და ერთის მოქნევით მახლობელის ხიველის თავი მიწაზედ გააგორა, ხოლო ტანი რამდესანმე წუთს ისევ უნაგირზედ იყო გამაგრებული. ამ გამარჯვებისათვის კვინიტაძემ წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ჯვარი მიიღო.

– „ივანე, – ეუბნებოდნენ ხოლმე ამ სურათის მნახველი ამხანაგები – ღმერთს შენთვის რკინის მარჯვენა მოუცია. მოკეთეს კი არა, მტერსაც არ ვუსურვებ მაგასთან შეტაკებას“.

ასევე ყოჩაღად და მამაცურად მოიქცა კვინიტაძე 15 ივლისს ილ-ალის ბრძოლაში, როდესაც თურქნი-იომუნნი ღამე, მოულოდნელად დაეცნენ გენერ. გოლოვაჩევის ჯარს და მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენეს იგი.

ასე სასახელოდ შეასრულა თავისი მოვალეობა დაღესტნის რაზმმა საშუალო აზიის უდაბნოებში, მაგრამ იმისი მოღვაწეობა ამითი არ დასრულებულა. ოთხი წლის შემდეგ, როდესაც ოსმალეთის ომი დაიწყო, ამ რაზმის რაოდენიმე ნაწილს ხელახლა მოუხდა ბრძოლის ველზედ გამოსვლა. გაისმა თუ არა ომის ხმა, მთელი დაღესტანი ხელ-ახლა აღელდა და ფეხზედ დადგა, მაგრამ რაზმს მაინც არ გადაუხვევია თავისის მოვალეობისათვის და რუსეთის დროშისთვის არ უღალატნია. არც ერთ-მორწმუნეობამ და არც მოკეთეობამ მათ გული არ შეუცვალა და ხელი არ გააღებინა რუსების წინააღმდეგ, რომელთაც იგინი გულითა და სულით შეეთვისნენ. ამ რაზმის რაოდენიმე ნაწილი დაღესტანში იქმნა დატოვებული მშვიდობიანობის დასამყარებლად, ხოლო დანარჩენთ სხვა ჯარის-კაცებიც მიუმატეს და სამი ახალი ცხენოსანთა რაზმი გააწყეს. მათ შორის ერთის რაზმის უფროსად დანიშნულ იქმნა პოდპოლკოვნიკი კვინიტაძე, რომელმაც ამის შემდეგ კიდევ ბევრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ბრძოლის ველიდან კვინიტაძე პოლკოვნიკის ხარისხით დაბრუნდა, გულზედ ვლადიმირის ორდენ ჩა-

68

მოკიდებული. ეს იმის უკანასკნელი სამხედრო ჯილდოები იყო. 1885 წელს იგი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართან იქმნა დანიშნული და ამ ხნიდან ტფილისში ცხოვრობდა ყველასთვის საყვარელი და ყველას-მიერ პატივცემული.

ამ გმირის-კაცის საფლავის წინაშე ნება-უნებურად გაგონდება საეკლესიო საგალობელის სიტყვები: მიწა ხარ და მიწად იქეც...

ჭეშმარიტად მიწა და მტვერი ვართ, მაგრამ უკვდავი სიტყვა და უკვდავი საქმე ის ყვავილია, რომელიც ამკობს და ამშვენებს ღირსეულის კაცის საფლავს. მამ ღმერთმა ჰქნას. რომ ამ მამაცის, კავკასიის ძველის მეომარის დაუვიწყარის ღვაწლის მოგონებამ აღაფრთოვანოს ჩვენის ქვეყნის სასიქადულო შვილნი და უფრო სასახელო და უკვდავი საქმე ჩაადენინოს მათ.

## გენერალი ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო

(პოტოსი)

წელს, 6 სექტემბერს, სწორედ სამოცი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კავკასიის ჯარის ერთმა გამოჩენილმა მეთარმა გენერალ-ლეიტენანტმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილმა პირველად აფიცრის ხარისხი მიიღო.

ჩვენ აქ იმის ბიოგრაფიის წერას არ შევუდგებით. გავიხსენებთ მხოლოდ ზოგიერთ შესანიშნავ ამბებს იმის დიდის ხნის სამხედრო მოღვაწეობიდან, ამბებს, რომელნიც თავისის შინაარსით მეტად საყურადღებო და საგულისხმონი არიან და რომელთა მოწმეც თვით ის იყო.

კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე დაიბადა 1818 წელს. მან ყმაწვილობა კავკასიაში გაატარა, რომელსაც იმ დროს ეროლოვი განაგებდა. შემდეგ იგი პავლეს კადეტთა კორპუსში მიაბარეს, საიდანაც პირდაპირ აფიცრის ხარისხით იქმნა გამოშვებული 1837 წელს, იმ წელს, რა წელსაც იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ გააბედნიერა კავკასია თავის აქ ყოფნით. ახალგაზდა მამაცაშვილმა სამსახური პირველად კავკასიის გრენადერის ცხენოსან რაზმთა სწორედ იმ ბრიგადის ბატარეებში დაიწყო, რომელთაც ხელმწიფემ ალლუმის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

კადეტთა კორპუსის გათავების შემდეგ, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე, სამსახურის გასაცნობად, სამაგალითო ბატარეაში იქმნა განწესებული და ტფილისში მხოლოდ 20 დე-

54

კემბერს ჩამოვიდა, სწორედ ორის თვის შემდეგ რაც ხელმწიფე საქართველოდან წაბრძანდა. თუმცა ხელმწიფე უკვე ორის თვის წასული იყო, მაგრამ ქართველებს ჯერ ისევ ნათლად ახსოვდათ ის ამბები, რაც იმისმა საქართველოში ყოფნამ გამოიწვია და ხალხში ჯერ კიდევ ცხარე მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ. ამ დროის არა ერთი და ორი შესანიშნავი ამბავი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძესაც ახსოვს. იმის სიტყვით, ქართველი თავადები ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ ტფილისს, თან ახალგაზდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფესთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდს სახალხო დღესასწაულში. გაგონილი ჰქონდა დამსწრეთაგან, 9 ოქტომბერს მადათოვის მოედანზე (ან ალექსანდრეს ბაღის ქვემოთა ნაწილი) მომხდარი ალლუმი, სადაც განსამართლებულ იქმნა დადიანი, ეგრეთვე ქართველ თავად-აზნაურთა მიერ გამართული ბრწყინვალე ბალი, რომელზედაც იმპერატორი მეტად მხიარული იყო და რომელზედაც მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლადოვის ქალთან, (შემდეგ თავად ალექსანდრე ერისთავზედ გათხოვილი), ხოლო მეორე – ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან \*).

ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იყო აგრეთვე იმ ამ-

ბის შესახებაც, რომელიც ხელწიფეს ვერის დადმართზედ შემთხვა. შეშინებული ხალხი იკრიბებოდა იმ ადგილას და პარაკლისებს იხდიდა. და მგონი ამ უკანასკნელი გარემოების გამო იქმნა აღმართული იმ ადგილას ჯვრის მაგვარი ძეგლი ლოცვის სიტყვების ზედ წარწერით.

პირველი ორი წელიწადი თავის სამსახურისა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ ჯელალ-ოღლში გაატარა, სადაც იმ დროს კავკასიის გრენადერთა ბრიგადები იდგა. ის შორს სცხოვრობდა იმ ადგილებზედ, სადაც ომი იყო გამართული და იმიტომ არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო არც ახულგის თავს-დასხმაში, არც ყუბის პროვინციების დაწყნარების საქმეში და არც

\*) სოლომონ დავითის ძე, ცნობილი კომერსანტის დ. ზ. სარაჯიშვილის ბიძა.

გოლოვინის ექსპედიციებში სამურის ნაპირებსა და სამხრეთ დაღესტანში. მხოლოდ 1840 წელს ახალგაზდა მამაცაშვილი, უკვე პოდპორუჩიკი, გაგზავნილ იქმნა კაპიტანის ვარაპაევის სამთო ბატარეასთან ერთად გენერალ გალაფეევის ჩეჩნის ჯარში, რომელიც ის იყო გროზნაში წასასვლელად ემზადებოდა. ეს დრო ჩვენთვის მეტად სამწუხარო და სავალალო დრო იყო. შავი ზღვის ნაპირებზედ მდებარე სიმაგრეები მთლად ჩეჩნებმა დააქციეს და გაანადგურეს და ეხლა ხელ-ახლა უნდა შესდგომოდნენ იმის აღდგენა-აგებას. ყუბანზედ ლაბის გამო გაცხარებული ბრძოლა იყო ატეხილი. საჩეჩნეთი გაგვიდგა და მთელი მხარე, სუნჯიდან დაწყებული შავ მთებსა და ანდიის ყოისუმდე, დაემორჩილა შამილის რკინის მარჯვენას, რომელმაც ამ დროს პირველად დაირქვა ჩეჩნისა და დაღესტნის იმამის სახელი. თერგის ნაპირები, რომელიც ჩეჩნის გაქცევის შემდეგ ღვთის ანაბარა იქმნა დატოვებული, ყუმისის და შამხალის ვაკეები – ყველა ეს ადგილები განსაცდელში იყვნენ ჩავარდნილნი. აქ, ამ ადგილებში, მისვლა-მოსვლა მხოლოდ შეიარაღებულ კაცების შემწეობით შეიძლებოდა. გალაფეევის ჯარს აზრად კავკასიის აღმოსავლეთ ნახევარში მშვიდობიანობის დამყარება ჰქონდა.

ეს დრო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს დაახსოვდა სხვათა შორის იმითიც, რომ მან მაშინ გაიცნო და დაუახლოვდა შესანიშნავს პოეტს მ. ი. ლერმონტოვს, რომელიც თუმცა ტენგინის ჯარში ითვლებოდა, მაგრამ თავგადადებულ ყაზახთა და თათართა თავისუფალ მეომართაგან შემდგარ რაზმს უფროსობდა. ლერმონტოვი, რომელიც ძვირად უახლოვდებოდა ვისმეს, მალე დაუმეგობრდა ახალგაზდა მამაცაშვილს და მას გულითა და სულით შეუყვარდა საერთოდ არტილერიის ყველა აფიცრები.

მე კარგად მახსოვს ლერმონტოვი, – ამბობს ხოლმე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე, – ხშირად წარმომიდგება ხოლმე თვალ-წინ ხან თავის წითელ ხალათში, ხან კიდევ საყელო გადაწეული და გვერდზედ ჩერქეზულ ხმალ გადაგდებულ აფიცრის უეპოლეთო სერთუკში, სწორედ ისეთი, როგორსაც სუ-

იყო, ფერმკრთალი და დიდი ჭროლა თვალები ჰქონდა. იმისი ბუნება მაღალი და ძნელი მისაწვდენი იყო. თავის ამხანაგებში, გვარდიის აფიცრებთან, რომელნიც იმასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ექსპედიციაში, ის მეტად მხიარული და გულ-გახსნილი იყო. უყვარდა ოხუნჯობა, მაგრამ ხშირად იმის ოხუნჯობა წრეს გადადიოდა ხოლმე და იმისი მოხერხებული და მახვილი ენა ბევრისთვის სასიამოვნო არ იყო. როდესაც მარტო ან გულის მეგობრებთან რჩებოდა, ის ფიქრს ეძლეოდა და მაშინ იმის სახე მეტად გამომეტყველებელი ხდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე გვარდიელს ფეხი შემოედგა, რომ ის ისევ გამხიარულებულიყო და უწინდელებზე ყველანი სიცილით დაეხოცნა. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა იმის სულის სიღრმეში. იმას მუსიკაც უყვარდა, მხატვრობაც, მაგრამ ხატვით მხოლოდ კარიკატურებსა ჰხატავდა. ყველაზედ ძალიან კი მას ჭანდრაკი იზიდავდა, რომელსაც ხშირად თავდავიწყებამდის მიეცემოდა ხოლმე. ლერმონტოვი მუდამ კარგს მოთამაშეებს ეძებდა და ძალიან ხშირად კარავში იმისა და ახალგაზდა არტალერიის პარუჩიკის მოსკალევის შორის მთელი ბრძოლა იმართებოდა. მასკალევი მართლაც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ლერმონტოვს მაინც ძვირად უგებდა. \*) როგორც შესანიშნავი პოეტი, ლერმონტოვი დიდი ხანია ღირსეულად დააფასეს, ხოლო როგორი აფიცერი იყო – ნამდვილი ჯერ არავის წარმოუთქვამს და დღემდის კამათი ამ საგნის შესახებ არ მოსპობილა. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის აზრით, სამხედრო სამსახურში ლერმონტოვი ძალიან წინ ვერაოდეს ვერ წავიდოდა, – ამისთვის საჭირო მასალას – მოთმინებას და გამოჯეკას ის მოკლებული იყო. ლერმონტოვის სიმამაცეს სამზღვარი არა ჰქონდა, თავის ვაჟკაცობით კავკასიის ძველ გამოცდილ მეჯირითეებსაც კი აკვირვებდა, მაგრამ მაინც იგი სამხედრო სამსახურისთვის არ იყო გაჩენილი და სამხედრო მუნდირს მხო-

\*) 1855 წელს მოსკალევი პოლკოვნიკის ხარისხში კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის უფროსობდა და ყარსის ადების დროს მოკლულ იქმნა.

ლოდ იმიტომ ატარებდა, რომ მაშინდელ საუკეთესო გვარის ახალგაზდობა გვარდიაში მსახურებდა და ისიც სხვების კვალს უნდა გაჰყოლოდა. ამ ომშიაც კი ის არავითარ წესრიგს არ ემორჩილებოდა თავის რაზმით, გზა-კვალ დაბნეული ვარსკვლავით, ხან აქ ამოჰყოფდა თავს, ხან იქ. ბრძოლაში ისეთ ადგილებს ეტანებოდა, სადაც უფრო საშიში იყო და, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ასეთს ადგილს ძალიან ხშირად მამაცაშვილის ზარბაზნებთან ჰპოვებდა ხოლმე.

ჩეჩენთა წინააღმდეგ ბრძოლა პირველ მაისიდან დაიწყო. ჯარი ჯერ აუხსა და სალატავიაში შევიდა. შემდეგ ყუმბისის გადასავლით სუნჯის მარჯვენა ნაპირზედ გაიარა და ბოლოს მცირე საჩეჩნეთს შეესია, სადაც მტერი უფრო მალმალ ხვდებოდა და სადაც ბრძოლა ერთი-ორად უფრო ძნელდებოდა.

პირველი ცხარე ბრძოლა, რომელშიაც მამაცაშვილმაც მიიღო მონაწილეობა და რომელმაც მას ყოჩაღის და მოხერხებულის არტილერიის ოფიცერის სახელი გაუთქვა, მოხდა 11 ივლისს, როდესაც ჯარი გოიტინის დაბურულ ტყეში მიდიო-

და. მამაცაშვილი ოთხი იარაღით ჯარის ბოლოში იქმნა და-ტოვებული და ის ყუმბარების შემწეობით მარტოდ-მარტო იგერიებდა თავზედ ხელ-აღებულ და გალომებულ ჩეჩნებს. მათს ვაჟკაცობას და მამაცობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მამაცაშვილთან მაინც ვერაფერი გააწყვეს, თავის მოხერხებულის მოქმედებით და უანგარო ვაჟკაცობით, მან მტერი შეაჩერა და შეძლება მისცა მთელ ჯარს ტყიდან პატარა მინდორზედ გამოსულიყო, სადაც, ვალერიკის ნაპირებზედ, გაიმართა მთელი ჯარის ცხარე და სისხლის-მღვრელი ბრძოლა. ამ ბრძოლას თავის სიდიადით კავკასიის ომებში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი მშვენივრად აქვს აწერილი ლერმონტოვს ერთს ლექსში, რომელსაც სახელად „ვალერიკი“ ეწოდება და ვისაც წაუკითხავს, აშკარად მიხვდება, რა ხოცვა-ჟლეტა და განსაცდელი გამოიარა ჩვენმა ჯარმა.

ტყიდან გამოსვლისათნავე, მამაცაშვილმა, დაინახა რა ვეებერთელა ხრამი, ხელად თავის ზარბაზნებით უკანიდან მო-

58

უარა მას და მტერს სეტყვასავით დაუშინა ყუმბარა. იმის გარშემო ამ დროს არც ერთი ჯარის-კაცი არ იყო. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ლერმონტოვი გამოჩნდა, რომელმაც შეამჩნია რა არტილერიის გაჭირვება, თავის რაზმით იმისაკენ გაეშურა. მაგრამ მალე მან ზარბაზნებს ისევ თავი მიანება და თვალთაგან მიიმალა. იგი შიგ შუაგულ მტერს შეესია. ეს ამბავი ეხლაც ნათლად ახსოვს კოსტანტინე ქრისტეფორეს-ძეს. \*) ორის საათის საშინელის სახელდახელო ბრძოლის შემდეგ, მტერი გაიქცა. მამაცაშვილი ფეხდა-ფეხ მისდევდა მას და ისე გაერთო მათ ხოცვა-ჟლეტაში, რომ ძლივს შეამჩნია სამალავი, რომელიც მტერს სიმიხდის ყანაში გაემართა. ერთი წუთიც და არტილერიისტებისაგან ცოცხალი არავინ გადარჩებოდა. მაგრამ მამაცაშვილი დროზედ მიხვდა რაშიაც იყო საქმე და თავის გამჭირახობით და აუღელვებლობით ყველანი სიკვდილს გადაარჩინა: მან ხელად უბრძანა ოთხივე ზარბაზანი ტყვიით გაეტენათ და რამდენიმე წუთის შემდეგ მტერს ისეთი ცეცხლი დაუშინა, რომ ნახევარზედ მეტი იქვე დააწვინა, ხოლო დანარჩენნი უგზო-უკვლოდ გაჰფანტა. ამის შემდეგ მამაცაშვილს ჯარში დიდი სახელი დაუვარდა.

შემოდგომამდე ჯარი საჩეჩნეთში დარჩა. თუმცა მას ყოველ დღე უხდებოდა მტერთან შეტაკება, მაგრამ ისეთი ცხარე ბრძოლა, როგორც 27 ოქტომბერს ავტურინის ტყეებში მოუხდა, როდესაც ჯარი პატარა ბილიკზედ მიდიოდა, არც ერთხელ არა ჰქონია. მტერმა ტყვია ყველა მხრიდან დაუშინა. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ, რამდენიმე კაცი ეცემოდა ძირს ტყვიით განგმირული. ასეთს გარემოებებში ჯარი ნება-უნებურად ჰკარგავდა წეს-რიგს და ირეოდა. ბოლო ბატალიონი, რომელთანაც მამაცაშვილი იყო თავის ზარბაზნებით, ძალიან საჩქაროდ გამოვიდა ტყიდან და არტილერია მარტოდ-მარტო დასტოვა. ჩეჩნთ ხელად გაარღვიეს ჯაჭვი და ზარბაზნებს მიე-

\*) ლერმონტოვს ამ დროს არც ერთი ორდენი არა ჰქონდა მიღებული; ამის-და მიუხედავად იგი პირდაპირ მე-4 ხარისხის ვლადიმერზედ წარადგინეს, მაგრამ მაინც პეტერბურგში ჯილდოზედ უარი განაცხადეს.

სივნი. ამ დროს მამაცაშვილმა თავის გვერდით ლერმონტოვი დაინახა, რომელიც თავის რაზმით თითქოს მიწიდან ამოძვრაო. რა მშვენიერი რამ იყო ამ დროს წითელ აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი. ხელი ხანჯალზედ ედო. დამალული, იგი მთიელების ზარბაზნებთან მიახლოვებას უყურებდა, რომ როგორც ვეფხი ისე სძგერებოდა მათ. მაგრამ ეს არ მომხდარა. მამაცაშვილმა განგებ მიუშვა მტერი ახლო და მერე ყველა ზარბაზნები ერთბაშად დასცალა. შეშინებულმა ჩეჩნებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე მოიკრიბეს გონება და ახალის ძალით მიესივნი ზარბაზნებს. ისეთი საზარელი და სსაშინელი ბრძოლა გაიმართა, რომ იმის კალმით აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ჩეჩნები დახოცილთა ლეშზე გადადიოდნენ და ზარბაზნებისკენ მიიწევდნენ, ხოლო ზარბაზნები, მამაცაშვილის ბრძანებით, ყუმბარას ყუმბარაზედ ჰგზავნიდნენ და კაცს კაცზედ აწვენდნენ. ამ დღეს არტილერისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. ისინი იარაღს აღარ სწმენდავდნენ, ამისთვის მათ დრო აღარა ჰქონდათ და მხოლოდ ყუმბარით ჰაერს აპობდნენ და უმოწყალოდ მტერსა ჟლეტავდნენ. ბოლოს ამ საშინელი ბრძოლის ხმა უმთავრეს ჯარში გაიგონეს, საშველად კაცები გამოგზავნეს და მათი დახმარებით მამაცაშვილმა თავისი ზარბაზნები ტყიდან გამოიტანა. ამ თავგამოდებულ ბრძოლის გამო ახალგაზდა მამაცაშვილი უმაღლეს ჯილდოზე – წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენზე – წარადგინეს, მაგრამ საბჭომ არ მიუსაჯა მას ეს ჯილდო მხოლოდ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს არტილერია არა ჰყვანდაო. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ გიორგის ჯვარი მხოლოდ 14 წლის შემდეგ ჩოლოქის ბრძოლაში მიიღო.

არა ნაკლები შეტაკება მოხდა 4 ოქტომბერს აღდინის ტყეში, სადაც ლაზინთა რაზმი მთელი რვა საათ-ნახევარი ტყის ვიწრო ბილიკზე მტერს ებრძოდა. მხოლოდ ტყიდან გამოსვლის შემდეგ დაინახეს პატარა მოედანი. მამაცაშვილმა ამ მოედანზე გააწყო თავისი ზარბაზნები და დაუშინა გზას, რომ უკანა ჯარისთვის შემღება მიეცა სამშვიდობოს გასულიყო.

60

მთელი ბრძოლა ამ დღეს არტილერიას დააწვა კისერზედ. საბედნიეროდ მალე მეორე რაზმი გამოჩნდა, რომელიც სუნჯის მარცხენა ნაპირიდან მამაცაშვილის საშველად მოდიოდა. ყველაზე ადრე ზარბაზნებთან ლერმონტოვი დაიბადა თავისი მეთვრებით, მაგრამ გვიანდა იყო: მამაცაშვილმა უკვე განდევნა ჩეჩნები \*).

„აქ, 4 ოქტომბერს, – ამბობს მამაცაშვილი, – უკანასკნელად მომიხდა პოეტის ნახვა. ექსპედიციის შემდეგ იმ დროებით პეტერბურგში წავიდა და მხოლოდ მეორე წელიწადს გავიგეთ იმის ტრაგიკული სიკვდილის გულსაკლავი ამბავი“.

ასე ბრწყინვალედ დაიწყო თავისი სამხედრო მოღვაწეობა ახალგაზდა მამაცაშვილმა. იმისი ოთხი ზარბაზნის კანონირები, ვინც კი დღეს მათგანი ცოცხალთა, ყველანი გიორგის ჯვრებით იქმნენ დაჯილდოვებულნი. ხოლო თვითონ, მიუხე-

დავად იმისა, რომ სულ ახალგაზდა იყო (ის მხოლოდ ოც და რვა წლისა იყო), ორი ხარისხი მიიღო ერთად – პორუჩიკობა და შტაბს-კაპიტნობა, რაიცა, განსაკუთრებით არტილერიისტთა შორის, ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე.

მამაცაშვილის შემდეგს სამსახურიდან ყველაზედ უფრო თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავია ორი შემთხვევა: ერთი – ყველასთვის ცნობილი გრაბბეს ექსპედიცია იჩკერის ტყეში, 42 წელს, ხოლო მეორე – გენერალ შვარცის ჯარის-მიერ 45 წელს ანკრატლის განადგურება. ამ უკანასკნელს ექსპედიციაში ყველაზედ საყურადღებოა ერთი თავს დასხმა, რომელიც დღემდის დარჩენილია მთიულთა ზღაპრებსა და სიმღერებში. ეს ამბავი მოხდა 31 ივლისს 1845 წელს ანტუხის საზღვარზე. ჩვენი ჯარის წინ აყუდებულიყო უზარმაზარი მთა, რომლის აქა-იქ გამოშვერილი საფეხურების მსგავსი კლდეები ცამდის ასულ კიბეს მოაგონებდა კაცს. სახელიც ისეთი ჰქონდა – გექ-ნარდივანი, ანუ ცის კიბე. ხშირი ღრუბლები ისე შემოხვეო-

---

\*) ამ ბრძოლაში დაჭრილ იქმნა ყუმბართ შამილის ერთი საუკეთესო იმამ-თაგანი ახვერდი-მაგომა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ის მამაცაშვილის ერთ-ერთ ზარბაზნიდან დაეჭრათ.

დნენ მთას, რომ კაცს არ შეეძლო დაენახა იმის მწვერვალი, მაგრამ მიუხედავად ამისა აქა-იქ კლდეებში მაინც მოჩანდა ღრმა ხეხვები და შიგ ჩასაფრებული აუარებელი ხალხი. ბილიკი, რომელიც ამ კლდეზე და საფეხურებზე მიდიოდა, იმდენად გადმოყუდებულიყო, რომ კაცს თავბრუ ესხმოდა და ნება-უნებურად გული უღონდებოდა. დასაცემად დანიშნეს თავად სპირიდონ ჭავჭავაძის ქართველთა ქვეითა რაზმი (ის, რომელსაც წინად ქართველთა „დრუჟინა“ ეწოდებოდა) და დრაგუნთა ორი ესკადრონი. მამაცაშვილმა, რომელიც არტილერიის ნაწილს უფროსობდა, სამთო 12 ზარბაზანი მთის ძირში დააყენა და საშინელი ცეცხლი დაუშინა მტერს. ამ ზარბაზნების დახმარებით ჭავჭავაძის ჯარი საქმეს შეუდგა. მაშინ, როდესაც ჯარი თანდათან იმარჯვებდა და ერთი კლდიდან მეორეზე გადადიოდა, მამაცაშვილის სამთო არტილერია დიდი გაჭირვებით პიტალო კლდეებზე მიცოცავდა და მტერს იქიდან უმიზნებდა. ყუმბარა ჩვენი ჯარის თავზედ გადიოდა და მტრის შუაგულ ეცემოდა. ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა მოწინააღმდეგეს დავთრები დაუბნია და როდესაც უკანასკნელის „ურას“ მახილი გაისმა, გექ-ნარდივანის თავზე აღარც ერთი ლეკი აღარ აღმოჩნდა. მხოლოდ არტილერიისტთა ბუნებასთან და მტერთან ასეთი თავგამოდებული ბრძოლის წყალობით ჭავჭავაძემ შესძლო მტრის დამარცხება და ამ საარაკო მტრის შეტაკების მოგება. მამაცაშვილი ღირსებისამებრ იქმნა დაფასებული. მან, როგორც წინად, ორი ჯილდო მიიღო – კაპიტნის ხარისხი და მე-4 ხარისხის წმ. ვლადიმერის ორდენი ბანტით. გავიდა წელიწადიც და 28 წლის მამაცაშვილი კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის პირველი მსუბუქის ბატარეის უფროსად იქმნა დანიშნული. ეს დრო დასვენების და ბუქ-ნაღარის ხმისაგან განთავისუფლების დრო იყო იმისთვის. მაგრამ დიდი ხანი არ გაგრძელებულა იგი. 1851 წლის გასულს გაისმა თუ არა, რომ საჩქინეთში ომი და-

იწყობ, მამაცაშვილს უბრძანეს თავისი ბატარეა სხვისთვის გადაეცა და თვით მე-20 ბრიგადის მე-5 მსუბუქი ბატარეა ჩაე-  
ბარებინა. ეს ბატარეა კი ვოზდვიჟენსკში იდგა ყველაზედ სა-

62

შიშს და საფრთხე ადგილას. აქ მთიულებთან ყოველ დღიურ შეტაკების გარდა, მან თავად ბარიათინსკის ბრწყინვალე ექსპე-  
დიციაშიც მიიღო მონაწილეობა. მამაცაშვილმა ერთხელ კიდევ ისახელა თავი, რისთვისაც დაჯილდოვებულ იქმნა წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით და პოლკოვნიკის ხარისხით.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ ყირიმის ომიც დაიწყო. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მაშინვე გაგზავნეს იქ. იგი თავ-  
ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის გურიის ჯარის არტი-  
ლერიის უფროსად იქმნა დანიშნული.

მამაცაშვილის ამ ომებში მონაწილეობის ამბავს როდისმე შემდეგ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, ეხლა ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 4 ივლისის 1854 წლის ჩოლოქის გამარჯვებისთვის, სადაც ჩვენმა 9,000 კაცმა მიწასთან გაასწორა მუშირა სელიმ-  
ფაშის 35-ათასიანი ჯარი, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ მიიღო დიდის ხნის მისაღები ჯილდო – წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორ-  
დენი. და ჩოლოქის ბრძოლა, თავ. ანდრონიკაშვილის სიტყვით, უმთავრესად მამაცაშვილის წყალობით იქმნა მოგებული.

ზავის შეკვრის შემდეგ, მამაცაშვილი დანიშნეს კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის უფროსად. ისევე უფრო-  
სობდა იმ არტილერიასაც, რომელიც ლეკების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი. იქ მამაცაშვილი დაესწრო კავკასიის ომების უკა-  
ნასკნელს ხანას. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა გენე-  
რალ ვრეესკის ჯარში ანკრატლის ალების დროს და დაასრულა თავისი სამხედრო მოღვაწეობა გუნბის ალებით. კავკასიის ომებ-  
ში მონაწილეობისათვის უკანასკნელად დასაჩუქრებულ იქმნა ოქროს ხმლით, წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით საიმპერატო-  
რო გვირგვინით და ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით.

22 ნოემბერს 1860 წელს სამსახურში გამოჩენისთვის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს ებოძა გენერალ-მაიორობა, ხოლო სწორედ ათის წლის შემდეგ – გენერალ-ლეიტენანტობა. ამავე დროს მამაცაშვილი კავკასიის ჯარის არტილერიის უფრო-  
სის თანაშემწედ დანიშნეს და კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მე-4 ბატარეის სიაში ჩარიცხეს. ვაჟკაცობისა და მამაცობის

63

ძეგლად, რომელიც ამ ბატარეიამ მამაცაშვილის მეთაურობით გამოიჩინა, იმის საპატიო მუნდირის ტარების ნება მიეცა.

1877 წელს ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალეთის ჯაშუშ-  
თა მიერ აღელვებული დაღესტანი მთლად შეიარაღდა. სამუ-  
რის ოლქის საშუალო ადგილს – ახტს მემბოხეთა ჯარი შემო-  
ერთყა. აი სწორედ ამ დამწყვდეულის ციხის გასანთავისუფ-  
ლებლად გაგზავნეს განჯიდან თავისის ჯარით თავ. ნიკოლოზ  
ზურაბის ძე ჭავჭავაძე, ხოლო განჯის გუბერნიის მმართველად  
და ცოტაოდენის იქ დარჩენილის ჯარის უფროსად კონსტან-  
ტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი დანიშნეს. მაგრამ აქ ისე-  
თი რამ მოხდა, რომელსაც არავინ არ მოელოდა. გაიგეს თუ

არა, რომ ჭავჭავაძე მოდისო, მეამბოხეთ ახტში მხოლოდ რამდენიმე კაცი დასტოვეს და უმთავრესის ჯარით სალავათის ქედს გადავიდნენ და განჯის გუბერნიას შეესივნენ. მალე მათ იქაური თათრებიც შეუერთდნენ და ოთხი ათასი კაცი მამაცი ნაიბის შაგოს წინამძღოლობით ნუხისაკენ გაემართა იმის დასაპყრობად. ნუხელები შიშის ზარმა მოიცვა, ყველანი სიკვდილის მოლოდინში იყვნენ. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, ამ დროს მას ყველამ უღალატა და უმტყუვნა. ის დარწმუნებული იყო, რომ თუ ლეკები ცოტაოდნად მაინც გაიმარჯვებდნენ, მთლად მაჰმადიანნი იმათ მხარს დაიჭერდნენ. ქვეითა ჯარისა ოთხასი კაცის, ოთხასი ყაზახისა და ორ ზარბაზნის მეტი არაფერი გააჩნდა. მიუხედავად ამისა მამაცი გენერალი მაინც არ შედრკა, მოუყარა თავი მცირე რაზმს და პირველი გაუდგა გზას. 2 ნოემბერს ნუხის მახლობლად მოწინააღმდეგენი ერთმანერთს შეხვდნენ. ბრძოლა დიდი ხანი არ გაგრძელებულა. მამაცაშვილმა ისე მოხერხებულად მიიყვანა ჯარი და თვით ჯარმა ისე ვაჟკაცურად შეუტია მტერს, რომ მან პირველსავე წუთს დაიხია და ზურგი უჩვენა. შაგო დამარცხებულ იქმნა, ხოლო გამარჯვებული მამაცაშვილი ნუხაში შევიდა და თან ასი ტყვე მიიყვანა. მამაცაშვილის გამარჯვებამ მეამბოხეთ ახტზედაც ხელი ააღებინა, ასე რომ ჭავჭავაძეს იქ აღარც ერთი კაცი აღარ

64

დახვედრია. მთავრობამ მამაცაშვილი ამ საქმის გამო წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ნუხის მცხოვრებელთ მას ცალკე ადრესთან ერთად მშვენიერი ვერცხლის თასი მიართვეს შემდეგი ზედ წარწერით: „გენერალ-ლეიტანტ კ. ხ. მამაცაშვილს მადლობელ მოქალაქეთაგან 1877 წელს. ნუხის გადარჩენისათვის“.

ეს სახალხო მადლობა იმისი უკანასკნელი ჯილდო იყო. 1884 წელს მძიმე ავადმყოფობამ სამსახურზედ ხელი ააღებინა და მას შემდეგ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე საომარ იარაღს აღარ მიჰკარებია. წყნარად და მშვიდად სცხოვრობს ეხლა ტფილისში ეს კავკასიის ძველი გამოჩენილი მეომარი. იგი ყველას მიერ პატივცემული და ყველასათვის საყვარელი კაცია.

## თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად

### ვ. პოტოსი

ეხლა, როდესაც ჯერ კიდევ არ შემშრალა სამარე კავკასიის ძველის მეომრის, კავალერიის გენერლის თავადის ჭავჭავაძისა, სწორედ დროა, რომ გავიხსენოთ ჩოლოქის დიდებული ბრძოლა, რომელსაც განსვენებულმა კინაღამ არ შეაკლა ვაჟკაცი თავი. ეს ერთი იმ ამბავთაგანია, რომელიც განამტკიცებს სულიერს კავშირს ყველა ჯარის-კაცთა და მეომართა

შორის.

1854 წლის გაზაფხულს, როდესაც ბაშ-კადიკ-ლარის ომში

გამარჯვებული ჯარი საზამთრო სადგომში ისვენებდა, ტფილისში შესდგა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი. ამ ლაშქარს, გურიის ჯართან ერთად, რომელსაც შესანიშნავი თავადი ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი უფროსობდა, უნდა დაეცვა მტრისაგან ქალაქი ტფილისი ქუთაისისა და გურიის მხრით. ლაშქრის უფროსად დანიშნულ იქმნა თავადი გიორგი ჯანდიერი, „დროშა გიორგი“ – როგორც მას უსაზღვრო მხნეობისა და მამაცობისათვის ყველანი ეძახოდნენ. თანაშემწედ ჯანდიერს თავადი ციციშვილი ჰყვანდა. ამათ გარდა ინსტრუქტორად, რომელსაც ახლად შემდგარ ლაშქარში ისეთი წეს-რიგი უნდა დაემყარებინა, როგორც სამუდამო ცხენოსანს რაზმებშია მიღებული, მოწვეულ იქმნა ნიჟეგოროდის დრაგუნის რაზმის პორუჩიკი თავადი ივანე გივის-ძე ამილახვარი. ივანე გივის-ძე ჯერ ახალგაზდა კაცი იყო, მაგრამ ვაჟკაცობის სახელი უკვე მოპოვებული ჰქონდა. იგი სულ სამი წელიწადი მსახურებდა,

22

მაგრამ წმ. გიორგის ჯვარი უკვე გულს უმშვენებდა. გარდა ამისა ჩაფრავის ომში ჭრილობა მიიღო და ბაშ-კადიკ-ლარის ბრძოლაში, სადაც ცხენი მოუკლეს და ოსმალეთის ოფიცერთან პირის-პირ ბრძოლა მოუხდა, თავი ისახელა.

თავადმა ანდრონიკაშვილმა ამილახვარი თავისს კაბინეტში მიიღო. როდესაც ახალგაზდა აფიცერი შევიდა, ის მამა-პაპურად მოკეცილი იჯდა ტახტზედ და ოსმალურ წითელ ქუდსა და ხალათში გამოწყობილი, გრძელის ჩიბუხით თუთუნს შეეცეოდა.

ანდრონიკაშვილმა დაარიგა ახალგაზდა აფიცერი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და ბოლოს უთხრა: „დროშა-გიორგი და იმის ამხანაგები გამოჩენილი ვაჟკაცები არიან, მაგრამ ჯარის დარაზმა-დაწყობის საქმისა არაფერი ესმით. ამიტომ შენ ისე გამიწყე ქართველების ლაშქარი, როგორც ჩვენი დრაგუნის რაზმია გაწყობილიო. ამის შემდეგ თავად ამილახვარს დიდ ხანს აღარ დაუყოვნებია: იგი მაშინვე გაემგზავრა ლაშქრისაკენ, რომელიც უკვე დოღლაურის ღელეში შეკრებილიყო, ეხლანდელ სადგურებ გომსა და ხაშურს შუა. ლაშქარი რაზმებად იყო დაყოფილი და თითო რაზმში ას-ასი კაცი ირიცხებოდა. პირველ რაზმს, რომელსაც წითელ ქუდოსნები შეადგენდნენ და რომელსაც წითელი ნიშანი ჰქონდათ, თავადი გეორგი მაჩაბელი უფროსობდა. მეორეში თეთრ-ფაფახიანი ქიზიყელები იყვნენ თავიანთი თეთრი ნიშნითა; მათ ზაქარია ანდრონიკაშვილი ჰყვანდათ უფროსად. მესამე რაზმი, რომლის წინაც ოქროს ფერ ნიშანს გაჰქონდა ფრიალი, თავადმა ნიკოლოზ ზურაბის-ძე ჰკავჭავაძემ მოიყვანა თელავიდან. მეოთხე რაზმი, ცისფერის ნიშანით, შესდგებოდა მხოლოდ ტფილისის მაზრის და ქ. გორის მცხოვრებელთაგან; ამ რაზმს თავადი დავით ვახვახიშვილი უფროსობდა. შემდეგ მეხუთეს, შესანიშნავი ელიზბარის რაზმს, რომელსაც იმდენი ჭრილობა ჰქონდა ტანზედ რამდენი წლისაც იყო, თუშები და ფშავლები შეადგენდნენ, თავიანთი პატარა ნაბდის ქუდებით და გაფრიალებულის შავი ნიშნით. და ბოლოს მეექვსე რაზმში მხოლოდ თავისუ-

ფალი მეომარი თავად-აზნაურნი ირიცხებოდნენ. ამ ბრწყინვალე რაზმს ლურჯი ნიშანი ჰქონდა და უფროსად თავადი გიორგი ერისთავი ჰყვანდა.

ამ ლაშქარში საქართველოს საუკეთესო შვილები იყვნენ. სათითაოდ ყველას გმირის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ საერთოდ მათ აკლდათ ის, რაც ცხენოსანის ჯარის სულსა და გულს შეადგენს – წეს-რიგი და დისციპლინა. აი სწორედ ამ ნაკლის შესწორებას მიჰყო ხელი თავდაპირველად თავადმა ამილახვარმა გაწრთენა-სწავლა ადვილი აღმოჩნდა და ამილახვარმა. მათი გაწრთენა-სწავლა ადვილი აღმოჩნდა და ამილახვარს ბევრი შრომა და მეცადინეობა არ დასჭირებია: ყველანი საუკეთესო ცხენოსანნი იყვნენ და მეტად ადვილად ითვისებდნენ სამხედრო წესდების სხვა-და-სხვა მოთხოვნილებებს. სწავლას თვით თავადი ჯანდიერიც ესწრებოდა ხოლმე. თეთრს ცხენზე, ძველი ქართული ტანისამოსით იგი მეტად წამოსადეგი და კარგი შესახედაობის კაცი იყო. მაგრამ თავად ამილახვრის უმთავრესი ღვაწლი ჯარის გარეგნობით სწავლა-გაშალაშინებაში არა მდგომარეობდა: მან ზნეობრივად განწვრნა და განასპეტაკა იგი და აღმოხვრა მასში ის მანე ძველი ჩვეულებანი, რომელნიც ლეკებთან ომების დროს ნება-უნებურად უნდა შეეთვისათ.

– ვისაც უნდა მეომარის სახელი და ღირსება დაიმსახუროს, – ეუბნებოდა ამილახვარი ხშირად ქართველებს, – იმან ნადავლისა და სიმდიდრის შექმნაზედ არ უნდა იფიქროს. თქვენი ნადავლი მხოლოდ ყუმბარები და მტრის დროშები იქნება. მართალია ამით სიმდიდრეს ვერ შეიძენთ, მაგრამ ისეთ რასმეს მოიპოვებთ, რაც ფულით არ იშოვება; სახელდობრ, მეომრის სახელს და შთამომავლობის მადლობას.

რომ უფრო განემტკიცებინა მათში ეს გრძნობა და ამასთანავე მათი გული გაეხარებინა ძველის ჩვეულების მოგონებით, თავადმა ამილახვარმა დროშა გააკეთებინა. შავს ტილოს ცალ მხარეზედ ხელ-უქმნელი სახე მაცხოვრისა დაახატვინა, ხოლო მეორეზედ – ივერიის მფარველის წმინდა გიორგისა. დროშას გარეშემო წარწერილი ჰქონდა ქართულსა და რუსულს ენაზედ: „ჩვენტანა არს ღმერთი, სცანით წარმართნო და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი!“

24

ეს დროშა ერთსა და იმავე დროს სამხედრო ნიშანიც იყო და სალოცავი ხატიც. ქართველები გულ-მხურვალედ ლოცულობდნენ მასზედ ბრძოლის წინ. თავად ამილახვრის დარიგება-შთაგონებამ ტყუილად არ ჩაიარა: ქართველებმა პირველსავე ბრძოლაში ჩოლოქთან, 4 ივლის 1854 წელს, წმ. გიორგის დროშა დაიმსახურეს.

მაისის გასულს, კარგად გაწვრთნილი და დარაზმული ლაშქარი უკვე მზად იყო ომში წასასვლელად. წასვლამდე ახალის დროშის წინაშე პარაკლისი გადიხადეს და შემდეგ ცხენის წყლით გზას გაუდგნენ. თავად ანდრონიკაშვილს ჰყვანდა სულ 11 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 1200 მილიციონერი და 12 საომარი იარაღი. ცხენოსანს ჯარს შეადგენდნენ: ყაზახთა რაზმი ხარიტონოვისა, ქართველთა ცხენოსანი რაზმი

ჯანდიერისა და ასი თავისუფალი მეომარი იმერელი. ეს უკანასკნელნი სულ თავადნი მიქელამენი იყვნენ, რომელთაც წინამძღოლობდა მოხუცებული თავადი ქაიხოსრო, თანამედროვე იმერეთის მეფის სოლომონისა. მეორე დღეს ჯარი განიერ რიონს მიუახლოვდა. წყალზედ ხიდი არ იყო გადებული და ჯარმა იმის ნაცვლად ნავეზზედ ფიცრები გააწყო და ისე გადავიდა. ხიდი მეტად სახიფათო რამ იყო და ცხენოსან რაზმს ვაივაგლახით და წვალებით მოუხდა გასვლა. მთელი ჯარი თვალეზ დაჭყეტილი უყურებდა ამ ამბავს. როდესაც ჯერი ქართველ თავად-აზნაურთა რაზმზედ მიდგა, რაზმის უფროსმა, ცნობილმა მეჯირითემ, თავადმა ერისთავმა, ჯერ ჯარი გაუშვა და შემდეგ დაჰკრა თავის ცხენს მათრახი და სულ ჭენებით გაარბენინა ხიდი. ფიცრები სულ მალლა-მალლა ხტოდნენ და ტრიალებდნენ, მაგრამ ყოჩაღი ცხენი, როგორც ელვა ისე გავარდა და მეორე ნაპირზედ გაჩერდა. ამ სურათის მნახველთ, შიშისაგან თვალეზი დახუჭეს, ყველას ეგონა რომ ცხენი მოცეკვავე ფიცრებზედ ვერ გამაგრდება და წყალში გადავარდება. მაგრამ ცხენი მშვიდობით გავიდა და ჯარი თავად ერისთავს ვაშას ძახილით მიეგება.

სამს ივნის ჯარი უკვე ოზურგეთში იყო, ხოლო ოთხს ივნისს ხელიმ-ფაშის 34 ათასს კორპუსს შეებრძოლა. ხელიმ-

25

ფაშა თავის ჯარით ჩოლოქის მეორე მხარეს გამაგრებულს ბანაკში იდგა. ბრძოლა კურინის რაზმმა დაიწყო; მათთვის მხარი ლიტოვის რაზმის ორს ბატალიონს უნდა მიეცა. პოლკოვნიკის მამაცაშვილის ყუმბარების დახმარებით, კურინელებმა ხელად აიღეს ბანაკი, მაგრამ შედარებით ცოტანი იყვნენ და შიგ გამაგრება ძალიან გაუჭირდათ; ლიტოველები კი არსად სჩანდნენ. მათ ჯაგნარსა და ჭაობიან ადგილებზედ მოუხდათ გავლა და დროზედ ვეღარ მიეშველნენ კურინელებს, რომელთაც მალე ოსმალოს აუარებელი ჯარი თავს დაატყდა და საშინელი სახელდახელო ბრძოლის შემდეგ უკანვე გამორეკეს ბანაკიდან. აი მაშინ წასწია წინ ანდრონიკაშვილმა ქართველთა რაზმი.

ჯერ ისევ ბრძოლის დაწყებამდე ქართველებმა საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვეს, ისე მოირთვნენ, თითქოს ქორწილისათვის ემზადებიანო და ახლა საშინელის სისწრაფით გაქანდნენ წინ, რომ გამოეგლიჯათ ოსმალებისთვის გამარჯვება. ყველაზედ წინ მიჰქროდა ბოდბის-ხევის მამასახლისი ზაქარია ნატროშვილი, და დროშას მიაფრიალებდა.

ნატროშვილი ძველი, გამოცდილი გმირი მეომარი იყო და როდესაც იარაღში გამოწყობილი შავის დროშით თეთრ ცხენს მიაჭენებდა, მნახველს თვალ-წინ წმინდა გიორგი წარმოუდგებოდა.

გაქანებულმა ლაშქარმა ჯერ სიმაგრეს მოუარა და შემდეგ მიჰყო ხელი ხმლის ტრიალსა და თოფის სროლას. საშინელი ბრძოლა იყო. ორი რაზმის უფროსი თავადები ანდრონიკაშვილი და ვახვახიშვილი იქვე გმირებად დაიხოცნენ. ამ ვახვახიშვილს წინად ოთხი ძმა მოუკლეს და ეს მეხუთე იყო. თვით ჯანდიერი ხიშტით დასჭრეს. თავადმა ნოკოლოზ ზურაბის-ძე ჭავჭავაძემ, რომელიც საშინელი ღონის პატრონი იყო, მკვდართა ხროვა დააყენა და ლეშს ლეშზედ აწყობდა, ვიდრე მძიმედ

არ იქმნა დაჭრილი. ტყვია კისერში მოხვდა, ყელი დაუზიანა და მხარში ჩარჩა. იმავე დროს ვიღაც აფიცერმა ხელში დასჭრა. იქვე მძიმედ დასჭრეს ჭავჭავაძის თანაშემწე თავადი მიხეილ ერისთავი.

26

ლაშქარმა 120 კაცი დაჰკარგა. მათში ზოგი მკვდარი იყო, ზოგი მძიმედ დაჭრილი. სამაგიეროდ წაართვა ოსმალებს დროშა, გვარდიის სამი ნიშანი და ერთი ცყუმბარა. ეს იყო მთლად იმათი ავლა-დიდება: არც ერთი ოსმალური ჩანთა, არც ქუდი, საერთოდ არც ერთი ნივთი ქართველებს არ წამოუღიათ ომიდან. ასევე მამაცურად იბრძოდნენ იმერლები. მიქელაძენი ხარიტონოვის რაზმთან ერთად პირველნი შეცვივდნენ ოსმალოს ჯარის ბანაკში. ხარიტონოვი, რომელსაც რამდენიმე ტყვია მოხვდა, მოჰკლეს. იქვე დაეცა მოხუცებული ქაიხოსრო მიქელაძე იმერეთის თავადთა უძველესის გვარის წარმომადგენელი; ის ახალგაზდობაში იმერეთის მეფეს ემსახურებოდა და სიბერეში მხოლოდ იმაზედ-ღა ჰფიქრობდა, რომ რუსეთის ხელმწიფისთვის როგორმე ერთგულება და ქვეშევრდომობა დაემტკიცებინა. დაჭრის შემდეგ მან რამდენიმე საათი იცოცხლა. როდესაც ნათესავები ანუგეშებდნენ „ნუ გეშინიან, ქაიხოსრო, ჭრილობა საშიში არ არის“-ო, ის წყნარად ეუბნებოდა: „მე მხოლოდ ერთისა მეშინოდა, რომ ჩემი სხეული მტერს არ ჩავადნოდა ხელთ, ეხლა კი, რადგანაც ბანაკში ვკვდები, აღარაფრის მეშინიან“-ო.

ცხენოსანის რაზმის მამაცობამ და ვაჟკაცობამ ქვეითა რაზმიც გაამხნევა და ოსმალები დამარცხებულ იქმნენ. ჩვენმა ჯარმა 13 ცყუმბარა, სამი ბანაკი და 36 დროშა წაართვა მტერს. სელიმ-ფაშის ჯარი მიწასთან იქმნა გასწორებული.

როდესაც ომის შემდეგ ჯარი ოზურგეთში აპირებდა დაბრუნებას, ჯარის უფროსს შეატყობინეს, რომ თუშები ტყეში დარჩნენ, მოკლულ კაცს ეძებენ და, ვიდრე არ იპოვნიან, წამოსვლას არ აპირებენ. ბევრი ეხვეწნენ, ბევრი ემუდარნენ თუშებს, მაგრამ იმათ თავისი არ დაიშალეს და მკვდარი კაცის ძებნაზედ ხელი არ აიღეს. „წადით, ამბობდნენ ისინი – ჩვენ თვითონ ვიპოვნით გზასა“-ო. „იქნება დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს თქვენი კაცი“ – ეუბნებოდნენ თუშებს, მაგრამ იმათ ეს არა სჯეროდათ. „არა, ჩვენი კაცი ტყვედ არავის გაჰყვება, ის უთუოდ მკვდარია!“ თუშებმა მთელი ტყე გადააქოთეს და ბო-

27

ლოს როგორც იყო მაინც იპოვნეს მკვდარი. მაგრამ შემდეგ კიდევ ასტყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თუშებს თავიანთ ქვეყანაში უნდოდათ მკვდრების წაღება და მთავრობა კი ამის ნებას არ აძლევდა. ბოლოს მაინც დათანხმდნენ და შემოქმედის მონასტერში დამარხეს. იქვე დაასაფლავეს დანარჩენი მოკლული ქართველების გვამები, თავადნი შიგ ტაძარში, ხოლო დანარჩენნი გალავანში. სამ დღეს შემოქმედის მეპატრონემ თავადმა დიმიტრი გურიელმა სამაგალითო ქელები გამართა.

რადგანაც დაჭრილთა რიცხვი ძალიან ბევრი იყო და მათი წაყვანა არ შეიძლებოდა, ყველანი ოზურგეთსა და შემოქ-

მედში დასტოვეს. თავადი ჭავჭავაძე კი ქუთაისში ჩავიდა, სადაც ადგილობრივმა დოსტაქარმა, გამოჩენილმა თურმანიძემ ოპერაცია გაუკეთა და ტყვია ამოაცალა. ამის-და მიუხედავად მეორე დღეს ტყვისაგან დახვრეტილი ჭავჭავაძე ცხენზედ შეჯდა და თავის ჯარს გამოუდგა.

გურია უზრუნველ-ყოფილ იქმნა და ანდრონიკაშვილიც აღარ გაჩერდა იქ. თავის ჯარით ის ბებუთაშვილის საშველად მიდიოდა, როდესაც უცბად გზაზედ, ბორჯომის მახლობლად შეატყობინეს, რომ შამილი კახეთში ჩამოვიდა და იქაურობას აოხრებსო. ჯარი მაშინვე გაჩქარებულის ნაბიჯით ტფილისის გზას გაუდგა. მთელი ტფილისი შიშით იყო მოცული და როდესაც ლაშქარი დაინახა, იმის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; გენერალი რედი საშინლად გაკვირვებული იყო ჯარის ჩქარა სიარულით.

როდესაც ჯარი ტფილისს მიუახლოვდა, თუშებმა ხელახლად დაიწყეს ლაპარაკი, ჩვენ წინ გაგვიშვით, უკან ვერ მოგყვებით ჯარსა, ხალხი მშიშრებად ჩავეთვლის და სასაცილოდ აგვიგდებსო. მაშინვე თავადმა ამილახვარმა უთხრა რომ უკან უფრო მოგაქცევენ ყურადღებას, რადგანაც საუკეთესო ჯარს ყოველთვის გაჭირებისთვის უკან ინახავენო. ეს აზრი იმდენად მოეწონათ თუშებს, რომ თავად-აზნაურთა რაზმის წინ აღარ მოითხოვეს წასვლა და მოითხოვეს ყველაზედ უკან ჩვენ გაგვიშვითო.

28

ტფილისში ჯარი დიდუბის ეკკლესიასთან დაბანაკდა. რაზმებმა თავთავიანთი ნიშანი მიწაში ჩაურჭეს და იმის გარშემო ბინები გაიმართეს. მშვენიერს სურათს წარმოადგენდა მთელი ეს ბანაკი. ეს სხვა-და-სხვა ტანისამოსის ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა კაცზედ. ერთს ადგილას თავიანთ ნიშნის გარეშემო, წითელ-ქუდა ოსები შეკრებილიყვნენ და მხიარულად ერთმანეთში მუსაიფობდნენ, მეორე ადგილას თეთრ-ფაფახიანი ქართლელები და კახელები, ხოლო მესამე ადგილას ნაბდის ქუდიანი თუშები და ფშავლები. განზედ კი ლაშქრის კარავის წინ, ფრიალი გაჰქონდა ჯერეთ ახალს, მაგრამ ჩოლოქის ომის კომლით შებურვილს და გამარჯვების დიდებით გაბრწყინვებულს დიდს შავს დროშას. ტფილელები აღტაცებით მიეგებნენ ჯარს, ყოველ დღე იმის სანახავად დადიოდნენ დიდუბეში და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულში, რომელიც ქალაქმა ლაშქარს გაუმართა. გენერალმა რედმა ქართველ მეომრებს ათასი ოქრო აჩუქა.

ჩოლოქის ბრძოლამ თავად ჯანდიერს წმ. გიორგის ჯვარი შესძინა, ხოლო ლაშქარს – წმ. გიორგის დროშა. სად არის ეხლას ის დროშა? უმჯობესი არ იქნებოდა, რომ იგი ხალხის დიდების ტამარში – მუზეუმში ინახებოდეს და არა რომელიღაც არსენალში, სადაც თავის დღეში არავინ დადის.

22 წლის შემდეგ ხელ-ახლა დაიწყო ოსმალეთის ომი. თავადი ამილახვარი უკვე გენერალი იყო და ცხენოსან ჯარს უფროსობდა. იმის თხოვნით ჯანდიერის შვილმა გაუგზავნა ის შესანიშნავი დროშა, რომლის ქვეშაც ახალგაზდა აფიცერმა მამაცურად იბრძოლა ჩოლოქზედ და რომელსაც ეხლა დრამ-

დაგის ომში უნდა მიეღო მონაწილეობა.\*) ომის დაწყებამდე თავადმა ამილახვარმა ჯარს ამ დროშაზედ მიუთითა და უთხრა: „ყმაწვილებო! ეს დროშა გამარჯვებას არის ჩვეული. 4 ივნისს, 1854 წელს ამის შემწეობით ჩოლოქზედ ჩვენ ბრძოლა მოვი-

---

\*) ამ დროშის ასლი, რომელიც თავადმა ივანე გივის-ძემ გადააღებინა, ჯან-დიერის ოჯახმა დაიტოვა.

გეთ და დღევანდელს საქმეშიც უთუოდ ღმერთი შეგვეწევა“. ეს სიტყვები აღსრულდნენ: ჯარი მამაცურად შეებრძოლა მტერს დრამ-დაგთან და 4 ივლისს, 1877 წელს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩოლოქის ბრძოლა იქმნა მოგებული, ოსმალეთის ჯარი გზა-კვალ დაბნეული გაიფანტა. ამის შემდეგ თავად ამილახვარს ეს დროშა თავიდან აღარ მოუშორებია, ყოველს ომსა და ბრძოლაში თან დაჰქონდა და ეხლაც, როგორც მოწამე წარსულის დიდებისა, სახლში აქვს შენახული.